# ვარდები ნისიად

ელზა ტრიოლე

ელზა ტრიოლე

# ვარდები ნისიად

1962 წ

## ავტორისაგან

ეს წიგნი პირველია იმ ციკლისა, რომელსაც ავტორმა „ნეილონის საუკუნე“ უწოდა, მსგავსად ქვის, ბრინჯაოს და სხვა საუკუნეებისა. ჩვენი საუკუნე მერყეობს წარსულსა და მომავალს შორის, ქვასა და ნეილონს შორის: წარსული უკან არ იხევს, ხოლო მომავალი გვხიბლავს, - ასეა უხსოვარი დროიდან. კაცობრიობის ისტორია ესაა გამოგონებანი, აღმოჩენები, შემოქმედება, მაგრამ თვით კაცობრიობა ჩამორჩება თავის მიღწევებს. XX საუკუნეში მომხდარი ნახტომი ისე დიდია, რომ წარსულსა და მომავალს შორის არსებულ განხეთქილებას ადამიანთა შეგნება, შესაძლოა, უფრო ძლიერად და მტკივნეულად შეიცნობს, ვიდრე ოდესმე. ბრძოლა ნამყოსა და მომავალს შორის - დიდს ეხება ეს თუ მცირეს - გულგამგმირავი და საბედისწეროა.

„ვარდები ნისიად“ მოგვითხრობს, თუ როგორ შეებრძოლა ჩლუნგი, მეშჩანური უხამსობა ახალ სამყაროს, სადაც ადამიანი საკუთარი თავის ღირსი გახდება. ესაა წიგნი მძიმე სიყვარულისა და ავტორმა თავის ნაწარმოებს რომანი უწოდა. ზოგი მას ზღაპარს დაარქმევს, სხვები კი ნამდვილ ამბად მიიჩნევენ. დაე, მკითხველმა თავად განსაჯოს, - რომანია ეს, ზღაპარი თუ ნამდვილი ამბავი.

ამაოდ დაშვრება მკითხველი, თუკი შეეცდება ამ რომანში დაინახოს პიროვნება, რომელიც რეალურად არსებობს ან ოდესმე არსებობდა. მხოლოდ შემთხვევითი შეიძლება იყოს ყოველივე მსგავსება, სახელისა თუ გვარის დამთხვევა.

# დამსხვრეული სამყარო

დაისის არასასიამოვნო ჟამი იყო, როცა ჯერ კიდევ არ დამდგარიყო მრუმე სიბნელე, მაგრამ თვალს უკვე ბინდი გადაფენოდა და გარემოს ბუნდოვანი იერი მისცემოდა. სოფლის შარაგზაზე, ლანდივით მიმქრალ ქოხთან, დაგვერდილიყო საბარგო მანქანა. დაისის ლექი მოსდებოდა ზეცას, ოღრო-ჩოღრო შარაგზის მუდამ გაუმშრალ გუბეებს, ბინდში გახვეულ მესერს, სადაც, სავარცხლის კბილანებში ჩარჩენილ ჭაღარა თმასავით, ჩახლართულიყო ხშირი ჯაგნარი. მესერს იქით დიდი, გაურკვეველი ჯიშის აბურძგნილი ძაღლი ჟღრიალით მიათრევდა ჯაჭვს; მისი ბეწვი აქაურ კოწიწა ტალახს ერთმანეთისთვის შეეწებებინა. ტალახიან ეზოში მოჩანდა ბავშვის ფეხსაცმელი, ნახევრად მიწაში ჩაფლული უსაბურველო ველოსიპედის ბორბალი, კარი, ღამის ჭურჭელი და სხვა რაღაც საგნები... ეზოს სიღრმეში ქოხი იდგა, რომელიც უფრო ფიცრებისგან ნაჩქარევად შეჭედილ ძველ ბინძურ ყუთს წააგავდა, ვიდრე საცხოვრებელ ბინას. ამ მინგრეულ-მონგრეულ კარ-მიდამოს, რაღაც უცნაურობის ძალით, მთელად შემორჩენოდა ფანჯრის ჭუჭყიანი მინები, კარგა ხანია, რაც დადგა საბარგო მანქანის უკანა ფარების ანთების დრო, საცაა მოახლოებულ წყვდიადს მთლად შთაენთქა იგი, მაგრამ მძღოლის კაბინა ცარიელი იყო. დაჟანგული თუნუქით გადახურული ქოხის საკვამურიდან რუხი კვამლი ამოდიოდა და ეს იყო სიცოცხლის ერთადერთი ნიშანწყალი ამ უკაცრიელ ადგილას.

გზატკეცილის მოსახვევიდან ექვსი პატარა გოგო-ბიჭი გამოჩნდა. ბავშვები ჩუმად ლაპარაკობდნენ: „ის კიდევ აქაა“... „მაინც, ვინ ბრძანდება, რამდენ ხანს გვაცდევინებს...“ „შენ დაინახე

მანქანის ნომერი?“ ,,ძალიან არ მჭირდება?“ „რა ვქნათ...“ „დავბრუნდეთ...“ „მერე ხომ ისევ წამოსასვლელები ვიქნებით?“ „ხმა ჩაიწყვიტე!“ „მე დავბრუნდები...“ ერთი პატარა არსება გამოეყო სხვებს და გზატკეცილისკენ გაბრუნდა, ხოლო დანარჩენები მესერში გაძვრნენ... ეზოში, ფარდულის ქვეშ, შეშა და ფიჩხის კონები ეყარა. იქ შეიძლებოდა დამალვა ისე, რომ სახლის ფანჯრიდან მათ ვერავინ დაინახავდა. ძაღლმა ყეფა დააპირა, მაგრამ პანღურით ჩააჩუმეს; ჯაჭვის ჟღარუნით მიირბინა ბავშვებთან და რიგრიგობით დალოკა. ტელეფონის მავთულზე ჩამწკრივებულ ჩიტებივით ხმა ამოუღებლად ჩამოსხდნენ პატარები ძელზე.

უკვე თვალშეუვალი ღამე იყო, როდესაც ქოხის კარი გაიღო და ვიღაც კაცი მძიმე ნაბიჯით გაემართა საბარგო მანქანისკენ. ფარები აანთო. შუქმა გაანათა შარაგზის ქვები, ტალახი, წყლის გუბეები... მანქანა დგანდგარით დაიძრა და უკანა ფარების შუქი ისე წაიტანა, რომ ბავშვებმა მძღოლი ვერ დაინახეს. წყალში ჩაძირულ ქვასავით შთანთქა სიჩუმემ მანქანის რახრახი. ბავშვები ისევ უძრავად ისხდნენ.

კარგა ხანი გავიდა, ფანჯარა განათდა და კარის ზღურბლზე დედა გამოჩნდა: მარი პენიე, ქალიშვილობისას ვენენი.

- შინ შემოდით, - შესძახა მან ბავშვებს, - ისღა გაკლიათ, გაცივდეთ.

ბავშვები ფარდულიდან გამოძვრნენ. მარიმ სათითაოდ დაითვალა სახლში შემოსული ბავშვები:

- ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... ისევ მარტინა აკლია! ეგ საზიზღარი გომბიო სამარის კარამდე მიმიყვანს!

ოთხი ბიჭი და ერთი გოგო სუფრას შემოუსხდნენ. ჭერზე

ჩამოკიდებული ნავთის ლამპა ისე ქანაობდა, თითქოს საცაა ბავშვებს თავზე უნდა დაეცესო. გავარვარებულ თუჯის ქურაზე ქვაბი იდგა: შიგ რაღაც იხარშებოდა, კვამლისა და წვნიანი ხორცის სასიამოვნო სუნი ამოდიოდა. ყველაზე პატარა ბავშვი სამი წლისა იყო, ყველაზე დიდი თხუთმეტისა. მათ შავი, დამსკდარი ხელები, წვინტლიანი ცხვირი და მოწითურო თმა ჰქონდათ. თხუთმეტი წლის ავადმყოფური შესახედაობის გოგონას პირის კიდეები ძველი დროის გალების ულვაშებივით ჩამოშვებოდა. მისი მომდევნო ბიჭები ხალისიან თავკომბალებს წააგავდნენ და მხოლოდ ყველაზე უმცროსისათვის გაეღიმა ბედს ეს ბიჭუნა დედას ჰგავდა.

დედა პატარა ტანის ქალი იყო. ხუჭუჭა თმა მზის სხივებივით შემოვლებოდა მის მუდამ მომღიმარ სახეს, ჯერ კიდევ გადატკეცილი, სუფთა კანით, ოდნავ ამობურცული შუბლითა და პატარა ცხვირით. მკუხე ვაშლისფერი გამოხუნებული სათბური უფარავდა ექვსი ბავშვის ძუძუს ჭამით დამჭკნარსა და ჩამომდნარ გულ-მკერდს. მას მამაკაცის იდაყვებზე გამოგლეჯილი ქურთუკი და ჩითის ქვედატანი ეცვა, შიშველ ფეხებზე ფლოსტები. ალბათ, ძალიან გამძლე იყო, რომ ასე ჩაცმული ამ უამინდობაში სიცივეს არ გრძნობდა. დედა რიგრიგობით უსხამდა ბავშვებს წვნიან კერძს დაკბილულსა და დამსკდარ, ვარდისფერ ყვავილებით მოხატულ ღრმა მათლაფებში, რომლებსაც ჩვეულებრივად საბაყლო დუქნებში პრემიის სახით აძლევენ მყიდველებს. ბავშვები უსიტყვოდ, უძრავად ისხდნენ და, ნასუფრალის მომლოდინე ძაღლებივით, თვალს ადევნებდნენ დედის ყოველ მოძრაობას. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც დედამ ყველას ჩამოურიგა კერძი, ბავშვებს უფლება მიეცათ ევახშმათ. ეს წესი რომ დაერღვიათ, დედა მკაცრად მოუწოდებდა შვილებს წესრიგისაკენ. რამდენიმე

ხანი ღეჭვა-წკლაპუნის გარდა არა ისმოდა რა. ბავშვები, ჯანმრთელი ლეკვებივით, ჭამაში აზიზები არ გახლდნენ და ღორმუცელობით გამოირჩეოდნენ. მსუქან წვნიან კერძში ბოსტნეულისა და ხორცის მოზრდილი ნაჭრები დაცურავდა. პირველ ულუფას მეორე მოჰყვა საერთო დაძაბულობა რამდენადმე შემცირდა. ბავშვები აჭყიპინდნენ, ალაქლაქდნენ, ერთმანეთს კინკლაობა დაუწყეს. მღელვარება მატულობდა და საქმე ცემა-ტყეპით დამთავრდებოდა, საგანგებო შემთხვევას რომ ყველას ყურადღება არ მიექცია: მაგიდის ფეხზე ვირთხა ამოცოცდა.

- ვირთხა! - დაიყვირეს ბავშვებმა.

ვირთხა, თუმცა მასაც ამ ოჯახის დამახასიათებელი მოწითურო ფერი გადაჰკრავდა, თავს განწირულად გრძნობდა. ყოველი მხრიდან ბავშვებით გარშემორტყმული ის უმწეოდ დარბოდა მაგიდაზე, თეფშებს, ჭიქებსა და პურის ნატეხებს აწყდებოდა.

- სული გააფრთხობინეთ! - ყვიროდა მარი. - დაჰკარით, რაღას უყურებთ, ეშმაკმაც წაგიღოთ!

უფროს ბიჭს წილად ხვდა პატივი, ვირთხისთვის ბოლო მოეღო. მის შემდეგ სხვებმაც ჩაარტყეს ერთი-ორი ისე, სიამოვნებისთვის. მარიმ კუდში წაავლო ხელი მკვდარი ვირთხას და ის-ის იყო კარი უნდა გაეღო გადასაგდებად, რომ მარტინა გამოჩნდა. მარიმ შორს გადასასროლად მოიქნია ვირთხა და მარტინა რომ გვერდზე არ გამხტარიყო, შიგ სახეში მოახვედრებდა. ვირთხამ შუა ეზოში გაადინა ტყაპანი, ხოლო გულშეღონებული მარტინა კარებს მიეყრდნო.

- ჩამოჯექი! - უთხრა დედამ. - თორემ იატაკზე ბრაგანს

გაადენ... და ისადილე!

- არა მშია! - მარტინა თუჯის ღუმელისაკენ გაეშურა. - მცივა! თქვა მან.

- ჭამე-მეთქი. გეუბნები! - მარი იღიმებოდა, რადგან სახე ისეთი ჰქონდა, რომ სულ ღიმილი დასთამაშებდა, - წვნიანი კერძია, გემრიელია. პირველი ნამდვილი ხორცის წვნიანი გათავისუფლების შემდეგ.

მარტინა მიუჯდა თავის უფროს დას. მოკუნტული, მხრებში თავჩამალული შავი, მიმქრალი თვალებით ალმაცერად შესცქეროდა ანგრეულ ლოგინს, ჭუჭყიან იატაკზე ჩამოშვებულ გაურეცხავ ზეწრებს. ღუმელის გარდა, ოთახში ბუფეტი და ამოვარდნილ ზამბარებიანი გატყავებული სავარძელი იდგა. ღია კარში, რომლისთვისაც სკამი მიედგათ, არ დაიხუროსო, მეორე ოთახი მოჩანდა. ბავშვები პურს უწებდნენ თეფშებში, ჩარჩენილ წვენში ალბობდნენ და კვლავ ვირთხაზე ლაპარაკობდნენ. მარტინამ გამხდარი, თეთრი ხელებით თმა გადაისწორა.

- ჭამე... - გაუმეორა დედამ.

მარტინამ აიღო კოვზი და დახედა დაკბილულ, დამსკდარ მათლაფაში დასხმულ წვნიანს. ხორცის ნაჭერი, ძვალი... სიმსუქნეს დაეფარა ფსკერზე დახატული ვარდისფერი ყვავილები. მარტინა თეფშს მისჩერებოდა, მაგრამ მაგიდაზე დაღვრილ წითელ ღვინოში დამბალ პურის ქერქებსა და საჭმლის ნარჩენებს ხედავდა.

- ჭამე, - ჩუმად უთხრა უფროსმა დამ, - ხომ ხედავ, რომ დედა ჯავრობს.

მარტინამ ჩადო კოვზი მსუქან წვნიანში, პირთან მიიტანა და უცებ ისე ძლიერად ჩაქინდრა თავი, რომ კინაღამ მათლაფას მიეხალა.

ვირთხის გამოჩენისა არ იყოს, ამასაც დიდი ალიაქოთი მოჰყვა.

- რა მოგდით? - დაიყვირა დედამ. - განა ვერ ხედავთ, რომ გოგო ავადაა? წაავლეთ ხელები იღლიაში, მე კიდევ ფეხებში მოვეჭიდები... აბა, სწრაფად! რობერტ! ვერ ხედავ. ძლივს მილასლასებს? ვაი თქვენს გადამკიდეს!

მარტინა დიდ, მიულაგებელ ლოგინზე დააწვინეს.

- აქედან დამეკარგეთ! - რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიღრიალა მარიმ. ბავშვებიც მუჯლუგუნის კვრით კარებს მიაწყდნენ, ტიხარს იქით გაუჩინარდნენ.

- რა მოგივიდა, აბა, რა მოგივიდა, ჩემო გოგონავ! - იმეორებდა მარტინასთან მჯდომი მარი. მარტინამ თვალები გაახილა... დაინახა, რა ზეწრებში იწვა... დაინახა დედის უძრავი სახე ერთხელ და სამუდამოდ ზედ აღბეჭდილი ღიმილით. მოიკუნტა, მუხლები მოიკეცა, ხელები მუშტებად შეკრა.

- მინდა წავიდე... - თქვა მან.

მარი თავს დასცქეროდა შვილს და ოდნავადაც არ შესცვლია გამომეტყველება სახისა, რომელსაც შარავანდედად ედგა ხუჭუჭი თმა.

- მე ხომ შენი დედა ვარ! - თქვა მან. - ისიც მეყოფა, რომ უფროსი გოგო მთელი წლით წაიყვანეს, ტუბერკულოზური მენინგიტი აქვს და მთელი კლასი დაასნეულაო. შენ რაღა გინდა პროფილაქტორიუმში? ავად შენ არა ხარ, არაფერი გტკივა! მაშ რა მოხდა?

- სესილის დედა ამიყვანს... საპარიკმახეროში მუშაობას ვისწავლი.

მარიმ გადაიხარხარა ისე, რომ სახის მუდამ მომღიმარი

გამომეტყველება არ შეცვლილა, იგი არც ეწინააღმდეგებოდა, არც ადასტურებდა ამ სიცილს.

- გირჩევნია, შენ თვითონ დაიხვიო ეგ გაფშეკილი თმა. თანაც ზეჟანგი გადაისვი, რომ მთელი ოჯახისგან შავი თმით არ გამოირჩეოდე! ეშმაკმა ნუ იცის, რას არ იტყვი! უკეთა ხარ?

- არა, - თქვა მარტინამ, - მე მართლა წავალ.

- ერთი ამ საძაგელს უყურეთ! - დაიღრიალა მარიმ. - დაუბრუნე ახლავე დედეს სათამაშო ბურთულები! ისევ აწკაპე? ნამდვილი კაჭკაჭი ხარ, შავი ქურდ-კაჭკაჭი! ყველაფერს იპარავ, რაც კი ბრწყინავს. საკუთარი თვალით დავინახე, როგორ ჩამარხე მიწაში ჩემი ოდეკოლონის შუშა! ფრანსინას ბაფთაც შენ არ მოიპარე? კაჭკაჭო! კაჭკაჭო!

- კაჭკაჭო! - მორთეს ჭყივილი ბავშვებმა კარებში. - შავო კაჭკაჭო! ქურდ-კაჭკაჭო!

ისინი ხტუნვა-ყვირილით ნელ-ნელა შემოვიდნენ ოთახში. ამდენი ამბებისგან აღელვებული ბავშვები გაშმაგებით იქნევდნენ ხელებს, ენას ყოფდნენ, იმანჭებოდნენ და აქეთ-იქით ეხლებოდნენ. მათი ხტუნვისაგან ჭერზე ჩამოკიდებული ლამპა მძლავრად ირხეოდა და კედლებზე ჰფენდა მეტისმეტად დიდსა და მოცეკვავე ჩრდილებს.

- კმარა! - მარიმ ერთ-ორს თავში წამოჰკრა და ბავშვები კვლავ ტიხარს იქით მიიმალნენ.

მარტინა გამოსხლტა ლოგინიდან და ღუმელს მიუჯდა.

- კარგი, - უთხრა გოგონას მარიმ, - გეყოფა სისულელეების როშვა. სკოლის დამთავრების შემდეგ შენი ნებაა - გინდა პარიკმახერი გახდი და გინდა სხვა ვინმე. მასწავლებელი ამბობს, ძალიან მიკვირს, საიდანაა ასეთი ნიჭიერიო. მე ხომ დედაშენი ვარ,

მაგრამ წერა-კითხვა ვერაფრით ვერ ვისწავლე. შენი უფროსი დაც პირწმინდად მე დამემსგავსა! თხუთმეტი წლის გომბიომ არც წერა იცის და არც კითხვა. ეგებ შეჭამო ცხელი წვნიანი ხორცი? მოდი, მაკოცე! ეს სისხლი გიდუღს, ჩემო გოგონა, და იმის ბრალია. შეხედე, გულ-მკერდი აგეთქვირა, თეძოებიც დაგაჩნდა, რა კოხტა წელი გაქვს, შე ცუღლუტო, შენა!... უკვე თოთხმეტი წლის გამიხდი!

მარი მარტინას მოეხვია და მადიანად დაუკოცნა შავი თმა, მკრთალი ლოყები, მხრები. თვალდახუჭული და ნესტოებშეკრული მარტინა ისე იტანდა დედის ალერსს, თითქოს უსიცოცხლო სხეულიაო. მას ბავშვი-ქალის გრძელი, მოსხლეტილი ტანი ჰქონდა. მარიმ ხელი გაუშვა:

- მოდი, დაწექი ჩემთან! მე კედელთან მივიწევი...

მარტინა თითქმის მიეკრა გავარვარებულ ღუმელს:

- ავად ვარ, დედა, მცივა! გვერდიდან გვერდზე რომ გადავბრუნდები, გაგაღვიძებ... აი, დედეს სათამაშო ბურთულები, წაიღე! ისეთი კარგებია, ბრჭყვიალა და გლუვი!

მარტინამ ჯიბიდან ორი ბურთულა ამოიღო.

- გქონდეს, შე ბრიყვო... დედეს სხვა რამეს მივცემ სათამაშოდ. - მარიმ ჩაუტენა მარტინას ჯიბეში ბურთულები. - მთელი ღამე ღუმელთან ხომ არ იქნები, ჩაგეძინება და ზედ გადაემხობი.

- სესილთან წავალ ღამის გასათევად...

მარიმ ხელი მოუქნია:

- შინ დაეგდე! დამაცადე, თვითონ მე მივალ პარიკმახერ ქალთან და ვუჩვენებ სეირს... ეგა და მისი სესილი რომ არა, უფროს გოგოს არ წამართმევდნენ და პროფილაქტორიუმში არ

გაგზავნიდნენ. იმ ქალბატონს რა ენაღვლება, დახმარების ფული მას არ სჭირდება, მისთვის სულ ერთია, წაართმევენ თუ არა ბავშვს.[1]

მარიმ თანდათან ხმას უმატა. მარტინა წამოდგა, ერთი სკამი კედელთან დადგა, მეორე პირდაპირ მიუდგა, რომ ზედ ფეხები გაემართა. მარიმ ყვირილს არ უკლო. ბავშვები ჩაწყნარდნენ: სიბნელე იყო და ეგებ ჩაეძინათ კიდეც, ანდა გაჩუმება არჩიეს, ოჯახურ დავიდარაბას თავი აარიდეს. მარტინას ეგონა, დედაჩემის ყვირილს დასასრული არ ექნებაო. ღუმელის სითბოთი მოთენთილი აღარც კი უსმენდა და მარიც სადაცაა მიჩუმებულიყო, როცა უეცრად მარტინამ რაღაც წამოიყვირა.

- ახლა რაღა დაგემართა? - წაიბუზღუნა მარიმ.

მარტინა ერთი ნახტომით კარს მივარდა და გამოაღო: გარეთ კუპრივით შავი ღამე იდგა, ჩამოკიდებული ლამპის მოწითალო შუქმა წყვდიადი ვერ გაფანტა, მხოლოდ კარის ზღურბლთან ჩანდა ტალახიანი ნაკვალევი. მარტინა გარეთ გავიდა... ხელისცეცებით მოძებნა პატარა კალათა, რომელიც წეღან ხელიდან გაუვარდა, როცა მკვდარი ვირთხა დაინახა: „ხომ არ დაიმსხვრა?! ოჰ, დედაჩემო.. “

მარტინამ კალათა მაგიდაზე დადო და ცნობისმოყვარეობით აღძრული მარიც მიუახლოვდა მაგიდას.

- რა გაქვს მანდ?

მარტინამ ამოიღო კალათიდან ერთ მტკაველზე ოდნავად მეტი

---

[1] *საფრანგეთში ყოველ ბავშვზე მშობელს დახმარების ფულს უხდიან, თუ ოჯახის შემოსავალი გარკვეულ თანხას არ აღემატება. როდესაც ბავშვი საავადმყოფოშია, დახმარების გადახდა წყდება. - ფ. გ.*

სიდიდის ნივთი. გახვეული თეთრ, ქათქათა აბრეშუმის ქაღალდში. ქაღალდი ფრთხილად შემოხსნა და გამოჩნდა ღვთისმშობლის პატარა ქანდაკება, მიყრდნობილი ნიჟარას მსგავს მღვიმეს. ხოლო მის წინ - მუხლმოდრეკილი ბავშვი. ყველაფერი ნაზ ფერებად იყო შეღებილი: ცისფრად, თეთრად და ვარდისფრად. მარიმ მაგიდა ხელით გადაწმინდა და მარტინამ ზედ დადგა ღვთისმშობელი.

- ეს პარიკმახერმა ქალმა მოგცა?

მარტინამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თვალს ვერ აშორებდა ქანდაკებას. მარიც მის გვერდით იდგა და ტკბებოდა ღვთისმშობლის ცქერით.

- ეს ლურდიდან ჩამომიტანა! რა მეშველებოდა, რომ დამსხვრეულიყო?! ეგებ სასწაულმოქმედიცაა. - თქვა ბოლოს მარტინამ.

- სასწაულები არ არსებობს, შვილო, ჩემზე უკეთ ეს არავინ არ იცის. სინათლეს ჩავაქრობ, დაწექი. ეს ქანდაკება ბუფეტის თავზე დავდოთ, რომ ბავშვები ვერ მიწვდნენ.

- დაიცადე, მომართვა შეიძლება... მაშინ დაუკრავს.

მარტინამ გადაატრიალა ქანდაკება და მომართა პატარა მოსამართით. აღტაცებისგან სულგანაბულმა დედა-შვილმა რამდენიმეჯერ მოისმინა ნაზი ხმით შესრულებული „ავე მარიას“ მელოდია.

- კმარა! - თქვა ბოლოს მარიმ. - მეტს ნუ დავუკრავთ, თორემ მოსამართი გაუცვდება.

მარი სკამზე შედგა და ღვთისმშობლის ქანდაკება ბუფეტის თავზე ჩამოდგა. მარტინა სკამებზე მოთავსდა, დედა საწოლში ჩაწვა. წყვდიადით მოცულ ქოხში ისმოდა ღრმა სუნთქვა,

ხვრინვა და ვირთხების განუწყვეტელი ფუსფუსი. მარტინას არ ეძინა: ამ დროს გრძელი ღამეები იცის; სოფელში მზის ამოსვლა-ჩასვლას უფარდებენ ცხოვრებას, ადრე წვებიან. მარტინას ამდენი ძილი არ უყვარდა. მან დაიწყო ფიქრი დანიელ დონელზე, მებაღე ჟორჟ დონელის ვაჟზე. ამ მებაღეს ვარდის პლანტაციები ჰქონდა ოცი კილომეტრის დაშორებით მათი სოფლიდან. დანიელ დონელი ისეთივე განუყრელი ნაწილი იყო მარტინასთვის ნაცნობი სამყაროსი, როგორც ტყე, ეკლესია, პაპა მალუარი თავისი ძროხებით, მწკრივად ჩარიგებული ვაშლისა და მსხლის ხეები ნოტარიუსის ბაღში, სოფლის საბაყლო დუქანი, ცენტრალური ქუჩის ქვაფენილი, ტყის მწვანე მდელო, რომელიც ნამდვილად დამპალი ჭაობია და შიგ შეიძლება ჩაეფლოს კიდეც ადამიანი. დანიელს სოფელში სამი ბიძაშვილი ჰყავდა, სამი ახალგაზრდა დონელი, მარსელ დონელის ვაჟები. მარსელიც, ჟორჟ დონელივით, მებაღე იყო, მაგრამ ძმაზე ბევრად უფრო მდარე. ახალგაზრდა დონელებს საერთო იერი ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ მათი მშობლები ერთმანეთს არ წააგავდნენ, და შვილებიც არ ჰგავდნენ მშობლებს. ოკუპაციის წლებში მოზარდებს საჭმელი აკლდათ, მაგრამ ახალგაზრდა დონელები მაინც უფროსებზე უფრო ღონიერები იყვნენ: საშუალო სიმაღლის, ჩაფსკვნილნი, მკვიდრი აღნაგობისანი, როგორც ყველაფერი, რაც კი სოფელს განეკუთვნება: იქნება ეს კედელი, მესერი თუ ადამიანი. დონელები, მართლაც, ძალიან წააგავდნენ ერთმანეთს: მრგვალი მოყვანილობის თავი, მოკვერცხილი თმა, რაც კიდევ უფრო აჩენდა თავის სიმრგვალეს; სახის ისეთი მხიარული გამომეტყველება, თითქოს საცაა სიცილი უნდა წასკდეთო, მთრთოლვარე ნესტოები და ოდნავ მიჭუტული თვალები. მარტინას აზრით, დანიელი,

ვარდების მომშენებელი დონელის შვილი, სილამაზით გამოირჩეოდა ბიძაშვილთა შორის. სასიამოვნო აღნაგობის, მხარბეჭიანი, ტანმკვრივი დანიელი მტკიცედ დააბიჯებდა მშობლიურ მიწაზე. შესაძლოა, მას აკლდა მოხდენილობა და სინატიფე, მაგრამ სიმკვრივეში ის არავის არ ჩამოუვარდებოდა. დანიელი პარიზში სწავლობდა, იქ ცხოვრობდა თავის დასთან, დომინიკასთან, რომლის ქმარს მონპარნასის ბულვარზე ყვავილების მაღაზია ჰქონდა. დანიელის ჯანსაღი, ნამზეური სახე, ცოტა არ იყოს, გაფერმკრთალდა პარიზში სწავლების პირველივე წლის შემდეგ, მაგრამ საზაფხულო არდადეგების დროს მზე ისევ მოეკიდა. ომმა და ოკუპაციის წლებმა ძირიან-ფესვიანად შეცვალეს დანიელის ცხოვრება. სწავლის თვეები იყო ეს თუ არდადეგები, სოფელში გამოჩნდებოდა ხოლმე ველოსიპედზე მჯდომი დანიელი - 1940-1945 წლების ეს თავისებური კენტავრი. ერთბაშად გაივლიდა 60 კილომეტრს პარიზიდან სოფლამდე და თუ მამის ნახვას მოისურვებდა, მის ფერმამდე კიდევ ოცი კილომეტრი უნდა გაევლო. სტუდენტისთვის მას ზედმეტად ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა, ასე რომ ზამთარ-ზაფხულ სულ გზაში იყო გაბმული.

იმ შფოთიან დროში სწავლის საქმეც აირ-დაირია. დანიელის დას, დომინიკა მეყვავილეს, მის ქმარს, მათ პატარა ბიჭუნას და თვით დანიელს როგორმე უნდა გაეტანათ თავი. აი, სწორედ ამიტომ იყო, რომ დანიელი ასე ხშირად ჩადიოდა სოფელში სურსათ-სანოვაგის წამოსაღებად. მაგრამ აი, 1944 წელს გერმანელებმა გზაზე გააჩერეს დანიელი საბუთების შესამოწმებლად, ველოსიპედის საბარგეზე მიბმულ კალათში კვერცხისა და კარაქის ქვეშ საეჭვო საგნები, აღმოუჩინეს:

სტამბის საღებავი და ჯერ კიდევ სრულიად უხმარი შტემპელის ბალიშები... სოფლის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქის მერი, - ეს ის ქალაქი გახლავთ, სადაც კარგი საბანაო ადგილებია ტბაზე და სადაც არავინ არ დადიოდა იმიტომ, რომ გერმანელებს იქ ხშირად უნამუსო ქალები მიჰყავდათ, - ეს მერი ამაოდ ცდილობდა დაემტკიცებინა, მე დავავალეო დანიელს ამ ნივთების. ჩამოტანა მერიისათვის. ყმაწვილი პარიზის მახლობლად მდებარე ფრენის ციხეში დაამწყვდიეს და გათავისუფლებას რომ არ მოესწრო, ვინ იცის, როგორ წაუვიდოდა საქმე. თვრამეტი წლის პირმცინარე და ჯან-ღონით აღსავსე დანიელს სიკვდილი მიუსაჯეს. ცოტაღა დააკლდა, რომ წამებული ჭაბუკის გვირგვინი მინიჭებოდა, მაგრამ საბედნიეროდ ცოცხალი დარჩა და გმირის სახელიც მოიხვეჭა.

მისი ბიძაშვილები, გერმანელებთან თანამშრომლობისათვის ერთობ ახალგაზრდები, მათთან ერთად საბანაოდ დადიოდნენ ტბაზე: მეტისმეტად უყვარდათ ბანაობა. უფროსს თვით გაარჯვებულებიც უყვარდა, ამას აშკარად, მოურიდებლად აცხადებდა და აკი დასაჯა კიდეც ბედმა: უცებ ჩამოხმა, მკერდი ჩაუვარდა, მოხუცივით წელში მოიხარა, - კაცმა არ იცის, რატომ დაემართა ეს ოცი წლის ყმაწვილს. უკვე აღარაფრით ჰგავდა ძმებსა და დანიელს, უფრო მოხუც მამას მიემგვანა. სოფელში ამბობდნენ, რაღაც ვადმყოფობა გადაედო საბანაო წყლიდანო; გერმანელები წამლით ახდენდნენ წყლის დეზინფექციას, მაგრამ რაც გერმანელისათვის ხელსაყრელია, ფრანგს როდი არგებს. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ მისი უმცროსი ძმები შეხაროდნენ გათავისუფლებას, რადგან მთელი ხალხი მათ ირგვლივ ბედნიერი იყო და აღარ ცდილობდნენ „რაღაცის გაგებას“, უფროსმა დატოვა თავისი სოფელი. მართალია, შორს არსად წასულა, დანიელის მამას

შეეკედლა. ამ უკანასკნელს ვარდების პლანტაციის მოსავლელად მუშა-ხელი სჭირდებოდა, ვიდრე ჩვენი ტყვედწაყვანილები შინ არ დაბრუნებულიყვნენ.

რაც შეეხება მარტინას, - მას არც ომის დარდი ჰქონდა და არც ოკუპაციის: რაც თავი ახსოვდა, სულ დანიელის მოლოდინში იყო. დანიელზე რომ არ ეფიქრა, მარტინას სხეული გახვრეტილი ბუშტივით ძირს დაეშვებოდა, ფერს დაკარგავდა, დაიჩუტებოდა და დანაოჭდებოდა. მაშასადამე, ეს საბოლოოა. მარტინას გულში ჩაბეჭდოდა დანიელის სახე და როცა ამ სახეს ხორცი ესხმოდა, როცა მის წინაშე რეალური დანიელი წარმოდგებოდა, იგი განიცდიდა რაღაც ბიძგის, ჭახანის მაგვაროს და წონასწორობის დაცვა, ფეხზე დგომაც კი უჭირდა. აი ახლაც მარტინა იწვა სიბნელეში სკამებზე და დანიელზე ფიქრობდა. ოდნავ გაწითლებული ღუმელი ჩაქრა, გაცივდა... მარტინას ძილი არ ეკიდებოდა, ახლა ის სიცივემაც აიტანა.

მარტინა სკამებზე გაიშოტა, ოღონდ კი არ დაწოლილიყო დედამისის გვერდით, რადგან მარის ზეწრები წელიწადში მხოლოდ ორჯერ ირეცხებოდა და ისეთი სუნი ასდიოდა, რომ მარტინას სული ეხუთებოდა. ვერაფერი სახარბიელოა მთელი ღამე ორ სკამზე გაატარო, თანაც თუ არ გეძინება. მარტინა სიამოვნებით დაწვებოდა მაგიდაზე, მაგრამ იქ საჭმლის ნარჩენებს შორის ვირთხები დასეირნობდნენ და გოგონას ესმოდა მათი ფუსფუსი. ვირთხები ოდნავ ეხებოდნენ სკამებს, მაგრამ მარტინას არ ეკარებოდნენ. თვალღია იწვა მარტინა, სიბნელეს მისჩერებოდა და დანიელ დონელზე ფიქრობდა. მაღლა, მარჯვნივ სუსტი სინათლე გამოკრთოდა. საიდან ანათებდა იგი? მარტინა მაშინალურად ეძებდა ნახვრეტს

ჭერში, ანდა კედლის ფიცრებში... და უცებ, შიშმა შეიპყრო: საიდან მოციმციმებდა ეს შუქი? თუ ეს გარედან არაა, მაშინ... შესაძლოა ეს რომელიმე მხეცის მოელვარე თვალებია და ეს მხეცე საცაა გულზე დააცხრება მარტინას... მაგრამ ზევით მხეცს რა უნდა? იქ ალბათ ფრინველია... აკანკალებულმა მარტინამ ხელით მოსინჯა და იპოვა ღუმელის მილის უკან ასანთის კოლოფი. განათებული ადგილისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე გაჰკრა ასანთი და უფრო მიხვდა, ვიდრე დაინახა, რომ ეს ღვთისმშობლის ქანდაკება იყო. მარტინამ თითქმის ისეთივე ძლიერი ნერვიულობა განიცადა, როგორსაც დანიელ დონელთან შეხვედრისას გრძნობდა.

- რას აკეთებ მანდ? - შესძახა მარიმ და ლოგინზე წამოჯდა.

- დედა... ის ანათებს... - და მარტინამ თითი ქანდაკებისკენ გაიშვირა.

- ღმერთო ჩემო... - მარიმ ამოიხვნეშა და ისევ დაწვა, - სულ მთლად გადამირიეს ეს ტუტუცი გოგო... ისღა აკლია, რომ ზეციური ხმები გაიგონოს.

ასანთი თითის წვერებს უწვავდა... ისევ სრული სიბნელე გამეფდა. თვალღია მარტინა დაძაბული უცქეროდა სიბნელეში გამომკრთალ ნათელ წრეს და ფიქრობდა დანიელ დონელზე. უძილობამ შეიპყრო, ღამეს კი ბოლო არ უჩანდა... ღამის ცხრა თუ ათი საათი იქნებოდა... თურმე დედასაც არ -ეძინა, უცებ უთხრა:

- წადი! სესილთან გაათიე ღამე! შეიძლება მამაშენს მოეპრიანოს შინ მოსვლა და თავს დაგვადგეს გამომთვრალი, როგორც სჩვევია; ისედაც ვერა ხარ შენს ჭკუაზე, სჯობია წახვიდე აქედან.

მარტინამ სიბნელეში მოიძია კაბა და შეუმჩნევლად გაძვრა კარებში. კარს უკან სულ სხვა ღამე იყო გრილი, ნოტიო. მარტინამ გადირბინა ტალახიანი ეზო, შარაგზა და გზატკეცილზე გავიდა.

ნეტავ რომელი საათია? გვიან ხომ არაა სესილთან მისვლა? გოგონა გზატკეცილზე გარბოდა... შემხვედრმა მანქანებმა მიანათეს მას ერთმა, მეორემ, მესამემ... დროს ვერ გაიგებს, ვიდრე ეკლესიის სამრეკლოს საათამდე არ მიირბენს, ისიც თუ მთვარე დანათის საათს... მაგრამ მიაღწია თუ არა პირველსავე სახლებს, გული დაიმშვიდა: პაპა მალუართან ფანჯრები ჯერ კიდევ განათებულია, მაშასადამე, არც თუ ისე გვიანაა. ქუჩა დაცარიელებული იყო, მაგრამ აქა-იქ სინათლე ჩანდა მეაირესთან, ნოტარიუსთან, მოედანზეც, რომლის სიღრმეში ეკლესიაა აღმართული.. და თვით სამრეკლოს სიმაღლიდან საათმა დაუზარებლად ჩამორეკა. სრული ათი საათია!... ძლივს არ მოასწრო!... მარტინამ მიაღწია პარიკმახერი ქალის სახლს, მაგრამ სულს ითქვამდა, გვერდში ჭვალი გაუდგა... გოგონამ ფანჯარაში დააკაკუნა. კარი გაიღო და სიბნელიდან, სადაც ოდნავ მოჩანდა თმის პერმანენტულად დასახვევი აპარატი და შავად ელავდა დიდი სარკე, გამოჩნდა პარიკმახერი ქალი.

- მარტინა! რატომ დაიგვიანე ეგრე? ხომ არაფერი მომხდარა?

- დედამ გამომგზავნა. ეშინია, მამა არ მოვიდესო ღამის გასათევად.

- კარგი... შემოდი, შვილო.

## ტყეში დაკარგული მარტინა

მამა... მამას ეძახდნენ, თუმცა, როცა მარი ვენენი კაცს ცოლად გაჰყვა, უკვე ორი გოგო ჰყავდა სულ სხვადასხვა და უცნობი მამებისაგან. გაარიგა ისინი იმ სოფლის მღვდელმა, სადაც მარის მშობლები ბინადრობდნენ და იმ დაბის მერმა,

სადაც იმჟამად მარი ცხოვრობდა. ამბობდნენ, სწორედ ეს მერიაო უფროსი გოგოს მამა; ამ თხუთმეტი წლის წინ ის ქალების მუსუსი ყოფილა, ხოლო მარი, რაც მართალია-მართალია, ძალიან ლამაზი გოგო იყო და ბევრნიც დასდევდნენ. ასე იყო თუ ისე, მერმა აიღო მუნიციპალური საბჭოდან ნებართვა და მარის გამოუყვეს მიწის ნაკვეთი სოფლის მახლობლად, პატარა ტყის უკან. შეთანხმდნენ, რომ ის მითხოვდება პიერ პენიეს, შეშის მჭრელს; ორთავენი დაამუშავებენ ამ ნაკვეთს და ააშენებენ ისეთ კოხტა სახლს, რომ სოფლის ხედი არ გაფუჭდეს. პიერ პენიე მსმელი კაცი იყო, მაგრამ მუშაობა უყვარდა. დაყაბულდა ეშვილებინა მარის ორივე გოგო, რადგან მიწის ნაკვეთით მოიხიბლა და თვით მარიც მოეწონა: ქალი ჯერ კიდევ ძალიან ლამაზი იყო და მის  სახეს ლანძღვა-გინებისა თუ ჩხუბის დროსაც კი არ სცილდებოდა უცვლელი ღიმილი. პიერ პენიემ იშვილა ორივე გოგო, ისე მოსწონდა მარი და წინასწარ ტკბებოდა იმ ბედნიერებით, რასაც მოულოდნელად ეწია: საკუთარი სახლი, საკუთარი ცოლი და ისიც ასეთი ლამაზი: ოქროსფერი თმა შარავანდედად ადგა მრგვალ, მზედაკრულ სახეზე. მზესუმზირას ყვავილის მსგავსი მარი მუდამ იღიმებოდა, მკვრივი სხეულისა და ფოლადივით გამძლე ჯანმრთელობის პატრონი იყო. თუმცა კეკლუცი ტანს იშვიათად იბანდა, სამაგიეროდ მუდამ ყვავილებით იმკობდა დაუვარცხნელ თმას ანდა ყელსაბამით იმშვენებდა მოღერებულ ყელს. სალანძღავი სიტყვების წამოსროლის დროსაც კი სახე უცინოდა და ტუჩები უღიმოდა. რა უნდოდა მეტი პიერ პენიეს, უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში გაზრდილს? სიცოცხლეში პირველად ეღირსა ასეთი ბედნიერება.

თავდაპირველად პიერმა ძველი ფიცრებისაგან სახელდახელო

ქოხი ააშენა, ეზოს მიხედა: ამოძირკვა, დაბარა, დათესა და დარგა ჩითილები. როდესაც მერმა, რომელიც დროგამოშვებით ეწვეოდა ხოლმე ახალდაქორწინებულებს, უსაყვედურა პიერს, ქოხი შნოიანად ვერ აგიგიაო, პიერი აღშფოთდა: ერთბაშად ყველაფერს ხომ ვერ გავაკეთებ, ეს მხოლოდ დასაწყისია, მადროვეთ, სული მომათქმევინეთ და ყველაფერს, სახლსაც, ეზოსაც წესრიგში მოვიყვანო. ყველაფერი კოხტად, ლამაზად იქნება მოპირკეთებული და შეღებილი, მარი ყვავილებს დარგავს და თუ გსურთ იცოდეთ, აქ პატარა შადრევანი და ქვიშით მოყრილი ბილიკიც იქნებაო.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, რაც პირველად შეუსწრო პიერ პენიემ მარის ცოლქმრულ სარეცელზე უცხო კაცთან... ეს სოფელში ჩარჩენილი სკამების მწვნელი იყო... მაგრამ ბოლოს პიერი ბედს დაემორჩილა, დარწმუნდა, ამ საქმეს არაფერი ეშველებაო: ვერც ყვირილი, ვერც დანით დამუქრება და ვერც მუშტები, - ვერაფერი ვერ დააოკებდა მარის გაუმაძღარ ლტოლვას მამაკაცებისადმი. პიერი ტყეში მიდიოდა დასაძინებლად და იქ გაილეშებოდა ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს შემოიჭრა ოთახში და მარის მიახალა: მინდა გაგეყაროო. გაყრა? ეს რაღაა? მარის არაფერი აქვს საწინააღმდეგო, კაცმა რომ თქვას, არც გათხოვება უნდოდა მაინცადამაინც. კეთილი და პატიოსანი... ისინი განქორწინდნენ. სოფელში ასეთი რამ მანამდე არ გაეგონათ და ყველას გაუკვირდა. ამის შემდეგ პიერ პენიე კვლავ დაუბრუნდა მარის. ისევ ამუშავებდა მიწის ნაკვეთს, ხან ხის მჭრელობა იკისრა. ხან ჭარხლის მკრეფაობა და რა ფულსაც ამ საქმიანობით შოულობდა, ისიც მარისთან მოჰქონდა. მაგრამ პიერს თავისებური შეხედულება ჰქონდა

მამაკაცურ ღირსებაზე და არ უნდოდა, რომ მარის უკანონო შვილებს მისი გვარი ეტარებინათ. რაც შეეხება ორ უფროსს - პიერმა თავის დროზე იშვილა ისინი და რაც მოხდა - მოხდა. ეს კეთილშობილური საქციელი იყო მისი მხრიდან. ახლა კი პიერი მოტყუებული ქმარია, ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. ერთი სიტყვით, მარტინა და ფრანსინა პიერის გვარს ატარებდნენ, ხოლო დანარჩენი ბავშვები ვენენები იყვნენ, ისევე როგორც მათი დედა. მიუხედავად ამისა, პიერ პენიე მაინც ითვლებოდა ყველა ბავშვის მამად. როცა ის გამოჩნდებოდა, თითის წვერებზე უნდა ევლოთ, ასე მოითხოვდა დედა - შვილები ვალდებული არიან პატივი სცენ მამასო. რაც შეეხება დანარჩენს... მარი ანდამატივით იზიდავდა თავისკენ იმ თემის ყველა მამაკაცს ორმოცდაათი კილომეტრის რადიუსით.

ძველი ფიცრებისგან შეკრულ ქოხს ლამაზ სახლად გადაქცევა არ ეწერა. იქ აღარც ყვავილები გაჩენილა, აღარც შადრევანი და აღარც ქვიშამოყრილი ბილიკი. სოფლის განაპირა ქოხში, სადაც არც წყალსადენი იყო და არც ელექტროშუქი, ხოლო ვირთხები დარბოდნენ მძინარეთა სახეებზე, მარი ბედნიერად გრძნობდა თავს სულ ახალ და ახალ მოტრფიალეებთან და კატასავით ყრიდა შვილებს.

მარი კარგად ზრდიდა შვილებს, ისინი მორიდებულები და ზრდილობიანები იყვნენ, არასდროს არ ავიწყდებოდათ ეთქვათ: „დილა მშვიდობისა, ქალბატონო!“ ან „გმადლობთ, ბატონო!“. მარი ვერ მოითმენდა ბავშვების კადნიერებას. სულ მცირე მიზეზის გამო მიბეგვავდა ხოლმე შვილებს, მას მძიმე და ღონიერი ხელი ჰქონდა. ბაშვები უსიტყვო მორჩილებას მიეჩვივნენ, სჯეროდათ, რომ თუ დედა დაემუქრებოდა: „ტყავს გაგაძრობთო!“ - აასრულებდა კიდეც

ამ მუქარას. მარის შვილები გასაწვრთნელ ძაღლებს ჰგავდნენ: ვერ ერკვეოდნენ, რატომ ასე იქცევიან და არა ისე - უბრალოდ, დედის ბრძანებას ემორჩილებოდნენ. რა დაშავდება, რომ ქოხის იატაკზე მოისაქმონ, რატომ არ შეიძლება ქინძისთავი ჩაურჭონ პატარა ძამიკოს მუცელში, რა აუცილებელია დაიბანონ ხელ-პირი დღესასწაულებზე, რატომაა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სკოლაში წასვლას გიბრძანებენ და არა სხვაგან სადმე, რატომ უნდა გავიდნენ სახლიდან, როცა იქ უცნობი მამაკაცები მოდიან, თუმცა ბავშვებისთვის საიდუმლოებას არ შეადგენდა, რას აკეთებდნენ ისინი... გამოცდილებით იცოდნენ, რომ ამა და ამ საქციელს ესა და ეს შედეგი მოჰყვება, თუმცა ზოგჯერ სრულიად გაუთვალისწინებელი რამეც შეიძლებოდა მომხდარიყო. ერთი რამ კი უდავო გახლდათ: სჯობია, ასეთი რამ არ გაიმეორონ.

სწორედ ასე დაემართა მარტინას, როდესაც მან ქოხის ახლოს მდებარე ტყეში მოინდომა გასეირნება. ეს გასეირნება უმაგალითო ცემა-ტყეპით დამთავრდა. მარტინა ადრე დილით წავიდა ტყეში, გზა დაებნა და სრული ორი დღე-ღამე დაკარგული იყო. მთელე სოფელი ფეხზე დააყენეს და ბოლოს იპოვნეს ხუთი წლის მარტინა, რომელსაც მშვიდად ეძინა ხავსზე დიდი მუხის ჩრდილქვეშ. ამ ამბავმა ისეთი სახელი მოუხვეჭა ბავშვს სოფელში, რომ ყველანი „ტყეში დაკარგულ მარტინას“ ეძახდნენ. ეს რა უცნაური გოგოა, არაფრის არ ეშინია, ხუმრობა ხომ არაა, – ორი დღე-ღამე მარტოდმარტომ გაატარა ტყეში! სხვა შიშისა და შიმშილისაგან ღრიალით აიკლებდა იქაურობას, ეს კი ვითომც აქ არაფერიაო, როდესაც სიბნელეში გაიღვიძა და დაინახა მის ირგვლივ ფარნებითა და კეტებით

გამოსული სოფლელები, - გაიცინა და პატარა ხელები გაუწოდა უცნობს, რომელიც მის ასაყვანად დაიხარა. მარტინას თავგადასავალი აღწერეს არა მარტო ადგილობრივმა, არამედ პარიზის გაზეთებმაც. მარტინას არასოდეს არ დაავიწყდება, რა მწარედ მიტყიპეს ამ ამბის შემდეგ! მაგრამ გოგონამ იფიქრა, ეს ცემაც, უწინ მიღებულ მუჯლუგუნების არ იყოს, აუცილებელი რამაო, აკი დიდები პატარებზე უფრო ღონიერები არიანო. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ზოგჯერ დედა სრულიად მოულოდნელად გაწკეპლავდა, კაცმა არ იცის რისთვის, ამიტომ მარტინასა და მის და-ძმებს ვერც კი გაეგოთ კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის, როგორ წარმოიდგენდა მარტინა, რომ ტყეში სეირნობა და ხის ქვეშ ძილი სასტიკად აკრძალულია? რატომ იყო, მათ,რომ დედა ურტყამდა და, ამავე დროს, თან იცინოდა და თან ტიროდა? სოფლის მკვიდრნი კი, პირიქით, თითქოს კმაყოფილები იყვნენ მარტინას საქციელით: როცა დედა რამის საყიდლად გაგზავნიდა დუქანში და პაწია გოგონა ძლივს მოათრევდა დიდ კალათას, ყველანი იღიმებოდნენ, ეფერებოდნენ, ალერსით წაუტყაპუნებდნენ ხოლმე ხელს ლოყაზე და ხშირად აჩუქებდნენ ხილეულს, შაქარყინულსა ან შოკოლადს. მეტად საყვარელი და კოპწია იყო პატარა გოგონა, მეტადრე ზაფხულობით, როდესაც დედა მოკლე ტრუსების ამარა დატარებდა და აშკარად ჩანდა ყველაფერი, რითაც ბუნებას დაეჯილდოვებინა მარტინა: შიშველი, მზით გარუჯული ტანი, გრძელი ფეხები და მრგვალი პაწია თეძოები. შავი, სწორი თმა ჩამოშლოდა განსაცვიფრებლად ლამაზი სახის ირგვლივ, რომლის მსგავსს ვერ იპოვნიდით სენა-უაზის მთელ დეპარტამენტში. მომხიბლველი, თვალწარმტაცი, როგორც საოცარი, ეგზოტიკური პატარა ცხოველი და ამასთანავე, ჭკვიანი,

გონიერი, ნამდვილი პატარა დედაკაცი! ერთხელ ძალიან ცხელოდა და მარიმ საქოჩრეზე დაუმაგრა თმა მარტინას, დიდი ქალივით; ვის უნდა ენახა, რომ არ გასცინებოდა, მთელ სოფელს უყვარდა მარტინა ტყეში დაკარგული. მაინც ვის დაემსგავსა ასეთი? ბევრი იმსჯელეს და იფიქრეს, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მარტინას მამა, იქნებ ოდესმე ახლომახლო გამოჩენილა კოლონიებიდან ჩამოსული ვინმე შავკანიანი ან ყვითელკანიანი? ვერავინ მოიგონეს... აბა საიდანაა ასეთი?

მარტინა იზრდებოდა და არ ეკითხებოდა თავის თავს, რატომ ასე ეზიზღებოდა ყველაფერი, რაც მის გარშემო იყო?! არ უკვირდა, რატომ მირევსო გულს ეს ჭუჭყიანი ზეწრები, ვირთხები და განავალი. ტყესაც სწორედ იმიტომ აფარებდა თავს, რომ ოჯახში, დედის ქოხში თავს ცუდად გრძნობდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამდენი ბავშვი არ იყო გაჩენილი და მათი ბინაც არ იყო გატიალებული... ხოლო პიერ პენიე საღამოობით შინ ბრუნდებოდა, კასრებით წყალი მოჰქონდა და ვირთხებს ხაფანგებს უგებდა... უკვე მაშინ იტყოდა ხოლმე მარტინა: „ყარს!“ და ეს ისე სასაცილოდ მიაჩნდათ პიერსა და მარის, რომ გოგონას სულ ამ ერთ სიტყვას ამეორებინებდნენ.

აი რატომ იცნობდა მარტინა ტყე-ველს ისე, როგორც მას იცნობდნენ თხუნელა, ციყვი ან ზღარბი: თხუნელას, ალბათ, არ აინტერესებს ხის კენწეროები, ხოლო ფრინველს - მიწისქვეშა სოროები; მარტინას ტყეში უმთავრესად ხავსი, კენკრა, ყვავილები სტაცებდა თვალს. გოგონა ტყეში იმიტომ მიდიოდა, რომ გამოეძინა იქ ქოხში გატარებული უძილო ღამის შემდეგ, ეჭამა, თუ რაიმე საკვებს იპოვნიდა, რადგან დედის წვნიანი კერძები გულს ურევდა; დაეკრიფა შროშანა, ტყის სუმბული,

ნარგიზი: მარტინა ხომ ერთ-ერთი იმ გოგონათაგანი იყო, გზატკეცილის პირას რომ დგანან მრგვალი თაიგულებითა და ტირიფის რტოებისგან მოწნული პაწია კალათებით. აღებულ ფულს მარტინა ჯერ თავისთვის ინახავდა, მაგრამ მარიმ მალე გაუგო და ისე გაწკეპლა, რომ გოგონა ბედს შეურიგდა. იმ დღიდან მოკიდებული ფული დედასთან მიჰქონდა. სამაგიეროდ მარი მხოლოდ ყასიდად უყვიროდა მარტინას, როცა ის დილაუთენია აკანკალებული პირს იბანდა ყინულივით ცივი ჭის წყლით და ვეღარ გამთბარიყო გაზაფხულის მზეზე. მარტინას ფული მოჰქონდა, მაშასადამე, შეეძლო ისე მოქცეულიყო, როგორც უნდოდა. აბა, მის და-ძმებს ხომ თავში არ მოსვლიათ გამოეძებნათ შემოსავლის ასეთი წყარო?

მარტინა სხვა ბავშვებს არ ჰგავდა და ალბათ სწორედ ამიტომ ისინიც განზე უდგნენ, არ ეთამაშებოდნენ, არაფერს არ უნაწილებდნენ, უცხოსავით ეპყრობოდნენ, არც კი აღიზიანებდნენ, ოღონდ უკან იბრუნებდნენ, თუკი მარტინა მათ რამეს წაართმევდა. მარტინა აგროვებდა და ინახავდა ყველაფერს, რაც კი ბრწყინავდა, კაშკაშებდა, რაც გლუვი და ლაპლაპა იყო: ბურთულებს, შუშის ნამსხვრევებს, კენჭებს, კარგად გარეცხილ კონსერვის ქილებს... სამაგიეროდ, მარტინა და-ძმებს აჩუქებდა ხოლმე რომელიმე სათამაშოს, რასაც ბავშვებს საშობაოდ მერიაში ურიგებდნენ. ამ სათამაშოების მისაღებად, ჩვეულებრივად, თვითონ მარი მიდიოდა, თავმოყვარეობის გამო ბავშვები არ მიჰყავდა: რა გინდ არ დაებანა და არ დაესუფთავებინა, მაინც სხვა ბავშვებზე უფრო საცოდავი და უბადრუკი იერი ჰქონდათ. შინ დედა თავისი ნებასურვილის მიხედვით უნაწილებდა ბავშვებს სათამაშოებს და თუ, მაგალითად, მარტინას საკერავი

მოწყობილობის ყუთი შეხვდებოდა, ის მაშინვე ამ ყუთს თავის უფროს დას, ფრანსინას შესთავაზებდა და სამაგიეროდ არაფერს თხოვდა. ფრანსინა ყოველთვის პატარებს ღილებს უკერებდა შარვლებზე, პირს ბანდა, ცხვირს წმენდდა და მიტყიპავდა კიდეც, ნამდვილი დედასავით. ესაა წერა-კითხვა ვერაფრით ვერ ისწავლა. მარტინა, პირიქით, სკოლაში ყველაფერს ადვილად ითვისებდა, ზღაპრული მეხსიერება ჰქონდა, სამაგიეროდ უმცროს ძმას რძის ფაფას ვერ მიცემდა, ვიდრე დედა პატარა ხნით საყიდლებზე იყო წასული. აუცილებლად დაავიწყდებოდა რძის ფაფის მიცემა. მართლა რომ დაიტანჯა მარი იმ წელიწადს. როცა ფრანსინა სკოლაში წავიდა და მარი მარტინას იმედად დარჩა, მას უნდა შეეცვალა უფროსი და. მარტინას პასუხისმგებლობის გრძნობა ისეთივე ჰქონდა, როგორც მის ყველაზე უმცროს ძმას, რომელიც ჯერ კიდევ აკვანში იწვა, მის თვალწინ ბავშვები ადუღებული წყლით დაიფუფქნენ, ძაღლი აუშვეს და ისიც უკვალოდ დაიკარგა, კატა ჭაში დაახრჩვეს... მართალი რომ ვთქვათ, გავიდოდა თუ შინიდან. მარტინა მაშინვე სადღაც გაუჩინარდებოდა. მას არ ჰქონდა არც დედობრივი და არც ოჯახური სიყვარულის გრძნობა. საქმეს არაფერი შველოდა, თუნდაც მარის ცემით სიკვდილის პირამდე მიეყვანა მარტინა. ყველაფერი ამაო იყო. ისევ სხვა საქმეში სჯობდა მარტინას გამოყენება; მაგალითად, დედა ავალებდა მას მიეღო პური და სურსათი იმ წყეული ბარათებით, რომლებისაც მარის არაფერი გაეგებოდა; ანდა გაეგზავნა გოგონა მერიაში: გერმანელებმა ხომ ახალი წესები შემოიღეს, რამაც მარის მთლად თავგზა აუბნია... მარტინა აძლევდა სათანადო ახსნა-განმარტებას

საქველმოქმედო საზოგადოებათა წარმომადგენლებს, თუკი ისინი მათ ქოხს ესტუმრებოდნენ ისევ იმ წყეული გერმანელების სხვადასხვა გამონაგონის გამო, - აცრა იქნებოდა ეს თუ სხვა პროფილაქტიკა.

მარტინა კლასში პირველი მოწაფე იყო და მუდამ ჯილდოებს იღებდა... გოგონამ იმდენად გაუსწრო სხვა ბავშვებს, რომ მათ შორის დიდი ზღვარი აღიმართა. ბავშვები არ ეჭირვეულებოდნენ მარტინას, არ აწვალებდნენ, კუთხეში არ ჰყავდათ მიგდებული, უბრალოდ, ის არ ჰგავდა სხვა ბავშვებს, თუმცა მარტინაც თამაშობდა და ყბედობდა, როგორც სხვები. ღმერთმა იცის, რას ყბედობდნენ და ჭორიკანობდნენ ეს გოგოები, განუწყვეტლივ კი ენაჭარტალობდნენ, რაღაც ამბებს ჰყვებოდნენ. გერმანელები იყვნენ დაბანაკებული მეზობელ ქალაქ რ-ში და სალაპარაკო როგორ შემოაკლდებოდათ! თვით სოფელში იშვიათად თუ ოდესმე გამოჩნდებოდა გერმანელი, იქ საქმე არაფერი ჰქონდათ, სოფელი გერმანელებს არ აინტერესებდათ: ვერც სურსათს იშოვნიდნენ აქ და ვერც დაბანაკდებოდნენ. სოფელში არ იყო კეთილმოწყობილი სახლები, ციხე-დარბაზები სარდაფებითა და სააბაზანო ოთახებით. მაგრამ სოფლელები საკმაოდ ხშირად ხედავდნენ გერმანელებს ქალაქ რ-ში, სადაც ძალაუნებურად უნდა წასულიყვნენ ბაზარში აყიდლებზე, ანდა კომენდატურაში, თუკი იქ რაიმე საქმე ჰქონდათ... სოფლის მცხოვრებლებს შეეძლოთ სძულებოდათ გერმანელები და გაეწიათ მათთვის პასიური წინააღმდეგობა, თუკი ეს საშიში არ იყო. მაგრამ თუ რომელიმე სოფლის ქალს ფრიცის გვერდით დაინახავდნენ, მის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი ერთსულოვნად დაირაზმებოდა, ერთბაშად ბოიკოტს გამოუცხადებდნენ. ასე მოექცნენ, მაგალითად, ერთი

ღარიბი ფერმერის ცოლს, მღვდელმა ქადაგებაშიაც კი ჩაურთო მისი ამბავი... ბავშვებიც ყველაფერში დიდებს ბაძავდნენ. ჩვეულებრივად ისინი კარდაკარ დარბოდნენ და აფრთხილებდნენ ყველას, გერმანელები ახლოს არიანო. ქუჩები მაშინვე ცარიელდებოდა, პატრულსა თუ მოსეირნე გერმანელ ჯარისკაცებს სრულიად უკაცრიელ სოფელში უხდებოდათ გავლა-გამოვლა... მაგრამ უფრო ხშირად გერმანელები ისე ეწვეოდნენ სოფელს, რომ იქაურები სახლებში ჩაკეტვას ვერ ასწრებდნენ. გერმანელებმა ტყეშიც შეიხედეს, მაგრამ დიდებს ბავშვებისთვის თქმაც კი არ დასჭირვებიათ, ისე დაანებეს თავი პატარებმა ტყეში სიარულს, შიშით ეზოდან ფეხს ვერ იცვლიდნენ.

მარი და ბავშვები, რაკი ტყის პირას განმარტოებულ ქოხში ცხოვრობდნენ, ღამით მაგრად რაზავდნენ კარებს და მარტინას ჩაკეტილ ოთახში სული ეხუთებოდა. რა საშინელ ამბებს არ იგონებდნენ სკოლის გოგონები! ხომ შეიძლებაო, ამბობდნენ, გერმანელები განმარტოებულ ქოხთან გაჩნდნენ და მთელი ოჯახი ამოწყვიტონო. ეს სიმართლეს ჰგავდა, თუმცა, არსებითად, ქოხის უკაცრიელ ადგილზე დგომა აქ განსაკუთრებულ როლს არ თამაშობდა... იმ ხანებში მარტინას არ აღიზიანებდნენ, არ გაურბოდნენ და არ აწვალებდნენ. მაგრამ მარტინა ერთი წაკითხვით იმახსოვრებდა ლექსს, შეუცდომლად წერდა კარნახს, ახსოვდა ყველა ისტორიული თარიღი, - ყოველივე ეს როგორღაც არ ეჭაშნიკებოდათ ბავშვებს და როგორც ყველაფერი უჩვეულო, ესეც მარტინასადმი უფრო მტრულ გრძნობას იწვევდა, ვიდრე სიყვარულს. აქვე უნდა ითქვას, რომ მარტინას სრულიადაც არ აინტერესებდა ის, რასაც

ასეთი განსაცვიფრებელი სიადვილით იმახსოვრებდა.

მარტინას მართლაც არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა - ყველაფერი, რასაც კი კითხულობდა და რაც კი ესმოდა, ზუსტად აღიბეჭდებოდა მის შეგნებაში. ამასთანავე, მარტინა ვერ იტანდა ცუდად, ზერექვერედ შესრულებულ სამუშაოს, ვერ იტანდა ვერავითარ წანაშალს, ანაფხეკს, მელნის ლაქებს რვეულებში, წიგნების გადაკეცილ ფურცლებს. წიგნები და რვეულები ყოველთვის ძალიან სუფთად ჰქონდა შენახული, თითქოს ჯერ კიდევ უხმარი და ახალთახალიაო.

სოფლის მასწავლებელი ქალი უკვე საუკუნის მეოთხედზე მეტი იყო, რაც ამ ადგილებში ცხოვრობდა. მან კარგად იცოდა მარის და მისი ქოხის ამბავი, ამიტომ ნებას რთავდა პენისა და ვენენის ბავშვებს სკოლაში დარჩენილიყვნენ და გაკვეთილები იქ მოემზადებინათ. მაგრამ ხანდახან მარი დაუტატყანებდა შვილებს: „იცოდეთ, დროზე დაბრუნდით შინ, გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დარჩენა რის მაქნისია! აი, წავალ და მოვახსენებ სათქმელს თქვენს მასწავლებელს.“ მაშინ ქოხში დაბრუნებული მარტინა აუტანელი ხდებოდა: ის იკავებდა მთელ მაგიდას. გააფენდა ზედ ძველ გაზეთებს, რომ რვეულები არ დაესვარა და პატარები განძრევას ვერ ბედავდნენ, უცებ ხელი არ ვკრათ ან მაგიდა არ გავანძრიოთო... მაოტინამ საშინელი გაბრაზება იცოდა. ყვირილს არ დაიწყებდა, მაგრამ ცემდა ბავშვებს: ხელი დედამისივით ღონიერი და მძიმე ჰქონდა. სამაგიეროდ, გაკვეთილებს თვალის დახამხამებაზე ამზადებდა და შემდეგ უსაქმოდ, თვალდახუჭული იჯდა კუთხეში ანდა, როგორი ავდარიც არ ყოფილიყო, დაივლიდა სოფლის ქუჩებს; ტყეში შესვლა ხომ არ შეიძლებოდა გერმანელების გამო.

თავის წიგნებსა და რვეულებს მარტინა ბუფეტის თავზე ინახავდა, სადაც მათ თითქოს ნაკლები საშიშროება ემუქრებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დილას მარტინამ აღმოაჩინა, რომ ვირთხებმა დაღრღნეს და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს ყველაფერი... მარტინამ რვეულების და წიგნების საცოდავი ნარჩენები მაგიდაზე დასდო და უსიტყვოდ მიაჩერდა მათ... მაგრამ როდესაც მარტინას სამი პატარა თავკომბალა ძმა დაინტერესდა ვირთხების ნამოქმედარით, აძვრნენ ჯერ სკამზე და მერე იქედან მაგიდაზე, თანაც დაქუცმაცებულ რვეულებზე ერთი ბოთლი ზეთი დააქციეს, თვით მარიც კი შიშმა შეიპყრო: მთელი თვის სამყოფ ზეთს ვინღა ჩიოდა, ქალი მარტინამ შეაშინა. გოგო დასაბმელი გიჟივით გახდა: ღმუოდა, გაბრაზებით ფეხებს აბარტყუნებდა, მუშტებს ურტყამდა მაგიდას, ბოლოს წაავლო ხელი ღვინიან ბოთლს და პატარებს ესროლა ისეთი ძალით, რომ ბოთლი ნამსხვრევებად იქცა. კიდევ კარგი, რომ ბავშვებმა მოასწრეს, გარეთ გაცვივდნენ და კარი მოიკეტეს, თორემ ერთ-ერთს სიკვდილი არ ასცდებოდა! მარტინა ბოლოს დაეგდო ლოგინზე, გაცოფებისა და სასოწარკვეთილებისგან ავზნიანივით აცახცახებული. მარიმ ჭიქით წყალი მიუტანა... მოულოდნელად მარტინა სრულიად მშვიდად წამოდგა, შეკრიბა ზეთში ამოსვრილი დაქუცმაცებული რვეულები და წიგნები, წვრილ ნახევებად აქცია და ანთებულ ღუმელში ჩაყარა.

მარტინამ საერთოდ დაგვიანება არ იცოდა, იმ დილით კი სკოლაში მაშინ მივიდა, როცა გაკვეთილი უკვე დაწყებული იყო. ბავშვები მიაჩერდნენ. მარტინა დაჯდა თავის მერხზე და წყნარად თქვა: „მე დავკარგე ჩემი ჩანთა წიგნებითა და

რვეულებით..." მკვდრის ფერი ედო. მასწავლებელმა მაშინვე გუმანი აიღო, იფიქრა, ქოხში რაღაც ამბავი დატრიალდაო, - მარისა და პიერ პენიესაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი - მან უბრალოდ თქვა: „კარგი, მე მჯერა, რომ შენ დამნაშავე არ ხარ.. ვეცდებით ახალი წიგნები და რვეულები გიშოვნოთ. განვაგრძოთ კარნახი... რას მისჩერებიხართ პირდაღებულები, არასდროს არაფერი არ დაგიკარგავთ? განვაგრძოთ..."

მარტინას გვერდით მჯდომმა სესილ დონზერმა, პარიკმახერი ქალის პატარა, ქერა გოგონამ, წასჩურჩულა: „ერთი ომამდელი რვეული მაქვს, რომ იცოდე, რა ლამაზია... მოდი ჩემთან გაკვეთილების შემდეგ." ასე დაიწყო მათი მეგობრობა, რომელიც მთელი სიცოცხლე გაგრძელდა.

## თანამედროვე კომფორტის ემბაზი

ქ-ნმა დონზერმა, პარიკმახერმა უცებ როდი დართო თავის ქალიშვილს მარი ვენენის ქალთან მეგობრობის ნება. მას მოეწონა ტყეში დაკარგული მარტინა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სრულიად პატარა გოგონა, ომამდე მასთან საპნის საყიდლად მოვიდა. ქ-ნმა დონზერმა აჩუქა მაშინ მარტინას იის სურნელოვანი საპონი, რაც პაწიამ აირჩია. მარტინას სამი სუ ამ საპნის საყიდლად არ კმაროდა, მაგრამ მარი ვენენის სახლში საპნის მიტანა ქ-ნმა დონზერმა ღვთისნიერ საქმედ მიიწია. სულ სხვა საქმეა უკვე გაზრდილი გოგონას სახლში შემოშვება... ქ-ნი დონზერი ღვთისმოსავი კათოლიკე და კეთილი გულის ქალი იყო და ბოლოს გადაწყვიტა, ჩემი მოვალეობაა დავეხმარო ამ ცოდვილი ქალის შვილსო, ასე უბედურსა და ნიჭიერ გოგოს, გავხადო იგი წესიერ ადამიანად,

მიუხედავად მისი აღმზრდელი გარემოსიო. თავისი ქალიშვილისათვის ქ-ნ დონზერს ეს მეგობრობა საშიშრად არ მიაჩნდა, რადგან სესილი არაჩვეულებრივად დამჯერი და გულახდილი გოგო იყო. იმ საღამოს, როდესაც ქ-ნმა დონზერმა მართლაც აჩუქა მარტინას სესილის მიერ დაპირებული საუცხოო ომამდელი რვეული, მან გოგონა ვახშმად დატოვა. მარტინა მაშინ თერთმეტი წლისა იყო.

სამმა წელმა განვლო მას შემდეგ და მარტინა პარიკმახერის სახლში ნაშვილებივით ჰყავდათ. შეუმჩნევლად მან ქ-ნ დონზერს დედა დონზერი დაუძახა და ეს სრულებით ბუნებრივი იყო...

მაგრამ ვიდრე ყოველივე ამას გიამბობთ, მარტინა ისევ ქ-ნ დონზერის საპარიკმახერო სალონის კართან დგას. დედამ დართო ნება შინიდან წასულიყო, მამამ არ მოგასწროსო. მარტინამ ფანჯარაში დააკაკუნა, პარიკმახერმა ქალმა გააღო ფანჯარა და უთხრა:

- შემოდი, შვილო...

როდესაც მარტინამ პირველად გადალახა ქ-ნ დონზერის ორსართულიანი სახლის ზღურბლი, მთელი დღე ენაჩავარდნილივით იყო. „ათას ერთი ღამის“ უმშვენიერესი ზღაპრული სასახლე და არაბეთის ყველა სურნელებათა თაიგული ვერავის ვერასდროს ვერ მოგვრიდა ისეთ ნეტარებას, რაც განიცადა მარტინამ შამპუნის, ლოსიონებისა და ოდეკოლონების სურნელებით გაჟღენთილ ამ პატარა სახლში. სესილი სულ უფრო და უფრო ხშირად პატიჟებდა მარტინას თავისთან და ღამითაც ტოვებდა. ამიტომ ქ-ნმა დონზერმა ერთი წესი შემოიღო: როგორც კი მარტინა მოვიდოდა, მას აბაზანა

უნდა მიეღო. ქ-ნ დონზერს ეშინოდა, რომ მარტინამ რაიმე სიბინძურე არ შემოიტანოს დედამისის ქოხიდანო, თუმცა სისუფთავის სიყვარული, შეიძლება ითქვას, ამ გოგონას დამახასიათებელი თვისება იყო... მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა, თორემ ღმერთმა ნუ ქნას, რომელიმე კლიენტმა საპარიკმახეროში მწერი აღმოაჩინოს! როდესაც მარტინამ პირველად დაინახა წყლით სავსე აბაზანა და სესილმა უთხრა, - შიგ ჩაჯექიო, - გოგონა ისეთმა მთრთოლვარე გრძნობამ შეიპყრო, თითქოს ამ წყალში უნდა მონათლულიყო... „თანამედროვე კომფორტი“ უეცრად წარუდგა მას მთელი თავისი სიდიადით წყალსადენის, კანალიზაციისა და ელექტროობის მეოხებით... მაინც სავსებით ვერ შეეჩვია ამას და ყოველთვის, როდესაც დედა დონზერი ეტყოდა: „აბაზანა მიიღეო...“ მარტინას ნეტარების მღელვარე გრძნობა ეუფლებოდა.

აი ახლაც, დედა დოზერმა უთხრა:

- სესილი აბაზანაშია. მერე შენი ჯერია. როგორც კი დაწვებით, ცაცხვის ყვავილის ჩაის ამოგიტანთ. დაჯექი, ფეხზე რად დგახარ?

მარტინა დინჯად ჩამოჯდა ქ-ნ დონზერის გვერდით სასადილოს მაგიდასთან. ქ-ნი დონზერი მოდების ჟურნალს ათვალიერებდა, ფაქიზად შლიდა ფურცლებს თავისი ფაფუკი, თეთრვარდისფერი, შამპუნიან წყალში დაბანისაგან ესოდენ გაკრიალებული ხელებით.

- შეხედე, - თქვა მან. - ლამაზი ფასონია... კოხტა ზედატანი და ქვედა კაბა... მოგიხდებოდა, - ქ-ნ დონზერმა: შეხედა მარტინას. - ეს კაბა უკვე აღარ გარგია, აღარც შეიძლება მისი ჩაცმა. ნეტავი ჩამოსაშვები თუ აქვს.

- გავრეცხე, დედა დონზერ, დამიმოკლდა...

- ის კი არა, შენ გაიზარდე, დასრულდი, შვილო...

გამოჩნდა სესილი, რბილ ვარდისფერ ხალათში გამოწყობილი. თვითონაც ნაზი და ვარდისფერი. გოგონასაც დედასავით ლურჯი თვალები ჰქონდა.

- მარტინა, აჩქარდი, მე ზევით, საწოლ ოთახში ვიქნები!..

თეთრი მინანქრიან საღებავით შეღებილი კედლები, ფილებით მოფენილი იატაკი, ტაბურეტი, გაკეთებული ლითონის მსუბუქი მრგვალი მილებისაგან... შეუძლებელია მარტინას ნეტარების გადმოცემა, როდესაც ის ჩაეშვა ცხელ, არომატულ მარილებისგან ოდნავ შეყვითლებულ, მოქარვისფრო წყალში... მკლავები, მხრები და ზურგი უთრთოდა ბედნიერებისგან... მარტინამ დაისაპნა წვრილი, გრძელი, მოხდენილი ფენები... კანი მოოქროსფერო ჰქონდა, მის ქვეშ თითქოს იგრძნობოდა უხვი, ჯანსაღი სისხლის დენა. მარტინა იმ მშვენიერ ასაკისა იყო, როდესაც მომავალი ქალის ნაკვთები უკვე მოხაზულია, თითქოს ესკიზიო და გინდა შესძახო შემოქმედს: „ხელს ნუ ახლებ, - თორემ გააფუჭებ!“ მაგრამ შემოქმედი განაგრძობს თავის საქმეს და, როგორც წესი. აფუჭებს მონახაზს. ერთ მხარეზე გადაამეტებს, მეორეზე დააკლებს, ჩონჩხის დეფორმირებასაც კი ახერხებს. სხეული კარგავს ესოდენ მიმზიდველ ხაზებს - ხან თავია დიდი, ხან კისერია მოკლე, მუხლებია კორძიანი, ხოლო მხრები ყურებამდეა აწურული. ზედმეტია ლაპარაკი სხეულის რბილ ნაწილებზე, რომლებიც კატასტროფულ ცვლილებებს განიცდიან. მეთხუთმეტე წელიწადში გადამდგარი მარტინა ჰყვაოდა და სიტურფით აღსავსე იყო: მრგვალი, მომხიბლავი პატარა მკერდი, წვრილი, მაგრამ მომრგვალებული მკლავები,

სურასავით ტანკენარი, ნარნარი ყელი... ყველაფერს ვერ მოსთვლი... მისი კეფა ზურგის, პირდაპირი გაგრძელება იყო, გეგონებოდათ, თავის დახრა გაუჭირდებაო. მარტინას ზევით აწეული ნიკაპი და უძრავი თავი იმ ქალებს მოგაგონებდათ, რომლებიც, წვეთის დაუღვრელად, თავით ატარებენ წყლით სავსე კოკას. მარტინა დადიოდა უკან გადაწეული მხრებით, ყელმოღერებული, გრძელ ფეხებს სიარულის დროს მაღლა სწევდა ისე, რომ ქვედა კაბა წელზე ეხვეოდა. თუ ეს მონახაზი, დამთავრებული სახით, მოლოდინს გაამართლებს, მარტინა მომავალში ნამდვილი მზეთუნახავი იქნება.

აბაზანის მინანქარი გლუვი იყო. ნაზი, ახლახან გახსნილი საპნის ნაჭერი სადაფისფრად აქაფდა... ტანსაბანი ღრუბელი ცისფერ-ვარდისფერია... ელექტრონათურა რძისფერი შუქით რბილად ანათებდა სააბაზანო ოთახის ყველა კუთხეს. მარტინა ყურადღებით ათვალიერებდა თავისი სხეულის თვითეულ ნაკეცს, საპნავდა, პემზითა და ჯაგრისით ხეხავდა, სადაც საჭირო იყო, მაკრატელიც მოიშველია. ქ-ნი დონზერი ქვევიდან უყვიროდა: „მარტინა, კანს ხომ გადაიყვლიფავ... გეყოფაო“. რადიატორზე თბილი სააბაზანო ხალათი ეკიდა. სესილის ვარდისფერი იყო, ხოლო მარტინასი ცისფერი. ქ-ნი დონზერი თეთრეულს დაუზოგავად ხმარობდა: როცა სარეცხი მანქანა გეგულება, რა მნიშვნელობა აქვს, ერთი პირსახოცით მეტი იქნება სარეცხში თუ ნაკლები... კოსმეტიკური საგნებიც ბლომად იყო სახლში; ფირმების წარმომადგენლები ნიმუშებად უტოვებდნენ ქ-ნ დონზერს დიდი რაოდენობით საპონსა და სუნამოს.

მარტინამ აიკრიფა შავი თმა, ჩამოვიდა კიბეზე და ბუხართან დივანზე მოკალათებულ სესილს მიუჯდა. სესილსაც კეფაზე

აეკრიფა თავისი ქერა, ახალშობილი ბავშვის თმასავით რბილი, ხასხასა კულულები. მეგობრები შეუჩერებლად საუბრობდნენ, არასდროს არ კინკლაობდნენ, არასდროს ჩრდილი არ მიჰყენებია მათ მეგობრობას...

უცებ მარტინა გაჩუმდა:

- დედა დონზერ, - თქვა მან პაუზის შემდეგ, - რა სულელი ვარ! სულ დამავიწყდა მეთქვა, თქვენი ღვთისმშობელი სასწაულთმოქმედია!

ქ-ნი დონზერი ცაცხვის ყვავილის ნახარშს ფინჯნებში ასხამდა.

- რა სისულელეებს როშავ, მარტინა, ეგეები არ მიყვარს...

- გეფიცებით, დედა დონზერ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ. ხატი შუქს მიმოფენს.

ქ-ნმა დონზერმა ფინჯნები ლანგარზე დასდო.

- ძილის დროა, ადით ზევით... -თქვა მან.

ზევით უკვე გაეშალათ ორი ერთნაირი ლოგინი, ნაქარგი ბალიშისპირებით - სესილს უყვარდა ქარგვა. ქ-ნმა დონზერმა გოგონებს პირობა ჩამოართვა, ნახევარ ღამეს, როგორც გჩვევიათ, საუბარში არ გაატარებთო. არა, ცაცხვის ყვავილის ჩაის დალევენ და მაშინვე დაიძინებენ.... ამჯერად ჩაიც კი არ დაულევიათ, ისე ჩააქრეს სინათლე.

- აი, ხედავ? ხედავ?! - ჩურჩულებდა მარტინა.

სესილმა დაინახა: ღამის მაგიდაზე მდგომი ღვთისმშობელი, ისეთივე, როგორიც მარტინას ჰქონდა, სინათლეს გამოსცემდა.

- რა ვქნათ ახლა? - აღელვებით იკითხა სესილმა. დედას დავუძახოთ?!

ის ფეხშიშველა გაიქცა კარისაკენ.

- დედა! - დაიყვირა სესილმა. - მოდი, შეხედე!

ქ-ნი დონზერი ამოვიდა კიბეზე, სამივენი შევიდნენ ჩაბნელებულ ოთახში. სესილის ღამის მაგიდაზე რაღაც ციმციმებდა.

- აბა, რა ეშმაკის მანქანებაა აქა, იკითხა ქ-ნმა დონზერმა, - რას კანკალებთ სულელებივით, აბა, შუქი აანთე!

ელექტროშუქზე ციმციმი ჩაქრა. ღვთისმშობლის ქანდაკება ისეთივე გახდა, როგორიც იყო: ვარდისფერი და ნაზი ცისფერი.

- ეს ფოსფორისცირებული საღებავებია, - თქვა ქ-ნმა დონზერმა, -რას არ გამოიგონებენ ჩვენს დროში! თქვენისთანა ბრიყვებს კი იშვიათად თუ შეხვდები სადმე! მე მოვმართავ „ავე მარიას“, დაწექით და დაიძინეთ.

მან სინათლე გამორთო და კარი მიხურა. შუქმფინარე ქანდაკება გალობდა წვრილი ანგელოზური ხმით. მარტინა და სესილი სმენად იყვნენ გადაქცეული და თან თვალს ვერ აშორებდნენ მოციმციმე ღვთისმშობელს.

- მე არ მიყვარს ციცინათელების ცქერა ახლოდან, - თქვა მარტინამ, - მიყვარს, როცა ისინი ბალახში მომწვანოდ ანათებენ. მოგწონს სიტყვა „ფოსფორისცირებული“? იცი, რას ნიშნავს?

- არაფერსაც არ ნიშნავს. - მიუგო სესილმა. - ციცინათელაც... არ იცი, რატომ ანათებს...

- ფოსფორისცირებული ღვთისმშობელი... ფოს-ფო-რისცი-რე-ბუ-ლი... სასწაულთმოქმედი..

ერთხანს იმეორებდნენ: ფოს-ფო-რის-ცი-რე-ბუ-ლი სასწა-ულთ-მოქ-მე-დი... შემდეგ ისევ დანიელზე დაიწყეს ლაპარაკი. მარტინაზე ერთი წლით უფროს სესილს ჯერ ცხოვრებაში არავითარი დანიელი არ გასჩენოდა, სამაგიეროდ იგი მეგობრულად

იზიარებდა მარტინას ყველა გრძნობას. დანიელი ამჟამად თავის მამასთან ცხოვრობდა და საკონკურსო გამოცდებისთვის ემზადებოდა, რათა ვერსალის მებაღეობის უმაღლეს სკოლაში შესულიყო. იქ სიმწიფის მოწმობის გარეშე იღებდნენ, მაგრამ საკონკურსო გამოცდები კიდევ უფრო ძნელი იყო, ვიდრე გამოცდები სიმწიფის ატესტატზე: ითხოვდნენ სპეციალურ ცოდნას, რომელსაც არც ერთი ლიცეუმი არ იძლეოდა. საბრალო დანიელი, ის იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც ომს შეეწირა... ომი რომ არ ყოფილიყო, ლიცეუმში ივლიდა... მას წილად ხვდა განეცადა ომის მთელი სიმძიმე. დანიელი სიმართლისთვის იბრძოდა, ხოლო ახლა პირადი კარიერის მხრით ასეთ არახელსაყრელ პირობებში უხდებოდა ცხოვრების დაწყება. მარტინამ სიტყვა-სიტყვით გაიმეორა მთელი ეს მსჯელობა, რომელიც მან კაფეში გაიგონა ბუფეტის დახლის წინ მოსაუბრე მინდვრის დარაჯისაგან. დედამ ასანთის საყიდლად გაგზავნა და როცა მარტინამ ყური მოჰკრა, რომ დანიელზე ლაპარაკობდნენ, შეგვიანდა და იქვე აიტუზა მანამდე, ვიდრე იმ საზიზღარმა მოლარემ მარი-როზმა არ უთხრა: „რაო, ღამეც აქ დარჩენას აპირებ“ ?

მეგობრებმა გამართეს სჯა-ბაასი, რაღა მოიყვანსო დანიელს ჩვენს სოფელში ახლა, როცა ბიძამისი ცოცხალი აღარ არის, ხოლო ბიძაშვილები, - არა მარტო უფროსი, არამედ ორი მომდევნოც - მამამისის ვარდების პლანტაციაზე მუშაობენ. შესაძლოა, დანიელი ზაფხულში ჩამოვიდეს ტბაზე საბანაოდ? ახლა ისევ დაიწყება ბანაობის სეზონი, გერმანელები ხომ უკვე აღარ არიან?.. მარტინა და მასთან ერთად სესილიც დიდ იმედებს ამყარებდნენ საბანაო სეზონზე. უწინ ყრუ ჭორები

დადიოდა, თითქოს დანიელი ცხოვრობს იმ საძაგელ კატრინთან, ფერმერის ცოლთან, მაგრამ იმის შემდეგ, რაც კატრინი ყველა გერმანელს ჰყავდა საყვარლად, განა ეს შესაძლებელია?.. არა, დანიელი ახლა ფერმერის ცოლს ახლოსაც არ გაეკარება... თუკი ეგრეა, მაშინ რა მოიყვანს დანიელს სოფელში? მხოლოდ ტბაზე ბანაობის სურვილი... მაშასადამე, უნდა დავუცადოთ ზაფხულს, ან გაზაფხულს მაინც. და ასე მასლაათობდნენ ისინი..

## გაცისკროვნება

მარტინამ სკოლა დაამთავრა. მასწავლებელი არწმუნებდა. სწავლა განაგრძეო: თუ დამატებით კურსს გაივლი და პირველი ხარისხის დიპლომს მიიღებ, მეტი წარმატება გექნება ცხოვრებაშიო... მაგრამ მარტინას ამის გაგონებაც არ უნდოდა: რაკი დედა დონზერი თანახმაა შეგირდად აიყვანოს, მარტინა მას მიებარება და საპარიკმახეროო ხელობას შეისწავლის.

როცა მარტინა რაიმეს დაიჩემებდა... ვერავინ დაუშლიდა. რაკი სკოლა დაამთავრა, საპარიკმახეროში იმუშავებს დედაც იძულებული იქნება დასთანხმდეს, რადგან ყველაფერი წესისამებრ ხდება. ქ-ნი დონზერი პირადად ეწვია მარის და გამოთქვა სურვილი, მარტინა შეგირდად აეყვანა: ჯერჯერობით მზამზარეულზე იცხოვრებს, უზრუნველყოფილი იქნება ბინით, კვებითა და ჩაცმა-დახურვით, მერე კი ვნახოთ, ყველაფერი მარტინას უნარზეა დამოკიდებული... კვირაობით შეუძლია მოინახულოს თავისი ოჯახი. ქ-ნი დონზერი მაგიდასთან იჯდა მარის ქოხში და ცდილობდა გადაეყლაპა საგანგებოდ მისთვის მომზადებული ყავა. მარის უფროსი ქალიშვილი ფრანსინა ის-ის

იყო დაბრუნდა სანატორიუმიდან. მისი ფერმკრთალი სახის, ჩავარდნილი მკერდისა და მოხუცივით დანაოჭებული პირის კანის შემხედვარე ძალაუნებურად იკითხავდა: რატომ არ გაუგრძელეს ფრანსინას სანატორიუმში მკურნალობის ვადა? მას ხელში ეკავა ყველაზე უმცროსი ძმა, რომელსაც ჯერ ფეხი არ აედგა. დანარჩენი ოთხნი, წარმოუდგენელ ძონძებში გახვეულები - ვერც კი მიხვდები, რა ტანსაცმელი იყო ეს პირველად - დიდი ცნობისმოყვარეობით შორიდან ათვალიერებდნენ ქ-ნ დონზერს. ისეთი ბინძურები იყვნენ, რომ ენით არ აიწერება, მაგრამ როდი ფიქრობდნენ, უბედურები ვართო. მათ შემხედვარეს უსათუოდ გაეღიმებოდა, - ისე სასაცილოები იყვნენ, ნამდვილ თავკომბალებს ჰგავდნენ. ქ-ნ დონზერს არაფერი ენახა მარის ქოხის მსგავსი; ნაგვის ყუთიც კი, მასთან შედარებით, აყვავებული ბაღი გეგონებოდათ. საბრალო მარტინა! ახლა ის კიდევ უფრო ძვირფასი გახდა ქ-ნ დონზერისათვის. ეზოს არ იკითხავთ? საქონლის ბაკს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე ეზოს. მარიმ და ბალღებმა ჭიშკრამდე მიაცილეს ქ-ნი დონზერი. ეს ჭიშკარი, რა ხანია, არ იკეტებოდა: ის მთლად მიწაში, ნაგავში ჩაფლულიყო და ბალახით დაფარულიყო. „დაემშვიდობე ქალბატონს“, - უთხრა ფრანსინამ პატარას, რომელიც ძლივს იდგა ფეხზე, უფროსი დის კაბაში ხელჩაჭიდებული და უცებ, როცა მოინდომა დაექნია ქ-ნ დონზერისთვის ფუნჩულა ხელი, ეზოს მტვერში ზღართანი მოადინა. აბურძგვნილი ძაღლი მხიარულად მიძუნძულდა ბავშვთან, გაულოკა სახე და პატარაც მის თავს ჩაეჭიდა... ქ-ნი დონზერი მთლად შეძრწუნდა.

- ჩვენ შევთანხმდით, - უთხრა მან მარტინას, - დედაშენი

თანახმაა, რომ შეგირდად აგიყვანო. შეგიძლია კვირაობით ინანულო შენიანები. - და ქ-ნი დონზერი ავიდა საწოლ ოთანში ტანისამოსის გამოსაცვლელად.

ასე გადავიდა მარტინა ერთ სამყაროდან მეორეში. ამიერიდან ის გახდა განუყოფელი ნაწილი დონზერების სახლისა - მინანქრიანი საღებავით, ლინოლეუმით, მუხის ნათელი ფერის კედლებით, საპნისა ლოსიონის სურნელებით შემკული სახლისა.

პარიკმახერი ქალი ქვრივი იყო. მისი ქმრის გადიდებულ ფოტოსურათს საპატიო ადგილი ეჭირა ბუხრის ზემოთ. ბ-ნი დონზერი, ამ მიდამოების მკვიდრი, ხელობით დურგალი იყო და კარგი შემოსავალიც ჰქონდა. პარიზელ ქალს. ქ-ნ დონზერს პირველად გაუჭირდა სოფელში ცხოვრება, მაგრამ სესილი გაუჩნდა და ისიც მიეჩვია ამ განმარტოებულ, მშვიდ ყოფას. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქ-ნმა დონბერმა გაყიდა მისი სადურგლო სახელოსნო, განაახლა თავისი „საპარიკმახერო სალონი“, გამოიწერა პარიზიდან უახლესი კონსტრუქციის აპარატი თმის პერმანენტულად დახვევისათვის, ისეთი სრულყოფილი, რომ აქ დასასვენებლად ჩამოსული პარიზელი ქალები და თვით ქალაქ რ-სა და ციხედარბაზის მანდილოსნები ქ-ნ დონზერთან იხვევდნენ თმას. საზაფხულო არდადეგების დროს საპარიკმახეროში განუწყვეტლად მოდიოდნენ კლიენტები და მარტინას დახმარება ზედმეტი როდი იყო. პირველსავე ზაფხულს მარტინა, ხელი გავიწაფოო, თავს ბანდა შამპუნით ქ-ნ დონზერსა და სესილს, შეისწავლა კიდეც ეს მეცნიერება, მაგრამ ქ-ნი დონზერი ჯერ, კიდევ ვერ ბედავდა შეემოწმებინა მარტინას ცოდნა კლიენტებზე. უნდოდა, რომ მარტინა სალონს, კლიენტებს შეჩვეოდა. ამიტომ ავალებდა გამოეგავა იატაკი, გაესუფთავებინა და გაეფერა ნიკელი

და მინანქარი. ამ საქმიანობაში მარტინას ბადალი არ ჰყავდა. უნდა გენახათ, როგორ ბრწყინავდა დაელვარებდა მისი გასუფთავებული ნივთები! ჩუმი, თავაზიანი მარტინა მუდამ უღიმოდა კლიენტ ქალებს. გოგონას თეთრი ხალათი ეცვა, რომელიც კიდევ უფრო თეთრი ჩანდა ოქროს ფერი, მზედაკრული პირისკანისა და კეფაზე კოხტა კვანძად აკრეფილი, ბზინვარე შავი თმის გამო. დიდი ქალივით თმადავარცხნილი, თხუთმეტი წლის მარტინა სწორედ მომხიბვლელი გახლდათ, უზადოდ სუფთა და ფაქიზი იყო. ქ-ნ დონზერს კეთილი საქმის გაკეთება უნდოდა და აკი თავის თავსაც სარგებლობა მოუტანა. სახლში სესილი დიასახლისობდა, სადილს ის ამზადებდა, რადგან საპარიკმახერო საქმე არ უყვარდა. სესილი ქალაქ რ-ში გადიოდა სწავლების დამატებით კურსს, რაც აუცილებელი იყო პარიზში მანქანაზე ბეჭდვისა და სტენოგრაფიის კურსებზე ჩასარიცხად. ქ-ნ დონზერის საქმეს კარგი პირი უჩანდა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა. კიდევ ერთი პირსაბანი დადგა და კიდევ ერთი აპარატი შეიძინა თმის გასაშრობად. მალე ქ-ნმა დონზერმა მიანდო მარტინას არა მარტო თმის შეკრეჭა, თვით პერმანენტის გაკეთებაც კი. მარტინა მშვენივრად ართმევდა თავს საქმეს.

თვეში ერთხელ ქ-ნი დონზერი პარიზს მიემგზავრებოდა, ხანდახან ღამითაც იქ რჩებოდა, თავის ბიძაშვილთან. პარიზში ჩასვლა საჭირო იყო საპარიკმახეროს მოწყობილობის გადასახალისებლად, თავისთვის და ქალიშვილებისთვის საჭირო ნივთების შესაძენად. სწორედ ასე ამბობდა და ფიქრობდა კიდეც, ,,ქალიშვილები“ მრავლობით რიცხვში,

გოგონებს ერთი მეორისგან არ არჩევდა, ხშირად სესილსა და მარტინას სრულიად ერთნაირად აცმევდა და მას ერთნაირ აღტაცებას ჰგვრიდა მარტინა და თავისი ქერა სესილი. სესილი ერთობ წააგავდა დედას, მხოლოდ ძალიან ტანწერწეტა, კაფანდარა იყო, ამ ხნისა ქ-ნი დონზერიც ასეთი გახლდათ, მხოლოდ ახლა გასუქდა, ჩამრგვალდა, რადგან გემრიელსა და ნუგბარ საჭმელს ეტანებოდა. დედაცა და ქალიშვილიც დაოსტატებული მზარეულები იყვნენ. ქ-ნ დონზერის პატარა და მოკლე ცხვირი ფუნჩულა წითელ ლოყებს შორის ჰქონდა ჩაკარგული, ამიტომაც ცხვირზე სათვალე არ უჩერდებოდა. სესილი, რა თქმა უნდა, სათვალეს არ ატარებდა. დედამისივით სელის ყვავილივით ლურჯი თვალები ჰქონდა და ძალიან ქერა, მოვერცხლისფრო თმა. ყველა მონაცემი ადასტურებდა, რომ ოცდაათი წლის შემდეგ სესილი მთლად თავის დედას დაემსგავსებოდა და ასეთი პერსპექტივა არც თუ ისე ცუდი იყო, მაგრამ მომავალს არაფერი ჰქონდა საერთო ტანწვრილ, უმანკო ოფელიას ახლანდელ რომანტიკულ გარეგნობასთან.

ოკუპაციის წლები უკვე დავიწყებას მიეცა. ყველა ისე მიეჩვია გათავისუფლებას, რომ ეს ბედნიერება ჩვეულებრივ ამბად იქცა, აღარც კი იგრძნობოდა. მოისპო სასურსათო ბარათები, გაჩნდა ბენზინი... დანარჩენი კი უფრო ძნელი გასაგები შეიქნა, ვიდრე „უცნაური ომის“ დროს. მართლაც, რაღაც უჩვეულო სამყარო წარმოიქმნა, შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ გერმანელებმა მოიგეს ომი და არა ფრანგებმა... ისინი, ვინც ოკუპანტებთან თანამშრომლობდა, გათავხედდნენ და გაკადნიერდნენ. ყოველ ნაბიჯზე მოულოდნელი ამბები ხდებოდა. ტყვეობიდან დაბრუნებულები აღშფოთდნენ, როცა გაიგეს, რომ ეტლების

მკეთებელ ხელოსანს მთელი მუშტრები რ-ში მცხოვრებმა ერთმა კაცმა წაართვა, ხოლო ეს კაცი ომის წლებში კოლაბორაციონალისტი იყო. აფთიაქის გამგემ ვერაფრით ვერ მოიცილა თავისი მოადგილე, რომელიც აგრეთვე გერმანელებთან თანამშრომლობდა. ბევრი მწარედ განიცდიდა ყოველივე ამას... ქ-ნმა დონზერმა და მისმა გოგონებმა სხვებს აუბეს მხარი: ბუზღუნებდნენ და ილანძღებოდნენ. მაგრამ საერთო გულგატეხილობა მათთვის იმავეს ნიშნავდა, რასაც ნიშნავდა წვიმა ულტობი წამოსასხამით დაცული ადამიანისთვის.

სესილს გაუჩნდა ახალგაზრდა თაყვანისმცემელი, რომელიც აგრეთვე რ-ში მუშაობდა. ისინი ყოველდღე ერთად მიემგზავრებოდნენ ავტობუსით, ანდა ფეხით მიდიოდნენ. ქ-ნი დონზერის აზრით, ქორწინებისათვის ორთავენი მეტად ახალგაზრდები იყვნენ, და ეს მართლაც ასე იყო. თუმცა თვრამეტი წლის სასიძო ქარგლად მუშაობდა ქვის ოსტატთან, მაინც შეძლებულ ოჯახს ეკუთვნოდა: მამამისი მოიჯარადრე იყო. ყმაწვილიც ერთ დროს მოიჯარადრე გახდებოდა, მაგრამ ჯერ მას ხელობა უნდა შეესწავლა: თუ გინდა, რომ სხვების შრომა გამოიყენო, შენ თვითონ უნდა იცოდე ეს სამუშაო. სესილს ნება დართეს შეხვედროდა პოლს.

მარტინას არ ჰყავდა მოტრფიალეები, ის სულ დანიელზე ფიქრობდა, ელოდა მასთან შეხვედრას და ქუჩაში რომ გამოდიოდა, იქით-აქეთ აცეცებდა თვალებს დანიელი სადმე ხომ არა ჩანსო? საბანაო სეზონამდე დაცდა არც კი დასჭირვებია. დანიელმა სოფელში სიარული დაიწყო, ექიმ ფუონელთან დადიოდა სამკურნალოდ. როცა თვრამეტი წლის ჭაბუკს

სიკვდილს მიუსჯიან, ეს, უდავოდ, იმოქმედებს მის ჯანმრთელობაზე! დანიელი კვირაში ორჯერ ჩამოდიოდა ფერმიდან ექიმთან ნემსის გასაკეთებლად და მუდამ ხვდებოდა სოფლის თავთან გზის პირას ბოძკინტზე ჩამომჯდარ მარტინას. დიდი გულთმისნობა არ სჭირდებოდა იმის გაგებას, თუ რატომ იჯდა იქ მარტინა... და მაინც, როცა დანიელი თავისი ველოსიპედით მარტინას ჩაუვლიდა, გაუღიმებდა, მაგრამ გამარჯობას არ ეტყოდა. დანიელის სოფლიდან წასვლა გამორჩებოდა ხოლმე მარტინას: ან ექიმი სადილად იტოვებდა, ანდა დანიელი პარიზისაკენ გაუტევდა.... ველოსიპედზე მჯდარი დანიელის შემხედვარე ვერ იფიქრებდა, რომ მას ნემსების გაკეთება სჭირდება! რა თქმა უნდა, დანიელი გამოიცვალა, დავაჟკაცდა, მაგრამ ისეთივე მკვრივი იყო, როგორც ბავშვობაში, ისეთივე მრგვალთავა. შემოკვერცხილი თმით... სახის ნაკვთები გაუმახვილდა, მაგრამ უწინდებურად იფიქრებდით, ყმაწვილი სიცილს ძლივს იკავებს და ამიტომ ნესტოები უთრთისო; ხოლო ლოყები, რომლებმაც დაკარგეს ბავშვური სიმრგვალე, უკვე აღარ ებერებოდა. დანიელი ისეთივე სუფთა, პეწენიკი და საიმედო იყო, როგორც მისი ახალთახალი მოტოციკლი - ახლა დანიელს მოტოციკლი ჰქონდა. ზაფხულობით ის მოკლე შარვალს იცვამდა, ზამთრობით კი ტყავის კოსტიუმსა და ჩექმებს... მარტინას შორიდან ესმოდა დანიელის მოახლოება, შიში და აღფრთოვანება ერთდროულად ეუფლებოდა მას.

ზაფხულობით სესილის საქმროს ბევრი სამუშაო ჰქონდა, ხან ერთ მშენებლობაზე და ხან მეორეზე, ამიტომ ტბაზე საბანაოდ გოგონები მარტონი დადიოდნენ, უბიჭებოდ... რა თქმა უნდა, ტბაზე ხვდებოდნენ სოფლის ჭაბუკებს, მაგრამ ყველამ იცოდა,

ესენი სერიოზული ქალიშვილები არიანო და პატივისცემით ეპყრობოდნენ. ზოგჯერ ყველანი ერთად ხუმრობდნენ, იცინოდნენ. აბა, ეს რა საუგოა?

საბანაო ადგილი მდებარეობდა ქალაქ როსა და სოფელს შორის: ეს საკმაოდ დიდი, მოგრძო, ტყეში დატანებული ტბა იყო, ერთი ნაპირით მწვანე ველს ესაზღვრებოდა. რ-ს მუნიციპალიტეტმა აქ მობანავეთათვის კაბინები მოაწყო ისე, რომ პწკალები, ფეხდასადგმელი ფიცრები სხვადასხვა სიმაღლის იყო და, ამგვარად, ბავშვებსაც შეეძლოთ ბანაობა. რაც შეეხება მოზრდილებს, ისინი თავისუფლად დაცურავდნენ თითქმის მთელ ტბაზე. იმ მხარეზე, სადაც ბანაობა საშიში და, ამიტომაც, აკრძალული იყო, წყალზე ნავები ირხეოდნენ, ხოლო შიგ უძრავად ისხდნენ თევზის ჭერის მოყვარულები ანკესით ხელში. არდადეგების დროს და კვირაობით ტბაზე და მის მიდამოებში აუარება ხალხი ირეოდა... ავტომანქანების, კარვებისა და ბალახზე მოსაუზმე ხალხის ტევა არ იყო, მათი ძაღლები თავისუფლად დაცუნცულობდნენ გაშლილ ადგილას...

რ-ში ღია ჰაერზე მოწყობილი იყო დანსინგი, სადაც საცეკვაო საღამოები ეწყობოდა, მაგრამ ქ-ნი დონზერი გოგონებს იქ მარტო არ უშვებდა. თუ ეცალა, თვითონ წაყვებოდა თუ არა და გააყოლებდა აფთიაქარის ცოლს, წესიერსა და დინჯ ქალს. საცეკვაო საღამოებს მეტად ჭრელი საზოგადოება ესწრებოდა. წელიწადში ერთხელ. ადგილობრივი დღესასწაულის - წმინდა კლარისას - დღეს აქ დიდი ზეიმი იმართებოდა. რ-ს

საინიციატივო კომიტეტმა[2] განაახლა ოკუპაციის წლებში მივიწყებული ტრადიცია: ქალაქის მოედანზე იშლებოდა კარვები, კარვები, იმართებოდა საცეკვაო საღამო და ეწყობოდა საზეიმო სვლა ჩირაღდნებით. ახალი ჩვეულებებიც შემოიღეს: პროჟექტორებით ანათებდნენ ფართო ეზოს სიღრმეში აღმართულ ისტორიულ ციხე-დარბაზს. ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალში ამ ციხე-დარბაზზე თვალი ისე ჰქონდა ყველას მიჩვეული, რომ მას ვერც კი ამჩნევდნენ. ახლა, ერთი ღამით საზეიმოდ გადასხვაფერებული ციხე-დარბაზი ბაღის რკინის მოაჯირის იქით ისე მოჩანდა, როგორც საზეიმო და მიუწვდომელი სანახაობა. მკაფიოდ ჩანდა ეზოს ფილები, ღრმა ჩრდილები ამრგვალებდნენ ქონგურებს, ხოლო იქ, ეზოს სიღრმეში აღმართულიყო თვალისმომჭრელად განათებული ქვით მოპირკეთებული აგურის ფასადი, სვეტების ორმაგი წყებითა და ცენტრალური ფრონტონით... ადგილობრივი მცხოვრებნი, პარიზელი დამსვენებლები, ტურისტები მოაჯირზე მიკრულები თვალს ვერ აშორებდნენ ამ გაცისკროვნებულ ზმანებას... შემდეგ მათ ყურადღებას იზიდავდა ტირი, საცეკვაო საღამო, ლოტორეა.

საინიციატივო კომიტეტმა 1946 წლის ზაფხულიდან შემოიღო კიდევ მეორე ახალი ჩვეულება: ეს იყო საცეკვაო საღამოზე არდადეგების დედოფლის არჩევა. ჟიური აქ დამსწრე პირებისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: ციხე-დარბაზის მფლობელი ქალი (არა იმ ისტორიულისა, რომელზედაც მოგახსენეთ, არამედ მეორე, ნაკლებად ისტორიულის), კინოვარსკვლავი, რომელმაც ფერმა

---

[2] *ასე ეწოდება საფრანგეთში ადგილობრივი რესურსების გამომავლენებელ ორგანიზაციას.*

იყიდა რ-ს მახლობლად, რ-ს მუნიციპალური საბჭოს წევრი, ამ დეპარტამენტის ერთ-ერთი იმ დეპუტატთაგანი, თავისი პოპულარობის გაძლიერების მოსურნე. მაგრამ ამჯერად არსად დედოფლობის კანდიდატი. რ-სა და მისი მიდამოების სცხვენოდათ ესტრადაზე ასვლა, სადაც ორკესტრი უკრავდა, და სინდიკატის წევრები დამსწრე საზოგადოებაში ეძებდნენ მათ... ქალიშვილები ჯიუტობდნენ, არ უნდოდათ გამოსვლა. მარტინა ძალით გამოათრიეს და ისიც, სხვებთან ერთად, წარუდგა ჟიურის მომღიმარ წევრებსა და საზოგადოებას. საზოგადოება სიცილით, სტვენითა და აპლოდისმენტებით ხვდებოდა ესტრადაზე გამოჩენილ ყოველ ახალ კანდიდატს... იქ ათამდე ქალიშვილი შეიკრიბა, ისინი ერთმანეთს ეკროდნენ. შეშინებულ ფარასავით იდგნენ სცენის კუთხეში, არ იცოდნენ, სად დამალულიყვნენ. ორკესტრის დაფდაფებისა და წინწილებისგან ყურთა სმენა აღარ იყო. ყოველი გოგონა ძალაუნებურად უნდა გამოსულიყო და რამდენიმე ნაბიჯი გადაედგა სცენაზე. მიკროფონთან მდგომი დიქტორი ახსნა-განმარტებას იძლეოდა; მისი ლაპარაკი თავმორღვეული გორგალივით ერთი წუთითაც არ წყდებოდა... მაყურებლები აღტაცებული იყვნენ ამ წამოწყებით და თავშეუკავებელ მხიარულებას მისცემოდნენ, ხოლო დარბაზის სიღრმეში მყოფი ვაჟების ყიჟინა დაფდაფებისა და წინწილების ხმასაც კი აჭარბებდა, როცა ესტრადაზე გამოჩნდებოდა მათთვის ბავშვობიდანვე ნაცნობი ქალიშვილი, ისევე უჩვეულო და გაცისკროვნებული რამპის შუქით, როგორც პროჟექტორებით განათებული ციხე-დარბაზი.

მარტინამ ყველას აჯობა და დედოფლად ის აირჩიეს...

დაპლისული კაბა ფეხების ირგვლივ შემოხვეოდა, რადგან სიარულის დროს ფეხებს მაღლა სწევდა, ხოლო ტანის ზემო ნაწილი ისე უძრავად ეჭირა, თითქოს პირთამდე სავსე კოკა მოაქვსო. კოსმეტიკით შეუფერადებელი მარტინას სახის ნაკვთები შორიდანაც მკაფიოდ ჩანდა - წარბებისა და ტუჩების ჰორიზონტალური ხაზი, სწორი შუბლისა და ცხვირის ვერტიკალური ხაზი. სწორად გადავარცხნილი თმის ტალღა კისერზე ეშვებოდა. მარტინამ თმა შეიჭრა, მიუხედავად ქ-ნი დოზერის პროტესტისა... აღელვებული და გულაჩუყებული ქ-ნი დონზერი და სესილი თვალს არ აშორებდნენ მარტინას. სესილი არც ეჭვიანი იყო და არც შურიანი, მაგრამ მარტინამ მაინც შვებით ამოისუნთქა, როდესაც სესილმა და პოლმა შეჯიბრებაში მონაწილე თხუთმეტი წყვილისაგან, პირველი პრემია მიიღეს „სლოუს“ შესრულებისათვის. მაგრამ ამ დაუვიწყარი საღამოს გვირგვინი იყო შეხვედრა...

ეს მოხდა წამოსვლის წინ, ძალიან გვიან... მარტინა მარტოდმარტო იდგა მოაჯირთან და გაცისკროვნებულ ციხე-დარბაზს შესცქეროდა. იგი აფთიაქარს ელოდა, რომელსაც ისინი სოფელში უნდა წაეყვანა. აფთიაქარმა ვერაფრით ვერ მოძებნა თავისი მანქანა, ხოლო მისი ცოლი და ქ-ნი დონზერი ბაღში გრძელ სკამზე ისხდნენ; თვითონ რომ ეცეკვათ ამ მანდილოსნებს, ისე არ დაიღლებოდნენ, როგორც დაქანცა ისინი მოცეკვავე ქალიშვილების ცქერამ. სესილიც სადღაც განმარტოვდა თავის მოტრფიალესთან ერთად... ეს სწორედ იმ წუთში მოხდა, როცა ჩაქრა პროჟექტორების შუქი. დანიელი უეცრად გამოეყო სიბნელეს და მარტინას მიუახლოვდა... როგორც ყოველთვის, თავისი მოტოციკლეტი მოჰყავდა და, როგორც ყოველთვის, იღიმებოდა. უძირო

ხავერდოვანი ღამის ზეცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი...

- მარტინა, - სულ ჩუმად თქვა დანიელმა, ნეტავ დამკარგა შენთან ერთად ტყეში...

- მარტინა! - გაისმა ხმები. - მარტინა! სადა ხარ? გელოდებით!

დანიელი მოაჯდა თავის მოტოციკლს, ხელი ასწია გამომშვიდობების ნიშნად. მოტოციკლი აგრიალდა ზევსის ეტლივით, მოწყდა ადგილს და გაუჩინარდა.

## ახალგაზრდების ოინები

პარიზელების მიერ გადაკეთებული სოფლის სახლები, მაღლობზე მდებარე ტურისტული ბაზა... პარიზელი ქალი ქ-ნი დონზერი ამტკიცებდა, ზაფხულობით ჩვენი სოფელი ცხოვრების ყაიდით სულ უფრო და უფრო სენ-ჟერმენ-დეპრეს ემსგავსებაო[3]. ცხადია, ეს მტკიცება არაფერს ეუბნებოდა მარტინასა და სესილს. სამაგიეროდ, გოგონებს არ სჭირდებოდათ ქ-ნ დონზერის ახსნა-განმარტება, ისედაც ხედავდნენ, რომ პარიზელი ბიჭები ძალიან ცუდად არიან აღზრდილნი: ყოყოჩობენ, უწმაწური ლაპარაკი სჩვევიათ, ღრიალებენ და ქერი შვრიისაგან ვერ გაურჩევიათ. თუკი პარიზელები ასეთები არიან, მათთან შედარებით სოფლის ჭაბუკები შინაურ მოთვინიერებულ ცხოველებს მოგაგონებენ. ახლა, ქალაქელი ქალიშვილები იკითხეთ. - რას ჰგვანან!

---

[3] *პარიზში, სენ-ჟერმენ-დე-პრეს ეკლესიის მახლობლად მდებარე კაფეები და ღამის რესტორნები საყვარელი შესაკრები ადგილებია სალიტერატურო-მხატვრული ბოჰემისა და უცხოელთათვის.*

ნახევრად შიშვლები, თმაგაწეწილები, ფეხჩაუცმელები, უსუფთაოები, თუმცა მზემოკიდებულ სხეულზე ლიფისა, და საცურაო საცვლის გარდა არაფერი აცვიათ! მაგრამ განა საკმარისი საკმარისი არაა გასრესილი ყელსახვევი კისერზე, რომ დაუდევარი დაუდევარი ადამიანის შთაბეჭდილება შევქმნათ! „მართალი რომ რომ ვთქვათ, ახლანდელი თაობა - მშობლების ჭირადაა გაჩენილი“, - ეუბნებოდა ქ-ნი დონზერი თავის მეგობარს, აფთიაქარის ცოლს, ხოლო ის პასუხობდა, კაცმა რომ თქვას, ეს თაობა იმდენსავე დავიდარაბას შეამთხვევს თავის მშობლებს, როგორსაც ყოველი სხვა თაობა. თანაც ყველა ბავშვი ხომ ერთნაირი არაა?! და თუ ისინი ტიტლიკანები დასეირნობენ, ეს მედიცინის წინსვლის შეშედეგია. - შეხედეთ, როგორი ჯანსაღები, ახოვანები და ბრგეები არიან!... ეს ხილის წვენები, ეს ვიტამინებიო...

- ვიტამინების გადასაყლაპავად გაშიშვლება როდია საჭირო! - უპასუხებდა ქ-ნი დონზერი.

- არა, მაგრამ როცა სხეული შიშველია, ვიტამინების ათვისება უკეთესია.

- შეიძლება ისიც თქვა, სესილი და მარტინა სუსტი გოგოებიაო. შენი აფთიაქი ჩემით არ გამდიდრდება და არც მწყინს ესა!

- ჩვენს ბებიასავით ლაპარაკობ: როცა ბებიამ დაინახა, რომ შენი გოგოები მზეზე უქუდოდ დასეირნობენ, კინაღამ დამბლა დაეცა! ახლა ბუნებას უნდა მივცეთ გასაქანი. ერთ მშვენიერ დღეს სესილმა ან მარტინამ ბავშვი რომ გაგიჩინონ, არც უნდა გაგიკვირდეს. კარგი, ნუ ბრაზობ! ხომ იცი, რომ აფთიაქარის ცოლი ვარ და ცხოვრებას უბრალოდ. მარტივად ვუყურებ..

მარტინა და სესილი გარეთ თითქმის სულ არ გამოდიოდნენ, იმდენი სამუშაო იყო საპარიკმახეროშიაც და სახლშიაც. მხოლოდ

კვირაობთ, საღამოს ექვსი საათის შემდეგ, როცა აგრილდებოდა, ტბაზე საბანაოდ მიდიოდნენ. მარტინას სჯეროდა, რომ იქ დანიელს შეხვდებოდა. უკვე ორი წელი ის მოგონებით ცხოვრობდა - თვალწინ ედგა მათი შეხვედრა პროჟექტორებით განათებულ ციხე-დარბაზთან, უცებ, დანიელის გამოჩენისთანავე რომ ჩაქრა, თითქოს სანთელს სული შეუბერესო...

„მარტინა, ნეტა დამკარგა ტყეში შენთან ერთად...“ მას შემდეგ დანიელი რამდენიმეჯერ ნახა, რამდენიმეჯერ ესტუმრა დანიელი თავის მეგობარ ექიმს, რომელთანაც მკურნალობა უკვე აღარ სჭირდებოდა... ზაფხულობით როდი დადიოდა უფრო ხშირად, ვიდრე ზამთრობით: დანიელი ბევრს მუშაობდა მამის ვარდების პლანტაციაში და მებაღეობის უმაღლესი სკოლის მისაღები გამოცდები ბრწყინვალედ ჩააბარა... ეს იმას ნიშნავს, რომ დანიელი პარიზში გადავა საცხოვრებლად. მარტინას თავისი ინფორმატორები ჰყავდა: აფთიაქარის ცოლმა იცოდა ყველა უკანასკნელი ამბავი ექიმისგან. გარდა ამისა, ექიმს ჰყავდა მსახური ქალი ანრიეტა, რომელიც ერთ დროს მარტინასთან ერთად დადიოდა სკოლაში, ის სიამოვნებით ესაუბრებოდა მარტინას დანიელის შესახებ.

ნაცრისფერ, კვადრატულ სამრეკლოზე ნელა, აუჩქარებლად მოძრაობდა მზით მოვარაყებული საათის ისრები. ექვსჯერ ჩამორეკა ზარმა და საათის რეკვა ჩაიძირა ტყიან გორაკებზე მიმოფენილი სოფლის მყუდროებაში. დანიელ დონელი ჯერ არსად ჩანდა. ტურისტული ბაზიდან ჩამოვიდნენ შარვლიანი, ან, კიდევ უფრო უარესი, მოკლე ტრუსებში გამოწყობილი ქალები. ქსოვილი ისე გადასჭიმოდათ დუნდულებზე, რომ,

გეგონებოდათ, აგერ-აგერ გასკდებაო, - თანაც მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვათ, რა სასაცილო შესახედაობისანი იყვნენ... ისინი სოფელში საყიდლებისათვის ჩამოდიოდნენ, და თან მოჰყავდათ ერთი ან ორი შიშველი ბავშვი. ესენი, თავის მხრით, მოათრევდნენ ტიკინას ან რაიმე ბორბლიან სათამაშოს. საბაყლო, საყასბო, კავეულობის დუქანი, - ყველა ეს მაღაზია სავსე იყო ჩამოსულებით. მეგობრები გავიდნენ სოფლიდან. სასაფლაოს რომ გასცდნენ, მინდვრებს შორის გაჭრილ გზას დაადგნენ. უკვე აგრილდა, სიარული სასიამოვნო იყო. აი პატარა ნაკადული! იგი მიედინება არც თუ ღრმა ხევის ძირას, რბილ, მრგვალ გორაკებს შორის, რომლებიც რაღაცით წააგვანან მათზე მობალახე ძროხების ჯიქნებს. შემდეგ გზასაც და ნაკადულსაც დიდ ტყეში შევყავდით. ტყის პირას მცირე ციხე-დარბაზი იდგა, რომელიც გზიდან არ ჩანდა, რადგან მის ბაღს მაღალი გალავანი ერტყა. მაღლა გორაზე მდებარე ტურისტული ბაზიდან ისმოდა რადიოს ხრიალი, შემდეგ გაისმა მუსიკის ხმა, რომელიც ისე გადნა ჰაერში, როგორც სიროფი წყალში. ალბათ, ბაზიდან ჩამოეშვა ქალვაჟთა ჯგრო, ისინი ყვირილ-ჭყივილით ძირს ჩამორბოდნენ... მარტინა და სესილი ბუჩქებში შეიმალნენ, თითქოს ავი ძაღლების ხროვა ემუქრებათო. გულის ფანცქალით შესცქეროდნენ, როგორ ჩაუარა სირბილით ამ ჯგრომ: მანჭვა-გრეხით, სტვენით, ყვირილითა და ღმუილით მიხტუნაობდნენ გაოფლიანებული ჭაბუკები და ქალიშვლები... მათი ყურადღება, როგორც ჩანს, ციხე-დარბაზმა მიიზიდა. ერთმანეთს მხრებზე შეახტნენ და გალავანზე გადაძრომას აპირებდნენ. - ღმერთო დიდებულო! - მათ შორის ანრიეტაც იყო! ის გალავნის თავზე მოექცა, როცა იქ გაჩნდა გააფთრებული გერმანული ნაგაზი. ანრიეტა ისეთი სისწრაფით ჩამოხტა, რომ მისი

კაბა თავზე გადაეფარა ორ ვაჟს, რომელთაც ის ხელში ეკავათ და ახლა ნორჩი სხეულების მთელი პირამიდა მიწაზე გაიშხლართა. არავის არაფერი დასშავებია და მთელი ეს ჯგუფი ყიქინით ტყეში მიიმალა.

ქალიშვილები გამოვიდნენ საფარიდან, ერთი უყურეთ ამ ანრიეტას! ამ ამბავს კარგი პირი არ უჩანს. ბუჩქებიდან გამოსულმა მარტინამ და სესილმა გზა განაგრძეს. ისინი ნანობდნენ, რომ ახალი საცეკვაო ფეხსაცმელი ჩაიცვეს - გზა სიცხეს და მოსეირნეებს აემტვერიანებინა. თანაც, ეს მოსეირნეები სულ ერთი მიმართულებით მიდიოდნენ, ყველანი ტყისკენ, სიგრილისაკენ მიეშურებოდნენ. ქალიშვილებმა გაუსწრეს ბალღების მთელ გუნდს. ბალღები განზრახ მიათრევდნენ ფეხებს, რომ მტვერი აედინათ; მათი დედა, ფეხმძიმე ქალი, ბავშვის ცარიელ ეტლს მიაგორებდა, ხოლო მამას ხელში აყვანილი მიჰყავდა ატირებული ძუძუმწოვარა ბალღი. კვირა დღე იყო. „გაქონილი ქაღალდის ნაფლეთები...“ - ზიზღით თქვა მარტინამ. მართლაც, ნაკადულის გასწვრივ და ხეების ძირას გათელილ ბალახზე ეყარა პიკნიკებიდან დატოვებული ნარჩენები, ავტომანქანების ბორბლებით მიწაში ჩაჭყლეტილი ქაღალდები, ნაკადული ტყისკენ მიედინებოდა და მას უერთდებოდა.

რამდენი ხალხია! ტბიდან მოისმოდა ყვირილი, სიცილი, წყლის თქაფუნი! ჩამავალი მზის სხივებით ნათლად განათებული ტბა ბრწყინავდა, როგორც გავარვარებული ლითონი. შორს ბუნდოვნად მოჩანდნენ უძრავად მჯდომი მეთევზეები და მათი ანკესები... ნახევრად წყლით დაფარული, მიტოვებული ნავები ირხეოდა ლელიანში... ნაპირზე

ავტომანქანები ჩამწკრივებულიყო... გასაგრილებლად ფართოდ ახდილი რადიატორები პირდაღებულ ხახას ჰგავდნენ, გამოყოფილი ენაღა აკლდათ, რომ მთლად დამსგავსებოდნენ სიცხისა და საერთო ორომტრიალისაგან აქშინებულ ძაღლებს, აქვე რომ დარბოდნენ და ხალხს ფეხებში ებლანდებოდნენ. კომფორტაბელური, მომრგვალო, პატარა ბორბლებზე შეყენებული მისაბმელი სახლები ჩამოეყენებიათ ხეების ჩრდილქვეშ. იქვე გაეშალათ ახალთახალი ნარინჯისფერი კარვები, გასაშლელი მაგიდები და სკამები... ყველგან მოჩანდა მზემოკიდებული, ბრინჯაოსებრი დამსვენებლები... მარტინამ და სესილმა კაბები აიწიეს, და ჩამოსხდნენ უზარმაზარ კუნძზე. მათ პირდაპირ, პატარა მწვანე მდელოზე, სადაც კარვების გაშლა აკრძალული იყო, პაპა მალუარის ძროხები ბალახობდნენ.

უეცრად წყლიდან ამოცვივდნენ მდელოზე და ძროხებს შორის სირბილი ატეხეს ყმაწვილკაცებმა საცურაო ამოსაკვრელებითა და ქალიშვილებმა, რომელთაც შიშველი სხეული მხოლოდ აქა-იქ ჰქონდათ დაფარებული. ეს ისევ ის ჯგრო იყო! ნამდვილად! აი ეგერ, ანრიეტა. განა გიჟი არაა, დასაბმელი გიჟი? ხის კუნძზე მჯდომი მარტინა და სესილი მოწმენი გახდნენ იმ სცენისა, რომელიც გათამაშდა მათ წინ ტბის მეორე ნაპირზე.

- ეს პაპა მალუარის ძროხებია, - თქვა მარტინამ, - ოღონდ კი გაღიზიანება არ დაუწყონ, თორემ ცუდი ამბავი დატრიალდება.

მაგრამ სამი თუ ოთხი არამზადა უკვე მოაჯდა ძროხებს... ძროხები ბღაოდნენ, ტლინკებს ისროდნენ, რომ ჩამოეგდოთ ისინი, ბიჭები კი ერთმანეთს აქეზებდნენ და რაღაცას გაჰყვიროდნენ. მოულოდნელად მოირბინა პაპა მალუარმა და მისმა ვაჟმა, ორთავენი ფართო მხარბეჭიანი ვაჟკაცები იყვნენ... უცებ ტბის

ნაპირი აივსო სხვადასხვა ჯურის ადამიანებით: აქ იყვნენ გაოფლიანებული და გამტვერიანებული ქვეითად მავალნი, ელეგანტური ბატონები შავი სათვალეებითა და ჯიბეში შენახული ჰალსტუხებით, მოტოციკლეტისტები, ველოსიპედისტები ქალიშვილებით, რომლებიც მათ უკან საბარგულებზე ისხდნენ და თავიანთ კავალრებს მაგრად ჩასჭიდებოდნენ, რათა არ ჩამოვარდნილიყვნენ... ფეხშიშველა ბალღები... ისინი ყველა მხრიდან გამოცვივდნენ: წყლიდან, კარვებიდან, პატარა მისაბმელი სახლებიდან. მოსეირნენი ტყიდან აქეთ მოიჩქაროდნენ. მდელოზე საშინელი აურზაური ატყდა, ყველაზე ხმამაღლა პაპა მალუარი ყვიროდა, ერთ ბიჭს სილა შემოჰკრა და მიწაზე გაადენინა ზღართანი. მაყურებლები გაღმიდან ამაოდ უყვიროდნენ პაპა მალუარს, ამაოდ აფრთხილებდნენ - ოთხი ბიჭი შემოახტა მოხუცს ზურგზე იმ დროს, როცა მისი ვაჟი მეხუთეს უსწორდებოდა... ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები მოტოციკლით წავიდა ჟანდარმების მოსაყვანად, მაგრამ გონს მოსვლაც კი ვერავინ მოასწრო, რომ ამ ბანდამ უკვე გაკურცხლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და ბრძოლის ველზე მხოლოდ პაპა მალუარი და მისი ვაჟი დარჩნენ...

შეშინებული მარტინა და სესილი ვერ ბედავდნენ შინ მარტო წასვლას, ისინი შეუერთდნენ მოტყიპინე ბავშვების გუნდს, პატარა ეტლში ჩაწოლილი ძუძუმწოვარა ბავშვის პატრონ ოჯახს. ოჰ, რა კარგი იქნებოდა, მოულოდნელად დანელი რომ გამოჩენილიყო მათ მფარველად... სესილი და პოლი ამას წინათ წაკინკლავდნენ, რადგან პოლი უფერულ და გაჭიანურებულ თავშესაქცევად სთვლიდა მათ უმანკო ამბორებს.

- მეტი ხომ არ მოუვიდათ ვიტამინები თქვენს მუშტრებს, - ირონიულად ეკითხებოდა მეორე დღეს ქ-ნი დონზერი აფთიაქარის ცოლს, - დღეს თუ არა ხვალ მაინც მკვლელები იქნებიან და ეგ არის... ნეტა როგორაა ძია მალუარი?

- ორი ნეკნი ჩაუტეხეს... ბრაზისგან გაგიჟებულია, ძროხებიც გაუშრა. ის ვაჟბატონები თუ კვლავ აქ მობრძანდნენ,ნახავენ თვალის სეირს... ორი მათგანი დაუკავებიათ ავტობუსის გაჩერებასთან, ორივე პარიზელი აღმოჩნდა, არასრულწლოვანები, წესიერი ოჯახის შვილები. ერთი - ვექილის ვაჟია, ხოლო მეორე - რანტიესი! ორივენი, ალბათ, მთვრალები იყვნენ და ახლაც ძალიან შეშინებულები არიან. ტურისტები არ არიან, სრულიად შემთხვევით მოხვედრილან ჩვენს მიდამოებში. ისიც კიდევ ნათხოვი მანქანით ჩამოსულან.

წამლების გასაკეთებელი ოთახიდან აფთიაქარი გამოვიდა და თქვა:

- ძია მალუარი მთლად დალილავებულია. მანქანის მართვა არ სცოდნიათ, საზოგადოებრივ სიწყნარეს არღვევენ...

- აი ხედავთ? - სიხარულით დაეთანხმა მას ქ-ნი დონზერი. - შენი ქმარი ჩემს მხარეზეა! და აქ, უპირველეს ყოვლისა, მშობლებია დამნაშავე, არ იციან თავიანთი შვილების აღზრდა! შვილებს ყველაფერს აპატიებენ ხოლმე, და აი, შედეგი!

- ფაშისტები! - არ ეშვებოდა აფთიაქარი. ის ყველაზე გაბოროტებული იყო იმიტომ, რომ ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ თავს მრავალი უსიამოვნება დაატყდა. - პირწავარდნილი ფაშისტები არიან, ოღონდ ფაშისტებს, ასე იყო თუ ისე, რაღაც მაინც სწამდათ. ამათ კი - არაფერი არა სწამთ! არარაობანი, მოძალადეები, ადამიანური ღირსების აბუჩად ამგდებნი.

- აი, ხედავ! ხედავ! - კვერს უკრავდა ქ-ნი დონზერი. - შენი ქმარი მეთანხმება. არც რელიგია არსებობს მაგათთვის, არც რაიმე პრინციპები...

- დავანებოთ თავი რელიგიას, - მოუჭრა სიტყვა აფთიაქარმა, - მე ვიცნობ ადამიანებს, რომელთაც არც ღმერთი სწამთ, არც ეშმაკი, მაგრამ პატიოსნები მაინც არიან.

- ყველა ხომ ერთი აზრის არ იქნება! - თქვა დამცინავად აფთიაქარის ცოლმა. - მაგრამ არსებობს ღმერთი თუ არ არსებობს, ადამიანებს რაღაც იდეალი უნდა გააჩნდეთ...

ქალი ცდილობდა შემარიგებლობითი კილოთი ელაპარაკა: მართლაც, რატომ უნდა აწყენინოს ქ-ნ დონზერს, პატივცემულ ქალს, რომელმაც ასე კარგად აღზარდა თავისი ქალიშვილი და ახლა კიდევ ზრდის ტყეში დაკარგულ მარტინას, თითქოს ისიც მისი საკუთარი შვილი იყოს?

## პრიალა ქაღალდზე მოხატული მომავალი

ქ-ნი დონზერი დაჰპირდა ქალიშვილებს, კვირას საუზმისათვის შინ დავბრუნდებიო და გოგონებიც გამოვიდნენ მის დასახვედრად ავტობუსის გაჩერებასთან, კაფეს პირდაპირ ველოსიპედისტებს, ადგილობრივ ახალგაზრდებს, შიშველი კანჭები მიებჯინათ ველოსიპედების უძრავ სატერფულებზე, ათვალიერებდნენ მეგობარ ქალებს და მოწონების ნიშნად წყნარად უსტვენდნენ. ქალიშვილებმა მათ ზურგი შეაქციეს, წარსული კვირის შემდეგ უფრო წინდახედულები გახდნენ. და აი, სამრეკლოს საათმა ნელ-ნელა ჩამორეკა. შუადღეა.

- იგვიანებს. - თქვა სესილმა.

ის ავტობუსს გულისხმობდა, ხოლო მარტინა დანიელზე ფიქრობდა.

ანრიეტა შეხვდა პურის მაღაზიაში და უთხრა, დღეს დანიელი ექიმთან იქნება საუზმეზეო. ანრიეტას ძლიერ ეჩქარებოდა: სამი გრძელი პური იყიდა, რადგან ექიმს სტუმრები ჰყავდა საუზმეზე მოწვეული პარიზიდან და მათ შორის, დანიელიც...

- როგორ ფიქრობ, მოვა გაჩერებასთან, ექიმის სტუმრების შესახვედრად?

- რას ამბობ? ისინი საკუთარი მანქანით ჩამოვლენ.

სესილმა მშვენიერად იცოდა, ვისზე ლაპარაკობდა მისი მეგობარი. მარტინას თავისი სასიყვარულო თავგადასავალი ასულდგმულებდა, თუმცა ქალ-ვაჟს შორის საამისო არაფერი მომხდარა.... დრამატურგიის კანონების თვალსაზრისით, სრულიად არაფერი ყოფილა. მარტინა მაინც აღელვებით ფურცლავდა სატრფიალო წიგნს, - ეგებ რომელიმე ფრაზის მიმოხვრაში უცბად დავინახოო დანიელი, სუფთა, პეწენიკი ყმაწვილი, მისი მაისურა, გაშიშვლებული ბრინჯაოსებრი სხეული, შიშველი ფეხები... ყველაფერი, რაც მარტინას ირგვლივ ხდებოდა, რაღაც როლს თამაშობდა ამ რომანში, რომელსაც არც კვანძები გააჩნდა და არც ინტრიგა, მაგრამ იგი იმდენად წარმტაცი იყო, რომ მარტინას სული ეხუთებოდა, მერე რაღა მოხდებაო.

- აი ისიც! -თქვა სესილმა.

ნოტარიუსის სახლის კუთხიდან გამოჩნდა ვეებერთელა ავტობუსი. იქედან ურიცხვი ხალხი გადმოვიდა, გასაკვირი იყო, სად ეტეოდნენ ავტობუსში! სოფლის მკვიდრები ესალმებოდნენ გოგონებს: „გამარჯობათ, გოგონებო!... დილა მშვიდობისა, მადემუაზელ!.. სალამი ქალიშვილებს!“... ხოლო პარიზელები მათ

სიამოვნებით შესცქეროდნენ. ბოლოს გამოჩნდა ქ-ნი დონზერიც. მას ახალი, ყვავილებით მოჩითული კაბა ეცვა, სახე გაოფლიანებოდა და უბრწყინავდა, სათვალე ულაპლაპებდა. გოგონებმა ჩამოართვეს პროდუქტებით სავსე ჩანთა, ჩემოდანი, მუყაოს კოლოფი. „ეს საჩუქრებია... ოჰ, რა ფაციფუცში ვიყავი, საშინლად დავიღალე... ფეხები აღარ მერჩის... არაქათი არა მაქვს...“

გრილ, დახურულ დარაბებიან სახლში გოგონები დატრიალდნენ. ფეხთ გახადეს ქ-ნ დონზერს, წყალი დაალევინეს, შხაპი დაუმზადეს... მაგრამ მარტინა საუზმეზე ვერ დარჩება. დედა უნდა ვინახულოთ, თორემ ღმერთმა ნუ ქნას, მარი თავად გამოცხადდება აქ! მარტინა, ნუ ლაპარაკობ ეგრე დედაზე. გოგონა ძალაუნებურად უნდა მისულიყო დედასთან, რომ მარის არ აეტეხა ყვირილი, ქალიშვილი წამართვეს, ბოლოს და ბოლოს მონად კი არ გამიყიდია მარტინაო; ერთი სიტყვით, სჯობია, რომ თვითონ ეწვიოს დედას... თუმცა შეეძლო მაინცადამაინც დღეს არ წასულიყო, მაგრამ მარტინა უგუნებოდ იყო, რაკი დანიელთან შეხვედრის იმედი არ გაუმართლდა. თანაც, ქ-ნ დონზერს არ დაუკავებია, პირიქით, უმალვე უთხრა: „წადი, შვილო! სესილი საუზმეს გაგიცხელებს, როცა დაბრუნდები. ნუ აჩქარდები!“

ქუჩა დაცარიელდა, ავტობუსით ჩამოსულები წავიდ-წამოვიდნენ და ალბათ ახლა უკვე საუზმობენ. ცარიელ ქუჩებს მზე მოეფინა. მზის სხივებმა გაანათეს ქვაფენილი, სახლების კედლები... ღია ფანჯრებზე ჩამოშვებული შტორების იქით სასიყვარულო სიმღერებს გადმოსცემდნენ რადიოთი. მარტინა სულ მარტო აღმოჩნდა ქუჩაში. ცხოვრებაშიაც სულ მარტო იყო.

ქ-ნი დონზერი მისი ღვიძლი დედა არაა, ხოლო ღვიძლ დედას ის დედად არ თვლის, არა ჩანს დანიელიც. პარიზელების მიერ ახლად გარემონტებული სახლიდან სიცილი გაისმა... პაპა მალუარის ბოსტნიდან თვალებმიჭუტული მზესუმზირები შესცქეროდნენ თავიანთ ზეციურ მეუფეს. ეს სახლი სოფლის ბოლოს იდგა, მის შემდეგ ქუჩა გუდრონირებულ შარაგზას უერთდებოდა და მინდვრები იწყებოდა. როგორ ცხელა! ტყის პირას ცარიელი მცირელიტრაჟიანი ავტომანქანა იდგა, ალბათ, მგზავრებმა ხეების ჩრდილში პიკნიკი მოაწყვეს. ანდა, შესაძლოა, შეყვარებულები არიან და ჭამისთვის არა სცალიათ. აქ გზა გვერდზე უხვევს...

მარტინამ ნაბიჯი შეანელა: წინასწარ არასდროს არ იცი, რა ამბავი დაგიხვდება ამ ქოხში. მიმოიხედა. არაფერი არ შეცვლილა აქ იმ დროიდან, როცა ტყეში დაკარგული მარტინა ცხოვრობდა ამ დაჟანგულ სახურავქვეშ... მაღალი ხეები უხვ ჩრდილს ფენდნენ ქოხსა და ეზოს, ჩრდილი სოფლის შარაგზსაც სწვდებოდა... ქოხის წინ ტყე ნოტიო და ხშირ ფოთლოვანი იყო. ძირს დაცემულ და ნახევრად დამპალ ბიჯგებზე მიმაგრებულ დაჟანგულ მავთულიან მესერს იქით ჯაჭვზე დაბმულმა ლეკვმა კუდის ლაქუცით ყეფა მორთო... ბავშვები არსად ჩანდნენ, მაგრამ მარტინას ჩურჩული მოესმა. ის უკან დაბრუნდა და ფარდულის ქვეშ შეძვრა. ბავშვები ყველანი აქ იყვნენ: უფროსი და, სოლივით გრძელი და შავი, ახალშობილი ბავშვით ხელში; თავკომბალა ბიჭები, როგორც ყოველთვის მხიარულები - ახლა ისინი ხუთნი იყვნენ, და არა ოთხნი... ბავშვები მორზე ისხდნენ, სადაც მარტინაც არა ერთხელ მჯდარა მათთან ერთად.

-ჩ-შ-შ-შ, - ანიშნეს მათ მარტინას, როცა მან შეშებს, ყუთებს, ფიცრებსა და ფიჩხის კონებს გადააბიჯა...

- იქ ვინმეა? - ჩურჩულით იკითხა მარტინამ.

- ბოლო აღარ დააყენეს, - დაიწრიპინა უმცროსმა თავკომბალამ. - მოვკვდით შიმშილით... ერთი საათია, რაც ვუცდით!

- გვიან მოხვალ და - ილანძღება, ადრე მოხვალ - ისევ ილანძღება. ეს რა ცეცხლში ვართ...

რა ხნის იქნება ეს ბიჭი, ასე რომ მსჯელობს? ექვსი თუ შვიდი წლის? უფროსმა დამ თითით ანიშნა ქოხის კედელზე მიყრდნობილ ველოსიპედზე და ტუჩების ოდნავი მოძრაობით თქვა:

- ეს ვინ ოხერი დაგვეცა თავზე! საზიზღარი, ბინძური! ბავშვის ჭმევის დროა... საცაა ატირდება. შენ ჩვენთან ერთად ისაუზმებ?

- არა, მე წავალ... უთხარი დედას, იყო-თქო.

მარტინა წამოდგა და და-ძმას ზურგი შეაქცია, არც სალამი, არც ქალამი - ისე წავიდა.

მარტინა ჯერ სოფლის ოღროჩოღრო გზას გაჰყვა, შემდეგ ბილიკზე გადაუხვია და ხშირ ტყეში შევიდა, სადაც წიწვის გამაბრუებელი სუნი იდგა და ვეებერთელა ფიჭვები, მუხები, წიფელები და თელები ყელმაღლობდნენ. დედა დონზერს არ ეჩქარება მისი შინ დაბრუნება, მარტინა ხომ მისი შვილი არაა, უცხოა... გოგონამ გადაუხვია ბილიკიდან და რეზინის ხალიჩასავით რბილ ხავსზე გაიარა... გამხმარი რტოები ტკაცუნობდნენ მის ფეხქვეშ, მარტინას ფეხი უსხლტებოდა ფიჭვის წიწვებით მოფენილ მიწაზე... თავს ძალიან უბედურად გრძნობდა... ცრემლიანი, მაგრამ გაწაფული თვალით დაეძებდა სოკოებს, ნაგვიანევ მარწყვს... რატომ ჰყავს ასეთი დედა!

მართალია, სოფელში არ აყვედრებდნენ, პირიქით, იბრალებდნენ მარტინას, როცა ხედავდნენ, რომ შრომისა და სისუფთავის მოყვარულია... მაგრამ, დანიელი რომ არა, მაინც გადაბარგდებოდა პარიზში, სადაც არავინ იცის, საიდანაა და როგორი დედა ჰყავს... რა იმედი უნდა ჰქონოდა პარიზში დანიელის შეხვედრისა, როცა ის, ალბათ, ვერსალში ცხოვრობს, რადგან მებაღეობის უმაღლესი სკოლა სწორედ ვერსალშია... სოფელში მცირე იმედი მაინც ჰქონდა - შევხვდები, როცა მამის სანახავად ჩამოვაო. მარტინას შეუძლია ფეხი არ ააჩქაროს, შინ არავინ არ ელოდება. მშობელი დედა ყვირის და ილანძღება, თუკი კვირაობით არ ინახულებს და ისიც მხოლოდ სხვების გასაგონად - არ თქვან, მარტინა აზიზი ქალიშვილი გახდა და თავის ოჯახს აღარ კადრულობსო. ტყეში დაკარგული მარტინა იჯდა უზარმაზარი წიფლის ქვეშ და ფეხით გამხმარ ფოთლებს ჩიჩქნიდა, ვინ იცის, ქვემოთ სოკოებია, სწორედ აქ იცოდა თეთრი სოკო.

წავიდეს პარიზში... ნეტა როგორია პარიზი? არასდროს არ ყოფილა იქ. სოფელში ცოტანი როდი იყვნენ ისეთები, რომლებსაც პარიზი არ ენახათ, თუმცა ის სულ ახლოს, სამოცი კილომეტრის მანძილზეა სოფლიდან. მარტინა ჯერ არც ერთხელ არ ყოფილა კინოში, არ უნახავს ტელევიზორი.... რადიო - სულ სხვა საქმეა; დედა დონზერთან მას მუდამ ჩართული ჰქონდა რადიო, მარტინა ტკბებოდა მუსიკითა და სატრფიალო სიტყვებით... მაგრამ შემოვიდოდა თუ არა დედა დონზერი, მაშინვე შეუბრალებლად გათიშავდა მუსიკასაც და სატრფიალო სიტყვებსაც. უცებ სიჩუმე ჩამოვარდებოდა, და ეს ისევე უსიამოვნო იყო, თითქოს კასრით ცივი წყალი გადაგასხესო, ანდა საფეხური ვერ შეამჩნიე და ფეხი დაგიცდა, ანდა გაგაღვიძეს, როცა საამურ სიზმარს ხედავ.

მარტინას წარმოდგენით, მუსიკა რაღაცნაირად აცისკროვნებდა ყველაფერს, ყოველივე ირგვლივ ხდებოდა ლამაზი, მოხდენილი და ნახატებიანი ჟურნალის ფერად სურათებს ემსგავსებოდა. ქ-ნ დონზერს გამოწერილი ჰქონდა ახალ მოდაზე დავარცხნილი თმის ჟურნალი, ის ხანდახან მოდების ჟურნალსაც ყიდულობდა, სადაც დახატული იყო ძალიან ლამაზი ქალები და ნეილონი ყოველ გვერდზე: გამჭვირვალე ტუალეტები, დღისა და ღამის საცვლები; და უცებ, მთელ გვერდზე გამოხატული უზარმაზარი თვალი გრძელი წამწამებით, ანდა ხელი, ვარდისფერი ფრჩხილებით... ანდა მკერდი, რომლის სილამაზეს ბიუსტჰალტერი კიდევ უფრო აჩენდა... სუფთა, პრიალა ქაღალდზე დახატული ქალების სახეები, ტუალეტის დეტალები, ყოველივე ეს უნაკლო და უზადო იყო. ამ ტყეში მარტინა ხედავდა ჭიებით დაჭმულ ფოთლებს, ჭიან სოკოებს, ამოჩიჩქნილ მიწას, თხუნელასგან ამოთხრილ გზებს, ნახევრად გამხმარ ხეს, რომელსაც კოდალა უკაკუნებდა, მარტინას სძაგდა ყველაფერი, რაც დაავადებული, მკვდარი და გაფუჭებული იყო. ბუნება არავის შეუფერადებია, ის პრიალა ქაღალდზე არაა დახატული და მარტინას ეს ვერ ეპატიებინა.

იმ ოთახში, სადაც მარტინა სესილთან ერთად ცხოვრობდა, კედლებზე ეკიდა კინოვარსკვლავებისა და ნახევრადშიშველი ლამაზმანების სურათები. გოგონებს არასდროს არ უნახავთ ისინი, მაგრამ ამ სურათების ხილვას ორივენი აღტაცებაში მოჰყავდა... კედლებზე ეკიდათ აგრეთვე ჟურნალებიდან ამოხეული გვერდები, სადაც ახალი მოდის ავეჯი და ბაღების ესკიზები ეხატა... ეს იყო მათი ზღაპრული, იდეალური სამყარო.

მარტინა აღარ ტიროდა: ის ყურადღებით ათვალიერებდა სანდალიებში გამოჩენილ ფეხების ფრჩხილებს. ხელების ფრჩხილები?... არა უშავს, წესრიგშია. თუ ოდესმე მარტინა სოფლიდან პარიზში წავა, ის სახის მასაჟს ისწავლის, ანდა მემანიკურე გახდება. მარტინას არ უყვარდა პარიკმახერის ხელობა, მას ყოველთვის თავის დაბანას ავალებდნენ, სოფლის მანდილოსნებს კი ჭუჭყიანი თმა ჰქონდათ... რას ჰგავდა ეს უფერული თმა - მტვრიანი, ცხიმიანი, ქერტლიანი!... სოფლის ქალები, ალბათ, თავს იბანდნენ მხოლოდ პერმანენტის გაკეთების წინ და იშვიათად თუ ოდესმე, - ორ პერმანენტს შორის! რაღა უნდა თქვა ამაზე უარესი მათ შესახებ! თვით მარტინა ყოველთვის თავს წვიმის წყლით იბანდა და თმა ისე ბზინვარე ჰქონდა, როგორც ლაქი ახლად ნაყიდ მანქანაზე. მას თმის სწორად დავარცხნა უყვარდა და ეს მარტინას პატარა თავის სილამაზეს უფრო აჩენდა. ყველაფერი მის გარეგნობაში სუფთა და მბზინავი იყო: სწორი შუბლი, წარბების ჰორიზონტალური ხაზები, თითქოს საგანგებოდ ბეწვი-ბეწვზე გამოხატული ჩინური მელნით; არც თუ ძალიან გრძელი, მაგრამ ხშირი და შავი წამწამები; თითქოს შესურმვილი ქუთუთოები, - თუმცა მარტინა სურმას არასდროს არ მიმართავდა. ყველაფერი მის გარეგნობაში სწორი და ჰარმონიული იყო. და სხეული... ქ-ნი დონზერი არ აძლევდა ნებას, რომ მის გოგონებს კაბა „შიშველ ტანზე“ ჩაეცვათ, როგორც ეს დღევანდელ რომანებშია აღწერილი, ამიტომ მარტინა და სესილი კაბის ქვემოთ ლამაზ საცვლებს ატარებდნენ და, სიკეკლუცისათვის, არშიებით მორთულ ნეილონის ქვედატანსაც... მაგრამ რაც შეეხება მარტინას, ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა ბრინჯაოს ქანდაკების ჩაცმა: ქსოვილი არ ფარავდა მის მკერდს, ფეხებს, თეძოებს... ხანდახან

მარტინას ეჩვენებოდა, არაფრით არ ჩამოვუვარდები ამერიკელ მზეთუნახავების სურათებს და დანიელს არ აწყენდა ხშირ-ხშირად შეხედა ჩემთვისო. „მარტინა, ნეტავ მე და შენ ტყეში დაგვკარგა....“ ეს იყო და ეს, ამის მეტი არაფერი ახსოვდა პირადად მარტინას - დანიელისაგან. ეს იყო და ეს, მხოლოდ ამით შეეძლო შეემკო თავისი ცხოვრება, მხოლოდ ეს ასაზრდოებდა მის ოცნებას. და როგორც ყოველი ცოცხალი არსი, ამ მოგონებასაც ყავლი გასდიოდა, ჭკნებოდა, მტვრად იქცეოდა. ნეტავი კვლავინდებურად ოცნებით ესულდგმულა - ცოცხალი ხმა ქრება ინტონაციასთან ერთად. გამოხედვა? სწორედ მაშინ დაუძახეს: „მარტინა, სადა ხარ?... გელოდებით“!... გამოთხოვების ნიშნად დანიელმა ხელი ასწია... ნეტავ არ დაეძახნათ. ასეა, შენივე გულშემატკივარი ადამიანები, უნებურად, გართმევენ ბედნიერებას...

მარტინა შუაგულ ტყეში შევიდა... ის გაეშურა ყველაზე მაღალი მუხისკენ, რომლის ძირას ოდესღაც იპოვნეს ტყეში დაკარგული მარტინა, მშვიდად მძინარე ხშირ ფოთლების იდუმალ საფარველქვეშ. მან თვალები გაახილა და პატარა ხელები გაუწოდა უცნობს, რომელმაც ფარნით გაანათა ბავშვი. ნეტავ შეეძლოს ახლა დაძინება და გაღვიძებისას მისკენ დახრილი დანიელის დანახვა... განა დანიელმა არ უთხრა, ერთად დავიკარგოთო ტყეში?! მისი მკლავები... ბურანში მყოფი მარტინა გრძნობდა როგორ მოეხვია წელზე დანიელი. თვალწინ მოლურჯო-მოწითალო ბური ირეოდა... მარტინა გამოერკვა, მთლად გამოფხიზლდა და გზა განაგრძო.

აი ქოხი. ძველ ფიცრებზე მიყუდებული ველოსიპედი ისევ იქ იდგა. ბავშვები სადღაც გამქრალიყვნენ. მარტინა შეჩერდა,

მაგრამ დაკაკუნება ვერ გაბედა. მით უარესი! გზა განაგრძო და გზატკეცილზე გამოვიდა. გზაზე მანქანები ნაკლებად ხვდებოდა, ხალხი ნასაუზმევს ისვენებდა, ჯერ კიდევ ძლიერ ცხელოდა. დიდმა ამერიკულმა მანქანამ მოზრდილი შავი კატასავით გვერდით ჩაუარა მარტინას და გაასწრო. შემდეგ გამოჩნდნენ ის ველოსიპედისტები, რომლებიც უთვალთვალებდნენ მარტინასა და სესილს ავტობუსის გაჩერებასთან.

- ჰეი, მარტინა!

ატყდა ყაყანი. კალატოზის ქარგალი ფრანსუა ველოსიპედიდან ჩამოხტა:

- მარტინა, - უთხრა მან, როცა გოგონა გაუსწორდა, - რა დიდი ვინმე გგონია შენი თავი! აბა, იფიქრე, რითი სჯობიხარ სხვებს?

- არაფრით, - უპასუხა მარტინამ და ნაბიჯს აუჩქარა, - მაგრამ შენ არ მომწონხარ.

ყმაწვილებმა, რომლებიც ნელ-ნელა მისდევდნენ მათ ველოსიპედებით და გზა-გზა აკრობატულ ვარჯიშობებს ასრულებდნენ, სიცილი ატეხეს.

- შე უიღბლო დონ-ჟუანო! - გაჰყვიროდნენ ისინი, - მჭმუნვარე სახის რაინდო! ჩემზე რას იტყვი, მარტინა? მე მოგწონვარ? მე? ტყეში დაკარგული მადემუაზელი მოხიბლულ პრინცს მოელის! არდადეგების დედოფალი მარტოდმარტო დაბრძანდება ტყე-ტყე!

ზურგიდან მათ მსუბუქმა მანქანამ გადაასწრო, წინიდან კი შემხვედრი საბარგო მანქანა მოჰქროდა. ველოსიპედზე მსხდარნი იძულებულნი შეიქნენ აჩქარებულიყვნენ, ხოლო მარტინა გადაახტა გზისპირა თხრილს და ბუჩქებში მიიმალა... ამ ბიჭებმა თავი მოაბეზრეს და მარტინამ სიმართლე უთხრა: არც ერთი მათგანი არ მოსწონდა. ისინი ვერ დაინახავენ მარტინას ამ ხშირ

ბუჩქნარში, მაგრამ ვაითუ რომელიმე მათგანი გზაზე უთვალთვალებს.. ემჯობინება უკანა მხრიდან მოუაროს რესტორანს, რომლის ფასადი გზატკეცილზე გამოდის. ეს რესტორანი ცნობილი იყო თავისი სამზარეულოთი. ცნობარში „გიდ მიშლენ“ იგი სამი ვარსკვლავითაა აღნიშნული და იქვეა მიწერილი: „ტარხუნიანი წიწილები“ და სხვა საუცხოო კერძები.

მარტინა სწორედ რესტორნის მესერთან გამოვიდა. მესერი წითელი და თეთრი ვარდის ხვიერი ტოტებით ისე იყო გადაბარდნილი, რომ ვარდებს შორის ფოთლებიც კი არ ჩანდა... მარტინას შეეძლო წყნარად მდგარიყო მესერს იქით და ეჭვრიტა, თუ რა ხდებოდა რესტორნის ბაღში, მას ვერავინ დაინახავდა.

მარტინა ხედავდა რესტორნის ბაღს, ხეების ჩრდილში სუფრასთან მსხდომთ... გაზონი... გაზონის შუა ადგილას ვეებერთელა ჰორტენზიანებიანი ლარნაკი, ფილებით მოპირკეთებული ბილიკები და ყველგან გადაბარდნილი პატარა ფუშფუშა ვარდები... განსაკუთრებით მკაფიოდ ხედავდა მარტინა უახლოეს სუფრას... იქ მხოლოდ კაცები ისხდნენ... გაღეღილი პერანგები... მზემოკიდებული გულ-მკერდი, ძეწკვებზე ჩამოკიდებული მედლები, ფლანელის შარვლები... სულ ახლოს სათუთად მოვლილი ხელი, ოქროს ფულივით ბრტყელი სამაჯე საათით, სანთებელას ათამაშებდა... სუფრასთან ბამბუკის სკამები იდგა. ქუსლების ბაკაბუკით მაგიდას მიუახლოვდა სიგარეტების გამყიდველი ქალი, ლანგარი ბაფთით კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული... ოფიციანტმა გამოაგორა ბორბლებიანი მაგიდა, რომელზედაც ტკბილეული და ღვეზელები ელაგა. მარტინამ უცებ შიმშილი

იგრძნო, მას ხომ დილიდან არაფერი უჭამია. ატმიანი და მარწყვიანი ღვეზელები, ნაპოლეონის ნამცხვარი, სქელტანიანი წიგნივით ლანგარზე დადებული... „მარწყვი მომეცით... არა, უნაღებოდ... მხოლოდ ყავა... ნაყინი...“ ოფიციანტმა წააგორა მაგიდა მწვანე ბალახით მოარშიებულ ფილებზე... ყოველივე ეს ჰგავდა ერთ-ერთ იმ სურათთაგანს, მარტინამ რომ ჟურნალიდან ამოჭრა: სუფთა, პრიალა და ლამაზ ქაღალდზე მოხატული... მარტინამ შეუმჩნევლად ჩაუარა ფუშფუშა ვარდებით გადაბარდნილ მესერს.

აქეთ-იქით დაჰქროდნენ გზატკეცილზე მანქანები; გზის პირადაც რომ იარო, მანქანა ისე გაგიტანს, ვერც კი გაიგებ... მარტინამ შორი გზა აირჩია და ძალიან მშიერი გვიან დაბრუნდა შინ.

უკვე ნაშუადღევის ოთხი საათი იყო. ქ-ნი დონზერი და სესილი სამზარეულოში მარწყვის ტორტს ამზადებდნენ. თუ ქ-ნი დონზერი, უმიზეზოდ, ტორტის გამოცხობას შეუდგებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ის რაღაცათი აღელვებული იყო. ამჯერადაც, როგორც ჩანს, ასეა საქმე... მარტინამ შეამჩნია, რომ ორთავეს, ქ-ნ დონზერსა და სესილსაც, თვალები ნამტირალევი ჰქონდათ, ამასთანავე, ისინი აღელვებით იცინოდნენ... მარტინას მაშინვე დაავიწყდა შიმშილი...

- რა ამბავია? რა მოხდა?

დედა დონზერს ფუსფუსისთვის თავი არ დაუნებებია, ხოლო სესილი წამოწითლდა და თქვა:

- დედა თხოვდება.

მარტინამ გულზე იტაცა ხელი:

- ღმერთო ჩემო! - შესძახა მან, - ჩვენ რაღა გვეშველება?

ის სკამზე დაეშვა და აქვითინდა.

- ეს რა ქალიშვილები მომცა ღმერთმა! ერთი მორჩა ტირილს, ახლა მეორე იწყებს! - ქ-ნმა დონზერმა დაანება თავი ცომის გაშლას. - კაცი იფიქრებს, მართლაც რაღაც უბედურება ხდებაო.

ახლა სამივენი ტიროდნენ.

ქ-ნი დონზერი მიჰყვებოდა ცოლად ერთ პარიზელ პარიკმახერს, რომელსაც გათხოვებამდე იცნობდა, მაგრამ მაშინ მათი დაქორწინება ვერ მოხერხდა, ქალი სესილის მამას მისთხოვდა, პარიკმახერი კი უცოლო დარჩა. ესეც დასასრული. ალბათ, მათი ბედი ასე სჭრის! ქ-ნი დონზერი გაყიდის თავის საპარიკმახეროს და პარიზში გადავა საცხოვრებლად.

- მე რაღა მეშველება? - წამოიძახა მარტინამ, როცა პირველი აღელვება დაცხრა და ყველანი თბილ ტორტს მიუსხდნენ. გოგონა კვლავ ატირდა, როდესაც წარმოიდგინა, რას ნიშნავს ჩემთვის ქ-ნ დონზერის წასვლაო... მარტინას მუხლებზე აკრუტუნებულმა კატამ თავი უხერხულად იგრძნო, ჩამოხტა, პლასტმასის ზოლებიან შტორში გაძვრა და პატარა კალათივით ყვავილ-ბალახით ავსილ ბაღში გადავიდა. იქ კატამ მზეზე დაკიდებულ ზეწრების ქვეშ გორაობა დაიწყო. დედა დონზერი ყველაფერს გაყიდის. აღარ იქნება არც კატა, არც ყვავილები, არც მზეზე გაკიდული ზეწრები, არც გალია ბაჭიებით, არც გრილი სარდაფი, ბოთლებითა და ნახშირით. აღარც შუქმფინარე ღვთისმშობელი ღამის მაგიდაზე საწოლთან, აღარც ხმაური აბაზანის ქვაბში, აღარც შამპუნისა და ლოსიონების სურნელება, აღარც რადიო, საიდანაც მუსიკა იღვრება, როგორც ონკანის წყალი. აღარც გამვლელ-გამომვლელები „საპარიკმახერო სალონის“ აბრის იქით, რომლის ასოები აქედან პირუკუღმა

იკითხება... და ამ გამვლელ-გამომვლელთა შორის, შესაძლოა, ოდესმე დანიელ დონელიც აღმოჩენილიყო. აღარ იქნება მეტი არც დედა დონზერი, არც სესილი!

- მარტინა, ნუ სტირი! მე მოველაპარაკები დედაშენს და თუ ნებას დაგვრთავს, პარიზში წაგიყვან. ყველაფერი ეს ხელის ერთი მოსმით როდი მოხდება, ნუ სტირი, გენაცვალე! მოდი, ერთად დავათვალიეროთ საჩუქრები.

ქ-ნ დონზერს არ უყვარდა ზედმეტი ლოლიაობა, მაგრამ ის ყოველთვის მზრუნველი და წინდახედული იყო: ამჯერადაც გოგონებს პარიზიდან კაბები ჩამოუტანა, იცოდა, თუმცა აღელვებულები არიან, მაგრამ კაბები მაინც გაართობთო. ახალ კაბებში გამოწყობილ გოგონებს სარკის წინ ტრიალიც არ დაუშალა ქ-ნმა დონზერმა. ამასობაში თვითონ ცოტა ხნით დაწვება და დაიძინებს, პარიზის ორომტრიალისა და აქაური განცდების შემდეგ... და თუ მარტინა და სესილი საბანაოდ წასვლას მოინდომებენ - წავიდნენ! საშინელი პაპანაქებაა. არა, დღეს გოგონებს სამაგისოდ არა სცალიათ. როცა ანრიეტა და მისი მხლებელი უსაქმურები მოვიდნენ მათთან, გოგონებმა ცივად გაისტუმრეს. არ ეყო ამ ურცხვს წარსული კვირის აყალმაყალი?! კარგა ხანს ილაპარაკეს ანრიეტაზე და იმ უბედურებაზე, რაც მას მოელის... სარკის წინ ტრიალებდნენ, თმას სხვადასხვა ყაიდაზე ივარცხნიდნენ, ტუჩების ნაირ-ნაირ პომადებს ისინჯავდნენ და ანრიეტაზე ისევ ბევრს ლაპარაკობდნენ. კოსმეტიკის საგნები არ აკლდათ: სხვადასხვა ფირმების წარმომადგენლები, რომლებთანაც ქ-ნ დონზერს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, უტოვებდნენ მას ნიმუშებს. მაგრამ რა დროის ანრიეტაა - ეს ხომ უკვე წარსულია! წინ - პარიია! მათ პარიზი მოელის!

## ოცნება ხორციელდება

სურნელოვანი, ჰაეროვანი, მყუდრო, სუფთა, თავაზიანი, მომღიმარი, ყვავილებით მორთული, მთლად ვარდისფერ-ცისფერი, - ასეთია „სილამაზის ინსტიტუტი“. სურნელოვანი ფლაკონები და კოლოფები, სამშვენისები და არშიები, გამჭვირვალე და მოელვარე ნივთები. მასაჟისტების, მემანიკურეთა და პარიკმახერების მიერ მოვლილ-გამშვენიერებული ქალები გადახალისებულები, გაახალგაზრდავებული და გალამაზებულები გამოდიოდნენ „სილამაზის ინსტიტუტიდან“. მარტინამ სწორედ აქ დაიწყო მუშაობა მემანიკურედ, ის თვალნათლივ ხედავდა თავის ხორცშესხმულ ოცნებას და თითქოს მოდების საუცხოო ჟურნალის ფურცლებზე დახატულ სამყაროში ცხოვრობდა. „სილამაზის ინსტიტუტი“ მარტინას თვალში პარიზის ცენტრში ჩამოვარდნილ ძვირფას ქვას ჰგავდა. ამ ქვას გარშემო ერტყა პატარ-პატარა წრეები, რომლებიც რაც უფრო შორდებოდნენ ცენტრს, მით უფრო კარგავდნენ მნიშვნელობას და გარეუბანში ხომ მთლად არარად იქცეოდნენ. მთელი პარიზი „სილამაზის ინსტიტუტის“ საბუდარია მხოლოდ. მის გარშემო თვალისმომჭრელად ელვარებდნენ ვანდომისა და თანხმობის მოედნები, მაგრამ დიდ ბულვარებზე მისი კაშკაში სუსტდებოდა, ხოლო ელისეს მინდვრებზე იგი უკვე ოდნავ შესამჩნევი ხდებოდა... თვით პარიზში, ისევე როგორც ტყეში, მარტინა უპირველეს ყოვლისა ამჩნევდა ნაკლს - ჩამოცრცნილ კედლებს, პროსტიტუციის წუმპეს. მას სძულდა დაღლილი

ბრბო, რომელიც პირთამდე ავსებდა მეტროს სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, ხალხის ჭედვა სტანდარტული ფასების მაღაზიებში; სენაში მარტინას დამხრჩვალები ეზმანებოდა, მდინარის „ტალღები“ ცუდად იყო დალაგებული, წყალს თან მიჰქონდა ყოველგვარი ნაგავი... ძალიან მალე მარტინა მიეჩვია პარიზს და იქ თავს ისე გრძნობდა, როგორც მშობლიურ ტყეში; ის ყველაფერს პოულობდა, რასაც კი ეძებდა - მთლად ახალს, აბსოლუტურად სუფთასა და კარგად გაკრიალებულს.

მარტინა ამბობდა, ყველაფერი, რაც მოდურია და უნაკლო, - მიყვარსო. განსაკუთრებით - უნაკლო, ამ სიტყვას ის ხშირად ხმარობდა.

თვით მარტინაც უნაკლო იყო. „სილამაზის ინსტიტუტის“ მოსამსახურეებს ეცვათ ღია ცისფერი ზედატანი, რომელსაც ყოველდღე იცვლიდნენ, ფეხზე რბილლანჩებიანი მაშიები. მარტინას თმა ადვილად ეგუებოდა ყოველგვარ ვარცხნილობას, ხოლო თავის გრძელ, პრიალა ფრჩხილებს საგულდაგულოდ უვლიდა. „სილამაზის ინსტიტუტს“ კავშირი ჰქონდა, ერთ-ერთ „მოდების მაღაზიასთან“ და მარტინა შეეჩვია ყველაფერი იაფად შეეძინა გაყიდვის დღეებში. „ცოცხალი მანეკენის“ ტანი ჰქონდა, ახალგაზრდობა და სილამაზე არ აკლდა.. ვინ არ მორთავდა სიამოვნებით? როცა ის ქუჩაში მიდიოდა, არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს გოგონა ნამდვილი პარიზელია. თავისსავე ოცნებით შექმნილ პარიზში მარტინას მხოლოდ ერთი ვინმე აკლდა - ეს იყო დანიელი. ბევრს არ მოითხოვდა მარტინა; ის ფუფუნების მოჩვენებით სამყაროში ცხოვრობდა, და ამით სავსებით კმაყოფილდებოდა, მხოლოდ როგორც სოფელში, აქაც უნდა ჰქონოდა დანიელის თუნდაც შორიდან ნახვის მცირე იმედი მაინც.

მარტინა ფიქრობდა, პარიზში ერთმანეთს ვერ შევხვდებითო, ეს კი მისთვის სიკვდილი იყო. სოფელში დაბრუნებაც აღარ შეეძლო: წამოსვლისას, როცა მარტინამ განუცხადა დედას, სამუდამოდ გადავდივარ, ქ-ნ დონზერთან ერთად პარიზშიო, მარი საპარიკმახეროს ფანჯრების წინ გამოცხადდა, წყევლითა და უწმაწური გინებით იქაურობა აიკლო. მარტინა ჯერ სრულწლოვანი არ გახლდათ, ამიტომაც ვალდებული იყო დედას დამორჩილებოდა და სოფლიდან ფეხი არ მოეცვალა... ღამით, საპარიკმახეროს ფანჯრების წინ მომხდარი საშინელი სცენის შემდეგ, მარტინა ქოხში დაბრუნდა. დედას ეძინა. მარტინამ იგი გააღვიძა და უთხრა: „იცოდე, მოვალ და თავს ჩამოვიხრჩობ აქ, - გოგოამ უჩვენა კაუჭი, რომელზედაც ლამპა იყო ჩამოკიდებული, - და დავტოვებ წერილს, დედაჩემმა მიმიყვანა აქამდე-მეთქი... იმიტომ რომ არასდროს, გესმის, არასდროს არ ვიცხოვრებ ამ ფუნაში“. მარიმ დაიწყო წვრილი ხმით მოთქმა-ტირილი, ძუძუთა ბავშვივით წრიპინებდა. მარტინა უცდიდა. „წადი, - უთხრა ბოლოს მარიმ, - გაეთრიე აქედან, შე საზიზღარო! ჩემმა თვალმა აღარ დაგინახოს!“. „კარგი, - მიუგო მარტინამ, მაგრამ არ გაბედო და უკან არ გამომიძახო. თუ დავბრუნდები, მხოლოდ იმისთვის, რომ თავი ჩამოვიხრჩო აი აქ!“ და მან კიდევ ერთხელ უჩვენა კაუჭი, რომელზედაც ლამპა იყო ჩამოკიდებული. ამის შემდეგ განა შეიძლება სოფელში დაბრუნება?

არა, მარტინამ რაღაც უნდა იღონოს. მთელ ამ უზარმაზარ სამყაროში მარტინასთვის მხოლოდ ერთი კაცი არსებობდა - დანიელ დონელი. გოგონა პარიზში ცხოვრობდა, მაგრამ რაა პარიზი,ან თუ გინდ მთელი მსოფლიო, დანიელის გარეშე...

ზოგჯერ მარტინას მწარე სევდა მოერეოდა, სასო წარეკვეთებოდა...

ასე იყო იმ საღამოსაც, როცა მარტინა მიდიოდა გალერეის ცივ, მყუდრო თაღებქვეშ, სენ-ფლორანტენისა და რუაიალის ქუჩებს შორის. ამინდიც საშინელი იყო. კოკისპირულად წვიმდა. მარტინას სულშიაც ისეთივე ნაღველი, სიცივე და მარტოობა გამეფებულიყო, როგორც ამ მყუდრო, რკინის მოაჯირით შემოზღუდულ გალერეაში. ის სამუშაოდან ბრუნდებოდა; გათოშილს ფეხი დასველებოდა... დედა დონზერმა დილით უთხრა, თხელი ულტობი წამოსასხამის ქვეშ ნაქსოვი ზედატანი ჩაიცვიო. მარტინა შეცდა, რომ არ დაუჯერა. ახლა იდგა, წვიმის გადაღებას ელოდა, რათა უცებ გადაერბინა ქუჩა და მეტროში ჩასულიყო. წვიმა კი მატულობდა და მატულობდა. ნეტავ რამდენი ხანი დასჭირდება კიდევ ცდა? თანხმობის მოედნის ხეფენილი უზარმაზარ ტბასავით ბზინავდა წყალში პირუკუღმა არეკლილ ფარნებს ნათელი ზოლები მოჰყვებოდა და მათზე ბზიალასებრ ტრიალებდნენ ავტომანქანები. დეპუტატების პალატა სენის მეორე ნაპირზე სრულიად აღარ ჩანდა.

თაღებს ქვეშ ჩრდილებია... მარტინა მიუახლოვდა რკინის წნელებზე ჩამოკიდებულ გაზეთებს, იქვე გვერდით მოკრუნჩხული და ფეხმოკეცილი გამყიდველი ლამობდა წვიმისგან თავი შეეფარებინა. ქოლგიანი გამვლელები ფულს აწოდებდნენ, გაზეთს იღებდნენ და მეტროს შესასვლელისკენ გარბოდნენ. ხალხით გავსებულ ავტობუსებს უჭირდათ მოძრაობა, თითქოს ამოდენა ტვირთის ზიდვა აღარ ძალუძთო. ჩვეულებრივად მარტინა ავტობუსით ბრუნდებოდა, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელი იყო, ისევ მეტროში ჩასვლა სჯობდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ იდგა სველი შალეულის სუნი, ადამიანთა სუნთქვისა

და ტანისამოსის მძიმე ოხშივარი. რა გაეწყობა... მარტინამ თაღის ქვეშ გადადგა ნაბიჯი გამოსასვლელად. მაგრამ რკინის მოაჯირის იქითა მხრიდან ვიღაცის გამოხედვამ ადგილზევე გააშეშა: მის წინ იდგა დანიელ დონელი, - თავშიშველი, წვიმისგან დასველებული, ხელში გაზეთი ეჭირა და თვალს არ აშორებდა მარტინას.

- მარტინა! - დაუძახა დანიელმა და მისი ხმა რკინის მოაჯირიდან კი არა, თითქოს სადღაც შორიდან მოისმა, წავიდეთ, - გროგი დავლიოთ, ცოტათი გავთბებით.

მარტინა გაჰყვა გალერეის ბნელ თაღებს, ხოლო დანიელი გვერდით მიჰყვებოდა ქვაფენილზე, ხან თვალს მოეფარებოდა ქვის ბოძებს უკან, ხან კი გამოჩნდებოდა მოაჯირს იქით, ბოძებს შორის. ყოველ მის გაუჩინარებაზე მარტინას გული ეკუმშებოდა, ბოლოს სენ-ფლორანტენის ქუჩის კუთხეში ისინი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. დანიელმა ნიდაყვში წაავლო ხელი მარტინას, ქუჩაზე გადაიყვანა და პირველსავე ბარში შევიდნენ. იქ ისეთი სივიწროვე იყო, როგორც რკინიგზის სადგურში და მათ ძლივს იშოვეს თავისუფალი მაგიდა საპირფარეშოსა და ავტომატური ტელეფონის ჯიხურს შორის. ირგვლივ თამბაქოს სქელი კვამლი იდგა და მოისმოდა ქილვაშიანი, კანჭებზე გადაჭიმული ვიწრო შარვლიანი ყმაწვილების ხმამაღალი ლაპარაკი.

- მოდი, ერთად ვისადილოთ! როცა პარიზში შენიანს ნახავ...

- ჰო, პარიზი რომ არა...

მიხვდა თუ არა დანიელი ყოველივე იმას, რისი თქმაც ეწადა მარტინას დაუმთავრებელი ფრაზით: „პარიზი რომ არა...“

- ვისადილოთ ერთად, - გაუმეორა ვაჟმა დაჟინებით..

- მელოდებიან.

- ვინ?

- ქ-ნი დონზერი.

- დაურეკეთ.

მარტინა ადგა და ტელეფონთან მივიდა. თამბაქოს კვამლში ძლივს გაარჩია ფერმკრთალი მოლარე ქალი, რომელსაც წინ ელაგა ტელეფონის ჟეტონები, თოხლო კვერცხებისა და ცელოფანში გახვეული ნუშის ღვეზელების გვერდით. მარტინამ გააღო კარი წარწერით: „ტელეფონი“. მან სწრაფად დაავლო ხელი ყურმილს, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგოდა ვიღაცის ხელისა და ყურის სითბო... სუნამოს არომატი... მარტინამ მაშინალურად ააწყო ნომერი. გული საშინლად უცემდა: „სესილ, ნუ დამელოდებით... მე დანიელს შევხვდი...“ მილი დასდო და არც კი მოუსმინა, რასაც უყვიროდა სესილი ტელეფონის მილში.

## ბარდის მარცვალი

დილით, ჩვეულებრივად, ყველანი ერთად საუზმობდნენ სამზარეულოში მაგიდასთან, რომელსაც ეფარა მოწყლისფრო-მწვანე პლასტმასის სუფრა, ყოველთვის სუფთა და ქათქათა. ყავა თეთრ ყავადანში, კარაქი, მურაბა, შებრაწული პური... ყვავილებით მოხატული ფინჯნები, მელქიორი... სესილი და მარტინა ხილის წვენსაც სვამდნენ, ხოლო ბ-ნი ჟორჟი მიირთმევდა ერბო-კვერცხსა და ლორის პატარა ნაჭერს. რადიო წყნარად ღუღუნებდა, მაგრამ არავინ არ უგდებდა ყურს გადაცემას, სულ ერთია, მუსიკა იყო ეს თუ საუბარი. ამ ზომიერი ხმაურის ფონზე უფრო ძლიერად იგრძნობოდა საოჯახო მყუდროება.

- უბედნიერესი კაცი ვარ, - თქვა ბ-ნმა ჟორჟმა, გადაშალა გაზეთი, შეიყნოსა ყავისა და დაბრაწული პურის სუნი და დასძინა, - გისურვებთ სასიამოვნო დღეს, საყვარელო მანდილოსნებო!

ქ-ნი დონზერი, ახლა უკვე ქ-ნი ჟორჟი, ტარტინებს უმზადებდა ქმარს, თან თვალს არ აშორებდა მარტინას, რომელიც თვალებჩალურჯებული და მდუმარე იჯდა. სესილი მარტინასაც შესცქეროდა და საათსაც: ის მუშაობდა სტენოგრაფისტ-მემანქანედ სატურისტო სააგენტოში. ოთხივეს საკმაოდ ფული შემოჰქონდათ სახლში და ბ-ნ ქორჟს არ უჭირდა ბინისა და საპარიკმახეროს ღირებულების გადახდა ნაწილ-ნაწილ. საპარიკმახეროცა და ბინაც ახლახან აშენებულ სახლში იყო მოთავსებული ორლეანის ჭიშკართან. ქ-ნი დონზერი, მაპატიეთ, ქ-ნი ჟორჟი საპარიკმახეროს სალაროს განაგებდა. საპარიკმახეროში, გარდა ბ-ნ ჟორჟისა, კიდევ ორი შეგირდი მუშაობდა. ქალს ერჩივნა თავისი ხელობა განეგრძო, მაგრამ სათავსო ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა, ხოლო ის არავითარ შემთხვევაში არ გაუწევდა წინააღმდეგობას თავის ქმარს. ბ-ნი ჟორჟი საოცრად სასიამოვნო ადამიანი იყო, ყოველთვის სუფთად და ფაქიზად ჩაცმული, თითქოს ქალთა პარიკმახერი ყოფილიყოს, მაღალ-მაღალი და... მელოტი კაცი.

- კეთილი და პატიოსანი, - თქვა ბ-ნმა ჟორჟმა და დაკეცა „პარიზიერ ლიბერეს“ გაზეთის ნომერი, - აქ ახალი არაფერია, ჩვენი საქმე ისევე ცუდად მიდის, როგორც ყოველთვის. - ჩავიდეთ ძირს, ქ-ნო დონზერ! გოგონებო, გოგონებო, აჩქარდით!

აღარ წვიმდა. დილის ფუსფუსს აევსო პარიზის ნოტიო, გრილი, დასველებული ქუჩები. გამვლელ-გამომვლელები

მომართული საათივით, იქითკენ ეშურებოდნენ, საითკენაც ჯერ არს. სესილი და მარტინა ერთად სხდებოდნენ ავტობუსში, რადგან გზა ერთი ჰქონდათ. უკანასკნელ შეჩერებასთან ცხოვრობდნენ, ამიტომ ავტობუსში ერთსა და იმავე ადგილს იკავებდნენ. კონტროლიორი ღიმილით ხვდებოდა. ლამაზ ქალიშვილს ყველაფერი და ყველა უღიმის. მაგრამ როდესაც ორ ლამაზ ქალიშვილს ხედავ, ღიმილიც ორკეცდება და ხშირად საქმე ხუმრობამდე ანდა აშკარა ქათინაურამდე მიდის. სესილი და მარტინა ნამდვილი პარიზელები გახდნენ და ყოველივე ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. დადგება დღე, ისინი შეამჩნევენ, რომ მათ აღარ - უღიმიან, და ეს ისეთ არაჩვეულებრივ ამბად მოეჩვენებათ, ისე დაიბნევიან, თითქოს სენა გაქრა პარიზიდან ანდა დღე-ღამის ჩვეულებრივი მონაცვლეობა დაირღვაო. მაგრამ ჯერ ეს დრო მათგან შორის იყო, კონტროლიორმა გაუღიმა ქალიშვილებს, მათ პირდაპირ მჯდომი მგზავრი ცდილობდა მუხლით შეხებოდა, ხოლო როცა ადგა, თვალი ვეღარ მოაცილა მათ... ყველაფერი რიგზე იყო...

სესილი არაფერს ეკითხებოდა მეგობარს. გუშინ მარტინა ძალიან გვიან დაბრუნდა და როცა სესილის საწოლს მოუჯდა, თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი, მაგრამ თითქოს ვერაფერს ხედავდა. მან მხოლოდ ის უთხრა სესილს, დანიელს შევხვდი და ერთად ვისადილეთ რესტორანში სენ-ლაზარის რკინიგზის სადგურის მახლობლადო. მარტინა პირდაუბანელი დაწვა - გაუგონარი ამბავი, ეს არასოდეს არ მომხდარა, რაც ისინი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. სესილს ჯერ კიდევ არ ეძინა, მას ესმოდა მარტინას მშვიდი სუნთქვა. სესილი ისევ დანიშნული იყო... სოფლელი პოლის შემდეგ მას სხვა საქმროებიც ჰყავდა, მაგრამ ამა

თუ იმ მიზეზის გამო, ქორწილი იშლებოდა. ამჯერად საქმეს თითქოს კარგი პირი უჩანდა, თუმცა ჟაკს ოფიციალურად ჯერ არ უთხოვია სესილის ხელი. ჟაკი რენოს ქარხნის მუშა იყო და სესილი მას დედის ბიძაშვილთან გაეცნო. - ქ-ნი დონზერი სულ სხვა სიძეზე ოცნებობდა, მაგრამ რადგან სესილმა ეს შეიყვარა, ან ჰგონია, მიყვარსო...

- შენ ჟაკთან ისაუზმებ? - ჰკითხა მარტინამ, უფრო იმისთვის, რომ რაღაც ეთქვა, სანამ თანხმობის მოედანზე ჩამოვიდოდა, რადგან მთელი გზა ერთმანეთისთვის ერთი სიტყვა არ უთქვამთ, თითქოს უმძრახად ყოფილიყვნენ, - და, იცის ღმერთმა, რომ ეს ასე არ იყო! არასდროს, არც სკოლაში, არც მის შემდეგ ისინი ერთმანეთს არ დამდურებიან.

- კი... საღამომდის, მარტინა?

- ჰო, ჰო... საღამომდის...

მაშ საღამოთი მარტინა არ შეხვდება დანიელს.

ქ-ნი დენიზა, - მაღალი, მოხდენილი ტანის, წარმოსადეგი, ჭაღარათმიანი, მაგრამ ახალგაზრდული სახის ქალი, ჩალისფერ კაბაში გამოწყობილი, მიდი-მოდიოდა დარბაზებში, ყველაფერს თვალყურს ადევნებდა და თან საათს მისჩერებოდა: საცაა უნდა მოსულიყვნენ პირველი კლიენტი-ქალები. ქ-ნი დენიზა - „სილამაზის °ინსტიტუტის“ დირექტორი - მარჯვენა ხელი იყო ამ წამოწყების პატრონისა, რომელიც აქ იშვიათად თუ ოდესმე გამოჩნდებოდა. გასახდელ ოთახში მოსამსახურენი ცისფერ ანგელოზებად იქცნენ და აჩქარებით მიაშურეს თავიანთ კაბინებს, იქ წესრიგი დაამყარეს, დააწყვეს და დაალაგეს პატარა ქილები, ტუბები, ფლაკონები, ბამბა, დოლბანდი, კრემები  და ფერუმარილი... ყველაფერი უკვე მზად იყო:

გაწმენდილ-განიავებული, გარეცხილ-გამშრალებული, თეთრეული გამოცვლილი, ხოლო კარადებში შელაგებული იყო პირსახოცები, პენუარები და სხვა მისთანანი.

მარტინა შევიდა კაბინში, სადაც ტახტზე წამოწოლილი კლიენტი ქალი ისვენებდა მასაჟის შემდეგ. ბალიშზე იდო მისი გაშიშვლებული ხელი. წვრილი, გრძელი თითები, ვარდისფერი ფრჩხილები, ნაზი ხელის გული, ოდნავ შესამჩნევი ხაზებით... ქალი პირაღმა იწვა, გრძელ ხაოიან ზეწარში გახვეული, სახეზე სველი ხელსახოცი ეფარა. სასთუმალთან ქ-ნი დიუპონი, კოსმეტიკოსი ქალი, სინჯავდა თავის პომადებს, მალამოებსა და ლოსიონებს... ირგვლივ სიწყნარე და მყუდროება სუფევდა.

- გთხოვთ, ნუშის ფორმა მიეცით, - გაისმა ხმა და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

- ლაქი იმავე ფერის წავუსვა?

- ქ-ნო დიუპონ, თუ შეიძლება, გამითავისუფლეთ თვალი!

ქ-ნმა დიუპონმა მოხსნა მას ხელსახოცი და უცებ გამოჩნდა ქალის სახე. ის წარსდგა მარტინას წინაშე მთელი თავისი სახელგანთქმული სილამაზით, შუქმფინარე მუქი ლურჯი თვალებით; ქალმა, რაკი წინასწარ იცოდა, რა ძლიერსა და აუცილებელ შთაბეჭდილებას ახდენს მისი სილამაზე, გაუღიმა მარტინას. მარტინა, მართლაც განცვიფრდა, თუმცა მისი ფიქრები შორს იყო... მოწიწებით ადებდა იგი ლაქს ნუშისებრ მოქლიბულ ფრჩხილებს, ერთგვარ მთრთოლვარე ბედნიერებასაც კი განიცდიდა. იმდენად მშვენიერი და უზადო იყო ეს ხელები... რა ბედნიერია, რომ ასეთ საპატიო დაწესებულებაში მუშაობს. ოღონდ კი დანიელი... იგი კვლავ ოცნებას მიეცა, მაგრამ ამ ოცნებაში გაჩნდა რაღაც ახალი, ხელშესახები - ცოცხალი სინამდვილე, უდავო

რეალობა, რომელსაც ვერ ჩამოქლიბავ ნუშისებურად, როგორც ფრჩხილს, რეალობა... რომელსაც ლაქი ვერ დაფარავ... კაცი, რომელიც თავის ჭკუაზე დადის. ერთი მეორეს შემოჰყვნენ კლიენტი ქალები. მარტინა განუწყვეტლად აკეთებდა მანიკურს.

„ინსტიტუტს“, სადაც ორასამდე ორივე სქესის თანამშრომელი მუშაობდა, საკუთარი სასადილო ჰქონდა. მარტინამ იქ ისაუზმა. პირმომღიმარე საუზმობდა, როგორც ყოველთვის, მაგრამ თავის ტკივილი მოიმიზეზა და საერთო საუბარში არ ჩარეულა.

- დღეს ფერმკრთალი ხართ, მარტინა. - უთხრა მას ქ-ნმა დენიზამ, რომელსაც მოსწონდა ეს ლამაზი, გულმოდგინე და სანიმუშო თანამშრომელი, - დღეს ბევრი კლიენტი გყავდათ?

- მთელი დღე განაწილებულია.

- თქვენ ძალიან კარგად მუშაობთ, ამიტომ ყველა თქვენთან მოდის!

მარტინა ძალიან შეეთვისა თავის პროფესიას, ფირმასა და თანამშრომლებს, პარიზსაც. ოღონდ კი დანიელი...

- ჩვენი საუკუნე, - თქვა ბ-ნმა ჟორჟმა საღამოთი, როცა მთელი ოჯახი შეიკრიბა მოწყლისფრო-მწვანე სუფრაგადაფარებული მაგიდის გარშემო, რომელზედაც ლანგრით შემწვარ კარტოფილიანი ბიფშტექსი იდო, - ჩვენი საუკუნე სცნობს მხოლოდ ერთ ღვთაებას, - სილამაზეს. შენ რომ გვიამბობ, მარტინა, ის თავადის ასული - ნამდვილი თავადის ასულია, თუ გინდ სენტ-უზის გარეუბანში იყოს დაბადებული. მეოცე საუკუნეში არისტოკრატულ ტიტულს მნიშვნელობა არა აქვს, წარჩინებულობა გარეგნობით

განისაზღვრება, „გუთურ ალმანახში“ ჩახედვა როდიღაა საჭირო. თქვენ, ორთავენი, გოგონებო, თავადის ასულები ხართ, ამაში ეჭვი ნუ შეგეპარებათ, ხოლო ჩემი ცოლი - დედოფალია!

ბ-ნი ჟორჟი ბუნებით თავაზიანი კაცი იყო, საამისოდ ძალდატანება არ სჭირდებოდა. ჰაეროვანი ღვეზელიც რომ მიირთვეს, ბ-ნი ჟორჟი სასტუმროში გადავიდა, ხოლო ქალებმა ჭურჭელი დარეცხეს და სამზარეულო მიალაგეს. ნაგავსადენმა და ცხელმა წყალმა გააადვილა საქმე და ბ-ნ ჟორჟს არ დასჭირვებია დიდხანს განმარტოებით გაზეთის კითხვა, მალე დედა დონზერი გვერდით მიუჯდა და ამოიღო საქსოვი ხელსაქმის ყუთიდან; მარტინა მანიკურს უკეთებდა სესილს, რადიო წყნარად მღეროდა. დაე, გარეთ რამდენიც უნდა, იმდენი იწვიმოს! ბ-ნმა ქორჟმა ფეხები გაჭიმა, საღამოს გაზეთი დაბალ მაგიდაზე დადო და განაგრძო: - სილამაზე... სილამაზე... მყიფე ტიტულები, მყიფე დიდგვაროვნება...

ღრმა სევდით აღსავსე ვიოლინოს ჩივილი თითქოს ადასტურებდა მის სიტყვებს. ბ-ნი ჟორჟი ერთხანს ჩუმად უსმენდა მუსიკას, შემდეგ კვლავ ჩაფიქრდა და წარმოთქვა:

- მარტინა, თუ გაქვს შეგნებული, რომ შენ უკვე ორი ტური მოიგე თამაშში? შენი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე...

მარტინა მასაჟს უკეთებდა სესილის ხელებს ნუშის პასტით. დედა დონზერმა სათვალის ზევიდან გადახედა ქმარს: ჟორჟი არაჩვეულებრივად თავდაჭერილი ადამიანია, მაგრამ გოგონები ისე სათუთი და თან ფხუკიანები არიან... ნეტავი იცის თუ არა ჟორჟმა, რას ნიშნავდა მარტინასთვის გუშინდელი შეხვედრა?

- ორი ტური... ერთი, როცა დედა დონზერმა თავისთან აგიყვანა. მეორე როცა დედა დონზერმა პარიზში ჩამოგიყვანა. ისაა შენი

იღბალი და ბედნიერი ვარსკვლავი. იფიქრე: ტყეში დაკარგული მარტინა ცხოვრობს თანამედროვე გემოვნებით მორთულ პარიზულ ბინაში! ის ლამაზია, მუშაობს ჩინებულ დაწესებულებაში... მესამე ტურში მარცხი არ მოგივიდეს, გოგონა!

დედა დონზერმა საქსოვი გვერდზე გადადო: ის ნერვიულობდა და სულ თვლები უვარდებოდა. საერთოდ, ისიც და მთელი ოჯახიც შეშფოთებული იყო მარტინას გუშინდელი თავგადასავლით, მაგრამ ამაზე ლაპარაკის ჩამოგდებას ვერავინ, თვით სესილიც კი ვერ უბედავდა. ეს შეხვედრა პარიზში, მართლაც, არაჩვეულებრივი რამ იყო. გოგონებს სჩვევიათ ოცნება, ისინი რომანტიკულები არიან, მაგრამ შეხვდებიან თუ არა რეალურ მამაკაცს, ოცნება იფანტება... ქ-ნ დონზერის აზრით, მარტინა მეტად ჯიუტად ჩაებღაუჭა დანიელზე ოცნებას. აქამდე ქ-ნი დონზერი მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ რეალური ადამიანი იგვიანებს და რომ მარტინას გატაცება დანიელით, რომელსაც ის არც კი დალაპარკებია ცხოვრებაში, შეშლილობას ჰგავს. რომელი გოგონა არ მოხიბლულა პირველად შემთხვევით შეხვედრილი ადამიანით? გოგონებს სჭირდებათ სასიყვარულო ოცნების საგანი, ვიდრე რეალური მამაკაცი არ გამოჩნდება, მაგრამ, ქ-ნი დონზერის აზრით, მარტინას ფანატიკური სიჯიუტე და მოთმინებით აღსავსე მოლოდნი მეტისმეტი იყო. თანაც, დანიელი ისე ჩაუვლიდა-ხოლმე, რომ ხმასაც არ გასცემდა... და აი ახლა, ქ-ნ დონზერს უნდოდა ელაპარაკა მარტინასთან, გაეფრთხილებინა იგი. რატომ გაეფრთხილებინა? რა საფრთხე ელოდა გოგონას? დანიელს საყვედური არ ეთქმის, აქამდე არ ცდილა ესარგებლა

შემთხვევით, პირიქით, ის ყველასგან პატივცემულ ოჯახს ეკუთვნოდა; ამბობენ, მამამისი მდიდარი კაციაო, თუმცა ძველებურ ყაიდაზე მოწყობილ ფერმაში ცხოვრობსო. მაშ, რატომ აშფოთებდა ქ-ნ დონზერს ეს დანიელი? იქნებ მარტინას ასეთი გატაცება აფრთხობს? თუ რაიმე გრძნეულება ან ჯადოქრობა ურევია ამ საქმეში, ეს სწორედ მარტინასგან მოდიოდა. რა იცოდა პირადად დანიელის შესახებ ქ-ნმა დონზერმა? ის, რომ დანიელი წინააღმდეგობის მოძრაობის გმირი იყო... მერე ეს ხომ სასახელოა!... მაგრამ სიკვდილით მისჯამდე რომ მიიყვანა თავისი საქმე, ეს ვერაფერი ჭკუაა. თავისი გმირობის გამო ასაკგადაცილებული სტუდენტი, ოცდასამი წლის კაცი მხოლოდ ახლა შევიდა მებაღეობის უმაღლეს სკოლაში, ვერსალში რომაა... როდისღა უნდა დაიწყოს დამოუკიდებელი ცხოვრება, მოიპოვოს საარსებო სახსარი?

დანიელის მამაზე ამბობენ, მომჭირნე კაცია, ფულს ადვილად არ შეელევაო. თანაც მარტინას ასეთი მგზნებარე და სამარადისო სიყვარული ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დანიელსაც მარტინა ასევე შეუყვარდება, ხომ შეიძლება ისარგებლოს მისი გრძნობით და შემდეგ მიატოვოს? ეს მარტინა ნამდვილი დამთხვეულია! დედა დონზერი თავის თავსაც ადანაშაულებდა: ის ხომ ჭეშმარიტი კათოლიკეა! რატომ ვერ ჩაუნერგა მარტინას, ასე ვთქვათ, მომაკვდინებელი ცოდვის შიში. რაც ისინი პარიზში გადმოსახლდნენ, გოგონებს ვინღა ჩივის, თვით ქ-ნი დონზერი აღარ ყოფილა ეკლესიაში, კვირადღეობითაც კი. ბ-ნი ჟორჟი ერთობ პატივსა სცემდა თავისი ცოლის სარწმუნოებრივ გრძნობებს, მაგრამ ქ-ნი დონზერი ვერ მოსთხოვდა, ასე რადიკალურად შეეცვალა კვირა დღის განრიგი. მაგრამ ახლა ეკლესია იქით იყოს...

ერთი სიტყვით, მარტინას დედობილი და მამობილი მეტად შეშფოთებულნი იყვნენ მისი ბედით.

- მარტინა ყოველთვის გონებადამჯდარი, დინჯი გოგონა იყო, - თქვა დედა დონზერმა, - და მართლაც, თავისი ზნეჩვეულების პატრონი მუშას ვერ მისთხოვდება. არც აპირებს; აი, მე თვითონ მუშის ოჯახიდან ვარ, ჩემი პირველი ქმარიც მუშა იყო, მაგრამ მშვენივრად მესმის, რომ ჩემი ქალიშვილები სხვა მდგომარეობას ესწრაფვიან... უფრო მაღლა მიიწევენ...

- დედა, - შეეპასუხა სესილი, არავინ არ აპირებს შენზე „მაღლა“ დადგომას. რაებს იგონებ! ჟაკიც მუშაა და ძალიან კარგია, რომ ეს ასეა.

მარტინა განაგრძობდა სესილის თეთრი ხელების მასაჟს. მისი საკუთარი ხელები გრძელი, მბზინავი ვარდისფერი ფრჩხილებით, უზადო იყო.

- ცხოვრება გვიჩვენებს, „ძალიან კარგია“ თუ არა, „რომ ეს ასეა“, - მოუთმენლად უპასუხა დედა დონზერმა, - მაგრამ მარტინას შენზე კიდევ უფრო ნაკლებად შეეფერება მუშის ცოლობა. თქვენ ორთავენი თავადის ასულები ხართ, ჟორჟმა სწორად თქვა. ამას დიდი ლარი და ხაზი არა სჭირდება, მეტადრე მარტინას მიმართ. მარტინამ ძალიან კარგად იცის, რომ შევა თუ არა ოდნავ უსუფთაო საპირფარეშოში, მაშინვე გული ერევა... პირსახოცებიც ყოველდღე უნდა გამოიცვალოს... და ლოგინი! ლეიბი თუ ძალიან რბილი არაა, მაშინვე წელი ასტკივდება. მალე ბატისტის ზეწრები დასჭირდება.

- მეფის ასულია, ბარდის მარცვალიც რომ შეამჩნია? ეს საინტერესოა... საინტერესო...

ბ-ნმა ჟორჟმა ხელი გადაისვა მოლაპლაპე მელოტ თავზე. ის ოცნების გუნებაზე იყო, რადგანაც ერთდროულად უსმენდა ცოლსაც და მორიგ „შესაქცევ“ მოთხრობასაც რადიოში, ამიტომაც ძნელი გასაგები იყო, თუ რას ეკუთვნოდა მისი „საინტერესოა“...

- თქვენ იცით ბარდის-მარცვალა მეფის ასულის ზღაპარი, მშვენიერო ბანოვანებო? ერთ დედოფალს ეწადა თავისი ვაჟისათვის ცოლად შეერთო ნამდვილი მეფის ასული... სარძლოებს დედოფალი თავისებურ გამოცდას უწყობდა: ღამით შინ იტოვებდა და მშვენიერ საწოლზე უგებდა მრავალ ურბილესსა და უნაზეს ბუმბულის ლეიბს... იმდენი ლეიბი იყო ერთი მეორეზე შელაგებული, რომ ქალიშვილი, რომელსაც მეფის ასულად მოჰქონდა თავი და უფლისწულის ცოლობა ეწადა, სულ ზევით, ცისფერი აბრეშუმის მიჩინგდანს ქვეშ უნდა დაწოლილიყო... და აი, ამ ფაფუკი ბუმბულების გორაკის ქვეშ დედოფალი დებდა მხოლოდ ერთ პაწაწინა ბარდის მარცვალს. დილით ის მიდიოდა ქალის გასაღვიძებლად და ეკითხებოდა: როგორ გეძინათ, მეფის ასულო? როგორ მოგეწონათ ლოგინი? და ყველა ქალიშვილი პასუხობდა: „ო, დედოფალო, მშვენივრად მეძინა, ლოგინი მეტად რბილი იყო...“ მაშინ დედოფალი ეუბნებოდა მას: „გაეთრიე აქედან! შენ მეფის ასული არა ხარ!“ და აი, ერთხელ სასახლეში მოვიდა ერთი ქალიშვილი, თითქმის გოგონა... ჩითის კაბა ემოსა და ფეხზე ხის ქოშები ეცვა. გრძელი ნაწნავები ორჯერ შემოეხვია ლამაზ თავზე, წერწეტა წელი კისერზე უმსხვილესი არა ჰქონდა, ხოლო თვალები ორი ვარსკვლავივით უბრწყინავდა... „მე ვარ შორეული ქვეყნის მეფის ასული, - უთხრა მან დედოფალს, - და მსურს, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენს ვაჟს მივთხოვდე, რადგან მუდამ მიყვარდა იგი, იმ დღიდან, რაც სულ პატარამ მისი სურათი

დავინახე“...

- ილუსტრირებულ ჟურნალ „მატჩში“... - სიცილით ჩაურთო სესილმა, მაგრამ სხვებმა გააჩუმეს.

- რა უტიფრობაა! - უპასუხა დედოფალმა, - ჩემი ვაჟი ბევრად უფრო ლამაზია, ვიდრე „მატჩში“ გამოქვეყნებული მისი სურათი, ხოლო თქვენ ბატების მწყემსვა შეგფერით და არა მისი ცოლობა! მაგრამ მე მაინც, სახუმაროდ, მინდა ღამე გაგათევინოთ ჩემს სასახლეში... და აი, ეს გოგონა, თავისი ჩითის კაბითა და ხის ქოშებით წაიყვანეს მდიდრულ საწოლ ოთახში, სადაც წინასწარ მომზადებული იყო საწოლი ყველა თავისი ლეიბითა და არშიამოყოლებული ზეწრებით, და აგრეთვე ბარდის მარცვლით, რომელიც ძირს იყო დადებული. მოახლე ქალებმა ტანთ გახადეს გოგონას, გაუშალეს ოქროსფერი ნაწნავები და ნიავზე ზღვის ტალღებივით მოლივლივე თმა იატაკს დასწვდა. გოგონამ თმით დაფარა თავისი სიშიშვლე, საწოლზე მიდგმული კიბით ავიდა და ლეიბებს ზევით მოექცა...

ტელეფონის ზარმა შეწყვიტა ბ-ნ ჟორჟის თხრობა. მარტინამ ხელი გაუშვა სესილს.

- შენ გაეცი პასუხი, - უთხრა მან სესილს ყრუ ხმით.

სესილიც პატარა ვესტიბიულში გაიქცა.

- ალო! ალო!... - ისმოდა მისი ხმა, - ჰო, ჰო! ჟაკ! ეს მე ვარ... - სესილმა ფეხით კარი მიხურა და ხმაც მიწყდა, რადგან საუბარი ჩურჩულით განაგრძო.

- რა ხანია ერთმანეთს ხვდებიან, დროა ვაჟმა ცოლად წაყოლა თხოვოს.

დედა დონზერს ამ საღამოთი აშკარად ეტყობოდა

ნერვიულობა. ყველა გაჩუმდა სესილის მოლოდინში. ისიც მალე დაბრუნდა, დაჯდა ფერმკრთალი და უძრავი მარტინას წინ. ხელი გაუწოდა და თქვა:

- განაგრძე, მამა. გოგონა ლეიბებს ზემოთ მოექცა... მერე?

- კარგი. - ბ-ნმა ჟორჟმა თავი სავარძლის ზურგს მიაყრდნო, მცირე ხნით ჩაფიქრდა და განაგრძო: - აი ის სულ მთლად ზევით ავიდა, აღარც კი სჩანდა გაშლილ თმაში ჩამალული. მიჩიგნდანი მისწიეს, სინათლე ჩააქრეს და ოთახიდან გავიდნენ. სასახლე ღამის წყვდიადმა მოიცვა. დილით დედოფალი სეფექალების თანხლებით შებრძანდა საწოლ ოთახში, სადაც სარძლოს ცდიდა. გასწიეს ზევიდან ჩამოშვებული ცისფერი აბრეშუმის მიჩიგნდანი, ვერცხლისფერი ვარსკვლავებით ამოქარგული და დაინახეს აშლილი ლოგინი, ძირს ჩამოგდებული ზეწრები და საბნები და სადღაც იქ, ზემოთ - თმააწეწილი გოგონაა, დაჭმუჭნილ ბალიშებზე უღონოდ მიყრდნობილი, ფერმკრთალი, თვალდალურჯებული. კითხვაც კი ვერ მოასწრეს, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს, სტუმარმა ქვითინი მორთო და ძლივს ამოილუღლუღა: „მაპატიეთ, თქვენო უდიდებულესობავ! მაგრამ მე ისეთი საზარელი ღამე გავატარე, რომ თვალი არ მომიხუჭავს, ყველაფერი მტკივა, მთლად დამტვრეული ვარ... არ ვიცი, რა იყო ამ ლოგინში, თითქოს ქვაფენილზე, რიყეზე ანდა კლდეზე მეძინა, საშინლად მტკივა წელი... ქვებზე რომ დამძინებოდა, ამაზე უარესად თავს არ ვიგრძნობდი“.

- მოდი, მომეხვიე და მაკოცე, - დაიძახა დედოფალმა, - აი, ვინაა ნამდვილი მეფის ასული! ნებას ვრთავ ჩემს ვაჟს ცოლად შეგირთოს. იბედნიერეთ! - უფლისწული მიესალმა თავის საცოლეს, ისინი დაქორწინდნენ და მრავალი შვილი შეეძინათ.

- ეს ყველაფერი მშვენიერია, მაგრამ მე ვერსად ვხედავ უფლისწულებს ჩემს ბარდის-მარცვალა ასულებისათვის.

დედა დონზერი ადგა და სამზარეულოსკენ წავიდა ცაცხვის ყვავილის ჩაის დასამზადებლად, რომელსაც ისინი, ჩვეულებისამებრ, ყოველ ღამით მიირთმევდნენ. მან დაუძახა გოგონებს:

- დაისვენეთ, ბავშვებო, და ნუ ყბედობთ მთელ ღამეს...

სესილსა და მარტინას, ისევე როგორც სოფელში, აქაც ერთ ოთახში ეძინათ. საერთო სააბაზანო ჰყოფდა მათ ოთახს მშობლების საწოლისაგან. აბაზანის მისაღებად განრიგი იყო დაწესებული. მარტინა - საღამოობით, სესილი - დილაობით, ხოლო მშობლებს, რომლებიც მხოლოდ კვირაში ერთხელ ბანაობდნენ, კვირა დღე ჰქონდათ თავიანთ განკარგულებაში. ამგვარად, ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ.

სესილმა და მარტინამ ტანთ გაიხადეს. ყოველ მათგანს საკუთარი ტუალეტის მაგიდა ჰქონდა, იქ სანიმუშო წესრიგში ელაგა კოსმეტიკა. რა არ იყო! ქალიშვილები ისაკუთრებდნენ ბ-ნ ჟორჟის საპარიკმახეროდან არა მარტო ნიმუშებს, არამედ ყველაფერს, რაც კი მოესურვებოდათ. გარდა ამისა, არსებობდა კიდევ „სილამაზის ინსტიტუტი“, საიდანაც მარტინას მოჰქონდა ყველა კოსმეტიკური სიახლენი, და თან ყოველთვის იცოდა, რა სასწაულს უნდა მოელოდე კოსმეტიკური ხელოვნების ამა თუ იმ ნიმუშისაგან... ისინი ერთობოდნენ იმით, რომ სინჯავდნენ ყველა ახალმოდურ ფერუმარულს, ყველა ახალ სურნელს, რაც კი ეგზავნებოდა ბ-ნ ჟორჟსა და „ინსტიტუტს“ რეკლამის მიზნით. გარდა ამისა, მარტინასა და სესილს გაგიჟებამდე უყვარდათ პატარა კოლოფები: რა და რა ჯურის კოლოფები არ

ამკობდა მათ სატუალეტო მაგიდას: ფაიფურის, ბროლის, ქარვის, სადაფისა და ძვირფასი ხის... სატუალეტო მაგიდებს შორის პატარა თაროზე იდგა ლურდის ორი ღვთისმშობელი - ღამის ციცინათელები. გახდისას ქალიშვილები მაშინვე კიდებდნენ კაბებს კარადაში, ხოლო საცვლებს ალაგებდნენ წყლისფერ-მომწვანო ატლასით გადაკრულ პატარა, მტრედისფერ ლაქით მოკრიალებულ, ლუი XV-ის სტილის სკამებზე. სახლში ყველას უყვარდა მომწვანო-წყლისფერი ელფერი. მარტინას უფრო ფირუზის ანდა ცისფერი ერჩია. სესილს კი ვარდისფერი, ორივე ჰარმონიულად ეგუებოდა წყლისფერ-მომწვანოს... გადასაფარებლებიც წყლისფერ-მომწვანოები იყო, ხელოვნური ატლასისაგან. კედლებზე იგივე სურათები ეკიდა, რაც სოფელში: კინოვარსკვლავები, ნახევრად-ვარსკვლავები და ნახევრად ჩაცმული ლამაზმანები - მარტინასა და სესილს ეგონათ, რომ მათ საწოლ ოთახს ყველაფერზე უფრო შიშველი სხეულის გამოსახულება უხდება. საწოლებს შორის ღამის მაგიდა იდგა, ხოლო ყოველი საწოლის სასთუმალთან - დაბალი სავარძელი.

- როცა გავთხოვდები, - მარტინამ ტანთ გაიძრო და მთლად შიშველი წავიდა სააბაზანოსკენ, - მე მექნება სულ ახალი ყაიდის ელასტიკური ზამბარებიანი ლეიბი.

როცა მარტინა ბანაობას მორჩა, სესილი, ჩვეულებისამებრ, უკვე ლოგინში იწვა. თუმცა მარტინას ყოველთვის ცისფერი უყვარდა. ხოლო სესილს - ვარდისფერი, - ორივენი ამპირის სტილის, ერთნაირი ფასონის ღამის პერანგებს ამჯობნებდნენ: მკერდქვეშ გადაჭრილი მოკლე წელითა და ნაოჭ-ასხმული სახელოებით. მარტინა ტუალეტის მაგიდასთან იდგა და სახეზე კრემს იცხებდა, სესილმა უკვე შეასრულა ეს პროცედურა. ის პირაღმა იწვა უკან

გადაწეული და ბაფთით შეკრული თმით, და ცდილობდა არ დაესვარა ბალიშისპირი.

- მე ელსატიკური ზამბარებიანი ლეიბი მექნება, - გაიმეორა მარტინამ ლოგინში ჩაწოლისას, - ძვირია, მაგრამ ნაწილ-ნაწილ გადახდის საშუალება მომეცემა და ვერც კი შევამჩნევ, როგორ გადავიხდი...

მან ჩააქრო სინათლე და ცოტა ხმა აუწია რადიოს, რომლის თვალაკი ღვთისმშობლის ქანდაკების არ იყოს, ღამის ლამპარივით ანათებდა ოთახს.

- არ მინდოდა ეს მეთქვა, როცა ბ-ნი ჟორჟი გვიამბობდა მეფის ასულის ზღაპარს, მაგრამ უხერხულად ვწევარ! - თქვა მარტინამ - შენ?

- არა მიშავს... შუაში ჩაღრმავებულია საწოლი და იქ ვწევარ...

- მე კი გადავწყვიტე შევიძინო ელასტიკური ზამბარებიანი ლეიბი... შენ გძინავს, სესილ?

სესილს ეძინა. მარტინამ კვლავ დანიელზე დაიწყო ფიქრი. ფიქრებით მუდამ დანიელთან იყო, მაგრამ ახლა, როცა მთელ სახლს ეძინა, თავს უფრო ლაღად გრძნობდა. მარტინას გული აღსავსე იყო სევდით, შეშფოთებითა და ბედნიერებით... ვაითუ ისევ გაქრეს დანიელი! ვაითუ ისევ ყველაფერი თავიდან დაიწყოს! ისევ მოლოდინი! მან უკვე მოთმინება დაკარგა. ძალ-ღონე გამოელია... ერთმანეთს პაემანი დაუნიშნეს მომავალ შაბათ საღამოს, იმავე ადგილას, თაღებქვეშ. დანიელი ვერსალში ცხოვრობდა, მებაღეობის სკოლის საერთო საცხოვრებელში, მაგრამ მან თქვა, სტუდენტები თავის ნებაზე მიდიმოდიანო. ეს სკოლა სრულიად არ ჰგავს ინტერნატს. და მაინც, დანიელმა მეორე დღესვე არ დაუნიშნა შეხვედრა,

გონებადამჯდარი ყმაწვილია, გულმოდგინედ მოსჭიდებია მეცნიერებას და არ აპირებს მარტინას გამო მეცადინეობას ხელი შეუშვას. შაბათ საღამოს სწორედ მიტომ დაუნიშნა პაემანი, რომ თუკი გვიან დაბრუნდება, გამოძინებას მაინც მოასწრებს. ხოლო მარტინა მზად იყო სულ არ დაეძინა, ოღონდ არც ერთი წუთი არ დაეკარგა, დანიელისთვის ეცქირა, მისი ხმა გაეგონა, მისი ბაგე თავის ხელზე ეგრძნო... დანიელი არც კი ცდილა ეკოცნა მისთვის... ღმერთო ჩემო... მარტინას გული უწუხდა მოუთმენლობისაგან, მოლოდინი აუტანელი გახდა სწორედ ახლა, როცა შეიძლებოდა დღეების, საათებისა და წუთების დათვლა... რა ულმობელი ყოფილა რეალური ცხოვრება, - ის არაფერს არ უწევს ანგარიშს და ყოვლის შთანმთქმელი, თავისი გზით მიდის, მაგრამ მარტინამ უნდა დაიძინოს - დანიელისთვის, თორემ რას ემსგავსება ის შაბათს... და მარტინამ მაშინვე დაიძინა.

## დაბურული ტყის პირას

დანიელ დონელს ძალიან კარგად ახსოვდა ტყეში დაკარგული მარტინა. ის ყოველთვის ქვის ბოძკინტზე იჯდა სოფლის თავში. მარტინა ელოდებოდა და დანიელმა მშვენივრად იცოდა, სწორედ მე მელოდებაო. როდესაც ის ამ გოგონას შემთხვევით სადმე ხვდებოდა, დანიელს ეგონა, საცაა გული წაუვა მღელვარებისგანო, და არა მოულოდნელობისგან, რადგანაც თითქოს მათი შეხვედრა არც მოულოდნელი იყო და არც შემთხვევითი, თითქოს მარტინა დანიელს თავისი ცხოვრების ყოველ წამს ელოდა. პარიზშიაც, როცა დანიელმა მარტინა თაღებქვეშ დაინახა თანხმობის მოედანზე, ქალმა მას გამარჯობაც კი არ უთხრა, ისე შეხედა, ვითომ ვაჟმა

პაემანზე დაიგვიანა და მარტინაც უჯავრდება, ძლივს პასუხობს, ზედაც აღარ უყურებს... პირველსავე საღამოს მარტინა დანიელს ყველგან წაჰყვებოდა, მაგრამ ვაჟს ეს აზრი თავში არ მოსვლია. ამ ქალიშვილს, ასე ახალგაზრდას, კეკლუცობის ნიშანწყალიც კი არ ემჩნეოდა, თანაც ის ხომ მისი სოფლელი იყო! სოფელში დანიელი ხედავდა მის თვალწინ გაზრდილ, შეყვარებულ გოგონას, რომელიც შეუცნობლად და მორიდებით მიისწრაფოდა მისკენ. ეს მისწრაფება თითქოს რაღაც ბურუსში იყო გახვეული და ამ ბურუსისათვის ჯერ მარტინას ვერ დაეღწია თავი. სოფელში მარტინა მის გულში ერთგვარ პატივისცემას იწვევდა. პატიოსან დანიელს სრულიადაც არ უნდოდა წაექეზებინა გიჟური ოცნებები, რომელთა საგანი ის თვითონ იყო და არც ამაყობდა ამით: მარტინა ხომ პატარა გოგონაა მხოლოდ! სოფელში დანიელს სხვა სასიყვარულო ძაფი ჰქონდა გაბმული და მარტინაზე არც კი ფიქრობდა. მხოლოდ ერთხელ, პროჟექტორებით გაჩირაღდნებულ ციხე-დარბაზთან ქალაქ რ-ში მისი ყურადღება მიიპყრო თეთრმა სილუეტმა: იგი მარმარილოს ქანდაკებას ჰგავდა, მხოლოდ კვარცხლბეკიღა აკლდა. დანიელმა იცნო მარტინა და ის ვაჟს თვალწარმტაც არსებად დაესახა! როცა პროჟექტორები უეცრად ჩაქრა, თანამდგომელმა ღამემ გამბედაობა შემატა და დანიელმაც აღელვებით წარმოთქვა: „მარტინა, ნეტავ მე და შენ ტყეში დაგვკარგაო“. საბედნიეროდ, ვიღაცამ დაუძახა: „მარტინა!“.. ჯადო გაქრა, ვაჟი გონს მოვიდა, შემოაჯდა მოტოციკლს და გზას გაუდგა. საბედნიეროდ იმიტომ, რომ ეს ჩვენება ხომ მხოლოდ პატარა მარტინა იყო და დანიელმა იგი მაშინვე დაივიწყა.

სენ-ლაზარის რკინიგზის სადგურის რესტორანში, სად მათ ერთად ისადილეს, როცა დანიელი მარტინას თაღებქვეშ შეხვდა, ვაჟს უნდოდა ელაპარაკა იმ გრძნობებზე, რაც მაშინ, პროჟექტორების ჩაქრობისას, განიცადა. უცნაურია, მაგრამ ეს არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა... მან შორიდან დაიწყო, გაიხსენა დღესასწაული, არდადეგების დედოფლის არჩევა, - გაიხსენა მარტინას არჩევა დედოფლად. მაგრამ ქალს ამის გაგონებაც კი არ უნდოდა, ეს ამბავი სასაცილოდ მიაჩნდა! განა სასაცილოა, რომ ასზე მეტმა ჭაბუკმა ყველას ის ამჯობინა, ის დაისახეს წელიწადის საუკეთესო დროის, - არდადეგების, თავისუფლების, სუფთა ჰაერისა და მოკრიალებული ზეცის განსახიერებად.

- არა, - თქვა მარტინამ, - არდადეგები გაქონილი ქაღალდის ნაფლეთებია მხოლოდ.

- გაქონილი ქაღალდის ნაფლეთებიო? - აღშფოთდა დანიელი, - ნუთუ მეხსიერებამ მარტო გაქონილი ქაღალდის ნაფლეთები შემოგინახათ? თუნდაც ეგრეც იყოს, განა არ მოგვაგონებენ ეს ქაღალდები გემრიელ საუზმეს მწვანეზე, ჩვენს სიხარულს... სხვების გაქონილი ქაღალდებიც ხომ ვიღაცის სიხარულის ნიშანია.

მარტინამ ცნობისმოყვარეობით შეხედა ვაჟს:

- რა კარგია, რომ თქვენ ყოველივე ამას ასე განიცდით. მე კი ბუნებით გულაზიზი ვარ.

დანიელი აღარ შეედავა. მარტინამ მასში გამოიწვია გულზიზღიანობის მსგავსი გრძნობა.

- იმ საღამოთი, - თქვა ვაჟმა, - გაქონილი ქაღალდები არსად ჩანდა. იყო გაჩირაღდნებული ციხე-დარბაზი, შემდეგ უეცრად წყვდიადმა მოიცვა ყველაფერი. მე თქვენს გვერდით ვიდექი...

- მახსოვს...

დანიელი გონს მოვიდა: ეგებ ამ მოგონებას მარტინასთვის რაღაც დიდი მნიშვნელობა აქვს? მან უცებ ჯიუტ ბრიყვად იგრძნო თავი, მაგრამ მაინც ქათინაურების თქმა არ შეუწყვეტია...

დიახ, მარტინა წაჰყვებოდა დანიელს პირველსავე საღამოს... და როდესაც ერთხელ, ცივსა და ბნელ ღამეს, სენას სანაპიროზე დანიელმა აკოცა მარტინას, ვაჟმა მაშინვე იგრძნო, რომ ის ისეთსავე ბნელმა და უძირო ვნებამ მოიცვა, როგორი ბნელი და უკუნიც იყო ეს ღამე. მოციმციმე ბურანში ჩაიძირა ყველაფერი, რაც ღამის იდუმალ ხვეულებში იყო დასადგურებული. ამ უკუნეთი ღამის კარიბჭესთან, დაბურული ტყის პირას იდგა მაცდური მარტინა, მის არსებაში სასიკვდილო საშიშროება იმალებოდა. დანიელს უყვარდა საშიშროება, გამბედავი იყო და ეს ქალი იზიდავდა მას.

მარტინა უსიტყვოდ წაჰყვა მას სასტუმროში, როგორც კი დანიელმა ეს სთხოვა, ამის შემდეგ ისინი სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. დანიელს დასჭირდა მთელი მისი ახალგაზრდობისა და ჯან-ღონის მარაგი, რომ ორივე ვნებას გამკლავებოდა: მარტინასა და მეცადინეობას. მეცნიერების დიდი ტრფიალი გახლდათ და როგორც მატჩის წინ სპორტსმენებმა იციან ხოლმე, უსაყვედურებდა თავის თავს. ეს რა განუსჯელად ავყევი მარტინას სიყვარულს, ვაითუ მეცნიერების წინაშე სათანადოდ ვერ წარვდგეო. მაგრამ მას არ სურდა და არც შეეძლო დაეთრგუნა ამ ვნებათაგან რომელიმე და ამიტომ ცხოვრობდა ორივე მისწრაფებით შეპყრობილი.

მარტინა მიეცა მას უსაზღვრო უბრალოებითა და ნდობით. არც მანამდე და არც შემდეგ არაფერი არ უკითხავს, არაფერი არ

მოუთხოვია მისგან, - არც დაპირება, არც სასიყვარულო ფიცი... მარტინა მთლად დანიელს ეკუთვნოდა და არც მალავდა თავის სიყვარულს. ასეთი ახალგაზრდა, ასეთი მშვენიერი... დანიელს არასდროს არ შეხვედრია ასეთი თავიდან ფეხებამდე სრულქმნილი არსება! შესაძლოა, ზედმეტად უზადო. - „სრულქმნილება ვნებს შენს სილამაზეს!“ - ეუბნებოდა ის ხანდახან მარტინას, როცა ქალის სიმშვენიერით განცვიფრებულს თვალი ვერ მოეშორებინა მისთვის. სალაპარაკოდ დრო არა ჰქონდათ, ისე ხანმოკლე იყო მათი შეხვედრები. ხანდახან კვირაობით ისინი უმიზნოდ დასეირნობდნენ პარიზის ქუჩებში და ნეტავი თავშესაფარი მოგვცაო, ოცნებობდნენ. ყველაზე ღარიბულ და საეჭვო სასტუმროებშიც კი ოთახი ძვირი ღირდა. დანიელს ჰყავდა წინააღმდეგობის დროის მეგობარი, პარიზელი, რომელიც სალიტერატურო ფაკულტეტზე სწავლობდა: ის დისერტაციის დასაცავად ემზადებოდა და თავის მშობლებთან ცხოვრობდა, მაგრამ საკუთარი ოთახიც ჰქონდა იმავე სახლის სხვა სართულზე. როცა ამ მეგობარს ოთახი არ სჭირდებოდა, ის გასაღებს დანიელს აძლევდა. იქ იდგა ფართო და დაბალი დივანი-საწოლი, ღამის მაგიდა არ იყო. იქვე, იატაკზე ეყარა პაპიროსის ცარიელი კოლოფები, დამწვარი ასანთი, წიგნები და მჭიდრო ხელით დაწერილი ქაღალდის ფურცლები... ყველგან ეგდო პაპიროსის ფერფლმიყრილი წიგნები; ოთახის სხვადასხვა კუთხეებში მოჩანდა პიჟამოს დაჭმუჭნილი შარვალი, ღამის ფოსტლები, ერთი - ერთ კუთხეში, ხოლო მეორე - მეორეში; ერთადერთ სკამის ზურგზე დასრესილი ჰალსტუხი ეკიდა. ზამთარში ამ ოთახში ციოდა, და ჩახუტებული დანიელი და მარტინა უცდიდნენ, ვიდრე პატარა პარაბოლიური რადიატორი ოდნავ მაინც გაათბობდა

იქაურობას... სააღდგომო დღესასწაულებზე მათ განკარგულებაში აღმოჩნდა დანიელის დის, მეყვავილის ბინა, რადგან ის ბავშვებით მამასთან გაემგზავრა. აქ მათ გულმოდგინედ უნდა მოესპოთ თავიანთი ყოფნის კვალი. დანიელის და დომინიკა სწორედ აღშფოთდებოდა, თუ მიხვდებოდა, რომ დანიელს მასთან ქალები დაჰყავდა.

მაგრამ ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ამჯერად მათ ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ, თანაც გაზაფხული იდგა. პირველად გაიღვიძეს ერთად, პირველად დაინახა დანიელმა, როგორ დგება მარტინა, ამზადებს ყავას, იბანს პირს, ივარცხნის თმას, ტანთ იცვამს აუჩქარებლად... პირველად თავისუფლად დასტკბნენ სიყვარულით! წინ კიდევ რამდენი დრო აქვთ, თანაც გაზაფხულია...

მთელი დღე ერთად გაატარეს, სენა, რივოლის ქუჩის სავაჭროები, ღამის ილუმინაცია, ისე როგორც მაშინ, მაგრამ პარიზის შესაფერი... ქვაფენილებზე აღბეჭდილი, მათ სიყვარულში არეკლილი სინათლეები... ხანდახან ისინი ქალაქგარეთ მიემგზავრებოდნენ, დასეირნობდნენ ლ'ა-დე-როზის პარკში, სადაც უზარმაზარი როზარიუმია. გამუდმებით საუბრობდნენ. შესაძლოა, ყოველი მათგანი თავისთვის ლაპარაკობდა, - რამდენი რამ უნდა ეამბათ ერთიმეორისათვის - მთელი ცხოვრება უნდა გადაეშალათ. მარტინას ქოხი, დანიელის საპყრობილე – ორთავეს ცხოვრების მძიმე დასაწყისი ჰქონდათ, მაგრამ ეს უკვე წარსულს ჩაბარდა, ისინი ახლა მხოლოდ აწმყოთი სულდგმულობდნენ... ერთი რამ აწუხებდა დანიელს: როგორ შეაყვაროს მარტინას თავისი იდუმალი მისწრაფება? შეჯვარებისა და დამყნობის გზით დანიელი

ცდილობდა ვარდის ახალი ჯიში გამოეყვანა, რომელსაც ძველებური ვარდის სურნელება შერჩებოდა, ხოლო ფორმა და ფერი თანამედროვე ვარდის ექნებოდა... მარტინა განცვიფრდა: განა არსებობენ ძველებური და თანამედროვე ვარდები? ასეთ რასმეს არასდროს მოიფიქრებდა დანიელმა მოინდომა მაშინვე ეჩვენებინა მისთვის ძველებური ნახატები და მეყვავილეთა თანამედროვე კატალოგები. მარტინა დარწმუნდა, რომ, კაბებისა არ იყოს, ერთი ჯიშის ვარდი გამოდის მოდიდან და იცვლება მეორე ჯიშით. ყოველი წლის ივნისში, ვარდების მომშენებელი მებაღეები, ისევე როგორც მკერავები, აწყობენ გამოფენას, სადაც ხალხს აჩვენებენ თავიანთ კოლექციებს... მაგრამ ვარდების გამძლე ჯიშების გამოყვანა, რომლებიც დაავადებებს არ შეეპუებიან. ახლებური ფორმა, ფერი და სიდიდე ექნებათ - მეცნიერული საქმეა... ამიტომ დანიელი სხვა სპეციალურ კურსდამთავრებულებივით ფიქრობს, რომ ახალი ჯიშების მიღება.მხოლოდ ალღოთი არ შეიძლება, ამას დიდი სამეცნიერო გამოცდილება სჭირდება: ძველი სკოლა ემყარებოდა მხოლოდ ალღოს, ინტუიციასა და მებაღის პრაქტიკულ ცოდნას. ეს მცდარი გზა იყო. დანიელის მამას არ სცალია ჰიბრიდიზაციისათვის, ის კმაყოფილდება იმით, რომ გამოჰყავს ვარდები უკვე არსებული ჯიშების მიხედვით. დონელები - დიდი ოჯახია: დომინიკასა და მისი ბავშვების გარდა (სამი წელია, რაც ის დაქვრივდა და საქმე საყვავილე მაღაზიაში ცუდად მიდის), მამასთან პლანტაციაზე მუშაობს აგრეთვე დანიელის სამი ბიძაშვილი. მარტინა მათ იცნობდა. მათი შენახვაც საჭიროა... როგორც კი ბიძაშვილებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, დანიელს გულმავიწყობა დაეტყო, თითქოს რაღაც არასასიამოვნო საგანს შეეხოო. დიახ, საქმე ის გახლავთ, რომ

დანიელს სწადია გამოიყენოს თავისი მამის უზარმაზარი პლანტაციები სამეცნიერო ცდების დასაყენებლად, მამა კი თანახმა არაა, რადგან ეს ცდები ძვირი ჯდება. დანიელი როგორმე დაიყაბულებდა მამას, მაგრამ მისი უფროსი ბიძაშვილი ამ ცდების მთავარი მოწინააღმდეგეა, იმიტომ რომ იგი გამოუსწორებელი რეაქციონერია... თუმცა სჯობს სხვა რამეზე ვილაპარაკოთ!

მარტინამ სულ გულში აღიბეჭდა, რასაც კი დანიელი უამბობდა, მაშინაც კი, როცა ვაჟმა რთულ ახსნა-განმარტებებში შეტოპა ქრომოსომებისა და გენების თაობაზე... მაგრამ დანიელის ნაამბობში მარტინას აინტერესებდა მხოლოდ ვაჟის პირადი ცხოვრების წვრილმანები, საოჯახო ურთიერთდამოკიდებულება, ისიც იმდენად, რამდენადაც ეს განსაზღვრავდა მათ მომავალ ცხოვრებას. ხოლო უფროს ბიძაშვილზე, ბერნარზე, მარტინა ამ აზრის იყო: ბერნარს სძულს დანიელი, იმიტომ, რომ მისმა საყვარელმა გერმანელ ფაშისტებმა, იმ ღორებმა, წააგეს ომი, ხოლო დანიელი არა თუ ვერ ჩამოახრჩვეს, - ის გმირიც კი გახდა! ქრომოსომებს, რა თქმა უნდა, არავითარი კავშირი არა აქვთ მათ მტრობასთან! როცა მარტინა იძინებდა მარტო, უდანიელოდ, ფიქრობდა უფროს ბიძაშვილზე: ბერნარი ხელს უშლიდა დანიელს შეექმნა საგანგებოდ სურნელოვანი ვარდი და ამით გზას უღობავდა, მის მომავალს აბრკოლებდა და ქალს სძულდა ბერნარი.

მარტინა ბევრად უფრო ადვილად იგებდა დანიელის სამყაროს. ვიდრე დანიელი - მარტინასას. მარტინას მეგობართა სახელები ერთმანეთში ერეოდა, ვერ გაერჩია, რომელი იყო ქ-ნი დენიზა და ჟინეტა, თუმცა ქ-ნი დენიზა დირექტორი გახლავთ -

„კარგი საზოგადოების მანდილოსანი“, თმაჭაღარა და ახალგაზრდული შესახედაობისა, ყოველთვის უზადო, ხოლო ჟინეტა - მარტოოდენ უბრალო მემანიკიურეა. ისევე როგორც თვითონ მარტინა და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მან ასწავლა მარტინას ხელობა, როცა მარტნამ დაიწყო ინსტიტუტში მუშაობა. ჟინეტა, შეიძლება ითქვას, ყველაზე კარგი მემანიკიურეა, ამიტომ მეგობრობს მასთან მარტინა, თორემ ისე ვერაფერი შვილია. ამბობენ, ქ-ნი დენიზა არისტოკრატულ ოჯახიდანააო, მაგრამ ბედის უკუღმართობამ აიძულა ის ახალგაზრდობაში ცოცხალი მანეკენი, მოდელი გამხდარიყო. ახლა მას მეგობარი ჰყავს. ავტოქარხნის წარმომადგენელი, უწინ ავტომსრბოლი იყო, ჩინებული ადამიანია. მარტინა დარწმუნებულია, ისინი დაქორწინდებიანო...

მართალი რომ ვთქვათ, დანიელისთვის ყოველივე ეს მოსაწყენი იყო, ძალიან გულგრილად ეკიდებოდა ქ-ნი დენიზას გათხოვების საკითხს. ქ-ნი დონზერი და სესილი უფრო აინტერესებდნენ, რადგან დანიელი მათ შორიდან იცნობდა. ამასთანავე, მარტინა და სესილი ერთ ოთახში ცხოვრობდენ... ბინა სამი ოთახისგან შედგებოდა, ჰქონდა სააბაზანო და სამზარეულო - ყველაფერი ახალი ყაიდის... სასადილოში - სტილიზირებული სოფლური უბრალოება... კიბეზე ხალიჩა. ლიფტი... ყველაფერი აქ უნაკლო და წუნდაუდებელია! მაგრამ ახლა კიდევ უფრო ახალი მოდის სახლებს აშენებენ - კაშკაშა, ბრჭყვიალა სახლებს, ღია ფერად შეღებილი აივნებით, რომლებიც ლოჯიებს ჰგვანან... სესილი არაფრის ნებას არ აძლევს ჟაკს გათხოვებამდე, ბინა არ აქვთ და ამიტომ ვერ ქორწინდებიან, არც ფული აქვთ, რომ ბინა შეიძინონ, თუ გინდ ნისიად. ბ-ნ ჟორჟსა და დედა დონზერს ჯერ არ

გადაუხდიათ ბოლომდე თავიანთი ბინის ფასი.

იმის სემდეგ, რაც დანიელმა ეს ამბები რამოდენიმეჯერ მოისმინა, ამ თემამ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა მის თვალში.

დანიელი კოცნით აწყვეტინებდა მარტინას თხრობას. მარტინას სამყარო მეტად ვიწრო იყო და ქალი არც ცდილობდა მისი ფარგლების გაფართოებას. მაგალითად, მარტინა არასდროს არ კითხულობდა წიგნებს; დანიელმა ეს შეამჩნია და მიზეზი ჰკითხა.

- რაში მესაქმება სხვების ბედი, - მშვიდად უპასუხა მარტინამ, - განა ჩემსაზე ზრუნვა არ მეყოფა?

დანიელი განცვიფრდა, არ იცოდა, რა ეპასუხა... მარტინას, არსებითად, არც კი ესმოდა, რა არის შემოქმედება, ხელოვნება... ცნობისმოყვარეობით აღძრულმა დანიელმა წაიყვანა მარტინა სურათების გალერეაში რეტროსპექტიულ გამოფენაზე - კლასიკური ნაწარმოებებიდან თანამედროვეებამდე. საინტერესოა, რა მოეწონება მას?

- არაფერი არ მომწონს, - მოუჭრა მარტინამ, - მირჩევნია საღებავებით გაუთხუპნელი, სუფთა ტილო.

დანიელი სახტად დარჩა, შემაძრწუნებელია ხელოვნების ასეთი სრული უარყოფა. მარტინა განსაკუთრებული არსებაა. რა უცნაური აღტაცებით წამოიძახებდა იგი: „რა ლამაზია!“, როცა მაღაზიის ვიტრინაში საოჯახო ნივთებს დაინახავდა. მარტინას უყვარდა ყველაფერი ახალი, გაპრიალებული, სუფთა, გლუვი, ატლასისებრი, უნაკლო!

დანიელი ხშირად აჯავრებდა მას და ეუბნებოდა, საშინელი და ღვთაებრივი, სრულყოფილი, უნაკლო პატარა მეშჩანი ხარო.

რა თქმა უნდა, ეს შეეხება მხოლოდ მის ესთეტიკურ გემოვნებას, იმიტომ რომ გრძნობისა და მისი უშუალო გამოხატვის სფეროში მარტინა ნამდვილი ქალი იყო. უნდა ითქვას, რომ აქ მისი უპრეცედენტო უმეცრება ხელოვნების დარგში და მისი მეშჩანური გემოვნება არავითარ როლს არ თამაშობდა. ეს არ უშლიდა ხელს მარტინას დიდი გემოვნებით ჩეცვა და ამაზე ფული ყაირათიანად დაეხარჯა. დანიელი მოწიწებით ქედს იხრიდა მარტინას მიუწვდომელობის წინაშე, მარტინა მისთვის საიდუმლოებით აღსავსე იყო... თვით ბუნებაშიც კი მარტინა ეძიებდა მხოლოდ წუნდაუდებელს, უნაკლოს: ეს იყო ზეცა, მზე, მთვარე, შორეული ჰორიზონტები მას იმიტომ მოსწონდა, რომ მანძილი ფარავდა ყველა შესაძლებელ ზადსა და წუნს.

- ეგ როგორ მოხდა, - უთხრა მას ერთხელ დანიელმა სოფლის პატარა სასტუმროს ოთახში, რომელიც დახურულ ჟალუზიში შეღწეულ მზის სხივებს ზებრასავით აეჭრელებინა, - როგორ მოხდა, რომ შენ, რომელსაც მხოლოდ წუნდაუდებელი საგნები გიყვარს, შეურიგდი ჩემი ფეხის მეჭეჭს?

- ვინ გითხრა, რომ შევურიგდი?..

მარტინასთან ფრთხილად უნდა იყო კაცი; თუ არ გსურს არასასიამოვნო პასუხი მიიღო, საშიში კითხვები არ უნდა მისცე. დანიელი შიშველი იწვა სასტუმროს ხორკლიან ზეწარზე, ფეხები მიბჯენილი ჰქონდა საწოლის ზურგის ლითონის გრილ მილაკებზე. გაეცინა. როგორი პირამთქმელია ეს მარტინა! ისიც შიშველი წყნარად იწვა მის გვერდით, ოდნავ მოცილებული, - ძალიან ცხელოდა ივნისის ამ პაპანაქება დღეს. უეცრად დანიელმა შეწყვიტა სიცილი.

- მაშასადამე, - თქვა მან, - თუ მე გავმელოტდები... ან ღიპი

დამედება... ან ავარიაში მოვხვდები, ან თუ ომი დაიწყება და ხეიბარი დავბრუნდები...

- შენ... - მარტინა კიდევ ოდნავ მოსცილდა მას, - შენ ხარ დასაწყისი და დასასრული. უწმინდურობაშიაც რომ ამოისვარო... მე შენ დაგბან.

ამ მოკლე საუბარმა გადაწყვიტა მათი ბედი. დანიელი რომანტიკოსი იყო, მეცნიერი, მაგრამ ამავე დროს გლეხიც. შემთხვევითი როდი იყო ის, რომ დროგამოშვებით მას ჰქონდა აღუშფოთებელი მეოცნების თვალები, მიამიტი, უბიწოებით აღსავსე თვალები, სადღაც შორს მაცქერალი, ერთსა და იმავე დროს დაჟინებული, მომთმენი და მორჩილი, - ეს იყო გამომეტყველება მეცნიერისა, როდესაც ის მიკროსკოპში იჭვრიტება და გლეხისა, როდესაც ის თავის მიწაზე მუშაობს. ეს გამოხედვა ამჟღავნებდა დანიელის შინაგან ბუნებას: ისევე, როგორც მისი წინაპარი გლეხები, ისიც ცხოვრებას მტკიცე, მკვიდრ საფუძველზე აშენებდა, კედლები მაგარი მუხიდან ამოჰყავდა... მარტინას სიყვარული ისევე მტკიცე და გამძლე იყო, როგორც ძველთაძველი საშენი მასალა.

მაშასადამე ჯერ კიდევ შეხვდება კაცი მძლავრ, ბუნებრივ ვნებებს? სამართლის არქივებში არავის უძებნია პასუხი ამ კითხვაზე. ანდა რატომ უნდა ვეძიოთ პასუხი ბოროტმოქმედებათა სტატისტიკაში? ვნება ბოროტმოქმედებით არ იზომება... და მაინც, მარტინას ყოვლის შთანმთქავი ვნება დანიელს ბოროტმოქმედებას მოაგონებდა. ეს სტანდარტული გრძნობა როდია, ანდა საფაბრიკო ნაწარმოების საგანი, იგი პლასტმასისგან არაა გაკეთებული. აი, რატომ ადასტურებდა მარტინას ყველა სიტყვა ღამესავით

ბნელი ვნების სიღრმეს, რომლის მაცდური წყვდიადი ფარავდა საშიშ ხვეულებს. მარტინა იდგა ღამის კიდესთან, დაბურული ტყის პირას, თავისკენ უხმობდა მგზავრს, ტყეში შეტყუებას უპირებდა... დანიელიც შეჰყვა, ის ხომ ვაჟკაცი იყო.

## ჩალის ფასად ნაყიდი ოცნებები

გულაჩუყებულმა ქ-ნმა დონზერმა შვებით ამოისუნთქა და ცრემლი მოიწმინდა. აგერ ერთი წელიწადი გრძელდებოდა ეს ამბავი და ყველას ოჯახში გულზე აწვა საიდუმლოება, რომელიც ნამდვილად არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, მხოლოდ დუმილის ბეჭედი ედო: ოჯახში ყველამ იცოდა, რომ მარტინა ცხოვრობდა დანიელ დონელთან. თვით მარტინაც არ ფარავდა ამას, თუ სახლში სადილობას არ აპირებდა, იტყოდა, გვიან დავბრუნდებიო, ან ღამით სულ არ მოვალ და პირდაპირ სამუშაოზე წავალო. როცა პირველად დილის ოთხ საათზე დაბრუნდა, წინასწარ არავინ გაუფრთხილებია, რადგან თვითონ არ იცოდა, რომ ეს ასე მოხდებოდა. ქ-ნი დონზერი მღელვარებისაგან ლამის ჭკუიდან შეიშალა, მან ნაშუაღამევს გააღვიძა წყნარად მძინარე სესილი და ჰკითხა: ხომ არაფერი უთქვამს შენთვის მარტინას წასვლისასო? შესაძლოა, დანიელთან არც კი არის, იქნებ რაიმე ხიფათი შეემთხვა?

- დაანებე თავი მარტინას, დედა, მან მშვენივრად იცის, რასაც აკეთებს...

განაზებულმა, ლოგინში ჩამთბარმა სესილმა თავი დედას მკერდზე დაუდო, მიეხუტა და გადაეხვია:

- დედა! ნურაფერს ეტყვი მარტინას, გეხვეწები, სიტყვა მომეცი,

რომ არაფერს ეტყვი! ეს ძალიან სერიოზული ამბავია... ხომ იცი, რაც თავი აწსოვს, მას აქეთ დანიელი უყვარს, და ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს.

დიახ, ქ-ნმა დონზერმა იცოდა: მარტინას გრძნობა ისე ძლიერია, რომ მომავალზე, სახელის გატეხაზე, მომაკვდინებელ ცოდვაზე ლაპარაკი მარტინას წვრილმანად და უხამსოდ მოეჩვენება... აი, ახლა სესილი ატირდა:

- არაფერი უთხრა, დედიკო, გემუდარები!... ის მართალია და ჩემზე ბევრად უფრო ბედნიერია...

დედა დონზერის მომლოდინე ბ-ნი ჟორჟი მოუსვენრად ტრიალებდა ქვეშაგებში. ეს წყნარი ადამიანი სიამოვნებით გატყეპავდა მისთვის უცნობ დანიელს, იმიტომ რომ, თუ უბედურება უკვე მოხდა... ქ-ნი დონზერი დაბრუნდა და ქმარს გვერდით მიუწვა:

- ჩემო საბრალო ჟორჟ, - თქვა მან და გულაჩუყებული მის მხარს მიეყრდნო. - როდესაც ორი ქალიშვილის პატრონი შემირთე, არ ფიქრობდი, რომ ამდენი საზრუნავი დაგატყდებოდა თავს... ახლა ხომ საზრუნავი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მაშინ, როცა გოგონები პატარები იყვნენ...

- ყველაფერი მოგვარდება, ძვირფასო, განა არ იცი გოგონების ამბავი... გაიხსენე. როგორ ვიყავით მე და შენ... ოჰ. ოღონდ კი ხელში ჩამაგდებია ეგ არამზადები, - დანიელი და ჟაკი...

- სუ!.. - ქ-ნმა დონზერმა უცებ ჩააქრო სინათლე: კლიტე გადაბრუნდა საკლიტურში, ვიღაცამ გააღო შესავალი კარი. მარტინა ფეხაკრეფით შემოვიდა ბინაში. ყველას ეძინა...

დილით საუზმეზე, როცა ქ-ნი დონზერი პურს ბრაწავდა, მაგიდასთან ზურგშემობრუნებულმა თქვა:

- მეორეჯერ კეთილ ინებე და გაგვაფრთხილე, თორემ ცოცხალი აღარ გვეგონე.

- მაპატიეთ, დედა დონზერ!

- დიახ, ეგრეა! - ბ-ნი ჟორჟი გააფთრებით ფურცლავდათავის „პარიზიენ ლიბერეს“, -არ დაგავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ მესამე ტური გაქვს მოსაგები, ჩემო გოგონა!

ერთი სიტყვით, უსიამოვნო წუთები მთელი წლის მანძილზე გრძელდებოდა... და აი, მარტინამ გამოაცხადა, ცოლად მივყვები დანიელ დონელსო! დედა დონზერმა ტირილი მორთო, ბ-ნმა ჟორჟმა ხელები დაუკოცნა, ხოლო ლოყებაწითლებული სესილი ისე შესცქეროდა მარტინას თავისი ფირუზისფერი თვალებით, თითქოს პირველად ხედავსო.

„სილამაზის ინსტიტუტშიაც“ მარტინას დანიშვნის ამბავმა მთელი სენსაცია გამოიწვია... ახალგაზრდა ქალი თხოვდება, განა ეს აღმაფრთოვანებელი არაა! ამ ამბის გაგონებაზე ვაჟები ყოველთვის ცოტათი ეჭვიანობენ, ხოლო ქალებს სევდა ერევათ და წარსული აგონდებათ... მოვარდისფრო-ცისფერ ,სილამაზის ინსტიტუტში“ ყველანი სენტიმენტალური ხასიათისანი იყვნენ, ყველას ოცნება იყო წოდება და არისტოკრატული ტიტული. იდეალური ცოლქმრობა და პირველი კოცნა, საქორწილო კაბა და საქორწილო ღამე, მზითევი... მარტინა დანიშნულია! ეს უბედნიერესი ხანაა ქალის ცხოვრებაში! ქ-ნმა დენიზამ შამპანური მოატანინა... უკვე სამი წელია, რაც პატარა მარტინა ამ ფირმაში მსახურობს და მან საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მაგრამ ამ ბოლო დროს ყველამ შეამჩნია, რომ პატარა ღმერთქალს, როგორც მას უწოდებდნენ, მოსვენება დაეკარგა! ნეტავ, ვინაა ის ბედნიერი, რჩეული? ყველა ცნობისმოყვარეობით იწვოდა. სტუდენტი? ის

ინჟინერი-მებაღე იქნება? მაგრამ ეს ორი სიტყვა რომ ერთმანეთს არ შეესაბამება? მაინც ეს ასეა! მერე? ვარდებს მოაშენებს... ღმერთო ჩემო, რა საინტერესოა! მათ ოჯახში მამა-პაპიდან სულ მებაღეები არიან! მისი საქმრო ვარდების ახალი ჯიშების შექმნას სწავლობს, ისე როგორც სწავლობენ კაბების ახალ ფასონებს, უხსნიდა ამხანაგებს მარტინა. ღმერთო ჩემო, რა უცნაურია ეს!.. თეთრად მორთულმა ბარმენმა, რომელსაც მხრებზე რაღაც სამხრეების მაგვარი გაეკეთებინა - ჩვეულებრივ, ის სასადილოში დახლთან იდგა ანდა კაბინეტში კლიენტებს ემსახურებოდა - მიართვა მარტინას შამპანური, ლაპარაკში ჩაერია და ძლიერი რუსული აქცენტით თქვა, - ნიკოლოზ მეორემ ტახტი რომ დაკარგა, განაცხადა: „ახლა მოვიცლი ჩემი ვარდებისთვისო“. უხერხულე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა აღიარებდა, რომ „დანიელ დონელი“ - ლამაზად ჟღერს. როდის აპირებთ ქორწილს? ამ ზაფხულზე, ასე ჩქარა? გეტყობათ, რომ ორთავეს მოთმინება აღარ გყოფნით. „ქორწილზე, ალბათ, დამპატიჟებთ?“ - თქვა ქ-ნმა დენიზამ და ამით უზომო თავაზიანობა გამოიჩინა.

მეორე დღეს მარტინამ საჩუქრად მიიღო უზარმაზარი კალათა ვარდებით, პარიზის საუკეთესო ყვავილების მაღაზიიდან, კალათზე მიბნეული იყო ბარათი, რომელსაც ხელს აწერდა „სილამაზის ინსტიტუტის“ ყველა თანამშრომელი. ამ მოვარდისფრო-ცისფერ ფირმაში ყველაფერს მოხდენილად, შნოიანად აკეთებდნენ. მღელვარება მალე მიწყნარდა, თუმცა ყველა ცდილობდა ესიამოვნებინა უმშვენიერესისათვის დანიშნულთა შორის.

სესილი მართალი იყო, როცა თხოვდა ქ-ნ დონზერს თავი

დაენებებინა მარტინასთვის, რადგან მარტინამ თავისი საქმისა თვითონ ძალიან კარგად იცის. მართლაც, მარტინას არაჩვეულებრივი მიზანსწრაფვა ახასიათებდა და ყოველთვის აისრულებდა-ხოლმე თავის სურვილს. თუ, უძილო ღამით ფიქრის შემდეგ, გადაწყვეტდა შეეძინა მუქი ლურჯი ინგლისური კოსტიუმი, შესაფერი ღია ფეხსაცმელი და თეთრი ქუდი - კოსტიუმი, ფეხსაცმელიცა და ქუდიც სწორედ ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც მას ჰქონდა წარმოდგენილი... ნამდვილი ლურჯი ფერი - არა მონაცრისფრო და არა მოიისფრო; ქუსლები ოთხი სანტიმეტრი, - არა სამ-ნახევარი და არც ოთხ-ნახევარი. მხოლოდ ოთხი. ყველაზე გამოცდილი გამყიდველი ქალიც კი ვერ დაარწმუნებდა მარტინას, რომ ფეხსაცმლის ფერი, რომლებიც ფეხზე ძალიან კარგად მოერგო, სავსებით შეეფერებოდა კოსტიუმს, თუკი მარტინა დაინახავდა ოდნავ შესამჩნევ განსხვავებას ელფერში, ან თუ ეს არ იყო სავსებით ის, რაც მას უნდოდა. საკმარისი იყო მარტინას რაიმე დაეჩემებია - დაე, ყოფილიყო ეს ოცნება - ის უკან აღარ დაიხევდა; და რაკი მან წარმოიდგინა, ამ ლურჯ კოსტიუმს სწორედ ასეთი ფეხსაცმელი მოუხდებაო, მას დამამცირებლად მიაჩნდა ოდნავი გადახრა მისი ოცნების ნიმუშისაგან, ეს უღირსი კომპრომისი იქნებოდა.

ასეთი იყო მარტინა სიყვარულშიაც და ფეხსაცმლის შერჩევაშიაც. ის ოცნებობდა, მაგრამ მისი ოცნება ისევე გარკვეული და ზუსტი იყო, როგორც მტკიცედ მიღებული გადაწყვეტილება. თავიდან მარტინა ოცნებობდა ცოლად გაჰყოლოდა დანიელს. ან ის, ან არავინ. ეს იყო მისი ერთადერთი განუხორციელებელი ოცნება, რომელიც მარტო მისგან როდი იყო დამოკიდებული, ამიტომ ის ამ ოცნების პასიურ მსხვერპლად შერაცხავდა თავს. ყველა დანარჩენი

მისი ოცნება ზომიერი და რეალური იყო: ცდას თუ არ დააკლებდა, ოცნება განხორციელდებოდა და მარტინაც ასე იქცეოდა.

მარტინა არ ოცნებობდა არც სახელზე და დიდებაზე, არც სიმდიდრეზე, მისი ოცნება იყო ახალი კეთილმოწყობილი ბინა, სადმე პარიზის გარეუბანში. რადგან დანიელს, მებაღეობის სკოლის დასრულების შემდეგ, თავისი მამის პლანტაციებზე უნდა ემუშავა, ამიტომ ვაჟი ამბობდა, ასეთი ბინა სულაც არ მესაჭიროებაო. მაგრამ მარტინა დაჟინებით აყენებდა ამ საკითხს: თუ პარიზში ბინა არ ექნებათ, - ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოოდ უნდა დაიმარხოს სოფელში: მისი ბედნიერებისათვის საჭირო იყო საკუთარი ბინა, არა ის, რომელიც ეკუთვნის დანიელის მამას ანდა ქ-ნ დონზერს, არამედ მათი საკუთარი ბინა... რაღა ქორწინებაა, თუ სხვებთან ცხოვრობ... საოჯახო საბჭომ გადაწყვიტა, რომ ქ-ნი დონზერი, ბ-ნი ჟორჟი და სესილი უყიდიან მარტინას ბინას - ეს იქნება მათი საქორწილო საჩუქარი. დანიელს უკვირდა, როგორ ტიროდა მარტინა, როცა მან დროზე ვერ გაიგო და ხელიდან გაუშვა თავისუფალი ბინა იმ სახლში, რომელიც მოსწონდა, და სწორედ ისეთი ბინა, როგორზედაც ოცნებობდა. ბინა არც თუ ისე ძვირი იყო და თან ფანჯრების წინ ხეები იდგა. დანიელი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა მარტინას, როგორ ღაპაღუპით ჩამოსდიოდა მსხვილი ცრემლები მშვენიერ ლოყებზე... ტირილი ბინის გამო!... შენ ხომ არასდროს არ ტირი, ტყეში დაკარგულო მარტინავ, და ახლა რაღა გატირებს!.. ამ ცრემლებში დანიელისთვის რაღაც მიმზიდველი და იდუმალი იყო. რა უცნაური გოგონაა!..

მარტინა ოცნებობდა ეკლესიაში დაეწერა ჯვარი... „გამიგონე, მარტინა, - ეუბნებოდა დანიელი. - შენ ამას სერიოზულად მეუბნები? რისთვის? არ კმარა მერიის კომედია? ახლა კიდევ ეკლესია? მორწმუნე რომ იყო, მაშინ იმ მომაკვდინებელ, მაგრამ უტკბეს ცოდვას არ ჩაიდენდი... შენ ხომ ნამდვილი წარმართი ხარ, ჩემო სიხარულო, ახლა რაღა მოგივიდა? ამდენი ფული ტყუილუბრალოდ უნდა გადავყაროთ საეკლესიო ცერემონიისათვის?! არ ემჯობინება, სადმე გავემგზავროთ, გავიგრძელოთ თაფლობის თვე?! დამიჯერე, ვერც კი ვავბედავ, რომ მამას ქორწილის ფული ვთხოვო.“

დანიელი მოიწვიეს, როგორც ოფიციალური საქმრო, სადილად ქ-ნ დონზერთან და იქ მან აღმოაჩინა, რომ ამ საკითხში ყველანი ერთ პირზე იდგნენ. სესილი განუწყვეტლად ტიტინებდა, ხელისმომკიდე ვიქნები და ვარდისფერი კაბა მეცმევაო, ოჰ, ამჯერად მარტინას კაბა თეთრი იქნება, და არა ცისფერი! მოიძებნება დანიელის ოჯახში შესაფერი ასაკის პატარა ბავშვები, რომ დედოფალს კაბის შლეიფი აუწიონ? მარტინა ღვთაებრივად ლამაზი იქნება საქორწილო ლეჩაქში... როცა დანიელმა გაბედა და თქვა, უმჯობესია მხოლოდ მერიაში მოვაწეროთო ხელი მოწმეების თანადასწრებით და დაუყოვნებლივ გზას გავუდგეთ, ყოველგვარი საქორწილო ნადიმის გარეშეო, - ქ-მა დონზერმა ჩანგალი დადო და სამზარეულოში შევარდა. ცრემლების დასაფარავად (მეფე-დედოფლის პატივსაცემად ამჯერად სასტუმროში სადილობდნენ), ხოლო ბ-ნმა ჟორჟმა წამოიწყო ლაპარაკი იმაზე, როგორ უნდა დაიჭიროს თავი ზრდილმა კაცმა ქალებთან. რაკი ყველა ქალი, ჯერ კიდევ გათხოვებამდე ოცნებობს საეკლესიო ცერემონიაზე, ქათქათა თეთრ სადედოფლო სამოსელზე, - ყოველი თავაზიანი

კაცის მოვალეობაა მიანიჭოს მას ეს სიამოვნება...

## ვარდების „Who's who“[4]

საეკლესიო და სამოქალაქო ცერემონიების დამაგვირგვინებელი საქორწილო ნადიმი მოეწყო ავტომაგისტრალთან მდებარე ერთ-ერთ ქალაქგარეთ რესტორანში. რესტორნის არჩევას მარტინასთვის დიდი დრო არ წაურთმევია, ეტყობოდა დიდი ხნით ადრე მოეხდინა არჩევანი. ეგ რომ არა, მარტინა ყველას გამოიყვანდა მოთმინებიდან, სჯა-ბაასს საშველს აღარ დააყენებდა, ყველა რესტორნის ავ-კარგს ასწონ-დასწონიდა, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა... მართლაც ასე იყო: ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მარტინა შეხვდებოდა დანიელს თაღებქვეშ, ჟინეტამ მიიყვანა როგორღაც ამ რესტორანში და მარტინამ მაშინვე გადაწყვიტა, მე და დანიელმა ქორწილი სწორედ აქ უნდა გადავიხადოთო.

ახლად გარემონტებული სახლი პირდაპირ ავტოსტრადაზე გამოდიოდა, არცერთი ხე არ ჩანდა ირგვლივ გუდრონირებულ გზაზე, - მხოლოდ თეთრი კასრები წითელი ფერსოებით და მათში ამოსული მჭკნარი მცენარეები. მანქანები ერთიმეორეს მოსდევდა და მათ პატარა ეზოში აყენებდნენ, სახლიდან მარჯვნივ იდგა უფროს დონელის საქორწილო საჩუქარი, - მტრედისფერი მბზინავი და გაკრიალებული (უკვე დაეტყო

[4] *„ვინ ვინ არის“, ინგლისური ბიოგრაფიული ლექსიკონი.*

მარტინას ხელი) ახლად დაქორწინებულთა მცირელიტრაჟიანი ავტომანქანა. აქვე იყო დანიელის იმ მეგობრის მანქანა, რომლის ოთახში ახალგაზრდები ხვდებოდნენ ერთმანეთს მაშინ, როცა მათ მათ თავშესაფარი არ ჰქონდათ. მალე მოგრიალდა ახალგაზრდებით გავსებული ავტობუსი: ესენი იყვნენ მანქანაზე მბეჭდავი ქალები ტურისტული სააგენტოდან - სესილის მეგობრები და მებაღეობის სკოლის სტუდენტები - დანიელის ამხანაგები; მარტინამ დაჟინებით მოითხოვა, რომ კავალერები დაეპატიჟებინათ და ქალს ქალთან არ ეცეკვა. დანიელის მამა, დანიელის და დომინიკა, - ყვავილების მაღაზიის პატრონი, - ვისი ორი ბავშვით, ძველი საოჯახო სიტროენიდან გადმოვიდნენ. ბ-ნი დონელი თავაწეული იდგა შუაგზაში და რესტორნის აბრას ათვალიერებდა. მაღალი, გამხდარი, წელში მოხრილი, გულ-მკერდ ჩავარდნილი და მუქ ტანსაცმელში გამოწყობილი, - ის უფრო დაკრძალვის ცერემონიაზე მოსულს ჰგავდა, ვიდრე საქორწილო ლხინზე წვეულს.

- წარმოიდგინეთ, - გაჰყვიროდა ბ-ნი დონელი, - დიდი ხანია, რაც ეს სახლი მაინტერესებს! მიხარია, რომ აქ მოვხვდი... პარიზში მიმავალს რამდენჯერ ჩამივლია ამ სახლის გვეოდით... ჩვეულებრივი ძველებური სახლი... და უცებ - წარწერა - „ფუნდუკი!“ რას არ გამოიგონებენ! „ტყის ტევრი. დაურქმევიათ და ირგვლივ ერთი ხე არ მოჩანს. სულ ვეკითხებოდი ჩემს თავს. ვინ შებედავს ამ რესტორანში შესვლას-მეთქი. თურმე, ჩვენ!

- მამა, ნუ დგახარ შუაგზაზე, მანქანამ არ გაგიტანოს...

დომინიკა მამას ჰგავდა, მამასავით მაღალი და ოდნავ წელში მოხრილი, შავთმიანი, თავზე შემოგრაგნილი გრუზა ნაწნავებით, მაგრამ იმდენადვე წყნარი და თავშეკავებული, რამდენადაც მამა

ექსპანსიური და მრავალმეტყველი იყო.

- დახეთ, - ისევ გაჰყვიროდა ბ-ნი დონელი, - კაცის ჭაჭანება არაა! არ იფიქროთ. ქორწილის გამო დაითხოვეს მუშტრებიო. არა, მე აქ არასდროს არ დამინახავს მანქანა, ან ეზოში მოსიარულე სტუმარი.

ამ დროს მანქანიდან გადმოვიდნენ ქ-ნი დონზერი, ბ-ნი ჟორჟი, მოხუცი ბიძაშვილი, ვისთანაც - უწინ ქ-ნი დონზერი ხშირად ათევდა ღამეს, როცა სოფლიდან პარიზში ჩამოდიოდა, აფთიაქარი და მისი ცოლი. სწორედ მათ ჩამოიყვანეს თავიან მანქანით მთელი ეს საზოგადოება. ქ-ნმა დონზერმა, რომელიც ძლიერ აღელვებული ჩანდა, სწრაფად გაიარა დარბაზი და გავიდა ბაღში, სადაც საქორწილო სუფრა გაეშალათ.

- ბავშვები უკვე აქ არიან, ბ-ნო დონელ, მე დავინახე მათი მანქანა, ნამდვილი ბონბონიერია. გული არ მითმენს, მინდა ვნახო, როგორაა საუზმის საქმე...

- ყველაფერი რიგზეა, ქალბატონო, თქვენც კმაყოფილი დარჩებით და პატარძალიც, - თქვა რესტორნის პატრონმა, რომელიც შუა დარბაზში იდგა და სტუმრებს ესალმებოდა.

ბნელი და გრილი დარბაზი, ქვის მასიური კედლები, ძელური ჭერი, მოჩუქურთმებული ქვის ბუხარი - უტყუარი ნიშანი იმისა, რომ სახლი არსებობის რამოდენიმე საუკუნეს მოითვლის. ახლანდელმა პატრონმა კედლების გასწვრივ ჩაამწკრივა ალისფერი ქლორინვილით გადაკრული გრძელი სკამები და ასევე წითელი პლასტმასით დაფარული პატარა მაგიდები. ბარის დახლი, ბოთლები, დანსინგის ყვითელი მოკრიალებული პარკეტი... კედლებზე - თაროები, სპილენძის ქვაბებით, ტაფებითა და მანგანებით. აქვე ეკიდა ცხენების

ჟოკეებისა და გაშიშვლებული ქალების სურათები. რესტორნის პატრონი ზორბა ტანის კაცი იყო: მაღალი, მხარბეჭგანიერი, საკვირველად ვიწრო თეძოებითა და კვერცხის მაგვარი ღიპით, რომელიც თითქოს მიდგმული ჰქონდა და მის აგებულებას არ შეეფერებოდა. თან ნამზეური, მოვლილი და მბრძანებლური სახე, კეისრის გამომეტყველებით. ვინ იცის, მარსელიდან მოდიოდა, გზაზე მონმარტრზე შეჩერდა და აქაურობას შერჩა. მან მდაბლად თავი დაუკრა თმაჭაღარა ქ-ნ დენიზას, რომელსაც დიორის უზადოდ შეკერილი კაბა ეცვა. ქ-ნ დენიზას ახლდა მისი მეგობარი, ყოფილი ავტომსრბოლი, ამჟამად მხოლოდ წარმომადგენელი ერთ-ერთი ჩინებული, მარტოოდენ ძვირფასი მარკის ავტომანქანებით მოვაჭრე ფირმისა. ქ-ნ დენიზას მეგობარი ელეგანტური, ნატიფი კაცი იყო, ტექნიკოსისა და სპორტსმენის ტიპიური გარეგნობა ჰქონდა, მაღალი, მზით დამწვარი, ძარღვმაგარი და ხმელ-ხმელი. მისი თეთრი ღია მანქანა, გადაწეული კაპოტით, ნამდვილი სასწაული იყო, მეტადრე იმათთვის, ვინც იცის მანქანების ყადრი. ქ-ნმა დენიზამ თავისი მანქანით მოიყვანა ჟინეტა და მისი პატარა ვაჟი რიშარი, განსაცვიფრებლად ქერა, ბუთხუზა ბიჭი... ჟინეტას ჩალისფერი ტანსაცმელი ეცვა. გეგონებოდათ, მთლად პუდრის, კრემისა და სურნელისაგანაა შექმნილიო. ბნელი დარბაზის სიღრმეში მზემ თითქოს დანით ამოჭრა ბაღისკენ გამავალი კარის თვალისმომჭრელი ოთხკუთხედი.

ბაღში სუფრა გაეშალათ. მიწაზე მოყრილ ხრეშს ღრაჭაღრუჭი გაჰქონდა სტუმრების ფეხქვეშ. მზე აცხუნებდა. ბაღი ახალი გაშენებული იყო, რამდენიმე ნორჩი ცაცხვი... მათი ნაზი, ხასხასა მწვანე ფოთლები და მოკლე რტოები ჩრდილის ნატამალსაც ვერ ფენდა. აქა-იქ ცემენტის ქვესადგამებზე იდგა თიხის დიდი

ქოთნები მცენარეებით, ხოლო ამ უდაბნოს შუაგულში ქვის ჭა წმინდა დეკორატიულ საგანს წარმოადგენდა, რადგან შიგ წყალი არ იყო. სამაგიეროდ, ვარდის ბუჩქი შემოხვევოდა ჭას თავს და უხვად დაეფარა იგი პატარა ფუმფულა ვარდებით. რაღაც ჩრდილის მაგვარი რომ შექმნილიყო, დიდი ქოლგებით დაფარული პატარა მაგიდები ერთმანეთთან მიწიეს, მაგრამ მათ შორის ასო X-ს მსგავსი ღრიჭეები გაჩნდა, ასე რომ საერთო მაგიდის შთაბეჭდილება ვერ შეიქმნა. დედა დონზერმა თავისთვის გაიფიქრა, ამაზე უარესს მარტინა ვერაფერს აირჩევდაო: ახალგაზრდებს ჰგონიათ, ყველაზე ჭკვიანები ვართო, მაგრამ განა ეს არჩევანი სამარცხვინო არაა?! თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ ყვითელ ქოლგებს, მოწნულ სავარძლებს მზის შუქზე საკმაოდ ხალისიანი ელფერი ადევს.

საუზმე საუკეთესო იყო, უხვი და გემრიელიც კი ეთქმოდა... დედა დონზერმა აღიარა, ფასს თუ მივიღებთ მხედველობაში, პირდაპირ წარმოუდგენელიაო! ღვინოც, ლიქიორებიც... მოწვეული იყო ოთხმოცამდე სტუმარი... უჰ, როგორ ცხელა... დედა დონზერმა ჩუმად ფეხსაცმელი გაიძრო. დომინიკას ბავშვებმა გაიხადეს გახამებული პერანგები და თეთრი ზამშის ფეხსაცმელი, წელამდე გატიტვლებულები და ფეხშიშვლები მხიარულად დარბოდნენ ბაღში. ახალგაზრდებმა თავი შეაფარეს გრილ დარბაზს, იქ მიართმევენ ხილეულსა და ნაყინს, ხოლო მანამდე ფირსაკრავი აამუშავეს. სახლის ჩრდილი ახლა ბაღის მესამედს გადაეფარა: სუფრას ემსახურებოდა სამი ოფიციანტი, რომელთაც საქორწილო ნადიმებზე მიღებული უცვლელი ღიმილი უშუქებდა სახეს. საუზმის შემდეგ მათ პატარა. მაგიდები და შეზლონგები ჩრდილში დადგეს, რათა

სტუმრებს შედარებით გრილ ადგილას მიერთვათ ყავა და ტკბილი სასმელები...

ქ-ნი დენიზა ძალიან კმაყოფილი იყო, დრო მშვენივრად გავატარეო; კარგად მოიქცა, როდესაც თავისი სტუმრობით გააბედნიერა ჩვეულებრივი მემანიკიურე ქალი. მაგრამ არ მოელოდა, რომ ამ ქორწილზე შეხვდებოდა ისეთ ღირსეულ ადამიანს, როგორიც ბ-ნი დონელი იყო. სიძის დაც, ეს მაღალი, აყლაყუდა ქალი, - არა უშავს, ზრდილი მანდილოსანია. საუზმეს ხომ წუნს ვერ დასდებთ! დანიელიც ძალიან კარგად აღზრდილი ყმაწვილია, თუმცა რაღაც აქვს ისეთი, რაც ქ-ნ დენიზას არ მოსწონს... და მაინც, ის მიმზიდველი ახალგაზრდაა.

- თქვენ მშვენიერი პროფესია გაქვთ, ბ-ნო დონელ, - მიმართა მან დანიელის მამას და თან ტკბილი ყავა მოსვა.

- ეს პროფესია მამა-პაპათაგან მოგვდგამს, ქალბატონო. დანიელი და მისი ბიძაშვილები მებაღე დონელების მეოთხე თაობაა. - ბ-მა დონელმა შეხედა ქ-ნ დენიზას და დანიელივით მამამისის გამოხედვაშიაც მოჩანდა თვით ბუნების მიამიტობა, - ხოლო ჩვენი შვილიშვილები, აგერ რომ დარბიან, თუკი ტრადიციას არ უღალატებენ, მებაღეთა მეხუთე თაობად ჩაითვლებიან.

მეხუთე თაობა ამ დროს იმით ერთობოდა, რომ ღობის იქეთ მოსეირნე ინდაურებს აბრაზებდა: პოლო - თორმეტი წლის ბიჭი - ისეთივე მრგვალთავა და გრუზათმიანი იყო, როგორც დანიელი პატარაობისას, ხოლო მისი დაიკო სოფი უფრო დედას წააგავდა. თუმცა მომავალში შესაძლოა მას შეევსო ის, რაც დედას აკლდა... დედასავით შავგვრემანი და თმახშირი სოფი მეტად მორცხვი გოგონა იყო, უცხო ადამიანი რომ შეხედავდა, ადგილიდან ვეღარ იძროდა და თვალებიც შიშისგან მომხიბლავად მიებნიდებოდა...

- ამ ბიჭმა, - განაგრძო ბ-ნმა დონელმა, - უკვე იცის ვარდების დამყნა, მებაღეებს არ შორდება, როცა ისინი მუშაობენ. ეგ 1940 წელს გაჩნდა ქვეყანაზე, ხოლო პაპაჩემი, ვინაც ჩვენს გვარში პირველმა მოჰკიდა ხელი ვარდების მოვლა-მოშენებას, 1837 წელს დაიბადა. მრავალშვილიან ოჯახში უმცროსი იყო და პაპაჩემის მამამ თხუთმეტი წლის გაგზავნა მოჯამაგირედ მეზობელ ციხე-დარბაზში, სადაც ის მებაღის თანაშემწე გახდა.

- ასეთივეა უმცროსი ვაჟიშვილების ბედი ინგლისის დიდ არისტოკრატულ ოჯახებშიაც: მათ მემკვიდრეობა არ ეკუთვნით და ისინი გარე-გარე ეძებენ ბედს, ჩაურთო სიტყვა ოცნებებში წასულმა ქ-ნმა დენიზამ.

- დიახ, მართალი ბრძანებაა... თუმცა სად ჩვეულებრივი ადამიანის მრავალშვილიანი ოჯახი და სად დიდი არისტოკრატული ფუძე! ციხე-დარბაზის მფლობელი გრაფი რ. ყვავილების მოყვარული გახლდათ და მას პირველხარისხოვანი მებაღე ჰყავდა. ხოლო პაპაჩემმა მებაღეობის იშვიათი ნიჭი გამოიჩინა... მერე მებაღის ქალიშვილი შეირთო ცოლად. ყველას გაეცინა.

ბ-მა დონელმა განაგრძო:

- პირველი ბავშვი 1860 წელს შეეძინათ და მაშინ პაპამ გადაწყვიტა მშობლიურ ფერმაში დაბრუნებულიყო და მებაღე გამხდარიყო. გაუჭირდა დაერწმუნებინა ნათესავები, ხელი მოეკიდათ ახალი კულტურის მოშენებისათვის. თქვენ, ალბათ, იცით, რომ გლეხები ზანტი, ჯიუტი და ეჭვიანი ხალხია. ბოლოს გამოუყვეს მიწა, რომელიც მემკვიდრეობით უნდა მიეღო, ეს უკვე დიდი გამარჯვება იყო, რადგან ჩვენში მიწის დაქუცმაცებას ერიდებიან. პაპამ მაშინვე დაიწყო ყვავილების,

უმთავრესად, ვარდების მოშენება. ვარდები მიჰქონდათ გასაყიდად პარიზში, სიტესა და მადლენის ბაზრებზე. არ შეიძლება ითქვას, რომ შემოსავალი დიდი იყო, მაგრამ მიწათმოქმედებაზე მეტს იძლეოდა და აი, ვარდებმა თანდათან მოიპოვეს მიწის ფართობი. მისმა ვაჟმა უკვე საბოლოოდ დაანება თავი მიწათმოქმედებას და მხოლოდ ყვავილების მოშენებას შეუდგა. ძველი ფერმა და მთელი მისი მიწის ფართობი ვარდების პლანტაციად გადაიქცა. თანდათან ვარდებმა განდევნეს ყველა დანარჩენი კულტურა. მამაჩემი, დანიელ დონელი, ვარდების მოშენების დიდი სპეციალისტი გახლდათ. სწორედ მის პატივსაცემად დავარქვით ჩემს ვაჟს დანიელი. იმედი მაქვს, ამ სახელს არ შეარცხვენს.

- კი მაგრამ, მე ვიცი, რომ ბრი-კონტ-რობერშიაც არის ვარდების პლანტაციები „დონელი“, - ჩაერია საუბარში საავტომობილო ფირმების წარმომადგენელი, ქ-ნ დენიზას მეგობარი, რომელზედაც ბ-ნ დონელის წამოწყების გაქანებამ ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა, - ამას წინათ ვიმოგზაურე იმ მიდამოებში და აბრა წავიკითხე.

- ის ჩემი ძმაა, მარკ დონელი. იქ მიწა ვიყიდეთ და მოვაწყვეთ სათბური, ბაზარზე გასაყიდი ვარდებისათვის. ჩვენ გვაქვს ვარდების პლანტაციები სენა-მარნას რაიონში, ზღვისპირა ალპებში, ვოკლიუზში, ლუარაზე და ბუშ-დიუ-რონში... დონელები დიდი ოჯახია, ბატონო, და ყოველთვის აღმოჩნდება რომელიმე ბიძაშვილი ან სიძე, რომელიც მზადაა იმუშაოს ახალ პლანტაციებში ანდა ორანჟერიებში. იშვიათად თუ ოდესმე ხდება, რომ დონელმა ცოლად შეირთოს მებაღეთა წრის გარეშე მყოფი ქალი, თუ შეიძლება ასე ითქვას. დანიელი ამ მხრით გამონაკლისია, თუმცა

მარტინა მაინც სოფლის მცხოვრებია.

- ჰიმენე, - ოცნებამორევით თქვა ბ-ნმა ჟორჟმა, ახალდაქორწინებულთა ღმერთი... ათენში, ჰიმენეს დღესასწაულის დროს, ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი, ვარდებით შემკულნი, ფერხულს აბამდნენ და ცეკვავდნენ უმანკოების ნიშნად.

- ჰოდა, დღეს ისინი სამბას ცეკვავენ, - შენიშნა ჟინეტამ, - რაც შეეხება უმანკოებას... უმჯობესია, ეს თემა მივაფუჩეჩოთ..

ბნელი დარბაზის ღია კარებიდან ისმოდა სამბას ხმები. ყმაწვილები და ქალიშვილები გაშმაგებით ცეკვავდნენ.

- როგორც ფარმაცევტმა, - თქვა მარტინას სოფლის აფთიაქარმა, - ვიცი, რომ ვარდის წყალსა და ვარდის ესენციას ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში იცნობდნენ... მაგრამ, გამოგიტყდებით, არასდროს არ მომსვლია თავში, რომ ეს გულისხმობდა დიდი მასშტაბით ვარდების მოშენებას. თქვენი პროფესია, ალბათ, ძველთაძველი დროიდან მოდის, ხომ ასეა?

- რაც შეეხება პროფესიას, ძნელი სათქმელია... ვარდი იხსენიება მეთორმეტე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მცირე აზიაში ის ამკობდა სპარსთა სარწმუნოებრივ ცერემონიებს. იუდეველთაც ჰქონდათ ვარდების პლანტაციები იერიქონის მიდამოებში... შემდეგ ვარდი საბერძნეთში გაჩნდა... ვარდს იხსენიებენ ჰომეროსი, საფო, ჰეროდოტე... რომში ვარდებით ამკობდნენ ყველა ნადიმსა და დღესასწაულს. რას არ გვიამბობს ვარდების შესახებ რომაელი ნატურალისტი პლინიუს უფროსი?! რათა გვირგვინებისა და სხვა მოთხოვნილებებისთვის ვარდები არ მოჰკლებოდათ, იმთავითვე ხელი მოჰკიდეს მათ მოშენებას. სამოცდაათ წელს

საბერძნეთში უკვე არსებობდა სათბურები, იცოდნენ ვარდების დამყნობა და ჯიშების შეჯვარება. შემდეგ, რამოდენიმე საუკუნის მანძილზე აღარ გვხვდება ცნობები ვარდის კულტურის შესახებ. შესაძლოა, ქრისტიანობის პირველ წლებში მას ვერ აპატიეს წარმართული წარმოშობა. მაგრამ ერთი რამ კი უცნაურია! თუ ქრისტეს დაბადებამდე ვარდი ღმერთებისა და ღმერთქალების შემამკობელი იყო, შემდეგაც ეს ყვავილი რაღაც მანქანების ძალით ღვთისმშობლის უმანკოების სიმბოლოდ გადაიქცა.

- ერთი უყურე! რა პატივისცემა რგებია ვარდს! ჩაურთო სიტყვა ჟინეტამ.

- ვარდების გვირგვინები იწნება ახლა ღვთისმშობლის უმანკოების პატივსაცემად და ყოველთვის, როცა ღვთისმშობელი ადამიანებს ეცხადება, ფერხთით ვარდები უფენია...

- რაც თქვენ ბრძანეთ, სულ ვარდების ისტორიის სულიერი მხარეა, - შეაწყვეტინა სიტყვა აფთიაქარმა, - მაგრამ შუა საუკუნეებში ვარდი მედიცინაშიც უდიდეს როლს თამაშობდა, თვით ავიცენა ამტკიცებდა, დიდი დოზებით მიღებული ვარდის პრეპარატი ტუბერკულოზს კურნავსო; ხოლო ვარდის წყალი შუა საუკუნეებში ისეთი რაოდენობით იხმარებოდა, რომ, ალბათ, მარტოოდენ საფრანგეთში, ვარდები ასეულ ჰექტარზე იყო მოშენებული.

- დიახ, - დაუკრა კვერი ბ-ნმა დონელმა. ის ძალიან კმაყოფილი იყო, ეს რა განათლებული, ვარდების ყადრის მცოდნე მოსაუბრე ვიპოვეო, - ვფიქრობ, რომ შუა საუკუნეებში ვარდების მოშენება ხელსაყრელი ხელობა იყო. მაშინ დიდ გასავალში იყო ქუდების ვარდებით შემკობა, ვარდის გვირგვინები. მარტო ვარდის წყალი...

- ახლაც ალბათ, ვარდების შემოსავლით იოლად გადიხართ, ბ-

ნო დონელ! - ეშმაკურად გაიღიმა ჟინეტამ, რომელსაც მარტინამ შესჩივლა, დანიელის მამა ცოტა ძუნწიაო. - რიშარ, ჩამოდი ახლავე! - დაუძახა მან თავის ვაჟს, რომელიც მის თავზე აკრობატულ ვარჯიშობებს აკეთებდა. - ვის ველაპარაკები, რიშარ! დამაცადე, მე შენ გიჩვენებ ვარდებს! - და წყნარად მიმართა იქ მყოფთ: - ეს ბიჭი ნამდვილად მომკლავს!

როგორც ზრდილმა ადამიანმა, ბ-მა დონელმა ვითომ ვერც კი გაიგონა ჟინეტას სიტყვები. - „ჟინეტას ვულგარობა აუტანელია, - გაიფიქრა ქ-ნმა დენიზამ. - ასეთი კარგი მემანიკიურე რომ არ იყოს, დიდი ხნის დათხოვილი იქნებოდა „სილამაზის ინსტიტუტიდან“... რაღა მაინცადამაინც ამას დაუმეგობრდა მარტინა?“

- ვარდებით მოვაჭრის პროფესია, - განაგრძო ბ-ნმა დონელმა, - მეტად გავრცელებული იყო XV-XVI საუკუნეების საფრანგეთში. „ქალაქ პარიზის სიძველეთა ისტორიაში“ წავიკითხე, რომ პარიზისა და ტულუზის პარლამენტების საუწყებო მამულთა მფლობელ უფლისწულებს ევალებოდათ პარლამენტების მომარაგება ვარდებით აპრილში, მაისსა და ივნისში. ვარდებით ამკობდნენ პარლამენტის დარბაზებს[5]: უფლისწულები უმასპინძლდებოდნენ საუზმით პრეზიდენტს, მრჩევლებს, მდივნებსა და სასამართლოს აღმასრულებლებს, საუზმის ყველა მონაწილეს ურიგებდნენ უფლისწულის ღერბით შემკულ ვარდების თაიგულებსა და გვირგვინებს. ამის შემდეგ უფლისწულს ეძლეოდა პარლამენტში შესვლის ნება,

---

[5] *1789 წლის რევოლუციამდე, პარლამენტებს საფრანგეთში უმაღლეს სასამართლო ორგანოს უწოდებდნენ.*

მერე წირვას იხდიდნენ. პარლამენტს თავისი „ვარდებით მომმარაგებელი“ ჰყავდა, რომელსაც „კარის მომმარაგებელი“ ეწოდებოდა, და უფლისწული, ვინაც პარლამენტს ვარდის ხარკს ხარკს უხდიდა, ვალდებული იყო ვარდები სწორედ მისგან ეყიდნა...

- თქვენ ერთი წარმოიდგინეთ ბ-ნი რამადიე და ბ-ნი ჟორჟ ბიდო ვარდების გვირგვინებით შემკულები!

აფთიაქარის ცოლმა ხელები ზეცისკენ აღაპყრო. ოჰ, რა მწარე ენა აქვს ამ აფთიაქარის ცოლს! ყველას გაეცინა, განსაკუთრებით, როცა ჟინეტამ გაკვირვებით იკითხა:

- განა XV საუკუნეში პარიზში პარლამენტი იყო?! მაშინ უკვე რესპუბლიკა გვქონია!

საუბარში ჩაერია მაღალი, შავგვრემანი, ნაადრევად გამელოტებული ჭაბუკი, სალიტერატურო ფაკულტეტის სტუდენტი, რომელსაც დანიელი დაუმეგობრდა წინააღმდეგობის წლებში, და რომელიც უთმობდა თავის ოთახს მარტინასა და დანიელს. ის ზრდილობიანი ყმაწვილი იყო და ვითომც ვერ გაიგონა ჟინეტას როყიო სიტყვები.

- იცით, ბ-ნო დონელ, რომ უკვე XII საუკუნის წყაროებში იხსენიება „ვარდების ჩამორიგება?“ პარიზის პარლამენტის პირველი პრეზიდენტის ქალის მარიამ დიუბიუსონის ქორწილზე თვით დედოფალი ბლანშ კასტილიელი „არიგებდა ვარდებს“.

როგორც ჩანს, დანიელის მეგობარი ქალთა მოტრფიალე იყო, მარტინას სილამაზემ იგი ძალიან ააღელვა, - ეს ქალი ზომ მის ქვეშაგებში იწვა...

ქ-ნ დენიზას სულ უფრო და უფრო მოსწონდა ბ-ნი დონელი, მასში იგრძნობოდა რაღაც, ჭეშმარიტად ძველებურფრანგული... აი,

ეს ყმაწვილიც... სავსებით რიგიანი ადამიანები არიან...

- მამა-პაპათაგან თქვენ ვარდების მოშენებას მოსდევდით... ბ-ნო დონელ, უთხრა ქალმა, - ყველაფერი, რაც თაობიდან თაობაზე გადადის, არისტოკრატულად ითვლება. მაშასადამე, თქვენი ვაჟი განაგრძობს ამ არისტოკრატულ ტრადიციას?.

- არისტოკრატულს? - ბ-მა დონელმა შეხედა ქ-ნ დენიზას და ჩაიცინა, - არსებობდნენ მებაღე-არისტოკრატები, მაგალითად. ვილმორენები... მაგრამ 1760 წლიდან მათ ვარდებით ვაჭრობას მიჰყვეს ხელი და ამით აზნაურული პრივილეგიები დაკარგეს... რაც შეეხება ვარდების მომშენებელ მებაღეთა დინასტიებს, - პერნე დიუშენების, ნონერების, მეიანების, მალერენების, - მათ არ გააჩნდათ არც ტიტულები და არც აზნაურული წოდებები. ჩვენი გუთური ალმანახი ვარდების „Who's who“-აა.

ქ-ნ დენიზას ეამა და გაუკვირდა კიდეც: ამ კაცმა ინგლისური იცოდა.

- ძველი დროიდან, ქალბატონო, ჩვენამდე მოაღწია ათეული ვარდის ნაირსახეობის აღწერამ. არიან ადამიანები, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე ვარდების ახალ ჯიშთა გამოყვანას შესწირეს. ისინი შემოქმედები არიან, და მამაჩემი ერთი მათგანი გახლდათ. ვარდის ყოველი ახალი ჯიში შეტანილია საგანგებო რეესტრში, კატალოგში, სადაც მისი სახელწოდების გვერდით წერია ჯიშის გამომყვანის გვარიცა და მისი შექმნის თარიღიც. კატალოგში აღნიშნულია, თუ რომელ სახეს ეკუთვნის ესა თუ ის ვარდი და როდის იქნა იგი პირველად შემოტანილი საფრანგეთში.

- რა საოცარია! - წამოიძახა ქ-ნმა დენიზამ.

- და თქვენ ბრძანებთ, რომ დღევანდელ დღისათვის

რეგისტრირებულია ოცი ათასი? - აფთიაქარი, როგორც ჩანს, ამ რაოდენობას გადამეტებულად თვლიდა.

- დიახ, ბატონო, და ხშირად ვარდის სახელწოდების გვერდით დონელთა გვარი წერია. მამაჩემმა გამოიყვანა ვარდების ჯიშთა რაოდენობა, მას მიენიჭა პრემიები ლიონში, ბოგატელში და ვარდების სხვა კონკურსებზე. თუმცა სპეციალური განათლება არ მიუღია, ჰიბრიდიზაციის საქმეში დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა, ამიტომ გენეტიკის საერთაშორისო კონგრესებზე ყურადღებით უსმენდნენ. დანიელიც პაპის კვალს მიჰყვება, მაგრამ ის ნასწავლია. მას სწადია ვარდების ახალი ჯიშების შექმნა მეცნიერული გზით. ვნახოთ, რა გამოუვა... დანიელს გულით უყვარს თავისი საქმე... მარტინა ვიყო, ვიეჭვიანებდი...

სტუმრებს შამპანური მიართვეს. საერთო მხიარულებამ იმატა. დარბაზიდან ისმოდა მხიარული შეძახილები, სიცილი, აპლოდისმენტები. ჟინეტამ ვეღარ მოითმინა, დასტოვა დარბაისლური, მაგრამ მისთვის მოსაწყენი საზოგადოება და საცეკვაოდ მიაშურა.

დარბაზში რამდენიმე ელექტროსანთელი ენთო, მათი შუქი ირეკლებოდა სპილენძის მბზინავ ქვაბებსა და ტაფებზე. რომლებიც ჭერის ძელურ კოჭებთან ერთად „ფუნდუკის“ სახელწოდების გამართლებას ემსახურებოდნენ.

- ეს როგორი სტილია, - ამის თქმა მოასწრო ჟინეტამ და მყისვე ვიღაც უცნობმა ყმაწვილმა საცეკვაოდ წელი მოხვია. ცეკვავდნენ იავას, მაგრამ ერთი წყვილი ისე სასაცილოდ ასრულებდა ამავე რიტმში სამბას, რომ დანარჩენები სიცილით კვდებოდნენ. თვით რესტორნის პატრონმაც მიიღო მონაწილეობა ცეკვაში და, მიუხედავად კვერცხისებური ღიპისა ჩინებული, მოცეკვავე

აღმოჩნდა. როგორც ზრდილობის წესების მცოდნე ადამიანმა, მან მხოლოდ ერთხელ და ისიც ძალიან თავაზიანად გამოიწვია საცეკვაოდ პატარძალი. როდესაც მან მძლავრი ხელები მოხვია მარტინას, ქალმა უთხრა:

- თქვენი რესტორანი საუცხოოა...

- თუ მოისურვებთ, ქალიშვილო, უკაცრავად, ქალბატონო, ხშირად მობრძანდით ჩვენსა. ამას ვაჭრული ანგარიშიანობით არ მოგახსენებთ.

- რა თქმა უნდა, ბატონო... მაგრამ ქორწილი ხომ ყოველდღე არ ხდება. მე ძალიან მადლობელი ვარ თქვენი და ჟინეტასი, ყველაფერი რომ ასე მშვენივრად მოაწყვეთ. მაგრამ მე არ მინდა ბოროტად გამოვიყენო... ჩვენ ჯერ კადილაკი არა გვაქვს, მხოლოდ მცირელიტრაჟიანი მანქანის იმედზე ვართ

- თქვენ უთუოდ გექნებათ კადილაკი, ქალბატონო, მერწმუნეთ! მე ისიც ვიცი, რომ თუ მოისურვებთ, იგი ეხლავე იქნებოდა თქვენს განკარგულებაში.

- მაინც ვინა გგონივართ? - უგერგილოდ, ყოველგვარი გაკვირვების გარეშე იკითხა მარტინამ.

იავა დამთავრდა და ახალგაზრდობამ ერთხმად შესძახა: „კმარა.“ და „დავიწყოთ ჩა-ჩა-ჩა! ჩა-ჩა-ჩა! “

მარტინა დაუბრუნდა დანიელს. იგი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა და იმათი ცქერით ერთობოდა, ვინც განსაკუთრებით პამპულობდა.

- უცნაურია, - გაკვირვებით უთხრა მარტინამ, - ყოველი გათხოვილი ქალი გეტყვის, ქმრებმა, საერთოდ, ცეკვა არ იციანო! ორიდან ერთი: თუ კარგი მოცეკვავეები არასდროს არ ქორწინდებიან, თუ...

- ჩემთვის უფრო გასაგები იქნებოდა, ჩემო სიხარულო, რომ გეთქვა: ან კარგი მოცეკვავეები არასდროს არ ცოლშვილდებიან, ან... რას გასწავლიან თქვენს „სილამაზის ინსტიტუტში“? .

- სულ ერთია! შენ დათვივით ცეკვავ!

- ეგ სწორია! სამაგიეროდ მიყვარხარ, ჩემო მოცეკვავე - ჩემო ფერია! მიყვარს შენი დაუდგრომელი, პატარა ფეხები... მზე მალე წავა დასაძინებლად, და ჩვენც... სწორედ ამას ველოდები...

- მე კი არასდროს არ დაგელოდები. შენ ჩემი ხარ.

არც ძახილისა და არც კითხვის ნიშანი. მარტინას ლაპარაკი თანდათან უფრო დაემსგავსა საბეჭდი მანქანის პუნქტუაციას.

- მოდი, გავიპაროთ? - დანიელმა მარტინა თავისკენ მიიზიდა. - საპირფარეშოს უკანა კარი პირდაპირ გზაზე გადის.

თითქოს ვერავინ შეამჩნია მათი წასვლა. ფირები განუწყვეტლად იცვლებოდა, მუსიკა არ შეჩერებულა. რესტორნის პატრონი თავის ოთახში შევიდა და შეუმჩნევლად რაღაც ანიშნა ჟინეტას. ბ-ნმა დონელმა და სხვებმა გაიარეს ბაღის ხრაშუნა ქვიშაზე და გუდრონირებულ გზატკეცილზე გამოვიდნენ... დანაყრება მეტი მოუვიდათ, თან გადაკრული გახლდნენ და თავს ძალიან, ძალიან დამძიმებულად გრძნობდნენ.

- ჩვენ ხომ ჯერ მოხუცები არა ვართ, - უთხრა ქ-ნმა დონზერმა აფთიაქარის მეუღლეს, თანაც გუნებაში გაიფიქრა, მცირელიტრაჟიანი მანქანა გაქრაო, - შეხედეთ, როგორ შეიცვალა ყველაფერი. ავიღოთ, მაგალითად, საქორწილო საჩუქრები. დედა ხშირად მიამბობდა, როცა ჩვენმა პატრონმა თავისი ქალიშვილი გაათხოვა - საქორწილო საჩუქრები ყველას დასანახავად იყო გამოდებული დიდ მაგიდაზე და ყველანი მოდიოდნენ მათ დასათვალიერებლადო: ვერცხლი, ბრინჯაო, ვაზები და ძვირფასი

სამკაულები. ახლა კი, წარმოიდგინეთ მაგიდაზე დადგმული მცირელიტრაჟიანი მანქანა, ბ-ნ დონელის საჩუქარი. ან რადიო, რომელიც ქსელში ჩართვას არ საჭიროებს, - ქ-ნ დენიზას საჩუქარი, ან ფოტოაპარატი, რომელიც მებაღე ბიძამ სამხრეთიდან გამოუგზავნა მეფე-დედოფალს. ხოლო ჩვენ თვითონ ახალგაზრდებს ბინა ვაჩუქეთ და მისი ღირებულება ჟორჟმა, სესილმა და მე კიდევ ორი წელიწადი უნდა ვიხადოთ. ერთი სიტყვით...

სახლიდან ერთბაშად გამოეფინენ ახალგაზრდები, ჩასხდნენ ავტობუსში, რომლის მძღოლი თვლემდა, სტუმრების წასვლა-წამოსვლის მოლოდინში. მათ უნდოდათ კიდევ გაესეირნათ, ან კიდევ სხვა რამე წამოეწყოთ, ოღონდ კი ასე უცებ არ დაცილებოდნენ ერთმანეთს.

- მიაქციეთ ყურადღება. - ისევ თავისას გაიძახოდა ბ-ნი დონელი. - ამ „ტყის ტევრის“ გვერდით ტყე არსადა ჩანს. და არც ერთი სულიერი არ შემოსულა რესტორანში მთელი დღის განმავლობაში. ჩვენ ხომ რესტორანი მთლიანად არ დაგვიქირავებია და გარეშე პირთათვის შესვლა როდია აკრძალული.

ავტობუსი დაიძრა და გზას გაუდგა. დანარჩენებიც ჩასხდნენ მანქანებში. დაღლილობისგან არაქათგამოცლილი ქ-ნი დონზერი მადლობას უხდიდა დანიელის მეგობარს, რომელსაც თავისი მანქანით მთელი მათი ოჯახი უნდა წაეყვანა პარიზში - ქ-ნი დონზერი, ბ-ნი ჟორჟი, სესილი და ჟაკი. აფთიაქარი მიემგზავრებოდა საწინააღმდეგო მიმართულებით, - სოფლისაკენ. სესილი და ჟაკი არ შეუერთდნენ ახალგაზრდობას. სესილი გუნებაზე არ იყო, დაღლილი ჩანდა,

ხოლო ჟაკი, მაღალი, პირქუში ჭაბუკი ხმას არ იღებდა. ყველასთვის აშკარა იყო, რომ ისინი წაკინკლავდნენ.

- მშვენიერად გავატარეთ დრო, - თქვა ქ-ნმა დენიზამ და თავისი მეგობრის მოელვარე მანქანაში ჩაჯდა, - მაგრამ სადაა ჟინეტა... მით უარესი მისთვის... დარწმუნებული ვარ, არსად დაიკარგება...

ახლა დარჩა მხოლოდ ბ-ნ დონელის ძველი სიტროენი.

- პაპა! შეხედე - მთვარე! - თქვა თმაგაშლილმა გოგონამ.

## ოჯახის საძირკველი

იქნება ოდესმე მარტინა ისე ბედნიერი, როგორც ის იყო ამ საღამოს, ამ ღამით და მეორე დილით... მისი ბედნიერება ნისიად ნაყიდი არაა, როგორც ბინა ან მცირელიტრაჟიანი მანქანა, თავისი ბედნიერებისათვის მას არავისი და არაფერი არ მართებს. უფრო სწორად, მან ამდენი წლის მოლოდინით გადაიხადა ამ ბედნიერების საფასური და აი, ახლა ის მისი საკუთრება გახდა, არავის არა აქვს უფლება წაართვას.

მარტინამ და დანიელმა რამდენიმე სოფელი გაიარეს მანქანით. ეს სოფლები უეცრად გამოჩნდებოდა ხეებს შორის და ასევე უეცრად უჩინარდებოდა, სანამ ახალგაზრდები კოცნაალერსში იყვნენ... ისინი ნელა მიდიოდნენ. დანიელს მანქანა ცალი ხელით მიჰყავდა; მართალია, ცეკვა არ ეხერხებოდა, მაგრამ მანქანის წაყვანა იცოდა. ქმრები მანქანის კარგი მძღოლები არიან, - ხომ ასეა, მარტინა? და კოცნაც ემარჯვებათ. არა?... მათ ირგვლივ სენის ველი გადაშლილიყო, გამომხმაურე, როგორც ახალი უავეჯო სახლი. მესაძლოა, აქ სადმე ახლომახლო ავტოდრომი და ველოდრომია? დროგამოშვებით მათ სმენამდე აღწევდა რაღაც ძრავების ხმაური,

თუ ცხენების თქარათქურის მსგავსი ხმა, - ეგებ აქ რომელიმე ქარხანა მუშაობდა? მაგრამ ყოველივე ეს უკან რჩებოდა, ჰაერშივე განიბნეოდა... ისინი მისრიალებდნენ მდინარის ზემოთ, ტყეში შევიდნენ და როცა ტყე უკან მოიტოვეს, სენის ერთ-ერთ მოსახვევთან აღმოჩნდნენ. მდინარემ თითქოს თავისკენ მოიზიდა ისინი, გზა გადაუღობა. მარტინასთვის ეს ნამდვილი მარტინასთვის ეს ხომ თავის ცხოვრებაში პირველი მოგზაურობა იყო, მას ხომ თავის სიცოცხლეში არაფერი უნახავს, მშობლიური სოფლისა და პარიზის გარდა, და ახლა, როცა ასი კილომეტრით დაშორდა ქალაქს, ეგონა, სადღაც ქვეყნის დასასრულს მივადექიო, იმდენად არ ჰგავდა ეს უზარმაზარი, კრიალა და აღუშფოთველი ზეცა იმ ზეცას, რომელსაც ის ყოველდღე შეჰყურებდა.

განმარტოებული სასტუმროს ბაღში ივახშმეს, ლუვიეს მახლობლად. უკვე ღამის ათი საათი იქნებოდა, მაგრამ ისეთი ტკბილი და წყნარი საღამო იყო, რომ სახლში შესვლა არ უნდოდათ. ყველგან მოჩანდა წყვილები - პატარა მაგიდებთან, ღია აივანზე... ელექტრონის ფარნები ფოთლებში ჩამალულიყო.

ოფიციანტების თეთრი ქურთუკები და თეთრი ხელსახოცები ნათელ ლაქებად აჩნდნენ სიბნელეს. აქ უდროო დროს მოსვლაც არავის გაუკვირდებოდა. ვიდრე სუფრას მიუსხდებოდნენ, მარტინამ და დანიელმა პარკში გაისეირნეს... ხეივნებსა და ფილებით მოპირკეთებულ ბილიკებს გაჰყვნენ და მწვანე ფანჩატურსა და ლამაზ ყვავილნარს მიადგნენ... აი, პაწია ტბა, რომლის სიქათქათე ლაქიების ქურთუკებსა და ხელსახოცებს გაგონებთ.

- წავიდეთ. გენაცვალე! შამპანური, ალბათ, უკვე ცივია,

ხოლო ლოგინი - თბილი....

მარტინა ბედნიერებამ დაათრო, გიჟივით დაიწყო სიცილი, როცა დაინახა, რომ მათთვის გაშლილ და ყვავილებით მორთულ სუფრაზე კაჭკაჭი დასეირნობდა! ჩვეულებრივი შავი კაჭკაჭი, თავის ნისკარტს რომ ყველგან ჰყოფდა და როცა ოფიციანტმა მისი გაგდება მოინდომა, კაჭკაჭი საზარი ხმით აჭახჭახდა, სუფრას ჩაებღაუჭა, მისი ჩამოთრევა დააპირა... არც ასე ადვილი აღმოჩნდა მისგან თავის დაღწევა! სასტუმროს პატრონი მოვიდა ეშმაკური ღიმილით:

- ერთობ აბეზარი ფრინველია, - თქვა მან, - მაგრამ კლიენტებს ართობს, ჩვენც გვართობს, მივეჩვიეთ!... ესა�ა. რომ თვალი არ უნდა მოაშორო. ეს-ესაა პიტნიანი ლიქიორი დალია იმ სუფრაზე... ყველაფერს იპარავს, რაც კი ბრწყინავს, ფრთხილად იყავით, ქალბატონო!

დანიელი შესცქეროდა პირმომცინარე მარტინას და ფიქრობდა, კაჭკაჭი ჯადოსნური ფრინველიაო. მათ არ შიოდათ, თუმცა საუზმეზეც არაფერი უგემნიათ, ძალიან კი წყუროდათ და მარტინას ნესტოები უთრთოდა, რადგან შამპანური ყელში ჩხვლეტდა და უღიტინებდა.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, - გაიძახოდა იგი, - ოჰ!... შავი ქურდ-კაჭკაჭა... როცა მე ჯერ კიდევ ტყეში დაკარგული მარტინა ვიყავი, დედაჩემი მარი შავ ქურდ-კაჭკაჭას მეძახდა, რადგან ვიპარავდი ყველაფერს, რაც კი ბზინავდა და ელვარებდა! ჩემი ძმების შუშის ბურთულებს... მიყვარდა მათი ხელით გასინჯვა. წინსაფრის ჯიბეში... დედა კი მიყვიროდა „შე ქურდ-კაჭკაჭაო!“, უმცროსი ძმებიც იმეორებდნენ „კაჭკაჭო! ქორწილის ღამესაც კაჭკაჭი არ ჩამისვეს პირდაპირ შამპანურში! ძალაა?!

- ძალა - სწორი სიტყვა არაა, მარტინეტა, - დანიელმა შამპანური ფიალებში ჩაასხა, - კაჭკაჭი არავის არ ჩაუსვია შენთვის, თვითონ მოფრინდა... შენი არ იყოს, ისიც ჯადოქარია... მომეც შენი პატარა ხელები, მარტინა...

- მაშ, კუდიანი ყოფილა, - მარტინამ ხელები დანიელის გაშლილ ხელისგულებზე დაადო, - კაჭკაჭისათვის აკრძალვის სიტყვები არ არსებობს, რასაც უნდა, იმას გაიძახის... კაჭკაჭი გაჯავრდა! ახლავე სუფრას კბილებს ჩავავლებ და ძირს დავითრევ...

- მე კი არ გაგიშვებ!..

დანიელს მაგრად ეჭირა მარტინას ხელები, ისინი ერთმანეთს შესცქეროდნენ, ყველა და ყველაფერი დაავიწყდათ..

სხვა მაგიდებთან სხვა ზღაპრებს ყვებოდნენ. წყვილები ჩამოვიდნენ აქ კომფორტაბელური მანქანებით, რომლებიც ფართო გარაჟში ედგათ და ბინდდაკრულ სივრცეში ელვარებდნენ; ეს მშვენივრად გაკრიალებული მანქანები თავიანთ პატრონებს ელოდებოდნენ. კაცებს საკმაო ფული ჰქონდათ, რათა გადაეხადათ მანქანების, ქალების, შემწვარი წიწილებისა და საუცხოო ძველებური ღვინის საფასური. ყველაფერს აქ ლამაზი და მიმზიდველი ელფერი ედო: მშვენიერი ქალები.. ნატიფი მამაკაცები... მხოლოდ კაჭკაჭი იყო ცუდ გუნებაზე. მარტინა და დანიელი სუფრიდან წამოდგნენ.

პაწია ოთახი, ყვავილებით მოჩითული ქსოვილით მოფარდაგებული, ნათელი და თოხლო კვერცხივით რბილი... ფანჯარა პირდაპირ ცას შეჰყურებს, ოთახში იფრქვევა ღამის სურნელება.

დილით ფანჯრის წინ ყვავილნარი აღმოაჩინეს, მის იქით, ცის კიდემდე მწვანე მინდვრები და ველები გადაშლილიყო, არც ერთი შენობა...გემრიელი საუზმე მოართვეს: ყავა პაწია ფაიფურის ფინჯნებში, დაბეჭდილი პატარა ქილები მურაბით, დაბრაწული ფუნთუშები, გრენკები... თან ვარდები ლანგარზე, - ადმინისტრაციის ყურადღების ნიშანი. მარტინა კვლავ მოიცვა ბედნიერების გრძნობამ. მან ვარდები მიიხუტა ღამის პერანგზე, - არა ნეილონის, არამედ სუფთა აბრეშუმის ღამის პერანგზე: საქორწილო ღამისთვის მან აბრეშუმი და არშიები ირჩია.

- ღმერთო ჩემო! რა მშვენიერი ხარ! - უთხრა დანიელმა. ისე იყო გაოცებული მარტინას სიმშვენიერით, როგორც დილით გაღვიძებულს განაცვიფრებს ბაღის სილამაზე, სადაც ფრინველები, ნამი და ადამიანის თვალი ჯერ არ შეხებიან ყვავილებს, მზის ათინათებს. - ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი ხარ, - გაიმეორა დანიელმა და ვიწრო სარკეში ჩაიხედა.

ვაჟი სარკეში იყურებოდა და თავის თავს ეუბნებოდა: „ამ საქმეს ცუდი პირი უჩანს, დანიელ!“ ნამდვილი დანიელი, პიჟამის შარვალში, წელამდე შიშველი, ახალგაზრდა და ღონიერი. მაგრამ, მიუხედავად ოცდაოთხი წლისა, შუბლდაღარული პირდაპირ შესცქეროდა სარკის დანიელს. მას ისეთი თვალები ჰქონდა, როგორც აქვთ ადამიანებს, ყურადღებით და მოთმინებით რომ უკვირდებიან მცენარის ზრდას, შესცქერიან ზეცასა და დედამიწას - სიცოცხლისა და ბუნების სიუხვის წყაროს; ორივე დანიელმა თავი გაიქნია, ხოლო ნამდვილმა დანიელმა შარფი გადაუგდო მარტინას და უთხრა:

- დაიჭი! მკერდი დაიფარე. ახლა ოფიციანტი შემოვა ჭურჭლის გასატანად.

პირდაპირ დონელების ფერმისაკენ მიეშურებოდნენ ახლად დაქორწილებულები, თაფლობის თვე იქ უნდა გაეტარებინათ, რადგან საკმაოდ დაიხარჯნენ და ახალი ხარჯის თავი აღარ ჰქონდათ.

ისინი ფართო გორაკიან ველზე მიჰქროდნენ. შორიდან უკვე მოჩანდა ნაცრისფერი ლაქა, ეს დონელების ძველი ფერმა იყო. დაღმართიდან ფერმა არ ჩანდა, ხოლო აღმართზე კვლავ გაჩნდებოდა: დანიელი, ცოტა არ იყოს, ღელავდა: მას უნდა შეეყვანა მარტინა თავისი ბავშვობის სამყაროში, თავის მოგონებათა ინტიმურ სფეროში, სადაც ეგზომ ძნელია ვისმეს შეყვანა, ძნელია ყოველივე ამის სხვისთვის გაზიარება. ისინი მიზანს უახლოვდებოდნენ: მათ თვალწინ თანდათან აღიმართა ყავისფერი, მწვანე, ჩალისფერი და ყვითელი გეომეტრიული ნახატების ხალიჩაზე გამოკვეთილი ფერმა.

სქელი კედლები... ნაცრისფერი ქვის სწორკუთხიანი სიმაგრე სამი კოშკით - ორი მათგანი მრგვალია, ხოლო ერთი კვადრატული. გზისპირზე აღმართული კედელი ძალიან მაღალი იყო, შეუმჩნევლად იგი მიუერთდა სახლს, ფანჯრების წყებითა და მეორე სართულის სიმაღლემდე ასული მაგარი ხის ჭიშკრით. ჭიშკარში გაკრიალებული, როგორც ჩანს, ახალი, კარი იყო ჩაყენებული, ორი საფეხურითა და სპილენძის პატარა ფირფიტით: „დონელის ბაღი“, ისინი მშობლიურ კარიბჭესთან მივიდნენ.

- არ შეგეშინდეს, მარტინეტა, - მეასეჯერ ეუბნებოდა დანიელი, - შენ უწესრიგობა არ გიყვარს.. ახლავე დაინახავ!

ჭიშკარი გაიღო, გაისმა ძაღლების მთელი ხროვის გააფთრებული ყეფა, წელამდე შიშველმა, ახალგაზრდა, ქერა

მოჯამაგირემ ჩალის ქუდი მოუხადა მოსულებს, გაიღიმა და ნამზეურ სახეზე განსაკუთრებული სითეთრით მოელვარე კბილები გამოაჩინა, ახალგაზრდათა შემოსვლის შემდეგ ჭიშკარი კვლავ დაკეტა და სახლში შევიდა. დანიელმა დააყენა მანქანა ფარდულის ქვეშ, კედელთან, მამამისის სიტროენსა და პატარა საბარგულის გვერდით. ძაღლები ყეფით გარშემო უვლიდნენ მარტინასა და დანიელს.

მოკირწყლული ეზო ნაბაზრალ სოფლის მოედანს წააგავდა: ირგვლივ ეყარა ჩალა, თოკის ნაგლეჯები, ძველი გაზეთები, ბრეზენტის ნაჭრები, მოწნილი კალათები, ხელმაზიდები.. ფეხქვეშ ტალახი (ეტყობა, წვიმას ახლახან გადაეღო). ძველ ჭასთან გუბეში იხვები ფართხალობდნენ... ახლა კატები?! მზეზე გამოფენილიყვნენ... ჭის თავზე, დაბალი მინაშენების სახურავებზე, კარის წინ საფეხურებზე, - ყველგან კატები გაშხლართულიყვნენ... ჭიშკრის მხრიდან, იქ, სადაც ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი იდგა, მძლავრი, მრავალწლოვანი გლიცინიის ტოტები აჰყოლოდნენ კედელს და იქიდან თავიანთი აქა-იქ ჩამოკიდებული მწვანე შტოებითა და იისფერი ყვავილების მტევნებით, თითქოს გადაჰყურებდნენ გარშემო გამეფებულ უწესრიგობას. სახლის კედელში ჩატანებულ მაღალი ჭიშკრის პირდაპირ მეორე ჭიშკარი იყო, გაღებულ სარდულებს შორის მოჩანდა თვალუწვდენელი მინდვრები, შორეული ჰორიზონტი...

ბ-ნ დონელს ძალიან გაუხარდა ბავშვების ჩამოსვლა დომინიკამ ხელი ჩამოართვა მარტინას და ძლივს შესამჩნევი ღიმილით უთხრა: „კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს ოჯახში...“ მან ჩამოსულებთან ხელის კვრით მოიყვანა პატარა, თმაგაწეწილი

სოფი. გოგონამ მარტინას ვარდების უშველებელი თაიგული მიართვა. ყველაფერი ეს ხდებოდა გლიცინიის ტოტებით დაჩრდილულ სასადილო ოთახში. ეს ოთახი, ალბათ, ძალიან ნესტიანი იყო, რადგან თეთრ მიწაზე თეთრივე რელიეფური ნახატებიანი შპალერი კედლებზე ნაფლეთ-ნაფლეთად ეკიდა. ოთახში იდგა ხის მოჩუქურთმებული ბუფეტი, ტყავგადაკრული სკამები, მაღალი ზურგებითა და პატარა სპილენძის ლურსმნებით. კედლებზე ეკიდა ოჯახის წევრთა გადიდებული სურათები, ბარომეტრი და სოფლის პეიზაჟი, ნამდვილი საათით სოფლის ეკლესიის სამრეკლოზე!

- კურტუმო გიყვარს, შვილო? თუ გიყვარს, მომაწოდე თეფში, პატარძალს უარი არაფერზე ეთქმის.

ბ-ნი დონელი ნაცადი ხელით ქნიდა ქათამს, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ქათმებს. სუფრას საკმარისად ბევრი ხალხი უჯდა: ბ-ნ დონელის, დომინიკას, ბავშვების, მარტინასა და დანიელის გარდა, იქ იყო კიდევ სამი ბიძაშვილი, რომელთაც მარტინა უწინაც, სოფელში ყოფნისას იცნობდა. მარტინას კურტუმო არ უყვრდა და ჭამაც აღარ უნდოდა შინაური პაშტეტის, შინაური ძეხვისა, ლორისა და ნესვის შემდეგ... წითელ ღვინოს მათ ერთ-ერთი მეგობარი, ვარდების მოყვარული კაცი უგზავნიდა, შუმი და შეუზავებელი ღვინო იყო! ბუზღუნა ბებერმა ქალმა, რომელიც ამ ოჯახში მზარეულობდა და სუფრასაც ემსახურებოდა, ტკბილი ღვეზელით მოიგო მარტინას გული. მას - „ძაღლების დედილოს“ ეძახდნენ. მართლაც, ძაღლები აქ საკმარისზე მეტი იყო!... ამჯერად ისინი მაგიდის ირგვლივ წყნარად იწვნენ. საჭმელს არ ითხოვდნენ, ემორჩილებოდნენ თვალის დახამხამებას ანდა თითის გაქნევას, - მათ შორის

წმინდა წყლის ნაგაზები და ქოფაკები იყო. დროგამოშვებით მათ გადაუგდებდნენ ხორცის ნაჭერს, მაგრამ მაშინაც ისინი არ ჩხუბობდნენ.

ბ-ნ დონელს იგივე მუქი ფერის განიერი კოსტიუმი ეცვა, რაც ქორწილზე; სამივე ბიძაშვილი პიჯაკებში და ჟილეტებში იყო გამოწყობილი და ეს ამ სიცხეში ერთობ თბილი სამოსის შთაბეჭდილებას ტოვებდა. დომინიკას მოკლემკლავებიანი თეთრი ტილოს კაბა ეცვა, ის ბევრად უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა, ვიდრე ქორწილზე. მის პატარა ქალიშვილს სოფის ისევ გაუშალეს ზურგზე ჩამოშვებული გრძელი შავი თმა და ამიტომ ბავშვს ძალზე ცხელოდა, თმები შუბლზე მიწებებოდა, თვალები აღარ უჩანდა. გოგონა არაფერს ჭამდა და მარტინას უცქეროდა. ბიჭსაც სცხელოდა, ისიც მარტინას მისჩერებოდა. სამივე ბიძაშვილიც ათვალიერებდა მარტინას და მეტწილად ხმას არ იღებდა. გერმანელების მეგობარი ბერნარი ახლა ჯანსაღი ჩანდა, მაშინ კი, როცა გერმანელები განდევნეს, ერთი გაძვალტყავებული და სუსტი ყმაწვილი იყო. „ეს რა ჰალსტუხი გაუკეთებია, - ფიქრობდა თავისთვის მარტინა, - სამარცხვინოა პირდაპირ! ალბათ, რომელიმე ფრიცმა თუ აჩუქა! რამ გაასუქა ასე, თუ არ მცოდნოდა, რომ ბერნარია, სოფელში ლაღი ცხოვრებით განებივრებული ჰებელსი მეგონებოდა!“ დანარჩენი ორი ბიძაშვილი - პიერო და ქანო - სიმპატიური და მრგვალთავა ჭაბუკები, დანიელს ჰგავდნენ. მაგრამ ეს რა პიჯაკები ჩაუცვამთ, სარჩულის მაგიერ მუყაო ხომ არა აქვთ ამოდებული?... ძალიან სასაცილოები არიან... რა ლამაზია მისი დანიელი, თეთრი პერანგითა და გადაღეღილი საყელოთი... ლაპარაკობდნენ, უმთავრესად იმ დროზე, როცა ეს ბრგე ჭაბუკები და დომინიკა ბავშვები იყვნენ. გახსოვთ, როგორ გამოძღა დანიელი

არაყზე ნაყენი ალუბლით? მას შემდეგ ოცმა წელმა განვლო, მაგრამ დღესაც ბუფეტი იკეტება და გასაღები იდუმალ კუნჭულში ინახება. ამგვარად, გასაღები მუდამ ბ-ნ დონელის ხელთაა, თუკი, მოინდომებს კლიენტს გაუმასპინძლდეს, მისი კანტორა სასადილოს გვერდითაა, ხოლო შესავალი კარი - ამ მხრით... ჰო, რა ამბავი დატრიალდა, დომინიკა რომ კინაღამ ჭაში ჩავარდა! ოთხივე ბიჭმა მას ჰაერში წაავლო ხელი და ასე ეკავათ უძირო ჭის ზემოთ, ვიდრე მოჯამაგირეებმა არ მიუსწრეს!.. ახლა, როცა დანიელმა პირველად დამყნა ვარდი! კარგი დამყნილი ის იყო, კარგი მაგას მოუვა! რამდენი ამბავიც არ მოიგონეს, იმდენჯერ გოგონამ დედას ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა. ხოლო დომინიკა ასე პასუხობდა შვილს: „ჰო, ალბათ, ოთხი წლის... ექვსი წლის... თორმეტი წლის...“

როცა ყავა ჩამორიგდა, ლაპარაკი შეწყდა. ბიძაშვილებმა ყავა ერთ ყლუპად დალიეს და ჯაჭვიდან აშვებული ძაღლებივით გაიქცნენ. - რას იზამ, ყელისჭრა მუშაობაა!... დანიელი და მარტინა შვებულებაში არიან, მათ შეუძლიათ დაისვენონ. დანიელმა მარტინას ხელი ჩაჰკიდა, სახლი და მათი ოთახი დაათვალიერებინა. როგორც კი ჩამოვიდნენ, მაშინვე სუფრას მიუსხდნენ და მარტინას ჯერ არაფერი უნახავს... მაშ ასე, სასადილოს გვერდით, სადაც მხოლოდ საზეიმო დღეებში შლიან სუფრას, კანტორა იმყოფება. დანიელმა მარტინას კარი გაუღო. საბეჭდი მანქანები, რეესტრები და საქმეები მუყაოს ყდებში, თაროებზე... ნამდვილად, ნოტარიუსის კანტორა გეგონებათ, რა სიცხეა აქ! მანქანაზე მბეჭდავი ქალი და ბუღალტერი გაეცნენ ახალგაზრდა ქ-ნ დონელს. მეორე კარი ვესტიბიულში გადიოდა, საიდანაც პირდაპირ გზატკეცილზე

შეიძლებოდა გასვლა იმ პატარა კარით. ჭიშკრის გვერდით რომ იყო, წარწერით „დონელის ბაღი“. ამავე ვესტიბიულში ქვის საფეხურებიანი კიბე ლამაზი მოაჯირით ზემო სართულზე აგიყვანთ. გრძელ კორიდორში სინათლე გზატკეცილის მხარის რამდენიმე პატარა ფანჯრიდან შემოდიოდა. დანიელი ერთიმეორეზე აღებდა ოთახების დარაბებს. დარბაზებივით დიდი, კირით შეთეთრებული ოთახები. მუქი ხის ავეჯი, ნაქსოვი გადასაფარებლები საწოლებზე და ჯვარცმები სასთუმლის ზემოთ... თითქოს შიგ არავის უცხოვრიაო, ისეთი მდუმარე და მიყრუებულ-მიტოვებული იყო ეს შმორიანი ოთახები. „მართლაც, მრავალი წლის მანძილზე აქ არავის უცხოვრია, ოჯახი დაიშალა და ადამიანებსაც უფრო შეეპარათ სიცივის შიში. ძველ დროში, როგორც ჩანს, სიცივეს უფრო კარგად იტანდნენ. ბუხარს მხოლოდ მაშინ ანთებდნენ, თუ ვინმე ავად გახდებოდა და ლოგინად ჩაწვებოდა. ახლა კარგი იქნებოდა ცენტრალური გათბობის მოწყობა, მაგრამ მამა უარს ამბობს ფულის ფლანგვაზე მას თვითონ არასდროს არ ცივა. ამიტომ ყველანი გადაბარგდნენ სახლის მეორე მხარეს, გადატიხრეს დიდი ოთახები და დადგეს პატარა ღუმელები... „სახლის აქეთა მხარეზე მხოლოდ ჩემს ოთახშია ზამთრობით სითბო, შენ არასდროს არ გაიყინები, ჩემო პატარა მარტინეტა...“ მარტინამ არაფერი უპასუხა, მაგრამ, მიუხედავად სიცხისა, კანკალმა აიტანა, როცა წარმოიდგინა, ვაითუ როდესმე აქ სამუდამოდ დავსახლდეო.

დანიელის ოთახი კორიდორის ბოლოში იყო, წინ რამდენიმე საფეხურია ასასვლელი. დიდი ოთახი, ხოლო ისეთი დაბალი ჭერი, რომ კაცი ხელით აწვდება... თეთრი შეკირული კედლების ზევით - ჭერის გადაჯვარედინებული კოჭები. თაროები წიგნებით...

ფანჯრის წინ დიდი ძველებური სოფლის მაგიდა. ფანჯარა მინდვრებს გადაჰყურებს. წინა პლანზე მოჩანს რაფსით მოთესილი მინდორი, ღია თვალისმომჭრელი სიყვითლით რომ ღაღანებს ამ კაშკაშა ფირუზისფერი ცის ქვეშ, უფრო შორს თვალუწვდენელი ჰორიზონტი. ჩამტვრეული სავარძელი, წითელი ხის საწოლი, თითქმის მოშავო ფერის. ასეთივე წითელი ხის ბოძისებური ღამის მაგიდა, შავი მარმარილოს ზემო ფილითა და ჭურჭლის მოსათავსებელი ადგილით. იატაკის ფართო, და ძველებური ფიცრები ცუდადაა ერთმანეთზე მორგებული. ოთახში მზით გამთბარი წითელი ვარდების ძლიერი სურნელება იდგა. ვარდები აქ ყველგან იყო: დიდსა და პატარა, მაღალსა და დაბალმუცლიან ქაშანურის ხელადებში. ოთახის კუთხეში მოაჯირი იატაკში გაჭრილი საძვრენის ირგვლივ, იქედან ხრახნული კიბით სამზარეულოში შეიძლება ჩასვლა. ასეთი იყო დანიელის ოთახი, ასეთი იყო სახლი, სადაც ის დაიბადა. ვაჟი ნატრობდა, რა იქნება, მარტინას მოეწონოსო ეს სახლი.

მარტინა მიუახლოვდა იმ ფანჯარას, უკეთ რომ ვთქვათ, იმ სარკმელს, რომელიც ეზოში გამოდიოდა... კატებსა და ძაღლებს ეძინათ, მათ არც ქათმები და ბუზები აწუხებდნენ და არც მზე, ყველა კუნჭულში რომ ატანდა, მაგრამ მაინც ვერ გამოეშრო ვერც ნაწვიმარის ტალახი და ვერც გუბე, სადაც იხვები ჭყუმპლაობდნენ. ძრავის საშინელი ხმაური მოისმოდა - ქერა მოჯამაგირეს ფარდულიდან საბარგო მანქანა გამოჰყავდა.

- წარმომიდგენია ეს ფერმა გარემონტებული, კეთილმოწყობილი... -თქვა ფიქრებში წასულმა მარტინამ. მან ფანჯარას ზურგი შეაქცია და დანიელთან ახლოს, სულ ახლოს

მოვიდა.

- მოგწონს ჩემი სახლი, მარტინა? - ჰკითხა დანიელმა გრძნობამორევით.

- მე შენ მომწონხარ.

დანიელი ცოტათი განზე მიდგა.

- მე კი სულაც არ მომწონს შენი კეთილმოწყობილი ფერმები.

რას იზამ, ცხადზე უცხადესია: მარტინას არ მოეწონა მისი ბავშვობის სახლი, დანიელი ვერ გაუნაწილებს მარტინას თავის წარსულს. ეს წარსული არ იქნება მათი შემაერთებელი, ყოველ მათგანს თავისი წარსული დაურჩება. სიზმარივით საკუთარი და გაუზიარებელი. მარტინას არ მოეწონა დანიელის ბავშვობის სახლი, ასეთი მშვენიერი სახლი! მას მოსწონს კეთილმოწყობილი ფერმები, როგორებსაც ხატავენ ჟურნალ „ფრანგული სახლის“ პრიალა, ქათქათა ფურცლებზე.. მით უარესი...

- სად შეიძლება დავიბანო? - იკითხა მარტინამ და კედლის პატარა სარკეში ჩაიხედა.

- სამზარეულოში, გენაცვალე, წყლის ბაკანზე. ჩვენ აქ საბაზანო ოთახი არა გვაქვს. შენ უნდა გაიგო, მამას ფეხებზე ჰკიდია კომფორტი. ვარდებისთვის არსებობს წყალსაქაჩავი, ვარდების მოსარწყავად წყალი რამდენიც უნდა, იმდენი აქვს, სახლში კი ჩვენ ყოველთვის ჭის წყლით ვსარგებლობდით და თუ ახლა წყალი ტუმბოთი სახლში გადმოგვყავს, ესეც დომინიკას წყალობითაა. როცა, ქმრის სიკვდილის შემდეგ, დომინიკა შინ დაბრუნდა, მამას დაემუქრა, საცვლებს სამრეცხაოში გავაბარებო... ასეთი სამარცხვინო ამბავი ჯერ დონელების ოჯახში არ მომხდარა! ჭუჭყიანი საცვლების სახლიდან გაგზავნა და მათი რეცხვა სადღაც სხვაგან?! მაშინ მამა დათმობაზე წავიდა და დადგა ტუმბო.

- მამაშენი ძუნწია... - მარტინამ გახსნა თავისი ჩემოდანი.

- არა! სრულიადაც არაა ძუნწი! ვარდების მიმართ, ყოველ შემთხვევაში... მაგრამ ტელეფონით დარეკვა ამ ტუმბოს დადგმის გამო, მუშების ალიაქოთი სახლში, ეს აბრაზებს. იმის მაგიერ, რომ ცენტრალური გათბობა მოგვიწყოს, ურჩევნია ააგოს კლიმატური დანადგარი გრუნტიდან ამოღებული ვარდების შესანახავად. ძუნწი... ძალიან მწყინს, რომ მამა ძუნწად გეჩვენება. დარწმუნებული ვარ, წარმოდგენაც კი არა აქვს, რა სიმდიდრის პატრონია... ეს არც არავინ იცის! ჩვენ ცოტა უკუღმართი პროფესია გვაქვს. ყველაფერი ღმერთის ნებაზეა დამოკიდებული.

- რაღაც რთულად მელაპარაკები... - მარტინამ ჩემოდნიდან ამოიღო და მკლავზე გადიკიდა კაბები. თან ოთახი შეათვალიერა. - სად დავკიდო? უფრო მეადვილება ვიფიქრო, რომ მამაშენი, უბრალოდ, ძუნწია. ყოველ შემთხვევაში, თქვენთან ძალიან გემრიელ საჭმელს ამზადებენ. შენს დას საყვარელი ჰყავს?

დანიელი უცქეროდა, როგორ დაკიდა მარტინამ კაბები თან ჩამოტანილ უღელაზე და ჩამოკიდა კედელზე ჩაჭედილ ლურსმნებზე. დიდი კამოდის უჯრები ღია იყო. მარტინა შიგ რაღაც ლამაზსა და გამჭვირვალე ნივთებს ალაგებდა.

- არა, რამდენადაც ვიცი, ჩემს დას საყვარელი არა ჰყავს. - თქვა დანიელმა დაბნეულად. - ის მუდამ გაჩუმებულია და არც კი ვიცი, რაზე ფიქრობს. ხანდახან ვეკითხები ჩემსავე თავს: შესაძლოა, მთელი მისი იდუმალება სისულელეა, და მეტი არაფერი? ხედავ, მე ყველაფერს გეუბნები, მარტინა: ჩემი საყვარელი დისაც კი არაფერი დაგიმალე... ხომ არ დაიღალე,

ჩემო სიცოცხლევ? დაიღალე? ეგებ წამოვწვეთ, დავისვენოთ?

დასვენება გაჭიანურდა. დღის დანარჩენი ნაწილი მათ ლოგინში გაატარეს. არავის შეუწუხებია ისინი, ხოლო ფანჯრის იქით გადაშლილიყო რაფსის ოქროვანი მინდორი, ზეცა და თვალუწვდენელი ჰორიზონტი. მოწყურდათ, დანიელი სამზარეულოში ჩავიდა და ამოიტანა სიცივისაგან დაორთქლილი ერთი ბოთლი შავი ღვინო, ხილი და ბისკვიტები. საღამოთი მათ დაიარეს ზემო სართულის ცარიელი ოთახები, ჩავიდნენ ქვის კიბეზე და გამოვიდნენ გუდრონირებულ გზატკეცილზე. ღამე საამო სურნელებას აფრქვევდა, ირგვლივ არაჩვეულებრივი მყუდროება სუფევდა, არსაიდან სიო არ უბერავდა. უძრავი ჰაერი თოთო ბავშვის შეხებასავით სუფთა და ნაზი იყო. როდესაც შინ ბრუნდებოდნენ, მარტინას წინაშე ფერმა ისე აღიმართა, როგორც ვეებერთელა შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე კედლებითა და ქონგურებით.

- უკაცრიელი ციხე-დარბაზი გეგონება! - მოკრძალებით წაიჩურჩულა მარტინამ. - არსად ჩანს სინათლის ნატამალი...

- ყველას სძინავს. აქ მზის ამოსვლისთანავე იღვიძებენ.

შარაგზაზე გამომავალი კარი არ იყო დაკეტილი. ისინი ფეხაკრეფით ავიდნენ კიბეზე. ცდილობდნენ არ ეხმაურათ, თუმცა სახლის ამ მხარეზე არავინ ცხოვრობდა, გაიარეს კორიდორი და ლოგინში ჩაწვნენ.

## ვარდების გუშაგი

მწკრივებად ჩარიგებულ ვარდების ბუჩქებს ბოლო არ უჩანდათ. ერთიმეორეს ენაცვლებოდა წითელი, ვარდისფერი და

ყვითელი მწკრივები. ვარდები, რომლებმაც ყვავილობა მოათავეს, გადაშლილიყვნენ და გამოეჩინათ მტვრიანები. უწესრიგოდ გაფურჩქვნილებს ფერიც ეცვალათ: წითელ ვარდებს სოსანისფერი დასდებოდა, ყვითლები და თეთრები თითქოს გაჭუჭყიანებულიყვნენ, ფურცლების კიდეები შეშრობოდათ. მარტინამ გუნებაში გაიფიქრა, რომ როზარიუმი როდია უნაკლო რამ.

- აი აქ, - თქვა უფროსმა დონელმა, - პაპამ დარგო ვარდების პირველი ბუჩქები, აქედან მიეცა დასაბამი ჩვენს ფირმას... „გრძნეული ვარდის“ ჯიშის გამოყვანის შემდეგ ყველაფერი გართულდა, - ჩვენც და ვარდებიც. ეს კულტურის განვითარების ბრალია... შენისთანა ხალასი სიმშვენიერე, მარტინა, უკვე იშვიათად თუ სადმე გვხვდება. მაგრამ დავუბრუნდეთ ვარდებს.. მომხდარა ხოლმე, რომ მოულოდნელად „გრძნეულ ვარდს“ ჩვენი გალიური, ფრანგული ვარდის ბუჩქს მრავალფურცლოვანი ვარდი გამობმია! ხედავ, მარტინა, ეს ხანდახან ყვავილებსაც მოსდით ხოლმე. მაშინვე ხელი მოკიდეს მის კულტივაციას ანუ, როგორც ამბობენ, გაუმჯობესებას. რატომ ითვლება გართულება გაუმჯობესებად? მე თუ მკითხავთ, მრავალფურცლოვან ვარდს ხუთფურცლოვანი მირჩევნია.

- მოგყირჭდა მრავალფურცლოვანი ვარდები, მამა და ამიტომ ჭირვეულობ!

დანიელმა გულიანად გადაიხარხარა.

- შესაძლოა... მინდვრის ვარდიდან ბერძნებმა გამოიყვანეს „ასფურცლოვანი“... მისი სურათი შენს ოთახში კიდია, ახლა ხომ დანიელის ოთახი შენი ოთახია... რედუტემ, ცნობილმა

გენეტიკოსმა, მას ნაოჭასხმული კაბა ჩააცვა, ამიტომ ძნელი წარმოსადგენია ახლა, რომ ვარდი უკვე რამდენიმე საუკუნის ასაკისაა და ჩვენთან შორიდანაა მოსული.

- მამა, როგორ ჩამოცხა. - თქვა დანიელმა, რადგან შეატყო, მარტინას უკვე მოეწყინაო.

- კარგი, კარგი. მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ პაპამ სწორედ აქ დარგა პირველი ვარდები. თუ გგონიათ, რომ ძალიან ცხელა, სახლში დავბრუნდეთ.

მაგრამ თვითონ კი სულ წინ მიიწევდა. შორს ტრაქტორი მოირხეოდა ყავისფრად გადახნულ მიწაზე... უფრო ახლოს ღია მწვანე კვლები მოჩანდა, ხოლო მათზე დახრილი, ორად მოკეცილი პატარა კაცუნები უძრავნი გეგონებოდათ მცხუნვარე მზის ქვეშ, მაგრამ დროგამოშვებით ისინი ერთ ნაბიჯს წინ დგამდნენ.

- ხელით სამუშაო, რასაც ისინი იქ აკეთებენ, ფაქიზი საქმეა. - ბ-ნმა დონელმა ხელით მოიჩრდილა სახე. - მინდა მარტინა დაინტერესდეს. ეს ასეც უნდა მოხდეს, რადგან დონელია, ასეა თუ ისე. ამიტომ ადრე თუ გვიან ვარდების მოშენებას მოკიდებს ხელს... ჯერ არ გაგონილა, რომ დონელების ოჯახის წევრს არ აინტერესებდეს ვარდების მოვლა!... შენ მაინც უნდა მიხვიდე და ნახო, როგორ მყნიანდა ხან რამდენიმე ათას ასკილის ბუჩქს! ოდნავ ჩაჭრიან, ჩადგამენ კალამს, ახვევენ... ეს ფაქიზი, ნატიფი სამუშაოა... არა ნაკლებ ფაქიზი, ვიდრე კანის შემოჭრა ფრჩხილის ირგვლივ! და ასევე მცირედ ფასობს იგი... შენი ქმარი მოუსვენარი კაცია, ყოველდღიური ლუკმაპური არ აკმაყოფილებს, რასაც ეს ვარდები აძლევენ, ოქროს მაძიებელს ჰგავს. ვარდების ახალი ჯიშების გამოყვანა ისეთსავე ხარჯებს მოითხოვს, როგორც საჯირითო ცხენების საჯინიბოს შენახვა! იმ გამოცდილებით მაინც

კმაყოფილდებოდეს, რაც ჩვენ გაგვაჩნია, ჩვენ, ვარდებს შორის მცხოვრებ ადამიანებს... არა, მიართვით ქრომოსომები, გენები და სხვა მისთანანი. ვითომ რას გახდება ამითი? შესაძლოა, სულაც ვერაფერს მიაღწიოს!

- შენ პროფესიას პაპას უნდა უმადლოდე, - უპასუხა დანიელმა. სიბრაზისგან ისე გაყვითლდა, თითქოს ნაღველი ჩაექცაო. - ეს საარსებო პური არ გექნებოდა, მამაშენი რომ ოქროს მაძიებელი არ ყოფილიყო.

მარტინა შეშინებული შესცქეროდა ხან მამასა შვილს. იცოდა, ვარდების ახალი ჯიშების შექმნის საკითხი მათთვის მეტად მტკივნეულიაო, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რომ ყოველივე ეს ამდენად სერიოზულია.

ბ-ნი დონელი უფროსი - თავაზიანი, ცოცხალი, რამდენიმედ ექსპანსიური კაცი გახლდათ. მას თითქოს მუდამ სადღაც მიეჩქარებოდა, ბევრს და სწრაფად ლაპარაკობდა, საუბრის დროს ხშირად იცინოდა. სულ სხვა იყო დანიელი - დინჯი, მტკიცე, ირონიული, ჩუმი. მამა-შვილი სრულიად არ ჰგვანდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ დიდი სიყვარული აერთიანებდა... ახლა კი რა მოხდა?

- პაპა თავს ირთობდა ვარდებით, და ეს ძვირად არ უჯდებოდა... პოლიანტების გამოყვანა! უბრალოდ, ბედმა გაუმართლა... ალღომ და შემთხვევამ შეუწყო ხელი... ხოლო შენი ჰიბრიდები - ეს მეფური გართობაა, შვილო! მარტინა, თუ მაგ ბიჭზე გავლენა გაქვს, აუყარე გული გენეტიკაზე. თავისი მეცნიერული ცდებით ჩემს საუკეთესო ვარდებს აფუჭებს და მათ საექსპერიმენტო მცენარეებად ხდის... დამერწმუნე, მერჩია აზარტული მოთამეშე ყოფილიყო, ბანქოსა ან რულეტს

გადაჰყოლოდა! საქონელს მაინც არ გამიფუჭებდა!

- მამა! - დანიელს სახე წამოუჭარხლდა, - მამა არ ვიცი, რა გემართება... რაები გითხრა გუშინ საღამოთი ბერნარმა? რა გიქნა? წავიდეთ, მარტინა, მზე დაგკრავს.

დანიელმა ისე მაგრად ჩასჭიდა მკლავში ხელი მარტინას, რომ ქალს მკლავზე თეთრი ლაქები დააჩნდა, ამით იგრძნო ქმრის მძვინვარების მთელი ძალა.

- საუზმეზე გნახავთ! - მიაძახა მათ ბ-ნმა დონელმა.

დანიელი მინდვრის ბალახს შორის გაჭრილ ბილიკს დაადგა. მარტინა უკან გაჰყვა. დანიელის ვაჟკაცური ზურგი, მისი უკვე ნამზეური კეფა, მრგვალი თავი, მოკლედ შეჭრილი თმა... რა ნაზ გრძნობებს იწვევდა მარტინაში ეს მრგვალთავა კაცი.

- ყური დამიგდე, - გულდაჯერებით ეუბნებოდა იგი დანიელს, მაგრამ ვაჟი ხმას არ სცემდა.. მარტინა მშვიდ გუნებაზე იყო და შფოთის თავი არა ჰქონდა.

ძაღლები ყეფის ხმაშეუწყვეტელი ორკესტრით შეხვდნენ. ისინი ჯერ ვერ მიჩვეოდნენ მარტინას, გასაგებიცაა, ის ხომ აქ მხოლოდ გუშინ ჩამოვიდა. აი იხვები, ქათმები, - ესენი თავს არ იწუხებდნენ ასეთი წვრილმანებისათვის. სამზარეულოს კართან დანიელმა უთხრა ცოლს:

- მე ცოტას გავისეირნებ... - მარტინამაც არ დაუშალა.

ცარიელ სამზარეულოში ცხოვრება მაინც სჩქეფდა: სარქველი ცეკვავდა დიდი ქვაბის თავზე, თეთრი ოხშივარი ადიოდა საკვამურის ხუფს ზევით, ბუზები დაბზუოდნენ მაგიდას და ეწებებოდნენ გაშავებულ-დამძიმებულები წებოვან ფურცლებს. მარტინა ავიდა თავის ოთახში, დანიელის ოთახში.... აქ გრილოდა, შტორი ჩამოეშვათ, ხოლო სუფთად დალაგებულ ლოგინს სუფთა

გადასაფარებელი ეფინა. ბუზები ძირს ჩაფრინდნენ. მარტინა მეორეჯერ არ ჩაიცვამს თეთრ ფეხსაცმელს, თუკი ეზოზე უნდა გადაიაროს; დანიელის მამამ გარშემო შემოატარა, გზატკეცილზე გამავალი კარით გავიდნენ, შემდეგ დანიელის ოთახის ფანჯრებქვეშ გაიარეს, ფერმის კედლის გასწვრივ, ისე, როგორც კლიენტები დადიოდნენ, - ის დანიელზე უფრო ყურადღებიანი იყო. დანიელს კი რა ენაღვლებოდა. ის შიგ ტალახში ატყაპუნებდა ფეხებს იხვივით. მარტინამ ფეხსაცმელი გამოიცვალა, გაკოხტავდა... ის აქ აღელვებული შემოვიდა, მაგრამ ოთახში გამეფებულმა სიწყნარემ და მყუდროებამ დაამშვიდა. ფანჯრის იქით ნიავი არხევდა რაფსის მოოქროვილ მტევნებს. უფრომა დონელმა დანიელს ოქროს მაძიებელი უწოდა. მართლაც რომ იპოვოს ოქრო? დაწვრილებით უნდა გამოკითხოს დანიელს როგორ შეიძლება, რომ მებაღემ ოქრო იპოვოს. რა არის მებაღის ოქრო? რა საწყენია, რომ დანიელი ახლა წავიდა გასასეირნებლად. გამძვინვარებულ დანიელს უნდოდა მარტო დარჩენილიყო. ქვევიდან ხმები გაისმოდა... მარტინამ კედლის პატარა სარკეში ჩაიხედა: ტუჩების პომადა გამოსაცვლელია, ნამზეურ სახეზე იისფრად ჩანს.

კიბეზე მარტინას ქუსლების რაკარუკმა ჩააჩუმა მოლაპარაკენი... შეცბუნებული შეჩერდა მარტინა კიბის ბოლო საფეხურზე. სამზარეულოში ათამდე კაცი იყო, მათ ლურჯი შარვლები და მაისურები ეცვათ, მიწით გათხვრილიყვნენ... მზით დამწვარი ხელები, შავკვალდამჩნეული თითები. მაგიდასთან მსხდომნი წამოდგნენ მის გამოჩენაზე, სხვები ეზოდან შემოვიდნენ, სველ თმას ისწორებდნენ, ხელებს

იმშრალებდნენ...

- გაცნობით არავის გაგაცნობთ, - თქვა ბ-ნმა, დონელმა. მხოლოდ მას ერთს ეცვა ბრეტელებიანი ხაკისფერი შარვლი და პერანგი. - ეს დიდ დროს წაგვართმევდა. ბიჭებო, გაიცანით ახალგაზრდა ქ-ნი დონელი, დანიელის მეუღლე. რას იტყვით, ხომ ლამაზია?

ყველას გაეცინა. ცხადია, რომ ის ლამაზია. ეს ყველასთვის აშკარაა..... საბედნიეროდ. შემოვიდნენ დომინიკა და მისი ბავშვები, თორემ უხერხული მდგომარეობა იქმნებოდა. ბ-ნმა დონელმა უთხრა მარტინას, გვერდით მომიჯექიო. „ძაღლების დედილომ“ მოიტანა სუფრაზე ლანგარი ხორცით, კაცებმა ჯიბეებიდან დანები ამოიღეს. დანიელი ჯერ არსად ჩანდა, მარტინას ფიქრი მხოლოდ მასთან იყო. პირველ დღესვე... მაგრამ არავის არაფერი უკითხავს, თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ მის იქ არყოფნას. დავობდნენ:

- განა ასე მუშაობა შეიძლება? ვინ ოხრებმა დაგირგეს ეს ასკილი, ბატონო? არც ასკილები უქნია ღმერთს და არც მათი დამრგავები. სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ოცი პროცენტი მაინც ზარალია თქვენთვის, ბატონო...

ამის მთქმელი ჩია მოხუცი კაცი იყო, თუთუნით გაყვითლებული ულვაშები ჰქონდა.

- კარგი, გეყოფა. - უთხრა მის გვერდით მჯდომმა ჭაბუკმა. მან მოხუცს ჭიქაში შავი ღვინო ჩაუსხა ისე დაუდევრად, თითქოს ცხვირსახოცი გადაუგდოო. ეს სწორედ ის ქერათმიანი მოჯამაგირე იყო, რომელმაც გუშინ ჭიშკარი გაუღო ცოლ-ქმარს.

- მიმილთან ხელსაყრელია მუშაობა, წამოიძახა მაგიდის მეორე ბოლოდან მხიარულმა ახალგაზრდამ. - მაიმუნივით ხელები აქვს,

ჩემს სიცოცხლეში ასეთები არ მინახავს! რომ დაიხრება, ხელები ტერფებზე ორმოცდაათი სანტიმეტრით დაბლა ჩამოეკიდება.

- არა უშავს, მე ვიცოდე და ჩემმა ხელებმა. - უპასუხა მიმილმა; ის თვრამეტი წლის თუ იქნებოდა, ლოყებზე ჯერ კიდევ ღინღლი ჰქონდა და მადიანად მიირთმევდა თავის ბიფშტექსს.

- გეუბნებით, ბატონო, ისევ დაიწყო ულვაშიანმა, - ძალიან ცუდი ნამუშევარია... ვისი ზედამხედველობის დროს მოხდა? ჩითილები უხეიროდაა ჩარჭობილი მიწაში. ნუთუ არავინ გყავდათ, რომ დაეთვალიერებინა, შეემოწმებინა ბიჭების ნამუშევარი! ამიტომ, თუკი კალამი არ დაემყნობა, ნუ იტყვით, რომ ჩვენი ბრალია.

- ჩვენ აქ ჩვენებური წესები გვაქვს. - ბ-ნმა დონელმა მარტინას თეთრი ღვინო დაუსხა, სხვები შავს სვამდნენ. - რა თქმა უნდა, თვალყურს ვადევნებთ, მაგრამ ვენდობით ერთმანეთს... გეტყობა, ახალი კაცი ხარ აქ... ნურც ღელავ, მე თვითონ ჩავიწერე იმათი გვარები, ვინც დარგო, ხოლო პიერომ - ვინც დამყნა, ხომ ასეა, პიერო? და იქ როგორ აკეთებდნენ, საიდანაც მოხვედი? აქ, ჩვენთან ყველაფერი უბრალოდ კეთდება...

ბ-ნი დონელი უგულისყუროდ ლაპარაკობდა, სხვაზე ფიქრობდა. მარტინას თვალი კარებზე ეჭირა. დომინიკა ბავშვებით იყო გართული. პატარა პოლოს სიცხისაგან შუბლზე ოფლი ჩამოსდიოდა...

- ეი, პოლო, ასკილის რამდენი ბუჩქი დამყენი დღეს? - შესძახა მას მხიარულმა ჭაბუკმა. - მოდი, ახალ ხერხს გიჩვენებ.

ბ-ნმა დონელმა შვილიშვილს გადახედა და უთხრა:

- როცა წახვალ, ქუდი დაიხურე...

გუშინდელივით ძაღლები დღესაც მაგიდის ირგვლივ იწვნენ. დროგამოშვებით ვინმე ძვალს გადაუგდებდა. „ძაღლების დედილო“ დაცუნცულებდა მათ შორის.

- აბა, მარტინა, გადაუგდე ეს იმ დიდ ძაღლს, - ბ-ნმა დონელმა მარტინას ძვალი მიაწოდა, - ის ხროვის გამძღოლია, თუ აიღებს, სხვებიც დაგემორჩილებიან...

დიდმა ძაღლმა ძვალს პირი ჰკიდა... დანიელი კი არსად ჩანდა.ყველი ჩამოარიგეს. უცნაურია, არავინ კითხულობს სადაა დანიელი. მხოლოდ ბერნარს, ეტყობა, რაღაც უნდა აწუხებდეს. მარტინამ შეამჩნია, დროგამოშვებით კარებისკენ იყურება, თან პურიდან ბურთულებს აგორებს. შეგეზიზღება, პირდაპირ! სამუშაო ტანსაცმელში ის ისეთივე უსიამოვნო შესახედავი იყო, როგორც პიჯაკში. ყავა საუცხოო გემოსი იყო, ხოლო მარტინას უყვარდა კარგი ყავა. ამ სახლში, საერთოდ, კარგი საჭმელი იციან და ახლად დაქორწილებულთა ჩამოსვლა არაა ამის მიზეზი. ამ შემთხვევის გამო, ბ-ნმა დონელმა ბრძანა, ყავასთან ლიქიორი მოგვართვითო. ლიქიორი ისეთი გამოდგა, რომ ტუჩებს ჩაიტკბარუნებდით და ყველამ შესვა მარტინას სადღეგრძელო... სადილი დამთავრდა: მუშები წამოიშალნენ, სიგარები გააბოლეს, კარებში მცირე ხნით შეჩერდნენ და ერთბაშად, როგორც სინათლისკენ მიფარფატე ბუზანკლები, გაცვივდნენ ბნელი სამზარეულოდან.

„ძაღლების დედილომ“ თეფშები აალაგა. დომინიკა უკვე წავიდა. ბავშვები ეზოში თამაშობდნენ, გოგონა დახტოდა და გამკივანი ხმით ყვიროდა, ის ძაფიდან მომწყდარ საჰაერო ბუშტს ჰგავდა, გატაცებით თამაშობდა. მარტინა კარებში იდგა და

უცქეროდა, როგორ გავიდნენ მუშები ჭიშკრიდან მინდორზე, ხოლო იქედან - ვარდების პლანტაციაზე... ისინი, თითქოს, სასეირნოდ მიდიოდნენ. „ძაღლების დედილო“ თავის აღზრდილებს, ძაღლებს ესაუბრებოდა. თუ ჰგონია, რომ მარტინა დაეხმარება ჭურჭლის რეცხვაში! პარიზშიაც კი, სადაც ყოველგვარი კეთილმოწყობა ამსუბუქებს შრომას, დედა დონზერი ხელების გაფუჭების ნებას არასდროს არ აძლევდა სესილსა და მარტინას. მაგრამ როცა მარტინა მიტრიალდა, დაინახა, რომ სამზარეულოში უკვე დიასახლისობდა ზორბა ტანის ქალი, რომელსაც იდაყვებამდე ჩაეყო ხელები ცხელი წყლით სავსე ვარცლში. ნეტავ საიდან გაჩნდა? მან დინჯად მიმართა მარტინას:

- გამარჯობა, ქ-ნო დონელ!

მარტინა თავის ოთახში ავიდა.

მარტინა დაწვა, ძლიერ ღელავდა, არ იცოდა - რა ექნა... დანიელმა თქვა: „წავალ, გავისეირნებო“ - და გაქრა. ეს ამბავი, მარტინას გარდა, სხვას არავის აწუხებდა. მაგრამ კმარა ამაზე ფიქრი, აი, ის აქ არის, დაბრუნდა - ცოცხალი, მტვრიანი და ოფლიანი, ამ სიცხეში უვლია. დანიელი დაღამებისას გაჩნდა, როცა ქვევით, სამზარეულოში ყველაფერი მიწყნარდა. მარტინა ვახშმად აღარ ჩასულა და არც არავინ მიაკითხა. ალბათ, აქ ასეა მიღებული: არავინ გაბეზრებს თავს. ღამე წყნარი იყო, როგორც ქარხანა იმის შემდეგ, რაც მანქანები გაჩერდნენ და მუშებიც წავიდ-წამოვიდნენ. ღამემ დაუბრუნა მარტინას დანიელი.

პირაღმა მწოლი დანიელი, გულზე ხელდაკრეფილი, დაღლილი და პირქუში ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა:

- სულ ბერნარია დამნაშავე. რასაც კი აკეთებდა

ბავშვობიდანვე, ყველაფერი ჩემს საწინააღმდეგოდ იყო მართული... მე კი მისთვის არაფერი დამიშავებია; ეს რაღაც გაუგებარი, თანდაყოლილი სიძულვილია. დარწმუნებული ვარ, გერმანელ ფაშისტებს იმიტომ აეტორღიალა, რომ მე პარტიზანების რიგებში ვიყავი. თუ კი გავიგებ, რომ მან გამცა, არ გამიკვირდება.

მარტინა შეეხო ქმარს ალერსიანი, გრილი ხელით; საბრალო დანიელს გული ტკივა...

- ყური დამიგდე! - დანიელი წამოიწია, რათა თქმულისათვის მეტი მნიშვნელობა მიეცა. - შარშან ზაფხულში ბერნარმა ფანჯრიდან გადაყარა სინჯარები მტვრიანებით, რომლებიც მე აქ, მაგიდის უჯრაში ჩავდე, რადგან სიბნელე და სითბო სჭირდებოდათ. შემოვდივარ და ვხედავ - უჯრა ვიღაცას გამოუწევია! მაშინვე გულმა რეჩხი მიყო, და მართლაც, უჯრა ცარიელი იყო. არც კი ვიცოდი, სად მეძებნა, ფანჯარას მივვარდი; ყველაფერი ძირს ეყარა, ნამსხვრევებად ქცეული. დღევანდელივით ბინიდან გავიქეცი, სად არ ვიხეტიალე! მზად ვიყავი მომეკლა ბერნარი, რადგან ვიცოდი, დარწმუნებულიც ვიყავი, რომ მისი ნახელავი იყო. მაშინ ისევ შევკრიბე მტვრიანა, დრო ჯერ კიდევ არ გასვლოდა. ბუჩქებზე ვარდები მოვამზადე გამტვერიანებისათვის და ქაღალდის თალფაკები დავაფარე, რომ უცხო მტვრიანა არ მიკარებოდა და ისე შემეჯვარებინა, როგორც მინდოდა... და იმ დღეს, როცა მივედი მტვრიანათი და პატარა ფუნჯით, რომ მტვრიანა ბუტკოებზე დამედო... იდეალური დღე იყო თბილი, მზიანი, წყნარი... ყური დამიგდე, მარტინა! ჩემს მიერ მომზადებულ ვარდებისგან ვიღაცას მოეხსნა თალფაკები! ყველაფერი დაიღუპა! თავიდან დაწყება უკვე გვიან იყო ნაყოფი მომწიფებას ვერ მოასწრებდა. წელიწადი დავკარგე, მთელი

წელიწადი... სულ მაგ საზიზღარი ურჩხულის გამო!

დანიელი უცებ შეტრიალდა და პირქვე დაწვა. მარტინამ კბილებგაუხსნელად წაიჩურჩულა „არამზადა“ ისე, როგორც დედამისი მარი ამბობდა ამ სიტყვას.

- საქმე რომ დამტკიცებაზე მივიდეს, ვერ დაუმტკიცებ, შენი ჩადენილიაო, ვინმეს რომ ვუთხრა, არ დამიჯერებენ. ეს უნდა იცოდე, იგრძნო... მებაღეობის სკოლაში გამუდმებით ლაბორატორულ მუშაობას ვეწეოდი. მთელი ეს წელიწადი მოვანდომე იმ ვარდის ფურცლების უჯრედების შესწავლას, რომლებიც არომატულ ზეთებს შეიცავენ... თუ გახსოვს, ამის შესახებ გელაპარაკე კიდეც, მაგრამ შენ, როგორღაც, არ დაინტერესდი... ერთი სიტყვით, მე მინდა გამოვიყვანო ჰიბრიდი, რომელსაც ექნება ძველებური ვარდის სურნელება და თანამედროვის - ფორმა და ფერი. სხვადასხვა სახეობანი ალალბედზე არ მინდა შევაჯვარო. ამიტომ ვსინჯე შემესწავლა ზოგ მოშენებულ სახეობათა წარმოშობა და განვითარება: მე ვცდილობ მეცნიერი გავხდე და არ მინდა, ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი, მკითხავი და მისანი ვიყო.

დანიელი მუშტებს ურტყამდა ლეიბზე. ცოფებს ყრიდა... მარტინასაც გადაედო მისი მძვინვარება. ფანჯრიდან მათ უცქეროდა ცივი და ცნობისმოყვარე, ოდნავ დისკოგადახრილი მთვარე.

- გესმის, - წყნარად განაგრძო დანიელმა, - მე უნდა ვსინჯო ერთი ჯიშის მეორით ხელოვნური დამტვერიანება, ასეული სხვადასხვა კომბინაცია ათასობით ეგზემპლარებზე! ბედს კი არ მივენდო, მეცნიერულ მოსაზრებებს უნდა დავეყრდნო.

დანიელს მოეჩვენა, დღეს მარტინა ინტერესით მისმენსო.

ვინ იცის, ეგებ ისიც მოიხიბლოს მისი ცხოვრების დედააზრით? ეს ხომ დიდი ბედნიერება იქნება!

- საჭირო შედეგების მისაღებად გონივრულად უნდა შევაჯვაროთ ვარდები, - ამბობდა იგი, - ჩემი პაპა ვარდების გაზრდა-გაშენების დიდი ოსტატი იყო, ძალიან კარგი კატალოგიც კი შეადგინა, სადაც ვარდები დალაგებულია ჯიშებისა და ნაირსახეობათა მიხედვით, მაგრამ ის მხოლოდ მათ გარეგნულ თვისებებს ემყარებოდა... ჩვენს დროში, მეოცე საუკუნეში მცენარეების მონათესავე სახეობათა განსაზღვრისათვის მეცნიერული მეთოდები გამომუშავდა: ახდენენ უჯრედების მიკროსკოპულ ანალიზს, ითვლიან ქრომოსომების რაოდენობას. თუ ვარდებს ქრომოსომების ერთნაირი რაოდენობა აქვთ, ისინი ერთ სახეობას ეკუთვნიან და სწორედ ისინი უნდა შევაჯვაროთ ერთმანეთთან, რათა მივიღოთ სიცოცხლისუნარიანი ჰიბრიდი. მაგრამ არ მინდა ახლა გენეტიკის გაკვეთილი ჩაგიტარო... შენ და მთვარეს. ეს კი იცოდე, რომ რიცხვი „შვიდი“ გადამწყვეტია ვარდების ქრომოსომებისთვის, ხოლო შეჯვარების დროს მდედრობითი საწყისი ჭარბობს ფორმაში, მამრობითი კი - ფერში...

დანიელი გაჩუმდა. მარტინა წყნარად სუნთქავდა; ალბათ, კარგა ხანია სძინავს. ყოველთვის ასეა, როცა კი დანიელი თავისი ცხოვრების უმთავრეს საგანზე ჩამოუგდებს ხოლმე ლაპარაკს მარტინას. რას იზამ, თავს ზევით ძალა არაა...

- გძინავს? - ჰკითხა მან ჩუმად ქალს.

- არა... თუ გოგონა შეგვეძინა, ქრომოსომა დავარქვათ.

დანიელი ბედნიერი იყო, ცოტა რამ სჭირდებოდა ბედნიერებისათვის. რა კარგად გაუგო მარტინამ, რა ტკბილად დაუყვავა!

- ახლა მე გეტყვი ერთ საიდუმლო ამბავს...

- თქვი მალე... - მარტინა ცნობისმოყვარეობამ აიტანა და მთლად გამოფხიზლდა.

- მე აქა მყავს თანამზრახველი - ჩემი ბიძაშვილი პიერო! ეს წელიწადი ტყუილუბრალოდ არ დაგვიკარგავს! მან ერთდროულად შეკრიბა ისეთივე მტვრიანა, როგორც მე, იმნაირივე, რაც ბერნარმა ფანჯრიდან გადაყარა. მოამზადა გამტვერიანებისათვის ისეთივე ვარდები, როგორებიც მე მოვამზადე, რომლებისგან თალფაკები ბერნარმა მოხსნა. პიერო ბერნარს არ ენდობოდა. მე ყველაფერს ყველას დასანახად ვაკეთებდი, ის კი თავისი ფუნჯით ფარულად მოქმედებდა, ხოლო ჩემი წასვლის შემდეგ შეკრიბა ნაყოფი, დათესა მისი თესლი ყალბი ეტიკეტებით, ვითომ ეს ის ჯიშები იყო, რომლებსაც აქ გასაყიდად აშენებენ. როცა თესლი აღმოცენდა, პიერომ გადაარჩია საუკეთესო ეგზემპლარები და თებერვალში გადარგა. და მაშინ, მისმინე ყურადღებით, მარტინა... - დანიელი წამოდგა და ხმას აუწია... - მაშინ...

მარტინა იდაყვით ბალიშს დაეყრდნო და ყურადღებად იქცა.

- ერთ-ერთ ნორჩ ვარდის ბუჩქზე, - თქვა დანიელმა, - რომელიც გაიზარდა იმ საიდუმლო ოპერაციების შედეგად, რაც პიერომ მოახდინა 1949 წლის ივლისის დამდეგს, 1950 წლის მაისში გაიშალა ვარდი. და რა ვარდი! თეთრი ქალის მიერ ნაშობ ზანგს ჰგავდა - გამჟღავნებულ ცოდვას. ახალი ჰიბრიდი განსაცვიფრებელი ჰიბრიდი იყო! და რომ იცოდე, მარტინა, რა სურნელებას აფრქვევდა! თოთხმეტი სურნელების ვარდი არსებობს და ჰიბრიდთან ვერც ერთი ვერ მოვიდოდა. არ ჰგავდა არც ლიმონის, არც მიხაკის, არც ჩაისა და არც მურტის

სურნელებას... ამ ვარდს საოცარი, უზადო სურნელება - ნამდვილი ვარდის სურნელება ჰქონდა!

დანიელი იატაკის ოღროჩოღრო ფიცრებზე ბოლთასა სცემდა.

- ამბობენ, როცა ბერნარმა ეს ბუჩქი აღმოაჩინა, სულ ცოფები ჰყარაო... საიდან გაჩნდაო? მამასთან გაიქცა და ვინ იცის, რაები დაროშა. პიერომ თავი მოიკატუნა, მე რა შუაში ვარო, მაგრამ მამაც კაი ეშმაკია, პიეროს საშველი არ მისცა, რა არ უწოდა... და ეს სულ რამდენიმე ათეული ვარდის ბუჩქის გამო... სირცხვილი არაა?! მაგრამ მამასაც არ უნდა მოგება ხელიდან გაუშვას. ის კარგად ხედავს, რომ ჰიბრიდი მეტად საინტერესოა. და აი, აგვისტოში პიერო უკვე მამას თანხმობით დამყნის ახალ ჰიბრიდს ასკილზე. საბოლოოდ გამოჩნდება, თუ რა გამოვა აქედან... სამი-ოთხი წლის შემდეგ. როცა ბუნებასთან გაქვს საქმე, აჩქარება არ გმართებს. მაგრამ ვაითუ ბერნარმა ისევ მოსპოს და გაანადგუროს ყველაფერი... ჟრუანტელი მივლის... არ ვიცი რატომ, - ვარდების ბედი მაწუხებს, თუ ამ ბოროტი ადამიანის სიძულვილი მძლევს.

მართლაც, ის თრთოდა და ცახცახებდა, მარტინაც კანკალებდა მასთან ერთად...

- თუ ამას ჩაიდენს, მოვკლავ! - უცებ დანიელმა გადიხარხარა. წარმოდგენილი მაქვს, როგორ ვიტყვი სასამართლოში, რომ ქრომოსომების გამო მოვკალი, ესაა ბრძოლა პროგრესისათვის, ბერნარი - ვერაგი რეაქციონერია-მეთქი. ალბათ, მოსამართლეები გიჟად ჩამთვლიან, რომელმაც კაცი მოკლა ვარდის ოციოდე გაფუჭებული ბუჩქის გამო. თავს მომკვეთავენ... და მე მაინც მოვკლავდი ბერნარს... ფანჯარასთან მივიდეთ, ჩემო სასურველო, ჰაერი აღარ მყოფნის, სული მეხუთება.

მარტინამ ქმართან მიირბინა; ისინი ღია ფანჯრის რაფაზე

ჩამოსხდნენ და ერთად ისუნთქავდნენ პლანტაციებიდან მონაქროლ საამურსა და ნაზ სურნელებას, თითქოს ღამის ემბაზში გაგრილებულსა და მთვარით შევერცხლილს. დანიელმა ლექსი თქვა:

ჰაფეზ მიილტვის ვარდისკენ,
ვით ვნებიანი ბულბული,
ვით ვარდის მტვერის გუშაგი,
მისთვის გულგადაბუგული.

- მეც მზადა ვარ შენი თავგანწირული გუშაგი ვიყო... ჩემო სიყვარულო, ჩემო მზეთუნახავო, ჩემო ვარდო...

## შინაური კინოთავგადასავალი

მათი გაცისკროვნებული თაფლიანობის თვე შეიჭრა ფერმის მზის ბრუნვასავით მონოტონურსა და ერთფეროვან, ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყველა მუშაობდა, მათ გარდა. ისინი თავისთვის ცხოვრობდნენ, და ეს თითქოს ყველასთვის ხელსაყრელი გახლდათ. დანარჩენები თავს უფრო თავისუფლად გრძნობდნენ, როდესაც ახალგაზრდა ქ-ნი დონელი მათთან არ იყო. „ძაღლების დედილო“ ახლად დაქორწილებულებს ნუგბარ კერძებს უმზადებდა, რადგან ფიქრობდა, სხვებისთვის მომზადებული ჩვეულებრივი საჭმელი ამათ არ გამოადგებათო. ვახშმის შემდეგ მუშები მიდიოდნენ - ისინი ფერმაში ღამეს არ ათევდნენ - და უცებ წყნარი და უძრავი ღამის მყუდროება დაისადგურებდა. მუშების წასვლის შემდეგ შინაურებიც სადღაც ქრებოდნენ, უჩინარდებოდნენ...

დანიელი და მარტინა დროს სიყვარულით ავსებდნენ - ეძინათ, სეირნობდნენ, საკუთარი მანქანით მიმოდიოდნენ... არავინ არ ერეოდა მათ დროსტარებაში, არავინ ატორღიალებია, არავინ აძლევდა კითხვებს... თითქოს აქ ყველაფერი დაემორჩილა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესრიგს. ეს იყო ნამდვილი მწყემსური იდილია, სადაც ყველა ცხვარს კისერზე აბრეშუმის ბაფთა ჰქონდა შემოვლებული. მაგრამ ამ წყნარი ზედაპირის სიღრმეში იმალებოდა გრძნობათა უხილავი და ხელშეუხები ჭიდილი, მეტოქე სურვილთა და ვნებათა ბრძოლა. ყოველივე ეს უცნაურ სიმძაფრეს აძლევდა მარტინასა და დანიელის თაფლობის თვეს.

ისინი მორიგი, ახალი ჰიბრიდის საგუშაგოზე იდგნენ, გულმოდგინედ აკვირდებოდნენ, ვითომ სასეირნოდ მივდივართო და სინამდვილეში კი ჰიბრიდის სანახავად გაიპარებოდნენ... დრო იყო ახალი შეჯვარებისთვის მოეკიდათ ხელი: შეეკრიბათ მტვრიანა, მოემზადებინათ სათანადო ჯიშის ვარდები. იდუმალი კავშირი პიეროსთან, ყალბი ეტიკეტების სისტემა... ხანდახან მარტინას ევალებოდა განგებ გაეჩერებინა ბერნარი, მაგალითად, კვირას, საერთო პურისჭამის შემდეგ, როცა ყავა ჩამორიგდა. მარტინამ გაბა ბერნართან საუბარი სოფელზე, სადაც ორთავენი დაიბადნენ და სადაც ქალი არ აპირებდა ჩასვლას, თუმცა ფერმიდან სოფლამდე სულ ოციოდე კილომეტრია და მარტინას სულ ადვილად შეუძლია იქ ჩავიდეს, დედა და და-ძმა ნახოს. მაგრამ მარტინას ასეთი სურვილი არ ებადება, ანდა რა საჭიროა იმის გახსენება, რაც საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა. თანაც, ვინ იცის, რა მოუვა თავში მარის, როცა მარტინას დაინახავს... აკი ნოტარიუსის ხელით გამოგზავნა თანხმობა მარტინას

ქორწინებაზე, მეტი მარის არაფერი მოეთხოვებოდა. მარტინამ გაიხსენა ის ღამე, როცა ის ტყეში დაიკარგა, გაიხსენა, თუ როგორ ყიდდა გზატკეცილის პირას ნარგიზების პატარა თაიგულებს.... ბერნარი მარტინას თვალებით ჭამდა, მას ყავაც დაავიწყდა და მეზობელ ქალაქში დანიშნული პაემანიც. თვალმილულული მარტინა მძულვარედ შეცქეროდა ბერნარს და გუნებაში ფიქრობდა, როგორც ჩანს, სულ გაუარა იმ შიშმა, რაც გერმანელების წასვლის შემდეგ განიცადაო. ეს იმიტომ, რომ თითი არავის დაუკარებია მისთვის, ერთხელ-ორჯერ გალანძღეს, - ეს იყო და ეს - ფრანგები სრულიად არ არიან გამყოლი გულის ხალხი. რაღაც ნიშნის მოგებით ნებივრობდა მზეზე თვალებმიბნედილი მარტინა, ხოლო ბერნარი ხარბ მზერას არ აცილებდა. ეს მარტინას მხრით შურისძიება იყო! რა ბრიყვია ეს ბერნარი! როცა დანიელი ციხიდან გამოვიდა და მამის ფერმაში ბერნარი დახვდა, ბერიკაცმა უთხრა: „რას დავეძებ... მუყაითად მუშაობს, ვარდები არ ემდურიან, თავი დაანებეო“. დანიელმაც თავი დაანება ბერნარს. ყოველივე იმის შემდეგ, რაც დანიელს თავს გადახდა, დაკარგული დროის ანაზღაურებას ეშურებოდა, ეწადა თავისუფლად სუნთქვა, ცხოვრება, სწავლა... ბერნარისთვის არ ეცალა, ვერც კი ამჩნევდა მას. ამ ორ ახალგაზრდას შორის ბერნარი უფრო ჰგავდა ციხიდან ახლახან გამოსულს. „ახლაც ისეთივე იერი აქვს“, - ფიქრობდა მარტინა და თან ეკეკლუცებოდა ბერნარს. ფერმის მუშათა შორის ბერნარი რაღაც უცნაური ფერმკრთალობით გამოირჩეოდა. მას მოკლე თმა ჰქონდა, თითქოს მთლად გადაპარსეს და ახლა წამოეზარდაო, თვალებში რაღაც შიში შეყუჟოდა; კაცი ადვილად წარმოიდგენდა მის

არაპროპორციულად დიდ ხელებს ხუნდებგაყრილს... ასეთად ეხატებოდა ბერნარი მარტინას მძულვარე თვალს. „კინოთეატრში წასვლა აღარ დამჭირდება, - უთხრა მარტინამ დანიელს, - შინაც არ მაკლია. სახიფათო თავგადასავალი“.

შესაძლოა, ეს სახიფათო თავგადასავალი რომ არ ყოფილიყო, - მარტინას მოწყინდებოდა უსაქმობისაგან, რადგან ის გამრჯე და მუყაით ადამიანთა შორის ცხოვრობდა. შესაძლოა, მარტინასა და დანიელს სალაპარაკო მასალაც გამოლეოდა, იმდენად განსხვავდებოდა მათი ინტერესები. მარტინას ერთფეროვან ცხოვრებას ოცნების განხორციელებისათვის ბრძოლა ახალისებდა: რაკი დანიელს ცოლად მისთხოვდა, მაშ განუხორციელებელი ოცნებაც ზოგჯერ რეალობად იქცევა. სურნელოვანი ვარდი, რომლის გამოყვანა ეწადა დანიელს, ერთგვარ სიმძაფრეს მატებდა საყოველდღეო ერთფეროვნებას. მარტინა ოცნებობდა... ვარდი პირველ პრემიას მიიღებს კონკურსზე ლიონში, ბოგატელში, რომში ანდა ჟენევაში. ვარდს მისი სახელი ერქმევა: „მარტინა დონელი“. მთელ მსოფლიოში გაიშლება მილიონობით ვარდები „მარტინა დონელის“ სახელწოდებით, და ის, ვინც ეს ვარდი გამოიყვანა, სახელმოხვეჭილი და ზღაპრულად მდიდარი გახდება.

მარტინა შეზლონგზე წამოწოლილი ოცნებობდა. ეს შეზლონგი დანიელმა დადგა ფერმის კედელთან იმ მხრიდან, საიდანაც იშლებოდა ხედი პლანტაციებზე, ხოლო მათ შემდეგ, თვალუწვდენელ მინდვრებზე. მათ იყიდეს ეს შეზლონგი მეზობელ ქალაქში, სადაც ხვრელებივით ვიწრო ქუჩები, მოჩუქურთმებული აივნიანი ლამაზი სახლები იყო; ამ პატარა ქალაქს ამშვენებდა XIII საუკუნის ნახევრადდანგრეული კოშკი, რომლის ქვებს შორის ბალახი ამოიზარდა და ბუჩქებმაც კი ამოყვეს

თავი. იქ მოედანზე, რომანული სტილის ეკლესიის, აფთიაქისა და კავეულობის დუქნის გვერდით, მაღაზიას მიაგნეს, სადაც თესლებთან და საბაღო ინვენტართან ერთად, ნარინჯისფერი ტილოთი გადაკრული შეზლონგები იყიდებოდა. მარტინამ აირჩია თავისთვის შეზლონგი მრგვალი ლითონის მილაკების ჩარჩოთი, არაჩვეულებრივად მოსახერხებელი. იგი სავსებით შეესაბამებოდა სხეულის მოყვანილობას და შეიძლებოდა მისი აწევ-დაწევა ფეხის ან მხრების მსუბუქი მოძრაობით. აქ წამოწოლილი მარტინა ყოველდღე მზის აბაზანებს იღებდა. ის მიდიოდა კედლის გასწვრივ და ხელში ეჭირა ელექტროქსელში ჩართვის გარეშე მომუშავე პატარა რადიომიმღები, - ქ-ნ დენიზას საქორწილო საჩუქარი, - და მუსიკა კვალდაკვალ მიჰყვებოდა, როგორც სურნელის არომატი. მან იცოდა, რომ არავის შეხვდებოდა - ყველას თავისი საქმე აქვს. მარტინა მიდიოდა თავისი განსაკუთრებული სიარულით: თავი მაღლა და უძრავად ეჭირა, თითქოს თავით წყლით სავსე კოკა მიჰქონდა, გრძელ ფეხებს წინ აგდებდა, რის გამო კაბა, თუკი ეცვა, კორიანტელივით ტრიალებდა მისი მუხლების ირგვლივ. აქ კი მარტინა მისეირნობდა სულ შიშველი, მკლავზე გადაკიდებული დიდი ხაოიანი პირსახოცით იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა ვინმე შეეფეთებოდა, რაც სრულიად წარმოუდგენელი იყო.

და მაინც ერთხელ სრულიად მოულოდნელად კლიენტი ესტუმრათ და ბ-ნმა დონელმა იგი პლანტაციებში წაიყვანა. ისინი პირდაპირ თავს წაადგნენ მარტინას, რომელიც მზეს უჩვენებდა თავის ოცწლიანი სილამაზის მთელ მშვენებას. მის გვერდით წყნარად დუდუნებდა რადიო, ხოლო

პლანტაციებიდან ნიავს ძლიერი და ნაზი სურნელება მოჰქონდა.

- ადამიანის ხუთი გრძნობიდან დაუკმაყოფილებელი რჩება მხოლოდ გემო და შეხება! - თქვა კლიენტმა.

- თქვენს წინაშე ჩემი ვაჟის ცოლია, - უპასუხა ბ-ნმა დონელმა, - თქვენს გრძნობებს დაკმაყოფილება არ უწერია... სხვა დროს გამაფრთხილეთ თქვენი ჩამოსვლის შესახებ.

ეს კაცი ფირმის ძველი კლიენტი იყო, ვარდების დიდი თაყვანისმცემელი... უკვე ოცი წელია, რაც ის რეგულარულად ჩამოდიოდა ბ-ნ დონელთან ვარდების დასათვალიერებლად და ახალი ჯიშების შესაძენად. მარტინა არ განძრეულა, მან თავი მოიმძინარა - სხვა რაღა უნდა ექნა?! ბ-ნმა დონელმა და კლიენტმა გვერდით ჩაუარეს.

რა უცნაური კაცია მამა დონელი, - ფიქრობდა მარტინა. - ზოგჯერ ვერც კი გაიგებ, რას ფიქრობს და რას აკეთებს... რატომ გამოიწერა უეცრად დამასკოს ვარდები? ის არცაა ვალდებული ვინმეს ანგარიში ჩააბაროს და აი, მოულოდნელად, ვითომ სასხვათაშორისოდ გამოთქვა აზრი, ახლა ვარდების ძველი ჯიშები შემოვიდა მოდაში, ისევე როგორც კარლოს X-ს სტილის ავეჯი. მარტინამ მაშინვე უთხრა დანიელს, რომ მოხუცმა ეს განზრახ გააკეთა: მან, ცხადია, იცის დანიელის ცდების ამბავი და სწადია დაეხმაროს. თორემ, აბა რად გამოიწერდა სწორედ იმ ჯიშებს, რომლებიც დანიელს სჭირდება შეჯვარებისათვის?! დანიელმა მხრები აიჩეჩა: მამას სწადია დაეხმაროს? განა მარტინამ არ გაიგონა მამას სიტყვები: ასეთ ექსპერიმენტებს მეტი ზარალი მოაქვთ, ვიდრე ხასა ქალების შენახვასო? მარტინა მაინც თავისას ფიქრობდა. მამა დონელს ეშინია, ვაითუ ჩემი ვაჟი ზედმეტად გაიტაცოს ცდებმა და ფირმის ქონება გაანიავოსო. ბუზღუნით კი

ბუზღუნებდა, მაგრამ შეუმჩნევლად მაინც ეხმარებოდა თავის ვაჟს. ქმარს არ გაუზიარა ეს აზრი მარტინამ, რადგანაც დანიელი გაუჯავრდებოდა, შენც ჩემ წინააღმდეგ ხარო! თანაც დანიელს დიდი პატივისცემა ჰქონდა თავისი მამის. „მამაჩემისნაირი ადამიანები, - ამბობდა იგი, - უწინდელ დროში საფრანგეთის სულისკვეთების გამომხატველნი იყვნენ: დინჯი, გამრჯე, ამტანი ადამიანები, ცხრაას თოთხმეტი - თვრამეტი წლის ჯარისკაცები, მაგრამ, ჯანდაბას, დრო შეიცვალა! სად არ შეიჭრა ახლა მეცნიერება! სასანგრო ომს ბოლო მოეღო! ახლა სულ სხვაგვარი მოთმინებაა საჭირო. თუ ომი თავს დაგვატყდება, ადამიანი მასში ბევრად უფრო ნაკლებ როლს ითამაშებს, ვიდრე ცხრაას თოთხმეტი - თვრამეტი წლის ქვეითი ჯარისკაცი. წინააღმდეგობის მოძრაობა.. ეს ხომ შუა საუკუნეების შესაფერი, კუსტარული ომი იყო, ცივი იარაღით. ახლა მე თვითონ ვარ მეცნიერ-მაძიებელთა მშვიდობიანი არმიის წარმომადგენელი. თუმცა მიზნად არ დამისახავს აღმოვაჩინო პენიცილინი ანდა კიბოს საწინააღმდეგო საშუალება... მაგრამ თუკი მე მეცნიერული ხერხებით გამოვიყვან ვარდს, ფორმით ჩვენი დროის შესაფერს და ძველებური არომატის მაპკურებელს, გენეტიკა ერთ პატარა ნაბიჯს წინ გადადგამს. ხოლო მამაჩემი პასიური, საუკუნესთან შეუწყობელი კაცია, ეგ რომ არ იყოს, ჩემს მუშაობას ხელს არ შეუშლიდა... წარმოიდგინე, მარტინა, რა იდეალური პირობები გვაქვს აქ - ლაბორატორული ცდების შეხამება პრაქტიკასთან. მამამ ვარდების ყველაფერი იცის, რაც კი ცხოვრების გამოცდილებამ შეიძლება შეგვძინოს. მე მჯერა პრაქტიკის, მაგრამ მას არ სურს აღიაროს მეცნიერების მნიშვნელობა. მართალია, ჯერ მეცნიერი

არა ვარ, მაგრამ შენ ხომ იცი, რომ ვმუშაობ, თავს არ ვზოგავ, დამერწმუნე... მარტინას ახლაც კი ესმის, თითქოს, მისი ხმა. როგორ წარმოთქვა ეს, საბრალომ, როგორი მოკრძალებით!... არა, ის არაა თავის თავზე დიდი აზრის, როგორც ზოგნი არიან. წყეული ბერნარი! იმიტომ რომ მამა დონელი... მარტინა არ ედავებოდა დანიელს, არ უნდოდა მისი გაღიზიანება, თორემ გუმანი ეუბნებოდა, ბ-ნ დონელს არა ნაკლებად სჯერა მეცნიერებისა, ვიდრე დანიელსო. მაგრამ ბ-ნი დონელი მაინც გლეხია და გლეხად რჩება, თუმცა ინგლისურად ლაპარაკობს და დიდად მისი პატივისმცემელი კლიენტები ჰყავს, - მსხვილი კაპიტალისტები და კინოვარსკვლავები. როგორც ყველა გლეხი, ის ჯიუტი და უნდოა. ცხადია, მას სწადია დაეხმაროს დანიელს, მაგრამ ზედმეტი ხარჯების გაღება არ უნდა.

„დონელის ოჯახის წევრს რომ ვარდები არ აინტერესებდეს - ეს არ მომხდარა!“ - თქვა ბ-ნმა დონელმა, როდესაც მარტინა ფერმაში ახალჩამოსული იყო. მაშინ მას ნამდვილად არ აინტერესებდა ვარდები. ხოლო ახლა გატაცებით ჩაერთო თამაშში. მართალია, მას აინტერესებს არა თვით ეს საქმე, არამედ ვარდების ირგვლივ ატეხილი ბრძოლა, ქიშპობა, სასახლის ინტრიგების მსგავსი... მას წყუროდა დანიელის გამარჯვება, მარტინა მისი მგზნებარე თანამზრახველი და გულშემატკივარი იყო, ამიტომ არ უსაყვედურებდა დანიელს, როცა ის განთიადზე გარბოდა პლანტაციებზე, მუშების დასახმარებლად. მარტინა ფიქრობდა, რომ ამ გზით დანიელი უკეთ უთვალთვალებდა ბერნარს. თვით ის გვიან დგებოდა, ზანტად მიდიოდა შხაპის მისაღებად ეზოში, ძველი თექირის უკან, რომელიც დანიელმა სხვენზე იპოვა და იქ დაუდგა, შემდეგ ისევ ზევით ადიოდა, ტანთ იცვამდა, სახეს

მოიკაზმავდა ისეთივე გულმოდგინებით, როგორც პარიზში. მარტინა ოცნებობდა, თუ როგორ ძირიან-ფესვიანად გადააკეთებს ამ ფერმას, როცა ერთ მშვენიერ დღეს აქაურობას შეუვალ ბატონ-პატრონად და დიასახლისად მოევლინება. უფრო ხშირად კი პარიზზე ოცნებობდა, იმ ბინაზე, სადაც ისინი შესახლდებიან, როცა მშენებლობა დამთავრდება. მან ნახა მაღაზიაში საწოლი ოთახის გარნიტური... სწორედ ასეთი უნდა... მარტინამ წინდაწინ გადაწყვიტა, როგორი შპალერები, ფარდები და სამშვენისები ექნება ბინაში... ისიც კი იცოდა, თუ როგორი საკიდები ექნება კარადაში: მისთვის - ქსოვილგადაკრული, დანიელისთვის - პრიალა ხისა. ოცნებით წარმოიდგენდა ვარდებიან ლარნაკებს, ჭაღებს...

ხანდახან მარტინა, რაკი საცხოვრებელ ოთახებში არავინ ეპატიჟებოდა, დახეტიალობდა ფერმის იმ ოთახებში, სადაც არავინ ცხოვრობდა. გლეხებში არაა მიღებული იქ შემოგიპატიჟონ, სადაც წვანან. მარტინას არც აინტერესებდა, თუ როგორ ცხოვრობენ ბ-ნი დონელი, დომინიკა ბავშვებით, ბიძაშვილები. რა ხელი ჰქონდა მათ ცხოვრებასთან? მათი კარჩაკეტილობა მარტინასაც გადაედო. მაგრამ სახლის ამ მხარეზე არავინ ცხოვრობდა და არც არავინ შემოდიოდა. და აი, ერთ დღეს მარტინამ აღმოაჩინა... ოთახიდან ოთახში დაეხეტებოდა, ოცნებობდა, როგორი იქნება ეს ოთახები ნათელ ფერებად მოხატული კედლებით, მსუბუქი მილაკ-ლითონის სკამებით, შემდეგ ჩაეშვა გრეხილზურგიან ხავერდის სავარძელში. ოჰ, რა მშვენიერი ოთახი ექნებათ მათ პარიზში... სიჩუმე, მზით გამთბარი ხისა და მტვრიანი ქსოვილების მოტკბო სუნი - მარტინა მიყუჩდა, ოცნებას მიეცა, უცებ რაღაცამ

გამოაფხიზლა, ყურები დააცქვეტინა. რაღაც მოძრაობა... ყრუ ხმები... მარტინა წამოდგა, ჩუმად მივიდა მეზობელი ოთახის კართან. იქ ვიღაც იყო, მარტინამ კარის სახელურს ხელი ჩასჭიდა, მაგრამ არ გააღო. გული უმალვე ჩაუწყდა, ბლოკებისა და ბაგირებისგან მოწყვეტილი ლიფტივით და ჩაემსხვრა სადღაც იქ, ქვევით, გამსჭვალა იგი დალეწილი ძვლებისა და დაგლეჯილი ნერვების აუტანელი ტკივილით... სწორედ ამიტომ შეჩერდა მარტინა დახურულ კართან, რომლის იქით ვიღაცამ წაიჩურჩულა:

- ხვალ, შენ მოხვალ ხვალ...

- ხვალ, ხვალ, ხვალ.

მარტინამ აღარ მიუგდო ყური: არა, ეს დანიელი არაა! ის ჩუმად ჩამოვიდა ქვის კიბეზე, ქვევით შეაღო კანტორის კარი და შეამჩნია, რომ დომინიკა იქ არ არის, ბოდიში მოიხადა. მას ღიმილით შეეგებნენ, მაგრამ რადგან არავისთვის არ მიუმართნია, საბეჭდი მანქანა ისევ აკაკანდა, ხოლო ბუღალტერმა განაგრძო ციფრების სვეტის გაანგარიშება. ბ-ნი დონელი ტელეფონით ლაპარაკობდა და განუწყვეტლად იმეორებდა: „გოგონა, ნუ გაგვთიშავთ, ნუ გაგვთიშავთ! გემუდარებით!...“ ქალმა მიხურა კანტორის კარი.

მარტინამ გაიარა ნესტიანი, გრილი სასადილო ოთახი. სამზარეულოში „ძაღლების დედილო“ სუფრას შლიდა: საცაა მუშები მოვლენ სადილად. მარტინა შეეკითხა თავის თავს: დაიტოვებს თუ არა ამ მაგიდას, უბრალო, სოფლურ, მუხის მაგიდას, ქვასავით მაგარს, რომელზედაც ყოველი საჭმელი შუასაუკუნეობრივ გემოს იძენს. ალბათ, დაიტოვებს, რადგან ესეც თავისებური სტილია... მარტინა ხრახნული კიბით ავიდა თავის ოთახში, დაწვა და დაიძინა. დახურული კარის წინ გატარებულმა წუთებმა მთლად შეარყიეს, შეაძრწუნეს, ისე იყო დაბეჟილი,

თითქოს საავტომობილო კატასტროფაში მოხვედრილიყოს...

დღისით მარტინა გავიდა მზის აბაზანის მისაღებად, სამზარეულოში შეიხედა, სადაც დომინიკა ბავშვებს აჭმევდა. თვალი მულზე შეაჩერა, გაიფიქრა, დომინიკა ნამდვილი დახურული კარია, რომლის გაღების ცდა ფუჭია და უნაყოფოო. მარტინამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ მოსწყინდა, დომინიკას კანტორაში გაჰყვა, სთხოვა ეჩვენებინა, როგორ აწარმოებს დავთრებს... რა რთული ყოფილა, ღმერთო ჩემო, რა რთული... მარტინამ მანიკიურის გაკეთებაც კი შესთავაზა დომინიკას, მაგრამ მისი მული წამოწითლდა და ხელები დამალა.

საღამოს მარტინა ავიდა თავის ოთახში და უთხრა დანიელს:

- იცი, ჩემო კარგო, რა უწოდა დომინიკამ თქვენს სამზარეულოს? - „მისაღები ოთახი“. რა სასაცილოა! ხომ გესმის, რომ შენი და, უბრალოდ, ბრიყვია, მოსულელო, თუმცა სახეზე იდუმალი გამომეტყველება ადევს!

დანიელი ტანთ იხდიდა. უყვარდათ გატიტვლება, როცა მარტონი იყვნენ ხოლმე. ვაჟმა შარვალი ჩაიხადა, იატაკზე დასტოვა და ფეხით ცოტათი გასწია კიდეც, რომ ფანჯარასთან მისულიყო: ტანსაცმლის რიგიანი შენახვა არ უყვარდა. დაისი ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო, დღეს ცის კაბადონი ჩვეულებრივს არ ჰგავდა, სულ სხვანაირი იყო, - ყვითელ არშიაშემოვლებულ ღრუბლებში მოჩანდა ცის მეწამული ნაფლეთები, რომლებსაც მბზინავი ელფერი ედო.

- ბზინავს. - თქვა მარტინამ, - როგორც ღვთისმშობლის პატარა ქანდაკება, დედა დონზერმა რომ ჩამომიტანა ლურდიდან. ეს სასწაული როდი იყო! უბრალოდ, ფოსფორი გამოსცემდა ელვარებას.

- შენ სასწაული გერჩია?... - დანიელი გაჩუმდა, შემდეგ განაგრძო: - მე მგონი, დომინიკამ, ცოტა არ იყოს, დაგცინა, ის საკმაოდ ჭკვიანია და შენს გაუნათლებლობაზე სიტყვასაც არ გადაგიკრავს. და არც ისე სულელია, რომ სამზარეულოს „მისაღები ოთახი“ უწოდოს, ასეთი რამ მისგან არასდროს არ მსმენია... საქმე ის კი არაა, რომ ასე არ ლაპარაკობენ. სამზარეულოზე ასეთი რამის თქმა მართლაც ძალიან სასაცილოა!

დანიელმა გადიხარხარა ისე, თითქოს სიცილი პირზე ჰქონდა მიმდგარი, ასე იცინოდა ყოველთვის.

- მარტინა, - თქვა მან, - ვშიშობ, რომ ამჯერად მოსულელო და ბრიყვი შენ გამოდექი.

მარტინა შიშველი იძინებდა, რადგან არ უნდოდა ფერმაში გაეცვითა ძვირფასი არშიებიანი საცვალი. უსიტყვოდ მიუახლოვდა დანიელს და მასავით თვალი მიაპყრო ზეცას, სადაც ნელინელ ქრებოდა უჩვეულო ფერები. როცა ყველაფერი მოცისფრო-მტრედისფერი ნისლით დაიფარა, მარტინამ ამოიოხრა...

- რა სულელები არიან მამაკაცები, - თქვა მან. - იცი თუ არა, რომ შენს დას საყვარელი ჰყავს?!

- რას ამბობ! ძალიან კარგი. მოდი, ლოგინში ჩავწვეთ. დავიქანცე, მთელი დღე ვარდებს დავტრიალებდი თავს.

შუაღამე იყო... მათ საწოლს ღრუბლებგადაყრილი ხავერდოვანი ცა დაჰყურებდა, რომელზედაც ერთი ვარსკვლავი სხვებზე მეტად კიაფობდა. მარტინამ დანიელს საწოლი ოთახის გარნიტურის შესახებ ჩამოუგდო საუბარი. მას სურს შეიძინოს საწოლი ოთახი ბინისათვის, რომელიც დედა დონზერმა, ბ-ნმა ჟორჟმა და სესილმა აჩუქეს, უყიდეს ნისიად. დანიელი ძილ-ღვიძილში იყო. მოსმენის თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ მარტინა მაინც ელაპარაკებოდა,

ლოგინში მოუსვენრად ტრიალებდა, კითხვებს აძლევდა. ბოლოს დანიელი გამოფხიზლდა... რა საწოლი ოთახი? რატომ უნდა ვიყიდოთ საწოლი ოთახი? სადა გვაქვს ფული! კარგი საქმეა - ნისიად: ნისიას გადახდა არ უნდა?

- ნისიას ბევრი დავიდარაბა მოჰყვება ხოლმე. საიდან უნდა ვიშოვნოთ ფული, ამაზე რატომ არ ფიქრობ? მოისმინე, მარტინა, ბ-ნმა ჟორჟმა ისედაც უკვე გვიყიდა ბინა, ხოლო მამამ ავტომანქანა გვაჩუქა, და ყველაფერი ეს - ნისიადაა შეძენილი... ჩვენ მალე ყველას ყმები და მონები გავხდებით. მე სწავლა უნდა დავასრულო, - ხუმრობა ხომ არაა. მთელი წელიწადი მამამ უნდა შემინახოს. შარშან არდადეგების დროს მე სულ პლანტაციებზე ვმუშაობდი, ვეხმარებოდი, წელს კი მხოლოდ დროდადრო ვეშველები, სიყვარულმა გამიტაცა... ამაზე საყვედური არ მეთქმის, მაგრამ შენ თვითონ ხედავ ჩემსა და მამაჩემის დამოკიდებულებას... როგორ შემიძლია საწოლი ოთახის ფული ვთხოვო?...

- კარგი, - თქვა მარტინამ. - ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე. იატაკზე დავწვეთ.

- იატაკზე არ მოგიხდება წოლა, ჩვენ აქედან წავიღებთ საწოლსაც და ყველაფერს, რაც კი დაგვჭირდება.

დანიელი საწოლზე წამოჯდა, მიჩერებოდა ნათელ ვარსკვლავს და ისე ლაპარაკობდა, რომ ყვირილს აღარაფერი უკლდა.

- ნუ ღრიალებ ეგრე! დედაჩემის ქმარს მაგონებ. მირჩევნია იატაკზე ვიწვე, ვიდრე აქაურ საწოლებზე. ნამდვილი კუბოებია, ოფლისა და ცხედრის სუნი უდით.

- ღმერთო ჩემო... რა წამებაა! - დანიელმა ბალიშზე თავი

დასდო.

- დანიელ, დავაშავე, რომ ამაზე დავიწყე ლაპარაკი... მე უკვე შევარჩიე ავეჯი, რომელიც გაგიჟებით მომწონს და შევიძენ კიდეც! აი, ნახავ. შენ კი იამაყებ ჩემით, თუმცა მე, შენი აზრით, გაუნათლებელ და სულელ გოგოსავით ვტლიკინებ. ტყუილუბრალოდ მოგაბეზრე თავი. აწი აღარ ჩაგაცივდები. მაკოცე.

ამის შემდეგ საწოლი ოთახის შესახებ აღარ ულაპარაკიათ. დროც აღარ იყო, მზით გაცისკროვნებული დღეები უფრო და უფრო სწრაფად მიჰქროდნენ, ერთი მეორეზე წაწყობილებს მთვარიანი ღამეებიღა ჰყოფდნენ... დანიელს ბოლომდე უნდა მიეყვანა დაწყებული ჰიბრიდიზაცია, ის მიდიოდა პლანტაციებზე და სხვების მხარდამხარ მუშაობდა: ერთი მხრით უნდოდა თავისი მუშაობით აენაზღაურებია მამისთვის ის ვარდები, რომლებიც დააკლო ცდების წარმოების დროს; მეორე მხრით, ის შეუმჩნევლად აწარმოებდა ვარდების ხელოვნურ დამტვერიანებას, ასე ერჩია, ვიდრე მარტო ამ მიზნისათვის რომ მისულიყო პლანტაციაზე... აქ კიდევ სხვა საქმეც იყო და მარტინას შეეძლო მას დახმარებოდა: დანიელის ბიძაშვილმა პიერომ, ჩუმმა და წყნარმა ბიჭმა, მოახერხა და დარგო ჰიბრიდული ვარდის ბუჩქები ბ-ნ დონელის პლანტაციის ერთ-ერთ უბანზე, პატარა, ჯერ დაუმუშავებელ ფართობზე: ახლა საჭირო იყო შეჯვარება და აგრეთვე ასკილის დარგვა, რომელზედაც პიერო აგვისტოში ახალ ჰიბრიდს დაამყნიდა; ფაქიზი სურნელების წითელ ვარდს. ყველა იმედი ამ ვარდზე იყო დამყარებული და მას „მარტინა დონელის“ სახელი უნდა ეტარებინა! დანიელი და მარტინა იქითკენ გაემგზავრნენ თავისი მანქანით, ვითომ სასეირნოდ - ეს ბუნებრივად მოეჩვენებოდა ყველას - ხოლო პიერო უნდა დაწეოდა მათ

ველოსიპედით.

სახუმარო საქმე როდი იყო. ვაითუ ვინმემ მიაკვლიოს მათ საცდელ უბანს... ამის გაფიქრებაზე დანიელს სირცხვილის ალმური ასდიოდა, წარმოიდგენდა, როგორ დასცინებდნენ მის ბავშვურ ოინებს მამა, პლანტაციების მუშები, ბერნარზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. პოლო! რას იფიქრებს პატარა პოლო, რომელიც აღმერთებს დანიელს? საშინელებაა, საშინელება! იმ დილით გამომჟღავნების შიშით დამფრთხალ დანიელსა და მარტინას ყველაფერი სხვანაირად ეჩვენებოდათ. საუზმეზე „ძაღლების დედილო“ რაღაც გაუგებარს ბუზღუნებდა როცა დანიელს მანქანა გამოჰყავდა, დომინიკამ, რომელიც მათ საქმეებში არასდროს არ ერეოდა, უცებ იკითხა:

- საით მიემგზავრებით? კონტრაბანტისტების გამომეტყველება გაქვთ.

მერე მარტინას თვალი თვალში გაუყარა და პასუხს აღარ დაუცადა, ისე შევიდა კანტორაში. და როცა მანქანამ ჭიშკარში გაიარა, ულვაშა მოჯამაგირემ მიაძახა ცოლ-ქმარს:

- რაო, სეირნობთ? - და სულელურად გადაიხარხარა...

ისინი ჩუმად იყვნენ, მანქანა მისრიალებდა.

- მე შენ არ გირჩევ ბერნარის მოკვლას, - თქვა მარტინამ, - საამისოდ თოფის წამალი არ გეყოფა.

დანიელს არ გაეცინა, ის სევდიანი იყო, მეტად სევდიანი.

- მართალია, - თქვა მან. - თოფის წამალი არ მეყოფა. ახლა მესმის, რომ ბოროტმოქმედებიც ისევე ეჭვიანები არიან, როგორც პოლიციელები. ყველაფრის ეშინიათ. მათ ჰგონიათ, რომ ირგვლივ ყველამ ყველაფერი „იცის“.

- მე მიტაცებს ეს ამბავი...

- შენ არ გაწუხებს ეს ამბავი... მე კი... მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანია - ჩემთვისაც და პიეროსთვისაც - მხოლოდ ამიტომ მივმართავ ამ ეშმაკობას. მებაღის ცხოვრება რომ ასე ხანმოკლეა, ასე ტრაგიკულად ხანმოკლე არ იყოს... იმისათვის, რომ გავიგოთ ვარდის „მარტინა დონელის“ ფასი, სამი წელიწადი უნდა ვიცადოთ. მე რომ ჩემი მამის მიწები მქონდეს, სათბურები, რომლებიც დონელებს ყველგან აქვთ მოწყობილი... ალბათ, კარდაკარ საწანწალოდ გაგიხდიდით საქმეს შენცა და ჩვენს ბავშვებსაც, მაგრამ, რა ცხოვრება მექნებოდა, ძვირფასო, რა ცხოვრება! ნამდვილი ცხოვრება! არიან ადამიანები, რომლებიც სადღაც შორს მიდიან ფათერაკებისა და თავგადასავალთა საძიებლად, ისეთებიც არიან, რომლებიც მოწყენილობისაგან ლამის არის მოკვდნენ... ვერ გაუგიათ, რომ ყოველ ბალახში,გზის პირას მდებარე ყოველ კენჭში წარმტაცი თავგადასავალი იმალება.

მარტინას შეაჟრჟოლა: დანიელის ეს მისწრაფება უკვე აშინებდა. ვაი იმას, ვინც დანიელს წინააღმდეგობის გაწევას გაუბედავს. მარტინა ფიქრობდა, თუ ეგრე დატრიალდა საქმე, იძულებული ვიქნები სულ ფერმაში ვიცხოვროო და გუნებაში გადაწყვიტა, რომ აქ აღარ დაბრუნებულიყო: ვერ გაიტაცეს ვარდებმა მარტინა. ეს პირველი შემთხვევა იყო დონელების ოჯახში.

## ზამბარიანი საწოლის თილისმა

სასაცილოა - გათხოვილი იყო და ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე ცხოვრობდეთ, კარგი საბაბია მეგობართა ხუმრობისათვის! თუმცა

ეს დაუოკებლობის გრძნობა სიცხოველესა და სიახლეს მატებდა მათ სიყვარულს, მათ ურთიერთ ლტოლვას, ერთად ყოფნის მისწრაფებას. სასოწარკვეთილი მარტინა და დანიელი იძულებულნი იყვნენ ერთმანეთისთვის პაემანი დაენიშნათ, შეხვედრილიყვნენ და ისევ განშორებულიყვნენ. ისინი ხანმოკლე დროით ხვდებოდნენ ერთმანეთს, რამდენიმე საათით ოთახს ქირაობდნენ სასტუმროებში, წერდნენ სიყვარულის ბარათებს... მარტინა საკუთარ ბინაზე ოცნებობდა, დანიელს ერჩია არც ეფიქრა და არც არაფერი ეთქვა ამ საგანზე. სულ ერთია, მათ ფერმაში უნდა იცხოვრონ... „გამოდის, რომ მუშაობას თავი უნდა დავანებო?“ - ეკითხებოდა მარტინა. „შეგიძლია ვარდების მოვლას მოჰკიდო ხელი“...ამ სიტყვებზე მარტინა ჩუმდებოდა. ხშირად ასეთი საუბარი შეკინკლავებით მთავრდებოდა. ამასობაში ქ-ნი დონზერი, ბ-ნი ჟორჟი და სესილი საქორწილო საჩუქრის - ბინის - შესატანებს იხდიდნენ. ბინა თანდათან რეალობად იქცეოდა და ამ რეალობაში ვარდების ადგილი აღარ ჩანდა, დანიელი და მარტინა კი ერმანეთისკენ მიილტვოდნენ, ერთად ყოფნა სწყუროდათ....

ჯერჯერობით, დამოუკიდებლად ბინის საკითხისგან, დანიელს ვერსალში უნდა ეცხოვრა, მებაღეობის სკოლის საერთო საცხოვრებელში. მესამე კურსზე სპეციალიზაცია ჰქონდათ, ის დღედაღამ თავაუღებლად მუშაობდა და პარიზში სასიარულოდ როდი ეცალა; ხოლო მარტინა ვერ მიატოვებდა თავის „სილამაზის ინსტიტუტს“ - საჭირო იყო ლუკმაპურის ფული: ბ-ნ დონელს ქორწილის შემდეგ შვილისთვის დახმარების თანხა არ გაუდიდებია.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მარტინას არ უნდოდა

ახლა დაეტოვებინა ქ-ნ დონზერის სახლი. ფერმიდან დაბრუნებულს ცუდი ამბავი დაუხვდა. სესილი და ჟაკი დაშორდნენ ერთმანეთს. ვერავის ვერ გაეგო რატომ მოხდა ეს? ეგებ ეს მხოლოდ შეყვარებულების ჩვეულებრივი ბუტიაობაა? ეგებ ყველაფერი მოგვარდეს? „მას არ ვუყვარვარ," - დაღლილი ამით იმეორებდა სესილი და თვით მარტინამაც კი, რომელსაც სესილი ყველა საიდუმლოებას უმჟღავნებდა, სხვა ვერაფერი გაიგონა მისგან.

ისინი კვლავ ერთად იყვნენ, იმავე ოთახში, თითქოს მარტინა არც კი გათხოვილიყო, ერთს სულ ცისფერი ემოსა, მეორეს - ვარდისფერი. სესილი იწვა, მარტინა საწოლის პირას მიუჯდა. ეს ორი მეგობარი არასდროს არ წაჩხუბებულა, მათ ერთმანეთის არ შურდათ, ერთმანეთს არ ეჭვიანობდნენ. მარტენა მხოლოდ ერთ კაცზე ოცნებობდა, - დანიელზე, ყველა დანარჩენი მან სესილს დაუთმო; ქერა, მოხდენილ, ტანწერწეტა სესილს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა და არა ერთგზის ყოფილა დანიშნული, მაგრამ... უკანასკნელ წუთში საქმე ჩაშლილა. სესილს არასდროს არ დაუსახელებია მიზეზი, თითქოს ეს მიზეზი არც კი არსებობდა. სესილი არ მისტიროდა თავის ყოფილ საქმროებს, მაგრამ ამჯერად ის ნაღვლობდა, ძალიან ნაღვლობდა. შესაძლოა, აქ მარტინას გათხოვებამ იმოქმედა, იქნებ სესილი ჩაფიქრდა, დრო მიდისო... მარტინა ცდილობდა გამოეტეხა მეგობარი, გაეგო საქმროსთან განშორების მიზეზი. ახლა იგი უკვე გამოცდილი ქალი იყო. მარტინას გაახსენდა ფერმა, მიხურულ კარს იქით ყურმოკრული ჩურჩული, როდესაც ეჭვმა ელვასავით გამსჭვალა მისი არსება... ეს ხომ არაა სესილისა და ჟაკის განმორების მიზეზი?

- ეგებ ჟაკი გღალატობს?

სესილმა თავი გადააქნია: არა, ეს ასე არაა. და უცებ სესილმა ენა ამოიდგა, გადმოალაგა გულის ნადები. ეს საკმაოდ რთული ამბავია, თვითონ სესილი ართულებს ყველაფერს. მას სრულიადაც არ სურს დატოვოს დედა დონზერი, მარტინა, საერთოდ მათი სახლი. სესილი აქ თავს ძალიან კარგად გრძნობს. ამიტომ ის ყოველთვის აჭიანურებდა, ბოლო წუთში გათხოვებაზე უარს ამბობდა, მით უფრო არ უნდოდა ინტიმური კავშირი ჰქონოდა რომელიმე თავის საქმროსთან, მაშინ ხომ ადრე თუ გვიან მას უნდა მისთხოვებოდა. ეს კი ქალს არ უნდოდა. რას მოუტანდა ჟაკზე გათხოვება? ჟაკი თავის მშობლებთან ცხოვრობს, ისინი მუშები არიან, ჟაკს საკუთარი ოთახიც კი არ აქვს. მათ უნდა სძინებოდათ სასადილოში, სააბაზანო არაა, საპირფარეშო კიბეზეა... თუმცა ჟაკის ხელფასი საცხოვრებლად ეყოფოდათ, მაგრამ ცალკე ბინის შეძენას ვერ აუვიდოდნენ და როცა სესილმა მეათასეჯერ უთხრა საქმროს, უნდა დავიცადოთ, თქვენებთან ვერ ვიცხოვრებ, ვიდრე ცალკე ბინის იმედი დარწმუნებით არ მექნებაო, ჟაკი უცებ განაწყენდა და მიახალა: შენი დანახვაც აღარ მინდაო.

მარტინას ვერ დაეკარგა.

- მაშ. მე ჩამიშლია შენი ქორწილი, სესილ? ბინა, რომელიც მე მაჩუქეთ. შეიძლებოდა შენი ყოფილიყო... რა საშინელებაა!

მარტინამ ორივე ხელი გულზე დაიჭდო.

- არა! არა! არა! - შეჰყვირა სესილმა. - მე არ მჭირდება შენი ბინა. ეს მე თვითონ მოვაწყვე, რომ შენთვის ბინა გვეჩუქებინა. ბინა რომ მქონდეს, მაშინ ჟაკს უნდა მივთხოვდე. მე კი არ მინდა ჟაკის ცოლი გავხდე, რომ ვყვარებოდი, არ მიმატოვებდა, აქაო და გვერდით არ მომიწექიო! მე მას არ ვუყვარვარ! გულზე

რომ ხელი დავიდო, არც მე მიყვარს ჟაკი! საქმროდ კიდევ არა უშავს რა, მაგრამ მაგის ქმრობა ვინ თქვა! მარტინა, არავითარ შემთხვევაში არ დამითმო ბინა, თორემ მაშინ იძულებული ვიქნები მივთხოვდე. სწორედ ეს არ მინდა!

სესილი აქვითინდა და მარტინას ყელზე შემოეხვია. ასე ისხდნენ ორთავენი, ტიროდნენ და უკოცნიდნენ ერთმანეთს, სველ ლოყებსა და თვალებს.

- აბა, რა გინდა, გენაცვალე? - ჩურჩულით ეუბნებოდა მარტინა.

- ოჰ! შენ ხომ მიცნობ! რატომ მეკითხები? ჩემთვის სჯობია სულ არ გავთხოვდე, ვიცხოვრო აქ, დედასთან, ბ-ნ ჟორჟთან და შენთან ერთად...

- აბა, - ქ-ნი დონზერი სამზარეულოში იყო. - მარტინა, ნამტირალევი თვალები გაქვს... რა გითხრა ასეთი სესილმა?

- არაფერი... ჟაკს არ ვუყვარვარო. ეს სამწუხაროა. თითო ფინჯან შოკოლადს ხომ არ მოგვიდუღებთ, დედა დონზერ? სესილი მიწვა, წავუღებ.

ქ-ნმა დონზერმა გადმოიღო კედლის კარადიდან შოკოლადი.

- სულაც არ მინდოდა, სესილი მუშას გაჰყოლოდა, - ამბობდა ის და თან შოკოლადს ამზადებდა. - შენი არ იყოს, ჟაკი თვალში არ მომდიოდა. მაგრამ ყველაფრის თავიდან დაწყებას ისევ ჟაკი მირჩევნია! აბა, რას ჰგავს ამდენი დანიშვნა და მერე საქმის ჩაშლა.., სესილი მალე ოცდასამი წლის გახდება, დრო შეუმჩნევლად მიდის, მაგრამ მაინც მიდის. მოიფიქრე რამე, მარტინა... სესილი ერთობ დამჯერი, ალერსიანი გოგოა, მაგრამ ჭკუიდან შემშლის!

ქ-ნმა დონზერმა ხელი შეაშველა ოფლისაგან დაბინდულ სათვალეს, რომელიც მსუქან ლოყებს შორის მიმალულ პატარა

ცხვირიდან ჩამოუცურდა. მარტინამ მაგიდიდან მაკრატელი აიღო და ნეკზე კანის შემოჭრა დაიწყო. მან თავაუღებლივ თქვა:

- სესილი ძალიან კარგად გრძნობს თავს ჩვენთან... მას ისეთი კაცი სჭირდება, ვინც მამობრივ ზრუნვას არ მოაკლებს, ბავშვივით აიტატებს და ისე შეიყვანს წინასწარ მომზადებულ ბუდეში. მაშინ, ეგებ გაბედოს.

ორშაბათი იყო - მთელი ოჯახის თავისუფალი დღე. სადილის წინ ყველანი ერთად კინოში წავიდნენ, ისე, როგორც ეს სდებოდა უწინ, - დანიელთან შეხვედრამდე, ჟაკთან წაჩხუბებამდე, როცა სახლში სრული სიწყნარე სუფევდა.

- ნუღარ აყოვნებთ, ძვირფასო მანდილოსნებო... ბ-ნ ჟორჟს მელოტი თავი უბრწყინავდა, მას ქათქათა, თითქოს ლონდონში გახამებული პერანგი ეცვა. შეამოწმა, ხომ ყველგან ჩამქრალია ელექტროშუქი, გასაღებიც ხომ ჯიბეში მიდევსო.

კინოთეატრი ცარიელი იყო, არც თუ მაინცდამაინც კარგ ფილმს უჩვენებდნენ, მაგრამ სულ ერთია, ეს შეფერადებული ცხოვრება ბნელ ფიქრებს გვიფანტავს. „მე იმდენი ვიცინე“, - თქვა სესილმა, შინ რომ ბრუნდებოდნენ, ყველას გაუხარდა, რომ სესილმა იცინა. შინ მათ გაწყობილი სუფრა დაუხვდათ: ქ-ნი დონზერი ყოველთვის ამზადებდა ყველაფერს წასვლის წინ - ასე უფრო სასიამოვნოა დაბრუნება. სადილად ფენოვანი ღვეზელი ჰქონდათ, სესილს უყვარდა ფენოვანი ღვეზელი, მადა გაეხსნა. მაგრამ, როცა დანიელი მარტინას ტელეფონით დაელაპარაკა, სესილს სახე მოეღუშა - მას უკვე აღარავინ და ურეკავს.

ძილის დროც მოვიდა... სწორად თმაგადავარცხნილი სესილი პირაღმა იწვა, სახეზე კრემი წაეცხო და ცდილობდა

ბალიშისპირი არ დაესვარა. მარტინა აბაზანიდან გამოვიდა, რიგით აბაზანა ისევ საღამოობით უწევდა, და ღამის პერანგი ჩაიცვა.

- იცი, რას ვფიქრობდი, როცა აბაზანას ვიღებდი,- თქვა მარტინამ, საბანში შეძვრა და რადიოს ხმა მიაყუჩა,- მე რომ გადავალ, შენს ქმარს შეეძლება აქ დაიძინოს... არაფერი არ შეიცვლება.

- ბავშვებს რაღა ვუყოთ?

- რომელ ბავშვებს? უკვე ბავშვებზე ზრუნავ? რა სასაცილო ხარ! ერთი თითი რომ დაუქნიო ჟაკს, მაშინვე მოირბენს, ეს ძალიან კარგად იცი!

- ო, არა! ჟაკთან ყველაფერი გათავებულია. მე მას არასდროს არ ვაპატიებ. თანაც დედას არ უყვარს ჟაკი, ის სულ არ შეეფერება ჩვენს ოჯახს. ერთადერთი ღირსება ის აქვს, რომ პაემანზე ყოველთვის დროზე მოდის, - ქარხანაში შეეჩვია, სხვას ნუ იკითხავთ... ტალახიანი ფეხებით დააბოტებს და ხალიჩას გასვრის, მოშილიფებული დაიწყებს ბოლთის ცემას ოთახებში და ისეთი გამოთქმების ხმარებას, რომ... რადიოთი მხოლოდ უკანასკნელ ცნობებს ისმენს, არასოდეს გამოტოვებს უკანასკნელ ცნობათა არც ერთ გადმოცემას.

- რაკი ეგრეა... უჟაკოდაც იოლად წავალთ!...

მარტინამ რადიოს ხმა მოუმატა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ჩააჩუმა.

- სესილ... არ გძინავს? რას იტყვი ბ-ნ ჟენესკიზე, - განსოვს, ქ-ნ დენიზას რომ ახლდა ბარში, მშვიდობის ქუჩაზე... ჩვენ რომ ფერმიდან დავბრუნდით... შუა ტანის კაცია... რაღაც თანამდებობა უჭირავს პლასტმასის მრეწველობაში... გვიამბობდა კიდეც, ეს ყველაფერი გერმანიიდან მოდისო...

სესილმა არაფერი უპასუხა და მარტინამ გადაწყვიტა, ალბათ უკვე ჩაეძინაო, როცა უეცრად მოისმა სესილის ნაზი ხმა:

- მართლაც... ეს არც თუ ისე უსიამოვნოა. პლასტმასა...

- რა უცნაური გოგო ხარ! ჭკუიდან შემშლი!

მარტინას ძილი გაუტყდა. სესილმა გაუზიარა მას თავისი გულისნადები, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის კეთილმოწყობას. ხომ შეიძლებოდა, რომ მარტინას ყველა ოცნება დამსხვრეულიყო სესილს რომ ნამდვილად ჰყვარებოდა ჟაკი?... საბედნიეროდ, არ უყვარს და მარტინასაც სინდისის ქენჯნის გარეშე აქვს უფლება შეინარჩუნოს ბინაცა და თავისი ოცნებებიც. მაგრამ მაინც, სესილი უნდა გათხოვდეს, თორემ მარტინა მუდამ თავს დამნაშავედ იგრძნობს. დედა დონზერი მართალია, ვაითუ დრო გაუვიდეს და შინაბერად დარჩეს. სესილისთვის კოცნა გემრიელი ტკბილეულივით პირის ჩასატკბარუნებელი იყო, მას დესერტი სადილს ერჩია და არასდროს არ ჰქონია ისეთი ლტოლვა მამაკაცისადმი, როგორც მარტინას დანიელისადმი.

თანდათან მარტინა ჩვეულმა ოცნებამ გაიტაცა: მან ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტა, როგორი საწოლი ექნება... ელასტიური ზამბარიანი ლეიბი... ეს თავისთავად, მაგრამ რომელი მარკის? ელასტიურ ზამბარიან ლეიბებს თხუთმეტი წლის გარანტიით ჰყიდიან. ცოტაა. საწოლი სიცოცხლეში ერთხელ უნდა იყიდო, სიკვდილამდე შიგ უნდა იწვე, შიგვე უნდა დალიო სული. ხოლო მარტინა სრულიად არ აპირებდა სიკვდილს თხუთმეტი წლის შემდეგ. ისე გამოდის, რომ თხუთმეტი წლის შემდეგ უნდა შეარემონტოს, შეაკეთოს..... და მერე, შპალერი როგორი გააკრას საწოლში? სახეებიანი, რა თქმა უნდა, მაგრამ თეთრი

მტრედისფერ მიწაზე, თუ ცისფერი - მტრედისფერზე? მარტინას ვერ გადაეწყვიტა ეს დიდი საფიქრალი. ნეტავ კი დანიელი მალე დადგებოდეს ფეხზე, რომ მათ თვითონ ირჩინონ თავი. მაშინ ყველაფერს ნისიად იყიდიან. ვერც კი შეამჩნევენ, როგორ გადაიხდიან, მაგრამ ყოველდღიურ ლუკმაზედაც ხომ უნდა იზრუნონ: მარტინამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ არ დაიმარხავს თავს დონელების ფერმაში. ამასთანავე, მისი ხელფასიც დასჭირდება ოჯახს, მართალია, ბევრი ფული ვერ გამოუმუშავებია, მაგრამ დანიელი თავისი მამისგან ამდენსაც ვერ მიიღებს. როგორც ჩანს, ბ-ნი დონელი მხოლოდ ბინითა და კვებით უზრუნველყოფს თავისი ოჯახის იმ წევრებს, ვინც მის ფერმაში მუშაობენ, ხოლო ფულს არ უხდის... სურნელოვანი ვარდი ერთობ წარმტაცია, მაგრამ მარტინა უფრო მამა დონელის შეხედულებას ეთანხმებოდა: ასეთი ვარდი უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე ბანქოთი გატაცება ანდა ბირჟაზე აზარტული თამაში. მარტინას იმედი ჰქონდა, დანიელს გატაცება გაუვლისო. მართალია, ამას დრო უნდა, მაგრამ მარტინამ უკვე გადაწყვიტა: დანიელი „პეიზაჟისტი“ გახდება - მის სკოლაში არსებობს სპეციალური კურსი, სადაც ქალაქის ბაღებსა და პარკებში ლამაზი პეიზაჟების შექმნას ასწავლიან. დანიელს კანტორა პარიზში ექნება, ის „გააპეიზაჟებს“ მდიდარ მიწათმფლობელთა მამულებს და ქვეყნის ფულს მოიგებს... ჯერჯერობით ყოველთვის, როცა კი საუბარი ბინაზე ჩამოვარდებოდა, დანიელი მოთმინებას კარგავდა, კოპებს იკრავდა და გაიძახოდა, არ მესმის, რა ჯანდაბად მჭირდება ბინა პარიზში, როცა, სულ ერთია, ფერმაში უნდა ვიცხოვროთო. მარტინა არ შეეპასუხებოდა ხოლმე... „სულელი“! ქალს გულს უჩუყებდა დანიელის გულუბრყვილობა: მართლაც სჯერა, რომ ვარდების

ახალ ჯიშებს შექმნის! მარტინა მუდამ დანიელზე ფიქრობდა: როგორ დაიძინებენ ერთმანეთს ჩახუტებულები ზღაპრული სინაზის ელასტიკურ ზამბარიან ლეიბზე.

დანიელი მანქანაში უცდიდა სახლის სადარბაზო შესასვლელთან:

- როგორა ხარ?

- შენ როგორღა ხარ?

არ უკოცნიათ, მხოლოდ უცქეროდნენ ერთმანეთს; მარტინა დანიელს გვერდით მიუჯდა, დანიელმა ვერ შესძლო უცებ დაეძრა მანქანა. არც ერთს, არც მეორეს სიჩუმე არ დაურღვევია, სიტყვა არ უთქვამს, ვიდრე, იმ სასტუმროში არ მივიდნენ, სადაც ჩვეულებრივად ჰქონდათ შეხვედრები.

მთელი კვირის უნახავები იყვნენ და ახლა ვერ მოცილებოდნენ ერთმანეთს, რაღაცას ბუტბუტებდნენ, ენა ებმოდათ, ვერც ხედავდნენ, არც ესმოდათ და არც უნდოდათ არაფერი ქვეყანაზე, ერთმანეთის გარდა.

დანიელმა გამოიღვიძა, მარტინა გულში ჰყავდა ჩახუტებული... მან დაინახა სახიანი შპალერები კედლებზე, დამსკდარი ჭერი, საწოლის სპილენძის მილაკები... მას მგელივით შიოდა და სწყუროდა. მარტინა რაღაცას ეუბნებოდა. რას ეუბნება? ჰო, მან უკვე გადაწყვიტა, როგორი ლეიბი ექნებათ..

- ლეიბიო? ზამბარებიანი? მერე რა? იცი, მარტინა, შენი ვერაფერი გამიგია... აბა, ჩქარა! წავიდეთ, წავიხემსოთ!

ისეთი თბილი სექტემბერი იდგა, რომ აგვისტოსა ჰგავდა... კაშკაშა, განათებულ კაფეში სენ-მიშელის ბულვარზე

გამაყრუებელი ხმაური სუფევდა. მუშტრები პირდაპირ ერთმანეთს ასხდნენ. წვერშეკრეჭილ ახალგაზრდა ყმაწვილებს ტანზე შემოჭიმული მოკლე შარვლები ეცვათ... ზაფხულის ნამზეური ჯერ არ გამქრალიყო და პერანგების გაღეღილ საყელოებში მოუჩანდათ... მარტინა ყველას სჯობდა სილამაზით – როგორც ფრთამოელვარე ფრინველი, ისე გამოირჩეოდა ამ ვიწროშარვლიან ქალებში, რომელთაც თმა ცხენის კუდს მიუგავდათ, ხოლო შიშველ ფეხებზე დაუდევრად წამოეცვათ სანდალიები. „ვინ იცის, არც არასდროს არ იბანენ... შეხედვაც კი მეზარება...“ - მარტინამ ზიზღით ზურგი შეუბრუნა. თვითონ მას ქათქათა თეთრი კაბა ეცვა, რამდენიმე წყება მარგალიტის ძაფი ეხვია ყელზე, მოკლედ შეჭრილი შავი თმა მშვენივრად ჰქონდა დავარცხნილი და გადატკეცილ სახეზე განსაცვიფრებელი წესრიგი სუფევდა: აბსოლუტურად ჰორიზონტალური წარბები უბზინავდა, მოკლე სქელი წამწამები შემოჯაროდნენ მიბინდულ თვალებს, პომადას მკვეთრად მოეხატა მისი საკმაოდ დიდი პირის ოდნავ შესიებული ტუჩების შემოხაზულობა. ბარის დახლის წინ მჯდომმა მარტინამ ფეხი ტაბურეტის ქვედა ძელზე დადო და წინ გადაიხარა. ტანის რა მშვენიერი მოხაზულობაა! ნამდვილი ქალღმერთი! დანიელს უკვე აბსენტის მესამე ჭიქა გამოეცალა - ცხოვრებაში არასდროს ასე არ სწყურებია!

- ელასტიური ზამბარები, - ამბობდა იგი, დიახ, მთავარი ზამბარებია... მე ვერ მოვესიყვარულები, თუ ზამბარიანი საწოლი არ გვექნება!

მარტინა ძალიან გაჯავრდა, მაგრამ თავი შეიკავა: დანიელი ყოველთვის აბუჩად აგდებით ლაპარაკობს იმაზე, რასაც მარტინასათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ სიცილი ვერ

შეიკავა, როცა დანიელმა ცოლის დასამშვიდებლად სერიოზულად უთხრა:

- დიახ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, სპეციალურად შევისწავლი ამ საკითხს...

აჯაგრული თმა, ფართო მხარ-ბეჭი, გულმართალი და მიამიტი გამოხედვა... მამაკაციც იყო და ბავშვიც ერთსა და იმავე დროს. დანიელი, რომელსაც მარტინა მთელი ცხოვრების მანძილზე ელოდა, ბოლოს მოიპოვა და ახლა შეეძლო ეთქვა „ჩემი დანიელი!“

დანიელი, როგორც ჩანს, ცოტა შეზარხოშდა. დაანება ხუმრობას თავი და მოიღუშა. მარტინა სწორედ ამ დროს უამბობდა ყოველივეს, რაც სესილს გადახდა. უთხრა, როგორი შიში განიცადა, იყო წუთი, როცა ფიქრობდა, ჩვენი ბინა სესილს უნდა დავუთმოთ-მეთქი... ახსენა აგრეთვე ქ-ნ დენიზას ნაცნობი, რომელსაც რაღაც თანამდებობა ეჭირა პლასტმასის მრეწველობაში.

- რა სასაცილო გოგოა... - ამბობდა მარტინა. - „ეს არც თუ ისე უსიამოვნოა, - პლასტმასა...“ განა მამაკაცზე ასე ლაპარაკობენ? სესილი ნამდვილი ბავშვია.

სწორედ ამ დროს მოიღუშა დანიელი.

- რა მოგდის, დანიელ?

- არაფერი...

- არ გიხარია, რომ შენთან ვარ?

- რაო?... ჰო... რა თქმა უნდა, მიხარია...

ვაჟმა ისე მოკუმა ტუჩები, რომ პირი დიდი გაუხდა, ხოლო ლოყები ჩაუცვივდა. ჩიბუხს ეწეოდა და ხშირ-ხშირად მოკლე ბოლქვებს აბოლებდა. ბოლოს ბუნდოვანი თვალი მიაპყრო

მარტინას და თქვა:

- იცი რა, შენი სესილი ნამდვილი ხამანწკაა.

მარტინა მოიკუნტა: ვიდრე დანიელი ჩუმად იყო, თურმე სესილზე ფიქრობდა. არაფერი უპასუხნია, აბა კიდევ რას იტყვისო.

- ყველანი ასეთები ხართ... ცოცხალი ხართ თუ არა, მხოლოდ მაშინ გაიგებს კაცი, როცა ლიმონს დაგაწურავს... უტყვი, სადაფისფერად მბზინავი ნიჟარები, მაგრამ მარგალიტები შიგ იშვიათად თუ შეგხვდება. რატომ არ აძლევ შენს ბინას?

მარტინა შეძრწუნდა.

- როგორ, ბინა მივცე?

- სესილი ხომ თითქმის მცენარეა... იმ გარემოში თავს კარგად იგრძნობს. შენ კი... - დანიელი დაჟინებული მზერით უცქეროდა მარტინას. - შენ ნადირთა ბუნებისა ხარ... სამწუხაროდ, ამჯერად ნადირი პლასტმასურ გარემოში მოექცა! შენ რომ გამოგედევნო, ჯუნგლებში კი არ ამოვყოფ თავს, არამედ დიდ უნივერმაღში, სამეურნეო ნივთებისა და ჰიგიენის საგნების განყოფილებაში, წარმტაცი, შეფერადებული პლასტმასის ნივთებს შორის!

- ეგრე იყოს... - მარტინამ საპუდრე ამოიღო - შენი ვერ გამიგია. ყველაფერი, რაც ახლა თქვი, ალბათ, დიდ ქებად არ ჩამეთვლება. ნადირი პლასტმასის ნაკეთობათა შორის... ეს პიკასოზე უფრო გაუგებარია... გონს მოდი, დანიელ, მოითხოვე ანგარიში და წავიდეთ...

დანიელი დილით ადრე ვერსალში უნდა ყოფილიყო. და მაინც ისინი მოასწრებდნენ სასტუმროში დაბრუნებას. სწორედ ასე იქცეოდნენ ხანდახან - მართალია, მაშინ დანიელი დილის ექვს საათზე უნდა ამდგარიყო... მაგრამ დღეს მან არ მოინდომა სასტუმროში დაბრუნება. დანიელმა ანგარიში მოითხოვა და

მარტინა შინ მიიყვანა.

- ნახვამდის... - გამოემშვიდობა იგი და მანქანა სრული სიჩქარით გააქროლა.

## კრედიტი გახსნილია

მე რომ ამ ამბის მთხრობელი არ ვიყო, მარტინას ვეტყოდი, - ფრთხილად იყავი! თუ ერთი თვალი წავიდა მთელი ნაქსოვი დაირღვევა. მაგრამ მარტინას ტოლი არა ვარ, ვერ შევედრები. მახსოვს... მაშინ სულ მარტო ვიყავი... ხანდახან მონპარნასზე ვხვდებოდი მშვენიერ ქალს. ის აღმერთებდა იმ კაცს, რომელთანაც ცხოვრობდა; ლამაზი ვაჟკაცი იყო, მაგრამ ლოთი და ნარკომანი. ერთ საღამოს ეს კაცი ჩემთან მოვიდა, ჩვეულე–ბისამებრ, მთვრალი იყო და სიყვარულის ახსნა დამიწყო. წასვლა არ უნდოდა... საბედნიეროდ, ვიღაცამ შემოიარა და გააგდო. ამის შემდეგ ამეტორღიალა, სულ კვალდაკვალ დამყვებოდა. მრცხვენოდა მისი ცოლისთვის თვალი გამესწორებინა, მაგრამ ერთხელ თვითონ დამელაპარაკა: „რა სულნამცეცა ყოფილხართო, - მითხრა, - არ შეგიძლიათ შეიყვაროთ ადამიანი, თუ თქვენი თანადასწრებით პირს ასაქმებს, არ ძალგიძთ ბოლომდე მისვლა... ყველაფერი სუფთა და ლამაზი უნდა იყოს, ისე არ შეგიძლიათ. მეზიზღებით!“ უხმოდ მოვისმინე ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები, ვხვდებოდი, ისა სტანჯავდა, რომ მის მიერ გაღმერთებული ადამიანი ვიღაცას ზიზღსა ჰგვრიდა. მაგრამ რაც მაშინ იმ ქალმა მითხრა, ხინჯად ჩამრჩა გულში და ახლაც კი ხანდახან ტკივილს მაყენებს. მარტინას, რა თქმა უნდა, ვერ შევედრები!

იმას ყველაფერი ბოლომდე მიჰყავს!

ბინა სწორედ ისეთი იყო, როგორზედაც ოცნებობდა მარტინა. თქვენ გინახავთ ასეთი ბინების სურათები ილუსტრირებული ჟურნალების პრიალა ფურცლებზე: ბევრი ჰაერი, სინათლე, ყველაფერი ლამაზადაა შეღებილი, ბზინავს. მართალია, ჯერ აქ სიცარიელე სუფევს, - დგას მხოლოდ ერთი საწოლი ელასტიური ზამბარიანი ლეიბით, სამი ტაბურეტი ლითონის მილაკებისაგან, კაშკაშა ყვითელი საჯდომებით, რომლებსაც ოთახიდან ოთახში დაათრევენ, სამზარეულოს გასაშლელი მაგიდა - ქ-ნ დონზერისგან ნათხოვარი. ვერავის ვერ დაპატიჟებ! დანიელი განცვიფრებული იყო. ალბათ იგულისხმება, რომ ის აქ იცხოვრებს, მაგრამ აქ მისი არაფერია, მარტინას გარდა. მარტინამ მთელი თავისი დანაზოგი დახარჯა საწოლის შეძენაზე და სთხოვა დანიელს, მამაშენს სკამების საყიდელი ფული გამოართვიო, სულ ფეხზე ხომ არ ვიდგებითო? დანიელმა კბილები დააკრაჭუნა, მაგრამ იძულებული იყო მამისთვის მიეწერა და მიიღო კიდეც ფული, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ეს ბინა უსიამოვნებათა წყაროა და რას აუკვიატებია მარტინას? იმის შემდეგ, რაც დანიელმა მამას წერილი მისწერა, ორი კვირა ახალ ბინაში არ გამოჩენილა და მარტინასაც მისგან მეტი არაფერი მოუთხოვია. როგორმე თვითონ გაართმევს საქმეს თავს!

დანიელი ვერსალიდან ფეხს არ იცვლიდა არა მარტო იმიტომ, რომ მარტინას გაებუტა. გამოცდების დრო მოახლოვდა და მარტინა ფიქრობდა, რომ არც კი ღირს ახალი ბინის მოჭერეხება დანიელის საგამოცდო ატრიბუტებით: წიგნებით, რვეულებით, ყველგან მობნეული ჩიბუხის ფერფლით, მუდამ მაგიდაზე მდგარი

ყავადანით, ბინძური ჭიქებითა და ბოთლებით... ერთი სიტყვით, ყოველივე იმით, რაც დანიელის სამყაროს შეადგენდა და სადაც ის წესრიგის დამყარებას ვერ შესძლებდა. მარტინას ქათქათა ქმარი ურჩევნია, ხოლო ბარგიბარხანა დანიელმა ან შესანახად მიაბაროს, ან დატოვოს, სადაც მოესურვება. ამასობაში მარტინა მიეჩვია ახალ დამოუკიდებელ ცხოვრებას, ქ-ნ დონზერის, ბ-ნ ჟორჟისა და სესილის გარეშე. აი პირველი ღამეც - ის მარტოდმარტოა ჯერ კიდევ საღებავების სუნით გაჟღენთილ ოთხ კედელში, წევს ახალ საწოლზე, ესმის ქუჩისა და სხვა ბინების უჩვეულო ხმაური... მარტინა, ცოტა არ იყოს, ნანობდა, რომ ამ ძნელად გასაბედ საქმეს შეუდგა, მაგრამ სულ რამდენიმე დღე გავიდა და მიეჩვია. ნაღველი დაეფანტა, დარჩა მხოლოდ სიახლის წარმტაცი გრძნობა. და მერე, რაც მთავარია, მას ჰყავს დანიელი. რა ბედნიერებაა, როცა ისინი აქ არიან ერთად და არა რომელიმე ბინძურ სასტუმროში. „შენთანო...“ ამბობდა დანიელი და აჩქარებით გარბოდა.

გადაბარგებამ რამდენიმე დღით დაარღვია ცხოვრების ნორმალური მსვლელობა, მაგრამ მალე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა, მარტინა საათის მექანიზმის სიზუსტით - „შეამოწმეთ დრო“ - მიდიოდა, მოდიოდა, სადილს ამზადებდა. წვებოდა, დგებოდა. ყოველ შაბათს, - ზოგჯერ დანიელთან და ზოგჯერ უდანიელოდ – სადილობდა ქ-ნ დონზერთან, ხოლო ყოველ საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებისას, მახლობელი კაფედან ურეკავდა სესილს, რათა გაეგო, ხომ კარგად არიან ყველანი. ახალ ბინაში ტელეფონი არ იდგა და ამიტომ მარტინა უფრო ღრმად განიცდიდა სიმარტოვეს უდანიელოდ. მაგრამ მოთმინებით აღიჭურვა. განა მარტინა მაშინ არ უცდიდა

დანიელს, როცა იმედის ნიშანწყალი არ ჰქონდა? ახლაც დაუცდის და ბოლოს და ბოლოს, მალე ისინი ერთად იქნებიან. ორივენი ჭარბად ინაზღაურებდნენ იძულებითი განშორებით საათებს და ეშინოდათ, არ დაჰკარგოდათ ბედნიერების არც ერთი წუთი. ღამით, მეექვსე სართულის აივანზე, პარიზზე გადმომზირალებს, საკუთარი მხოლოდ მათი ზეცა ჰქონდათ. დანიელი თანდათან მიეჩვია მათთვის განკუთვნილ რამდენიმე კუბიკურ მეტრ ჰაერს, ორ ცარიელ ოთახს, ცხელ წყალს, სამ ლითონმილაკებიან ტაბურეტს ყვითელი საჯდომით, უაბაჟურო ჭაღს, ორ-ორ იაფფასიან საინს, ფინჯანსა და დანა-ჩანგალს. კარგია ასეთი ჯარისკაცული ცხოვრება, რატომ უნდა დაიტვირთონ არსებობა ზედმეტი ნივთებით? ორივენი ერთად არაჩვეულებრივად აღტაცებულსა და მოზღვავებულ სიხარულს განიცდიდნენ, წინასწარ ტკბებოდნენ იმით, რაც მათ მომავალში მოელოდათ.

ერთხელ, როცა დანიელი, ტელეფონის უქონლობის გამო, წინასწარ გაუფრთხილებლად მოვიდა შინ, იგი თავს წაადგა მარტინას, რომელიც სამზარეულოში ვიღაც კაცს ელაპარაკებოდა. მარტინა თითქოს შეკრთა დანიელის დანახვაზე. სტუმარი საკმაოდ მაღალი, აჯაგრულულვაშიანი კაცი გახლდათ, საღილეში ორდენის ბაფთა ეკეთა, კარგად იყო ჩაცმული. მხოლოდ დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ამ კაცს კოსტიუმი გასცვეთოდა, სახელოები გაქუცოდა, ხოლო სახე ნაოჭებით დასეროდა. მარტინას ლოყები შეეფაკლა. მას ყელზე ფირუზისფერი ხილაბანდი ეხვია, რომელიც ძალიან უხდებოდა. მან ქმარს უთხრა:

- ეს ბატონი ნისიად მოვაჭრე ფირმის წარმომადგენელია.

- ფირმა „პორტი და კომპანია“... ბატონი დონელი, თუ არ

ვკდები? - სტუმარი წამოდგა.

- სწორედ ეგრეა, - დანიელმა დაისხა თავისთვის აპერიტივი მარტინას ჭიქაში და ბატარეაზე ჩამოჯდა.

- ქალბატონმა ეს კომბინირებული გარნიტური აირჩია. ფირმის წარმომადგენელმა უჩვენა დანიელს კატალოგი. - ქალბატონს მშვენიერი გემოვნება აქვს, ნატიფი. ეს ახალგაზრდულია, სავსებით თანამედროვე... უბადლო ხარისხის ნატურალური მოპრიალებული მუხა. წამოუდგენელი ტევადობის სარკიანი შიფონერი. გასაშლელი მაგიდა. სერვანტი ისეთი ზომის, რომ შიგ მოთავსდება სასადილო სერვიზიცა და ბროლიც...

- ხომ გაიგე, - აღგზნებით უთხრა მარტინამ, - შიფონერს საწოლ ოთახში დავდგამთ...

- ქალბატონს მშვენიერი პრაქტიკული ალღო აქვს, - დაუდასტურა ფირმის წარმომადგენელმა. - პატარა დივანი რამდენიმე სკამის მაგივრობას გასწევს. თუ დაგჭირდათ, დაიძინებთ კიდევაც ზედ... ზემოთ წიგნების თარო აქვს...

- წიგნებსაც ჰყიდით ნისიად? - იკითხა დანიელმა.

- არა, ბატონო... მაგაზე კი უკაცრავად გახლავართ...

- დარწმუნებული ვიყავი, რომ წიგნებსაც ჰყიდდით: მეტრობით, რამდენიც დაეტევა თაროზე.

ფირმის წარმომადგენელმა შიშით გადახედა დანიელს.

- თქვენ ბრძანდებით ოჯახის უფროსი, ბატონო? - იკითხა მან ზრდილობიანად.

- ჩვენი ქორწინება ეფუძნება ქონების გაყოფილ მფლობელობას. თქვენ ეს გაინტერესებთ? ჩემს ცოლს უფლება აქვს ხელი მოაწეროს, რასაც სურს. მაგრამ მისი ვალებისთვის მე

პასუხს არ ვაგებ.

- ჩვენ ეს სრულებით არ გვაწუხებს, ბატონო. ქალბატონს არ სჭირდება თავდებობა. მას მუდმივი სამსახური და კარგი ხელფასი აქვს... იმ შეღავთიან პირობებში, რომლებსაც ჩვენ კლიენტებს ვუქმნით, სავსებით შეუძლია ყოველივე ამის შეძენა.

- დამიტოვეთ კატალოგი, ბატონო, უთხრა მარტინამ, მოვიფიქრებ. არ ვიცი, შესაძლოა სასადილო ავიღო, წვეტიანი ფეხებითა და ჭადრაკულად მოხატული მაგიდით.

როგორც კი ფირმის წარმომადგენელი წავიდა, მარტინამ საბაზანოს მიაშურა, ხოლო დანიელი მარტო დარჩა თავისი აპერიტივით. მარტინა მალე დაბრუნდა, საბანაო ხალათში გამოწყობილი, თავზე შემოხვეული პირსახოცით, მშვენიერი, როგორც მზიანი დღე. დანიელი გაზეთს კითხულობდა. მარტინამ ერბო-კვერცხი გააკეთა. ჩუმად შეექცეოდნენ.

- მე გთხოვ, - თქვა ბოლოს მარტინამ, ხალხის ყბაში ნუ ჩამაგდებ.

- შენ ამას ჩემს დაუხმარებლადაც ახერხებ. - უპასუხა დანიელმა.

ის წამოდგა, დადო მაგიდაზე დანა, პურის ნაჭერი. მარტინამ გაიგონა, როგორ გაჯახუნდა წინა ოთახის კარი.

კვირის დამლევს მარტინამ გულთბილი ბარათი მიიღო: დანიელი დღედაღამ ემზადება გამოცდებისთვის. კიდევ ათმა დღემ გაიარა და დანიელი დაბრუნდა, ფერმიხდილი, გამხდარი, მაგრამ მხარული. ის მზად იყო სულ პატარა მიზეზის გამო სიცილი აეტეხა: „ჩემო მარტინეტა!“ - და არც ერთი სიტყვა ნისიად შესაძენი ბედნავსი ავეჯის შესახებ.

## ერთ ახალ ბინაში

ავეჯი მხოლოდ ივნისში მოიტანეს და ავეჯს სასადილო სერვიზი, სირჩები და ფიალები, სამზარეულოს ჭურჭლეულიც მოაყოლეს. დანიელი თვალს არ უჯერებდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს ბინა მთლიანად მოწყობილი დაუხვდა. ყოველივე ეს მარტინამ მის იქ არყოფნაში გააკეთა. დანიელმა ის იყო, ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები; პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო, სამინისტროს ოქროს მედალი და სტიპენდია, სახელმწიფო ან კერძო წამოწყებაში სტაჟის გავლის თვეებისათვის. დანიელმა ვერ გაბედა და ვერც თვითონ გაიფუჭა გუნება და ვერც ჩაუშხამა ბედნიერება მარტინას, რომელიც გახარებული დადიოდა ოთახებში თავის შენაძენთა შორის... თუმცა ისეთ ხასიათზე დადგა, ღრიალი უნდოდა, მაინც თავი შეიკავა, დათმო თავისი გრძნობები და ფიქრები, ოღონდ კი უთანხმოება არ დაწყებულიყო და ჩხუბი არ ამტყდარიყო; ენაზე მომდგარი სიტყვები ჩაყლაპა...

იმ საღამოთი ახალ სასტუმრო-სასადილოში ერთდროულად იდღესასწაულეს ახალი მობინავეობაცა და დანიელის დიპლომიც. იყვნენ სესილი და ის პიერ ჟენესკი, რომელსაც რაღაც თანამდებობა ეჭირა პლასტმასის მრეწველობაში, ქ-ნი დენიზა, თავისი მეგობრით და ჟინეტა...

მარტინა ერთ-ერთ იმ დიასახლისთაგანი იყო, ვისაც არც ცომი ჩაუვარდება და არც კერძი ჩაეხრაკება. ისე უნაკლოდ და მონდომებით ამზადებდა კერძებს, როგორიც მანიკიურის გაკეთება იცოდა. სესილმა თან მოიტანა რადიომიმღები და ფირსაკრავი. გადაწყვიტა ესენი მარტინასთვის დაეტოვებინა:

საბრალო მარტინას არ შეუძლია ცხოვრება უმუსიკოდ, მაგრამ მას მხოლოდ პატარა რადიო აქვს, რომელიც ქ-ნმა დენიზამ აჩუქა, ამით იოლად ვერ გავა, ნამდვილი რადიომიმღები სჭირდება. მარტინას სახე უბრწყინავდა, მისი სიხარული შუქს ჰფენდა სასტუმრო-სასადილოსაც, მოხატულ საინებს, დანაჩანგლის ქვესადგამებსაც ფერად პლასტმასიდან და სურათებსაც კედლებზე.

- მე კი მეგონა, - თქვა დანიელმა, - რომ შენ სუფთა ტილო გირჩევნია საღებავებით დაფარულ ტილოს.

- თავი დამანებე, დანიელ, ბინის მოწყობისა შენ არაფერი გაგეგება, - და მარტინა სამზარეულოსკენ გაეშურა.

დანიელი გაოგნებული მისჩერებოდა კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს: ხშირად, ოპერის ავენიუზე გავლისას, დაფიქრებულა, ნეტავი ვინ ყიდულობს კულტსაქონლის მაღაზიების ვიტრინებში გამოდებულ ხელოვნების ნაწარმოებებსო: ძაღლების თავებს, მონადირეებს, სასამართლოს წინაშე მდგარ მოსასხამგადაღეღილ ქალებს, - დარბაზში შემოვარდნილმა ქარმა მიმოფანტა ქაღალდები და მოხუცი მსაჯულები განცვიფრებით მიჩერებიან მის შიშველ სხეულს! აი თურმე ვინ ყიდულობს ასეთ სურათებს... მისი ცოლი... მშვენიერი ფრინა. რომელმაც ესოდენ ააღელვა მსაჯულები. აი აქაა - კედელზე.

პიერ ჟენესკის გარდა ყველა იქ მყოფი მარტინასა და დანიელის ქორწილის დამსწრე იყო. წარმოიდგინეთ, უკვე ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ. გამოცდებით გართულ დანიელს არც კი გახსენებია დაეპატიჟა რამდენიმე ამხანაგი მებაღეობის სკოლიდან. ისინი ვერც დაეტეოდნენ, ისეთი სივიწროვე იყო. ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ ჟინეტა რომ უკავალეროდ დარჩა... „თქვენ რა გიჭირთ, მე ვიკითხო. მარტოხელამ... პიერი არავის ამჩნევს,

სესილის გარდა. ყველა მამაკაცი დაკავებულია...“ სტუმრები იცინოდნენ. „უცნაურია, - გაიფიქრა დანიელმა, აი, მშრომელი ქალი, მარტოხელა დედა შვილს ზრდის, განა ის, პატივისცემის ღირსი არაა? მაგრამ რა ადვილი წარმოსადგენია, ვითომ ის ბულვარის კუთხეში დგას და კლიენტებს ელოდება...“ დანიელი აშკარად აზვიადებდა. ჟინეტა პატარა, სასიამოვნო გარეგნობის ქალი იყო, მკერდსავსე, ტანწერწეტა და თეძოსრული, მას პატარა ხელ-ფეხი ჰქონდა, ნაზი პირისკანი, ქერა თმა, შავი წარბ-წამწამი და ცისფერი თვალები. ძნელი იყო თქმა, ბუნებით გაუფერულებული შავგვრემანი იყო, თუ შეღებილი ქერა; ყველაფერი ისე ოსტატურად ჰქონდა გაკეთებული, რომ ვერ გაერკვეოდით, რა იყო მის გარეგნობაში ბუნებრივი და რა იყო ხელოვნური. მხოლოდ თვალები ნამდვილად ბუნებრივი ჰქონდა, ცისფერი თვალები. მის ღია ფერის კაბა ეცვა, საცვლები, ალბათ, მაქმანისა და ნეილონის ჰქონდა... დენიზა სულ სხვანაირი იყო... სწორედ მსახიობსა ჰგავდა, რომელიც არისტოკრატი ქალის როლს თამაშობს, განსაკუთრებით დღეს თავისი დახვეული ჭაღარა თმის წყალობით.

- საოცარია, - თქვა ჩაფიქრებულმა დანიელმა, იმის შემდეგ, რაც ყველა სადღეგრძელო დაილია: ახალგაზრდა ცოლქმრისა და მათი წარმატებების, კომბინირებული გარნიტურისა და მარტინას სადიასახლისო ნიჭის, სურათზე გამოხატული ცოდვილი ქალისა და სხვა, - საოცარია ერთდროულად ოთხი ასე განსხვავებული ქალის ხილვა...

გულიდან ამოსულმა ამ სიტყვამ საერთო სიცილი გამოიწვია, მოხდენილ ოხუნჯობად ჩამოართვეს დანიელს. ქალები კმაყოფილი დარჩნენ, ასეთი გულწრფელი ქათინაური

ყოველთვის სასიამოვნო მოსასმენია...

- არც ვაჟებია ცუდები, - თქვა დენიზას მეგობარმა, რომელსაც საარშიყო საქმეებში გამოცდილ კაცად მოჰქონდა თავი.

- მაგრამ ერთი ვაჟი რომ გვაკლია... ეგებ რომელიმე თქვენგანი დამითმობს თავის კავალერს.

ჟინეტას დაჟინებამ ისევ საერთო სიცილი გამოიწვია. ქალი ხუმრობდა და თავი ისე ეჭირა, ვითომ ყველაზე უფრო დანიელი მოსწონდა. დანიელიც აჰყვა ამ ხუმრობას, მიუკარებელი კაცის როლი იკისრა, ხოლო ჟინეტამ სასიყვარულო შეტევას უმატა. ყველანი ერთობოდნენ ამ თამაშით. ჟინეტა, მარტინა და დენიზა ჰყვებოდნენ „სილამაზის ინსტიტუტის“ ჭორებს. იქ ისინი ხედავდნენ ყველა ახალმოდის ლამაზმანებსა და იმათაც, ვისაც ლამაზად მოჰქონდა თავი... იგონებდნენ მათ ახირებულ ჩვევებსა და ჭირვეულობას. რა სასაცილონი არიან ქალები, როდესაც ისინი ებღაუჭებიან უკვე გავლილ ახალგაზრდობას!

მარტინამ ბანქოს მაგიდა გაშალა: ქ-ნმა დენიზამ მას ბრიჯის თამაში ასწავლა და ნიჭიც აღმოაჩნდა: უფრო ხშირად რომ ევარჯიშნა, პირველხარისხოვანი ბრიჯის მოთამაშე გახდებოდა. მაგრამ იმ საღამოთი სერიოზულად არ თამაშობდნენ, ხშირად დგებოდნენ საცეკვაოდ. პიერ ჟენესკი სამზარეულოში შევიდა, სესილს ეხმარებოდა ორანჟადის მომზადებაში და შამპანურის ბოთლის გახსნაში. ჟინეტა ცუდად თამაშობდა, მას მაინცდამაინც ტანგოს ცეკვა უნდოდა, სულ ერთია ვისთან, ხოლო დენიზას მეგობარს წყურვილი აწუხებდა... დანიელი მეტი ბარგი იყო, ის არც ცეკვავდა და არც ბანქოს თამაშობდა!

ბოლოს ჟინეტამ დანიელი აივანზე გამოიყვანა... ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, ძველთაძველი კეთილი ცა,

უცვლელი სამყაროს შექმნიდან დღევანდლამდე, ხოლო ქვევით, დედამიწაზე იშლებოდა არნახული ფანტასტიკა, ჯერ დაუხატავი პეიზაჟი, უკუნი ღამის წიაღში მოხაზული თანამედროვე შენობების საჭადრაკო დაფა იმ ერთფეროვან, ბრტყელ, თეთრ, რაციონალურად მოსაზრებულ შენობებისა, რომლებშიც ადამიანები ცხოვრობდნენ და რომელთა სიმაღლეს ვერ სწვდებოდნენ ასფალტიდან ამოზრდილი ხეები. ფანტასტიკურად მშვენიერი პეიზაჟი, შემოხლართული ელექტროგამტარების ქსელით. ცემენტის ბოძებზე გაკრული წარწერებით: „სასიკვდილოა!“ ქალაქის გიგანტური ნაბიჯი, რომელიც ლამობს ტყეებისა და მინდვრების გათელვას.

- რომ იცოდეთ რა ძნელია მარტოხელა ქალისათვის ბავშვის აღზრდა... ჩემი ბიჭი ორმოცდაოთხ წელს დაიბადა... მამა თვალითაც არ უნახავს... - ამბობდა ჟინეტა.

აი, როგორ ყოფილა საქმე! მაშ ბავშვის მამა გამქრალა ჩვენს მოწყალე დამპყრობლებთან ერთად? დანიელი ჩააცქერდა ჟინეტას სახეს. ისე უცნაურად ანათებდა ქალს ოთახიდან გამომსჭვირვალე შუქი, რომ თვალები ჩასცვენოდა, ხოლო შუბლი და ღაწვები წინ წამოწეოდა. ის გერმანელ ქალს ჰგავდა. სასტუმრო ოთახიდან მოისმოდა სიცილი, ბრიჯის მოთამაშეთა შეძახილები, მუსიკა, დროდადრო დიქტორის ხმა...

- ახლა ჩემი ბიჭი სანახევრო ინტერნატშია, ის სკოლაში საუზმობს და მხოლოდ ღამეს ათევს შინ... აბა სხვაგვარად როგორ მოაწყოს ცხოვრება ქალმა, რომელიც დღედაღამ მუშაობს?... ეჰ, მამაკაცებში ბედი არ მწყალობს!

- შესაძლოა, ეს უხეირო არჩევანის ბრალია და არა უბედობისა?

რისთვის ელაპარაკება ამ ქალს ასე უკმეხად? თვითონაა დამნაშავე, რატომ სწადია თავი შეაბრალოს თავისი გაჭირვებით? არ უნდა ჰქონოდა კავშირი გერმანელთან ან გერმანელებთან. ქალს თავი ისე უჭირავს, რომ უკან არ დაიხევს, ყველაფერს იკისრებს. სწორედ ეს ეჩოთირება დანიელს. გათახსირებულ ქალებსაც ჰყავთ ხოლმე შვილები, ასეთი რამისთვის გული არ უნდა აიჩუყო... თანაც ჟინეტა სრულიადაც არ გაჯავრებულა.

- თქვენ გგონიათ, რომ არის არჩევანის შესაძლებლობა? რაკი ერთხელ გიმტყუნებს ბედი, მერე მთელი შენი სიცოცხლე უიღბლო ხარ. თანაც ბავშვი... დრო მიდის და ბოლოს აღმოჩნდება, რომ ყველა კაცი უკვე დაკავებულია... თქვენი არ იყოს...

ჟინეტამ აშკარად გადააჭარბა, აღარ იყო საჭირო შეყვარებულის როლი ეთამაშა ახლა, როდესაც ისინი მარტონი იყვნენ, ეს უკვე თამაშს აღარ ჰგავდა.

- შევიდეთ, - თქვა დანიელმა, - დავლიოთ თითო ჭიქა.

მარტინა მშვენიერი დიასახლისია: სერვანტზე სასმელები იდგა და რადგან გვიან იყო და ვახშმის დროც მოვიდა, იქვე თეფშებზე ელაგა ცივი ხორცი... მშვენიერი პატარა ძეხვები... მართალია, ყინული აღარ იყო: სადილისათვის მოტანილი ყინული უკვე გადნა. თუ გინდა სტუმრებს წესიერად გაუმასპინძლდე - მაცივარი უნდა გქონდეს.

ჟინეტა შეეცადა ესწავლებინა ცეკვა დანიელისათვის. ამაოდ დაშვრა! ქმრებმა ცეკვა არ იციან - ეს კანონია... თავს იცავდა დანიელი, ცოლის შერთვა აქ არაფერ შუაშია, მხოლოდ მარტინას ქმარი ვარ, სხვების, რაც მომეწადინება, ის შემიძლია ვიყოო, მაინც ფაქტს საით გაექცეოდა: ის ცოლიანი იყო და ცეკვა არ იცოდა. დენიზას მეგობარი იდეალურად ცეკვავდა, დაატარებდა

მანდილოსანს სლოუში ისევე თავისუფლად და ძალდაუტანებლად, როგორც მიჰყავდა მანქანა კილომეტრის სისწრაფით საათში. პიერ ჟენესკს ცეკვა იმდენად არ ეხერხებოდა, როგორც მანდილოსნის ნაზად ჩახუტება: ხომ არ აპირებს მოცეკვავის როლი ქმრის როლზე შეცვალოს?

დანიელი დაიქანცა. გამოცდების პერიოდის უძილო ღამეებს ეს წვეულება დაერთო და ბოლო მოუღო. ნასვამი გახლდათ, ზარხოშის გამო ყველაფრით კმაყოფილი და აკი ამიტომაც ზედმეტად მოერია ძილი...

- იცით, ბანოვანნო, რას მაგონებთ? - წამოიძახა მან, რომ გამოფხიზლებულიყო - უნაზესი ფერების ახალთახალ პლასტმასას.

არავის არ სწყენია, ყველამ გადაწყვიტა. მარტინას ქმარი ერთობ ოხუნჯი კაციაო...

როცა სტუმრები წავიდნენ, მარტინა ჭურჭლის რეცხვას ბინის წესრიგში მოყვანას შეუდგა. რა დაუღალავია! დანიელ ღრმა ძილში იყო, როცა მარტინა გვერდით მიუწვა, პირის დაბანაც არ დავიწყებია, თუმცა ფანჯრებში, რომლებსაც ჯერ არც ფარდები ჰქონდა და არც შტორები. უკვე დღის სინათალე იჭყიტებოდა. რამდენი რამ აკლია ჯერ ამ ბინას! მარტინას უნდოდა დარდებზე ოცნება, მაგრამ ძილი მოერია. დილის მზემ ვარდისფერი ათინათები მოჰფინა ახალი სახლების თეთრ კედლებს, ლოჯია-აივნების მინებზე მზის შუქი ელვარებდა ცისარტყელას ყველა ფერით. ელექტროგამტარები ბზინავდნენ და კაცს ადვილად დაავიწყდებოდა, რა მომაკვდინებელ საშიშროებას შეიცავდა ეს ობობას ქსელი. ქალაქი შენდებოდა, მხიარულად გამოიყურებოდა, რამდენ დაპირებას იძლეოდა.

დანიელი ფერმაში მიემგზავრებოდა: იქ უნდა დაესვენა და, შემდეგ ემუშავა. „საწარმოო სტაჟს“ თავისი მამის პლანტაციებში გაივლის. მარტინას არ შეეძლო გაჰყოლოდა, ის შვებულებას არ აიღებს, დარჩება სამუშაოდ „სილამაზის ინსტიტუტში“ ორმაგი ხელფასის მისაღებად... მას ფული სჭირდებოდა კომბინირებული ავეჯისათვის შემდეგი ვადის საჭირო თანხის შესატანად. ძალიან უჭირდათ განშორება, მაგრამ სხვა გზა არ იყო,

## ბუნების ღვთაებრივ სამყაროში

ფერმა სულ ოთხმოცი კილომეტრით იყო დაშორებული პარიზს. დანიელს ყელთამდე ჰქონდა საქმე, მყნობის გაჩაღებული ალოობა იყო, მაგრამ ის მაინც პოულობდა დროს პარიზში ჩამოსასვლელად, რომ ღამე მარტინასთან გაეტარებია. ისევ სიყვარული კანტიკუნტად - დანიელი ფერმაში უნდა დაბრუნებულიყო, მარტინას „სილამაზის ინსტიტუტისკენ“ მიეჩქარებოდა.

მარტინას ვარაუდი სწორი აღმოჩნდა: დანიელის მამას ფიქრადაც არ მოსვლია ფული გადაეხადა თავისი შვილისთვის. ოჯახის წევრები უსასყიდლო სამუშაო ძალად ითვლებოდნენ. დანიელმა ერთი-ორი თვე ითმინა, შემდეგ მამასთან ლაპარაკი მოუვიდა და განუცხადა, წავალ, როგორც კი ადგილს ვიშოვიო. არჩევანი საკმაოდ დიდი ჰქონდა: დანიელს უფრო იზიდავდა სამეცნიერო მუშაობა გენეტიკაში, მაგრამ შესთავაზეს აგრეთვე პრაქტიკული მუშაობა გამოყენებით დარგში, პარაზიტოლოგიაში. დანიელს შეეძლო ერთ-ერთ სასოფლო-სამეურნეო ოლქში მეცნიერ-კონსულტანტის ადგილი მიეღო. ერთი სიტყვით...

მუშები უკვე წასულიყვნენ. ღამის მოახლოება იგრძნობოდა,

ჩამავალი მზე თვალს აღარ სჭრიდა, ნაზსა და მიმქრალ შუქს ჰფენდა გარემოს. ირგვლივ, თვალუწვდენელ სიშორემდე ყველაფერი მოჩანდა, ცის დასალიერზე ძლივს გაარჩევდით სოფლის სამრეკლოს.

- ვერ გამიგია, - განაგრძო დანიელმა, - რატომ უნდა უხადოს მარტინამ ფული შენს მებაღეებს.

ბ-ნმა დონელმა ცნობისმოყვარეობით შეხედა დანიელს.

- განა სტაჟირებისთვის სტიპენდია არ მოგცეს?

- ესღა მაკლია, შენთან მუშაობის უფლება ფულით მოვიპოვო!

ბ-ნმა დონელმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

- კარგი, კარგი... დომინიკას ვეტყვი, ყოველთვიურად მარტინას გარკვეული თანხა გაუგზავნოს და მეტს ფულის საკითხზე ნულარ ვილაპარაკებთ.

ეს ნიშნავდა - არავითარი ზედმეტი ხარჯები. მაგრამ ყოველთვიური თანხა გვარიანი აღმოჩნდა.

- ხედავ, როგორ გაფასებ, - უთხრა დასასრულს ბ-ნმა დონელმა. - მეტს გეტყვი. გაფრთხილებ: შენი ბიძაშვილი ბერნარი ისევ ორმოს გითხრის. მე კი მინდა, რომ შენ აქ დარჩე, დანიელ შვილო... როგორ ფიქრობ... შეჯვარება... იმასთან... ყვავილიანობას არ მოუმატებს? რას ამბობს გენეტიკა? ქრომოსომული შემადგენლობა?

იგი მიამიტად ჩააცქერდა დანიელს და უკანასკნელმაც ასეთივე თვალი მიაპყრო. მათ განაგრძეს სეირნობა. მზის ჩასვლისას ვარდების სურნელება განსაკუთრებით ძლიერი იყო.

დანიელი ავიდა სამზარეულოს კიბით თავის ოთახში, სადაც

ის შარშან მარტინასთან ერთად ცხოვრობდა და წიგნები გაშალა. ის ყოველ ღამით გვიანობამდე მუშაობდა და დაძინებისას ისევ წაკითხულზე ფიქრობდა. ეს უძილო ღამეები არ აწუხებდა დანიელს, დღის განმავლობაში ჩასახული აზრები სწორედ ღამით, ლოგინში, ღია ფანჯარასთან იღებდნენ ნათელსა და გამოკვეთილ სახეს. მეცნიერული შთაგონება სწორედ აქ ეწვეოდა ხოლმე, სადაც ყოველი ღამეული ხმა ბავშვობიდანვე ნაცნობი იყო ისევე, როგორც ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, რომელსაც დანიელი ფართოდ გახელილი თვალებით შეჩერებოდა... ამ ღამით, მამასთან საუბრის შემდეგ, მარტინაზე ფიქრობდა... მალე ღამის ორი საათი იქნება, მარტინას უკვე სძინავს. პატარა ტყეში დაკარგული გოგო, მხნე გოგონა, მარტოდმარტოა პარიზში... დანიელმა სინათლე აანთო, გულდასმით გამობერტყა ფერფლი ჩიბუხიდან საფერფლეში, ისე როგორც მარტინას უყვარდა და კვლავ ჩააქრო სინათლე. ვერ იყო გუნებაზე, თუმცა ეს სიტყვები არაფრის მთქმელია; ისინი ვერ გამოხატავენ, რატომ დაუმძიმდა გული ასე. მისი მდგომარეობა მთელი რიგი მიზეზების ნაყოფი იყო, შეიძლებოდა მათი აღნუსხვა, მაგრამ ამათგან ყველაზე საბედისწერო მაინც ხელში გასხლტება, ჩრდილს ამოეფარება და მალულად დაუღრღნის გულს, ძნელად გასარკვევ გუნებაზე დააყენებს. ვინ იცის, თქვენ უკვე ჩაწვდით დანიელის განწყობილებას? ვაჟი საკუთარი თავის უკმაყოფილო იყო, ეგონა, რაღაც დანაშაული მიმიძღვისო და შეშფოთებულმა უცებ გადაწყვიტა ერთი თვე მაინც აღარ წასულიყო პარიზში. თუკი მარტინას მისი ნახვა სწადია, შეუძლია ერთ შაბათ დღეს ჩამოვიდეს ფერმაში და ორშაბათამდე აქ დარჩეს. მაგრამ დანიელთან ყოფნას მას კომფორტი ურჩევნია. შეურაცხყოფილ, გულამღვრეულ დანიელს ღამის მყუდროებამ შვება ვერ მოჰგვარა,

თვალზე ძილი არ გაეკარა... განა ეს საქმეა? ფერმაში აბაზანა არაა მოწყობილი და ეს გადამწყვეტ როლს თამაშობს მათ ოჯახურ ცხოვრებაში. მარტინა, ცოტა არ იყოს, აფრენს! თავს აკლავს მუშაობას მხოლოდ იმიტომ, რომ შეიძინოს ავეჯის კომბინირებული გარნიტური, სასტუმრო-სასადილო?! მიუხედავად გულმავიწყობისა, ამ გარნიტურის დანახვამ უფრო განაცვიფრა დანიელი, ვიდრე განაცვიფრებდა მარტინას ბინაში უეცრად საჯდომმოტვლეპილი მაიმუნი რომ დაენახა, კაცმა რომ არ იცის, რას უძახიან მაგ მაიმახებს! ეს კომბინირებული გარნიტური ყოველთვის გულს უმღვრევდა დანიელს, როცა კი ის მარტინასთან ჩადიოდა. მარტინას ცუდი გემოვნება აქვს, მაგრამ ეგ არაა მთავარი... გაუგებარი ის გახლავთ, რომ მარტინა ასე გააფთრებით ჩასჭიდებია თავის გარნიტურს - ეს ართულებს საქმეს. ქალს სჭირდება ბინის მოწყობა, კომფორტის საგნები, სხვადასხვა ნივთები... როგორც ნარკომანს - ნარკოტიკები! მარტინა მზადაა შეიძინოს კომფორტის ყველა ნივთი, ფასს აღარ დაგიდევთ. ისევ ბრაზი მოეკიდა დანიელს. რა საშინელი უაზრობაა! ტაბურეტები ლითონის მილაკებისგან, რეზინის ხალიჩები სააბაზანოში, ფინჯნები დილის საუზმისათვის, ელასტიური ზამბარიანი საწოლი - ყველაფერი ეს შარავანდედს ხდიდა მარტინას იდუმალებას, აუბადრუკებდა მის პიროვნებას. დანიელმა კვლავ მოუკიდა ჩიბუხს.

მზე ფანჯრის საპირისპირო მხრიდან ამოდიოდა და ცას თანდათან ნათელი ემატებოდა... დანიელმა შვება იგრძნო, როცა სამზარეულოს ხმაური გაიგონა... „ძაღლების დედილოს“ ფეხის ხმა, აი, მან ღუმელი დაანთო... ეზოდან ისმოდა

ძაღლების ყეფა, ქათმების ფრთების ფრთხიალი... ძაღლები, ალბათ, ჩაცუცქულან ან წამოწოლილან სამზარეულოს ზღრუბლთან, უცდიან, აბა როდის გააღებს კარებს „ძაღლების დედილოო“.

აი, უკვე შეცვივდნენ სამზარეულოში! ჭიშკარმა გაიჭრიალა. პიერომ გააღო ჭიშკარი, ის ყოველთვის პირველი ჩადის ეზოში. დანიელმა შეიყნოსა სამზარეულოდან მოდენილი ყავის მადიანი სურნელება და ჩაიძინა.

- ო-ე! დანიელ? სადა ხარ? - შესძახა პიერომ ქვევიდან. დანიელი საწოლიდან წამოხტა...

საღამოთი ის პარიზში წავიდა... ეს წყეული ავტომანქანა რა ნელა მიცოცავს... ის კი ეშურება მალე დაინახოს თავისი პაწია, საყვარელი მარტინეტა...

დანიელი სამხრეთს მიემგზავრებოდა, რათა ვარდების ახალ ჯიშთა შემქმნელი ცნობილი სპეციალისტის მეიანდის სანერგეებში სტაჟი გაეარა. თვით მამამ ურჩია იქ წასულიყო და გაცნობოდა ვარდების სწრაფი ზრდის ზოგ მეთოდს, აგრეთვე სათბურების შენების ტექნიკას, რომელშიაც ვარდები თესლიდან გამოჰყავთ, შეეთვისებინა ჰიბრიდიზაციის ხერხები ამ დიდ მკვლევართან. დანიელი ახლა ეთანხმებოდა მარტინას: მამას მართლა სწადია დამეხმაროს, ის იზიარებს ჩემს გატაცებას და კარგად ესმის, ხალასი ემპირიზმის დრომ განვლო, მეცნიერება შეიჭრა ბუნების ღვთაებრივ სამყაროში და შეუდგა თავის ჭკუაზე მის გადაკეთებასო. დანიელი კი XX საუკუნის პირმშოა.

დანიელმა სთხოვა მარტინას, შენც წამომყევიო,

- ჯანდაბას წასულა შენი „სილამაზის ინსტიტუტი“...

- მერე, ვინ გადაიხდის ავეჯისა და ნისიად ნაყიდი ნივთების შესატანს?

ახლა, როცა მის ხელფასს ბ-ნ დონელისაგან ყოველთვიურად გამოგზავნილი თანხა დაემატა, მარტინა დამშვიდებული იყო. მაგრამ, თუ სამუშაოს თავს დაანებებს, ისევ დაიწყება ფულადი სიძნელეები. როცა ყველაფერს გამოისყიდის - მაშინ სხვა საქმე იქნება.

ზამთარში სამზარეულოში მაცივარი გაჩნდა. ის აღიმართა იქ, როგორც მონბლანი - ლამაზი, ვეებერთელა და სარგებლიანი.

მარტინა, ქ-ნი დენიზი, პიერ ჟენესი და სესილი ბრიჯს თამაშობდნენ. როცა დანიელი შემოვიდა, ყველა წამოდგა... და ვაჟმა თავი ისე იგრძნო, თითქოს მათ ხელი შეუშალა. ჩაციებულ სასმელებს შეექცეოდნენ. მხოლოდ მეორე დილით, ვითომ სასხვათაშორისოდ, ჰკითხა მან მარტინას, რა თანხით აპირებ მთელი ამ კომფორტის ანაზღაურებასო.

- რანაირად აპირებ შენი ძვირფასიანი ცდების ანაზღაურებას? მამაშენი ხომ ღარიბია. - მოურიდებლად უპასუხა მარტინამ, - როცა რაიმე ძალიან გინდა, ყოველთვის იპოვი გამოსავალს. - და შემდეგ უფრო ლმობიერად დაუმატა: - ხელფასი მომიმატეს, დენიზამ მომიხერხა. ნუთუ მამაშენს არ შეუძლია მეტი გამოგვიგზავნოს?

დანიელი მძიმედ დაეშვა ზამბარიან საწოლზე.

- არ ვიცი. შესაძლოა, ის ძალიან მდიდარიცაა... შესაძლოა, ძლივს ართმევს თავს ცხოვრების მოწესრიგებას... ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი - მამას მეტს აღარაფერს ვთხოვ. მეზიზღება ეს ყველაფერი. არ მსურს სიცოცხლე მოვიწამლო გამაგრილებელი სასმელების გამო,

სასადილოში ტელევიზორის გამოჩენამ რამდენიმე ხნის შემდეგ გააცოფა დანიელი. მიუხედავად გადახდის შეღავათიანი პირობებისა და მარტინას ხელფასის მომატებისა, ყოველთვიური გადასახადის შეტანა მაინც ჭირდა. ძალიან საძნელო იყო ამ თანხის შეგროვება. მართალია, დანიელი აღშფოთებული იყო, მაგრამ მაინც მარტოდმარტო მარტინას ხომ ვერ აჰკიდებდა ამ ტვირთს. დანიელი შეუდგა ინგლისურიდან მეცნიერული ნაშრომის თარგმნას და მთელ ღამეებს თეთრად ათენებდა. იძულებული შეიქნა გამოეთხოვა ბ-ნ დონელისაგან „პრემია“ სამხრეთში გამგზავრებისათვის. როცა მაცივრის უკანასკნელი გადასახდელი თანხის შეტანის დრო დადგა, მარტინა იძულებული გახდა ფული ქ-ნ დონზერისგან ესესხა.

- ბევრი ხვეწნა-მუდარა დაგჭირდა, განა?

- საიდან იცი? - მარტინა დაღვრემილი იყო.

- სესილმა მითხრა, შე სულელო! ტელეფონით დამირეკა. შემატყობინა ამ შესატანისათვის დედამ თავისი ოქროს ძეწკვი დააგირავაო... ქმრისაგან ფარულადო. სესილმა მკითხა, შეგიძლია თუ არა გამოისყიდო ეს ნივთი, ვიდრე ბ-ნ ჟორჟს არაფერი შეუმჩნევიაო. ახლა, როცა მაცივრის საჭმელს მივირთმევ, ყელში აღარ გადამდის!

- რატომ მე არაფერი მითხრა სესილმა?

- იმიტომ რომ, სესილსა და დედამისს, წარმოიდგინე, უყვარხარ და შენი წყენინება არ უნდოდათ.

- შენ? განა შენ არ გიყვარვარ და მიტომ მეუბნები ამას?

სასტუმროს პატარა სავარძელში მჯდომი მარტინა აქვითინდა. დანიელს უნდოდა სიმტკიცე გამოეჩინა, მაგრამ ვერ შესძლო და გულში ჩაიხუტა ცოლი. მარტინა თვითნება, თავქარიანი ქალი ხომ

არაა ანდა ვოდევილის მოქმედი პირი? უნდა გაიგოს, რომ დანიელს არ შეუძლია მოსთხოვოს მამას ფული... სურნელოვანმა ვარდმა ჯერაც ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები და ამ შეფერხებამ შეიძლება ისევ გააბოროტოს მამა, თუმცა ამ ბოლო დროს უფრო გულისხმიერი გახდა და მაშინ მამა ისევ მოჰყვება საყვედურებს, რამდენი ფული გადაყარე ტყუილუბრალოდო.... შესაძლოა, ახალმა ცდებმა აანაზღაუროს დანაკლისი. თუ ასე გაგრძელდა, დანიელი ყველაფერზე ხელს აიღებს და მარტო გენეტიკის თეორიაში იმუშავებს, ოღონდ კი თავი დაანებონ! მაგრამ ვარდების სიყვარული, გაფართოებული ცდების სურვილი... ძალიან გაუჭირდება პლანტაციების მიტოვება, ლაბორატორიაში ჩაკეტვა, მთელი დღეები მიკროსკოპთან ჯდომა. ვინ იცის, ეგებ მაინც შესძლოს ვარდების ახალი ჯიშის „მარტინა დონელის“ შექმნა. ეს ვარდი მათ ყველაფერს მისცემს, რაც კი მარტინას სწადია, დანიელს ხომ მხოლოდ ერთი რამ უნდა, - მარტინა იყოს ბედნიერი. წარმოუდგენელია, რომ ადამიანისთვის ბედნიერება მიუწვდომელი იყოს, რაკი ეს ბედნიერება დამოკიდებულია უსულო ნივთებისაგან, რომელთა ყიდვაა საჭირო... დანიელი თავს წვრილმან ადამიანად თვლიდა, მას, ალბათ, არ ძალუძს სულდიდობის გამოჩენა. თანაც შეძრწუნებული ფიქრობდა, ადამიანის ბედნიერება შეიძლება რაღაც მაცივარზე იყოს დამოკიდებულიო. მაგრამ რა საშველი შეიძლება გამოენახოს ამ საქმეს, მაინც რა საშველი?

მართლაც, რა უნდა დაეპირისპირებინა დანიელს მარტინას სადიასახლისო საყოფაცხოვრებო იდიალიისათვის?! მარტინა

ველურს ჰგავდა, მოჯადოებულს თეთრების მიერ ჩამოტანილი მბზინავი ნივთებით. ის წარმართივით აღმერთებდა თანამედროვე კომფორტს და აი, მას ხელში მისცეს ალადინის ჯადოსნური ლამპარი - ნისია - ერთი ხელის შეხება საკმარისია და თქვენს წინ მყისვე გაჩნდება დემონი, თავის სამსახურს შემოგთავაზებთ. მაგრამ ამ დემონს მარტინასთვის იმდენი სამსახური არ გაუწევია, რამდენადაც დაიმონა იგი. ვერაგი კრედიტი, ნისია ყველა სურვილის შესრულებას აღუთქვამს ჩვენი დროის ადამიანს. ყოვლის შემძლე ნისიამ, რომელმაც ზღაპრული სიუხვის ცდუნებით შეიტყუა მარტინა, ბოლოს დაიმონა იგი, ბორკილები დაადო...

დანიელი თავს დამარცხებულად გრძნობდა - ნივთებმა გაიმარჯვეს, აჯობეს მას. ტყეში დაკარგულმა მარტინამ მთელი თავისი გრძნობა-სურვილი სასტუმრო-სასადილოს კომბინირებულ გარნიტურს შესწირა.

## სიადვილის სიძნელე

დანიელი ძველებურად ფერმაში ცხოვრობდა და დროგამოშვებით მიემგზავრებოდა სამხრეთში, სადაც ერთი დონელთაგანი ახალი კონსტრუქციის სათბურებს აგებდა უფროსი დონელის ხარჯზე. დანიელსა და მარტინას შეეძლოთ თითებზე ჩამოეთვალათ ერთად გატარებული დღე-ღამეები. ეს დღე-ღამეები ისევე იშვიათი იყო, როგორც მზიანი დღეები წვიმიან ზაფხულში. ხანდახან დანიელი შეეკითხებოდა მარტინას, ხომ არ აპირებ „სილამაზის ინსტიტუტში“ მუშაობას თავი დაანებოო. არა, თავს ვერ დაანებებს. სავალდებულო თანხები უნდა შეიტანოს თავის

დროს, ხომ ასეა... დანიელი მაშინვე გაჩუმდებოდა, რომ არ დამდგარიყო მის წინაშე ისევ ის მარტივი, გადაუჭრელი დილემა, რასაც გააფთრებამდე მიჰყავდა ვაჟი.

ფირმა „პორტი და კომპანია“ ყოველგვარი საქონლით ვაჭრობდა და რადგან მარტინა შესატან თანხებს დროულად იხდიდა, მას ახალი კრედიტი გაუხსნეს, რომელიც მისი ხელფასით აღარ იყო გარანტირებული: ფირმას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ქ-ნ დონელს აქვს შემოსავლის სხვა წყაროებიც, ასე თუ ისე, იგი დანიელ დონელის მეუღლეა, ხოლო დანიელი ცნობილი მებაღეობის ფერმის პატრონის ვაჟია.

მარტინამ ისესხა ფული დენიზასგან. რამდენიმე ნივთის შესასყიდად ერთდროულად საკმაოდ დიდი თანხის შეტანა იყო საჭირო და მხოლოდ შემდეგ, უფრო გვიან ამ თანხას მოსდევდა „შეღავათიანი“ ყოველთვიური შესატანები. დენიზამ ხელი კი გაუმართა მარტინას, მაგრამ შემდეგ ხელფასიდან უკავებდა გარკვეულ თანხას, თითქოს თვითონ წარმოადგენდეს ფირმას „პორტი და კომპანია“. მარტინა, ავად იქნებოდა თუ კარგად, კიდევ გაართმევდა თავს ამ ხარჯებს, მაგრამ ფანჯრების ნარინჯისფერი ფარდები მოუვიდა თვალში - ხუთი ფარდა დასჭირდა - ეს ცოტა როდი დაუჯდა, ისიც ფოჩებიანი ფარდები!

სამხრეთიდან დაბრუნებულმა დანიელმა, მარტინას სასიხარულოდ, ვერც კი შეამჩნია ფარდები. მაგრამ, საბედისწეროდ, „პორტისა და კომპანიის“ ფირმის აგენტს წააწყდა... შესაძლოა, ამ ყმაწვილმა განზრახ მოაგვარა ეს საქმე, ის კარგ დამოკიდებულებაში იყო მეკარე ქალთან, რომელიც ყველა მდგმურს ფოსტას ურიგებდა. ხოლო ამას წინათ დანიელმა ღია ბარათი გამოგზავნა; იტყობინებოდა, სამშაბათს,

საღამოს ხუთ საათზე შინ ვიქნებიო, ანანასის ტორტს მოვიტან და დაგელოდებიო... სწორედ ხუთ საათზე ფირმის აგენტი მათ ბინაზე გაჩნდა.

ეს გახლდათ კოხტად გამოწყობილი ყმაწვილი, დანიელმა მას ფული გადაუხადა და მოსულიც მშვენიერ გუნებაზე დადგა.

- მანდილოსნებს, - თქვა აგენტმა, - უყვართ თავიანთ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი, მაგრამ ბოლოს იძულებული ხდებიან აღიარონ, რომ მთავარი ოჯახში კაცია, ქმარი...

- შესაძლოა, თქვენ მართალი ბრძანდებით კიდევ სხვა თვალსაზრისითაც, ბატონო!

- მაშასადამე, - წამოიძახა ყმაწვილმა, - ყველაფერი რიგზე ყოფილა.

როცა დანიელმა ღვინო შესთავაზა, აგენტს უარი არ უთქვამს.

- ერთი ეს მიბრძანეთ, - ჰკითხა დანიელმა, - თქვენ ხშირად გიხდებათ ზომების მიღება?

- არც თუ ისე ხშირად... მაგრამ ზოგჯერ გვიხდება.

- როგორ იქცევით ასეთ შემთხვევაში... საქონელს ართმევთ?

- იშვიათად... ნივთების დიდი ნაწილი - ავეჯი, თეთრეული უკვე ნახმარია და გაცვეთილი... ფულის გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში საქმე სასამართლოს გადაეცემა. რაიონებში პროცედურა ცოტათი განსხვავებულია, მაგრამ ყველა შემთხვევაში კრედიტის გახსნამდე ცნობებს ვკრეფთ ჩვენი მომავალი კლიენტების შესახებ მის სამუშაო ადგილზე, სახლის მეკარესთან და სხვა მომმარაგებელ ფირმებში. თუ კლიენტი საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს და ვთქვათ, თვიური შემოსავალი 60000 ფრანკი აქვს, ჩვენ თამამად შეგვიძლია მივყიდოთ 120000 ფრანკის ღირებულების საქონელი, წინასწარ გადავახდევინოთ

პატარა ბე, ხოლო შემდეგ 6 ან 8 ათასი ფრანკი ყოველთვიურად. აქ საშიში არაფერია და მოტყუებითაც ვერავინ მოგვატყუებს, მაგრამ თუ კლიენტს სხვაგანაც აქვს საქონელი ნაყიდი, იქაც იხდის ყოველთვიურ შესატანს და ეს დატვირთვა უკვე სამძიმოა მისი ხელფასისათვის, მაშინ ფირმის მეთაური გვაფრთხილებს, ის ყოველთვის საქმის კურსშია... მას ყველა ცნობა აქვს და ჩვენც ვიგებთ, თურმე ჩვენს კლიენტს კიდევ სხვა კრედიტორებიც ჰყოლია.

- ალბათ, ზოგჯერ მაინც მარცხი მოგდით, თუკი მყიდველი თითქმის არაფერს კარგავს გადაუხდელობის შემთხვევაში... ქვეყანაზე ბევრია უპატიოსნო ადამიანი.

- აი, სწორედ აქ ცდებით, ბატონო, არცთუ ისე ბევრია. პატიოსანი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე უპატიოსნო. ჩვენ სწორედ იმიტომ ვარსებობთ და იმით ვსულდგმულობთ, რომ ადამიანები პატიოსნები არიან.

ყმაწვილკაცი სერიოზულიც იყო და თან ხალისიანი ხასიათისა. „პორტისა და კომპანიის“ ფირმის შესატანების ამკრეფები ბევრად უფრო სასიამოვნო ადამიანებია, ვიდრე ამავე ფირმის რწმუნებულები. ყოველ შემთხვევაში, თუ შევადარებთ იმას, ორი წლის წინ რომ მოვიდა... იმ კაცს რაღაც ტრაგიკული იერი დაჰკრავდა.

- თქვენი ფირმის რწმუნებულები სრულიადაც არ ჰგვანან შესატანი თანხების ამკრეფ აგენტებს, - შენიშნა დანიელმა, - ის, ვინც დაკვეთა გაგვიფორმა...

- დიახ, საბრალო მოხუცი... არა, იცით, ჩვენთან აგენტები და ფირმის რწმუნებულები არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ის, ვინც თქვენთან მოვიდა,

გაკოტრებული კომერსანტი იყო... ჩვენს საქმეში ასეთები ბლომად არიან. განცდილმა მარცხმა დაღი დაამჩნია მათ, ცხოვრებას უიმედოდ, უსასოოდ უყურებენ. ხოლო ჩვენ, ახალგაზრდები, კარგად ვცხოვრობთ, თუკი კარგი კლიენტურა გვეყოლა. ვინც ერთხელ იყიდა ნისიად - კიდევ იყიდის - ძალიან სასიამოვნოა ნივთების შეძენა შეღავათიან პირობებში, ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით ბევრი რამის შესყიდვა შეიძლება.

- კი, მაგრამ, - ჩააცივდა დანიელი, - ხომ შეიძლება ასეც მოხდეს: სავსებით პატიოსანი ადამიანები ფიქრობენ, გადახდას შევძლებთო, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს შეუძლებელია...

- როგორ არა, ასეც ხდება... აი, მაგალითად, გუშინ ფირმამ მიიღო წერილი ერთი კლიენტისგან, რომელმაც ხალიჩები იყიდა. რამდენიმე თვის მანძილზე მას წესიერად და დროულად შემოჰქონდა ფული. მაგრამ ახლა წერილობით გვატყობინებს, საყვარელი შემომაკვდა, დამაპატიმრეს და ამიტომ დროებით იძულებული ვარ ფულის გადახდა შევწყვიტოო.

- დროებითო!..

- დიახ! მადლობას გწირავთ, ბატონო, თავაზიანი მასპინძლობისათვის. ნახვამდის.

ყმაწვილკაცი წავიდა.

მაშ, ადამიანები პატიოსნები ყოფილან. „პორტისა და კომპანიის“ ფირმის პატრონებს შეუძლიათ ძილი არ გაიტეხონ და სიმდიდრე დააგროვონ, თავის სასარგებლოდ გამოიყენონ ადამიანთა პატიოსნება. დანიელი აღტაცებული იყო, არ მოელოდა ასეთ ოპტიმიზმს შესატანების ამკრეფი აგენტისგან, რომელსაც ევალებოდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მარტინასგან ფული აეღო. მარტინა პატიოსანი ადამიანია. დანიელი კიდეც რომ არ

არსებობდეს, ის მოახერხებს და დროზე გადაიხდის ვალს. ხოლო ჯერჯერობით დანიელს ჯიბე გაუცარიელდა. აგენტმა გადაახდევინა მას 20000 ფრანკი - მარტინას მიერ გამოტოვებული ორი შესატანი - დანიელს სწორედ ეს თანხა აღმოაჩნდა და კიდევ რაღაც ხურდა ფული.

მარტინა იგვიანებდა. იმ წყეული აგენტის გამო, დანიელმა ვერ მოასწრო თეფშზე დაედო ანანასის ნაყინის ტორტი და მაგიდაზე დაიღვენთა... სქელმა წებოვანმა სიროფმა დაფარა მაგიდის პრიალა ზედაპირი... დანიელი შეეცადა მოეწმინდა ლაქა, მაგრამ უარესად გასვარა მაგიდა, დააგდო სამზარეულოს მაგიდაზე სველი ნაჭერი და წამოწვა იმავე კომბინირებული გარნიტურის დივანზე. უკვე გვიანაა. რატომ არ ბრუნდება მარტინა? ერთ თვეზე მეტია, რაც ერთმანეთი არ უნახავთ. ეგებ ღია ბარათი არ მიუღია? არა, ასეთი რამ არ ხდება. - რა სულელურადაა მოწყობილი ჩვენი ცხოვრება - ფიქრობდა დანიელი - დავქორწინდით და ცალ-ცალკე კი ვცხოვრობთ... ვერ მოახერხა მარტინა თავისი ცხოვრების მონაწილედ გაეხადა ან თვითონ გამხდარიყო მარტინას ცხოვრების მოზიარე. კარგი იქნებოდა, პარიკმახერის პროფესია აერჩია... ნამდვილად კარგი იქნებოდა! როგორც ბ-ნი ჟორჟი და ქ-ნი დონზერი. დანიელმა უმალვე იგრძნო, სრულიად არ მენანება, რომ პარიკმახერი არ გამოვედიო. ამბობენ, ორწელიწადნახევარი კრიტიკული ვადაა საოჯახო ცხოვრებისათვის, საშიში მოსახვევი. თუ მშვიდობით შემოუვლი, შეიძლება თქვა, განქორწინების საშიშროება კარგა ხნით ამცდაო. ორწელიწადნახევარი შესრულდა, რაც ისინი დაქორწინდნენ. შესძლებენ თუ არა მშვიდობით გასცდნენ ამ მოსახვევს? კაცმა რომ თქვას, მათ აღარაფერი აქვთ

ერთმანეთისთვის გასაზიარებელი. ტყეში დაკარგული მარტინა თითქოს გამოუცვალეს, სალონური საუბრისთვისაც ვერ მოუბია თავი. ახლა აღარც კინოში დადის და აღარც თეატრში, საღამოობით ისე დაქანცულია, რომ ტელევიზორი, გემრიელი სადილი და ბრიჯის თამაში ურჩევნია. მათ ბინაში ერთი წიგნი არ მოეძებნება... გაზეთებიც კი არაა... მხოლოდ რადიო და ტელევიზორი. მარტინა თვითონ გადაიქცა სტანდარტული გარნიტურის ნივთად, ალბათ, მალე მარტინას მაგვარ ქალებს უნივერმაღებში გაყიდიან... სად არის გამოსავალი? გაშორდეს? წარმოუდგენელია! დატოვოს მარტინეტა! არასდროს აღარ დაინახოს მისი საყვარელი სახე, აწეული ნიკაპით, ალვის ტანი, მკერდი... ღიმილი, რომლითაც ბედნიერებისგან გაბრწყინებული მარტინეტა დანიელს ხვდება: ყველაფერი ეს პირადად მას ეკუთვნის. მარტინა ერთადერთი არსებაა, რომლისთვისაც დანიელი ბედ-იღბლის განსახიერებაა, ორმაგი - მარტინასი და თვით დანიელის ბედ-იღბლისა... ეს მათი ცხოვრების მესამე საზომი იყო... რატომ ცდილობს მარტინა გახადოს ასე უღიმღამოდ მათი არსებობა? დანიელს აძრწუნებდა არა იმდენად მის მიერ ნაყიდი ნივთების რაოდენობა, რამდენადაც მათი უბადრუკობა.

ნეტავ, ბრილიანტის ყელსაბამზე ეოცნება, ანდა ძველებური ციხე-დარბაზზე! არა, მარტინას დაჟინებით უნდოდა შეეძინა ეს გარნიტური - სასადილო-სასტუმრო და ეს უხამსი სურათი - ქარის დაბერვას გაუშიშვლებია ქალი მსაჯულების თვალწინ. დანიელს ებრალებოდა მარტინა - განა შეიძლება იმის დავიწყება, საიდან გამოვიდა იგი, მათი ქოხი, დედამისი მარი... ამიტომ ებღაუჭება ის ასეთი ძალით ამ მეშჩანურ კომფორტს. მაგრამ დანიელი ხომ მასთან იყო, მარტინას შეეძლო გვერდით ამოსდგომოდა ქმარს,

დაეძლია ყოველივე ეს? მან მხოლოდ იმას მიაღწია, რომ მეშჩანური გემოვნების ქალი გახდა, - სხვას ვერაფერს, მაინც რატომ არ ბრუნდება მარტინა?... დანიელს მოშივდა, სამზარეულოში შევიდა და მაცივარში საჭმელს ძებნა დაუწყო. ამ დროს მარტინამ კარი გააღო.

- ახლავე გიამბობ ყველაფერს, - უთხრა მარტინამ გულში ჩამწვდომი ხმით, - მე „ინსტიტუტის“ გარდა კიდევ სხვა სამუშაო ავიღე... დაიცადე, გენაცვალე... აგერ ფენოვანი ღვეზელი მოგიტანე, ისეთი, როგორსაც დედა დონზერთან ამზადებენ და ბოთლი ღვინო. ეს რა გდია?

დანიელმა ჩამოართვა ნავაჭრი. მარტინა ძალიან დაქანცული გამოიყურებოდა, თან კიდევ ხელში ეჭირა სურსათიანი მძიმე ჩანთა, მაგრამ დაღლილი სახე მაინც გაბრწყინებოდა.

- მე დამეღვარა. - გამოტყდა დანიელი.

- არა უშავს, დღეს მიპატიებია. სასადილო ოთახში ვისადილოთ. ახლავე აგიხსნი ყველაფერს. ვინმე ხომ არ ყოფილა?

- ჰო, „პორტისა და კომპანიის“ ფირმის აგენტი გვესტუმრა. 20000 ფრანკი წაიღო.

- დაგიბრუნებ...

- ეგ რა სათქმელია...

მარტინა მარდად მოძრაობდა, სწრაფად გააწყო სუფრა და მხოლოდ ერთხელ გადახედა ანანასის სიროფის ლაქას მაგიდაზე, სახეს ღიმილი არ მოშორებია.

- რატომ ათავებ ახლა ასე გვიან სამუშაოს?

- კლიენტებთან სახლში დავდივარ... იცი, ფულს ბლომად მიხდიან...

- მოდი, გაკოცო...

- დაიცადე, დანიელ, ჯერ სუფრას მივუჯდეთ.

სუფრას მივუჯდეთო... კოცნის მაგიერ... ეგრე იყოს! მივუჯდეთ მაგიდას. მარტინას მოჰქონდა ლანგრების ქვესადგამები, სამნაირი ჭიქა, დანა-ჩანგლის ქვესადგამები. ორი დანა, ორი ჩანგალი, ორი ჩაის კოვზი და ბევრი თეფში - ღრმა, დიდი, პატარა...

- რას ფართიფურთობ, - უსაყვედურა დანიელმა, როცა დაინახა, რომ მარტინა სულ გარბი-გამორბოდა.

- რომ მერე აღარ ავდგე. მინდა ყველაფერი მაგიდაზე დავაწყო. მაგრამ ჯერ კიდევ ფენოვანი ღვეზელი უნდა გავათბო, ღვინის ბოთლი მაცივარში უნდა შევდგა.

ერთი თვე იყო, რაც ერთმანეთი არ ენახათ...

- შენ ახლა „ინსტიტუტის“ შემდეგაც მუშაობ?

- ჰო, წარმოიდგინე... ფული მაცდუნებელი ყოფილა.

- მაშინ მიატოვე „ინსტიტუტი“!

- არა, რას ამბობ, მე იქ ყველაფერი ისე მომწონს. გარემო, ატმოსფერო.

მარტინა ფენოვან ღვეზელს შეექცეოდა, ის მართლაც ძალიან გემრიელი იყო. დანიელს მოთმინება არ ჰყოფნიდა, უნდოდა ყველაფერი ეამბნა, რაც კი ამ ერთი თვის განმავლობაში დაუგროვდა. მაგრამ მარტინას არც კი უკითხავს მისთვის, როგორ ხარო? მისი გულისყური მხოლოდ ერთი რამისკენ იყო მიქცეული: ხომ არაფრის მიტანა არ დავიწყებია მაგიდაზე, ხომ ყველაფერი რიგზეა?

გაბოროტებული დანიელი განგებ გაჩუმდა. თუკი ცოლს არ აინტერესებს ჩემი ცხოვრება, არცაა საჭირო მასთან ლაპარაკი. მარტინა დგებოდა, შემდეგ ისევ ჯდებოდა, სინჯავდა ხან ერთ, ხან

მეორე კერძს, უმატებდა მარილს, შაქარს, ღვინოს ასხამდა ჭიქებში.

-ნიცი, - ამბობდა ის და თან ქათამს ქნიდა, - ალბათ, სესილი მისთხოვდება პიერ ჟენესკს. ამჯერად, როგორც ჩანს, საქმე სერიოზულადაა... ქ-ნი ბენუა კი ადოლფს მიჰყვება ცოლად...

დანიელს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყვნენ ქ-ნი ბენუა და ადოლფი, მაგრამ ის განზრახ არაფერს არ ეკითხებოდა მარტინას. ბოლოს და ბოლოს, ფეხებზე ჰკიდია, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი!

- ქ-ნი ფეზანდერი, - უკვე სამი წელია, რაც მე მას მანიკიურს ვუკეთებ, მისთხოვდა თავის ფრედერიკს... ყურები გამოგვიჭედა ფრედერიკზე ლაპარაკით. მშვენიერი ქორწილი გადიხადეს სენ-ფილიპ-დიუ-რულში, ყველანი დაგვპატიჟეს... „ინსტიტუტი“ დაცარიელდა... ეს გასაგებია, როცა ვისმეს სამი წელი მანიკიურს უკეთებ... მიუხედავად ამისა, ქ-ნმა დენიზამ მთელი აყალმაყალი ატეხა მისაღებ ოთახში რიგის არევის გამო... შეამჩნიე განა დანა-ჩანგლის ქვესადგამები, დანიელ, ხომ მშვენიერია?

პასუხს არც კი დაუცადა, მსხალს თლიდა დანიელისათვის და აქეთ გადაიტანა ყურადღება. ფიქრადაც არ მოსვლია, რომ დანიელს სასოწარკვეთილებას არაფერი უკლია.

- ტორტი ძალიან, ძალიან გემრიელია! ახლავე ყავას მოგიდუღებ, ალბათ, ბევრ ყავას სვამ, და, თუკი ეგრეა, გემრიელი მაინც იყოს...

მარტინა ადგა და, ვიდრე სამზარეულოში შევიდოდა, მივიდა დანიელთან, დაჯდა მის ფერხთით იატაკზე და შუბლი მის მუხლს მიაყრდნო.

- მე შენი პატარა ლეკვი ვარ... - უთხრა მან, - და ძალიან მიყვარხარ...

დანიელმა ხელი გადაუსვა შავ თმაზე, კისერზე, ზურგზე... დიახ, ის განსაცვიფრებლად ლამაზია... რას იზამ... ყველაფერი სწორედ ასეა, და მხოლოდ ასე... მარტინა ადგა, გაუღიმა და სამზარეულოში შევიდა.

- მე ძალიან გავიწაფე ბრიჯის თამაშში, - მიუტრიალდა მარტინა ქმარს. დანიელმა საღამოს გაზეთი გადაშალა, თუმცა უკვე წაკითხული ჰქონდა... კომენტარები სტალინის სიკვდილის გამო...

- იცი, მარტინა! - დაუძახა მას დანიელმა, - სტალინი მოკვდა!

მარტინა დაბრუნდა, ლანგრით ყავადანი და ფინჯნები მოჰქონდა.

- „ინსტიტუტში“ თქვეს... მერე რა! ჰო, აკი გითხარი, მე ბრიჯის პირველხარისხოვანი მოთამაშე გავხდი... ქ-ნმა დენიზამ თავის მეგობრებთან წამიყვანა და ახლა ისინი სულ ეხვეწებიან, ისევ მოიყვანეო. რომ იცოდე, რა ბინა აქვთ.. ელისეს მინდვრებზე. მაგრამ ქუჩიდან საშინელი ხმაური შემოდის. კედლები თანამედროვე ფერწერითაა მორთული. ამბობენ, ეგ სურათები მთელი ქონება ღირსო, რატომ... გაუგებარია...

მარტინა დაწვრილებით მოჰყვა, თუ როგორ გაატარა საღამო ელისეს მინდვრებზე. შემდეგ სუფრა აალაგა, ჭურჭელი დარეცხა, ყველაფერი წესრიგში მოიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ოთახში გრილოდა, დანიელმა აივნის კარი გამოაღო. თეთრი, ცივი სახლები მაცივრის ყინულის კუბებივით განლაგებულიყო... ფანჯრებიდან იღვრებოდა ხელოვნური სინათლე, რომელშიაც ირეკლებოდა ხელოვნური ბუხრების ხელოვნური ცეცხლი. დაბლა ჩამოწოლილ ცას დაეფარა დიდი სახლები ღრუბლების ბანდების ბინძური

საბურველით. ჟინჟლავდა... წვეთების სველი ბადე ყველაფერს ეკვროდა, რაც კი შემოხვდებოდა. უეცრად პეიზაჟის რკინის წიაღიდან კივილი გაისმა. რა უნდა ყოფილიყო ეს? ორთქლმავლის საყვირი? საგანგაშო სიგნალი? რისი?.. დანიელს შესცივდა, მან კარი მიხურა.

- კმარა, მარტინა, - თქვა დანიელმა ისე მკვახედ, რომ მარტინამ მაგიდის გადაწმენდას თავი დაანება და ქმარს შეხედა.

- გეყოფა ფუსფუსი... ძილის დროა. მთელი ღამე მატარებელში გავატარე.

მარტინამ ნაჭერი ხელიდან გააგდო და დანიელს ნაზი, ოდნავ შეშუპებული ტუჩებით გაუღიმა.

- წავიდეთ, - თქვა მან. - რა სულელები ვართ! ტყუილუბრალოდ დავკარგეთ ამდენი დრო. მაშინვე ლოგინში უნდა ჩავწოლილიყავით.

დანიელმა რამდენიმე დღე დაჰყო პარიზში. არსად არ ყოფილა მარტინასთან ერთად. მარტინა საღამოობით მთლად ილაჯგაწყვეტილი ბრუნდებოდა შინ. ის ძალიან ადრე დგებოდა, როცა დანიელს ჯერ კიდევ ეძინა... ფული ერთობ ცოტა ჰქონდათ ყველა ამ შესატანებისა და მარტინას ნაყიდების გამო. მერე დანიელი თავის საქმეებზე მიდიოდა. ის უნდა შეხვედროდა სხვადასხვა ადამიანებს: მომმარაგებლებს, კოლეგებს. ვარდებისთვის, ისევე როგორც მომთხოვნი ცოლებისთვის, ყოველთვის რაღაც უნდა ჩაეტანა პარიზიდან: სასუქი, რაფია, მავნებლების საწინააღმდეგო საშუალებები. ის ხვდებოდა მეგობრებს, რომლებთანაც მისი ცოლი არ

მეგობრობდა, რადგან მისთვის მოსაწყენი იყო საუბარი პროფესულ და მეცნიერულ საკითხებზე. ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც მარტინამ საერთო ენა გამოძებნა, ჟანი იყო, დანიელის მეგობარი წინააღმდეგობის მოძრაობის დროიდან, რომელმაც ოდესღაც მათ თავისი ოთახი დაუთმო. დანიელისა და ჟანის მეგობრობა ამშვენებდა მათ ცხოვრებას. ჟანს უყვარდა ქალები, ის პატივს სცემდა სიყვარულს, სიყვარული მისი ცხოვრების საფუძველი იყო. მარტინა ლამაზია, დანიელს ის უყვარს, - ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ჟანს მარტინა რომანტიკული შარავანდედით შეემოსა. დანიელს შეეძლო ესაუბრა ჟანთან მარტინას შესახებ.

სწორედ იმ დღეებში მოხდა კატასტროფა. ხდება ხოლმე ადამიანი უეცრად წააწყდება წერილს, გაიგებს, საყვარელი ადამიანი მღალატობდაო და სასოწარკვეთილება მიეცემა. დანიელმა მარტინას თეთრეულში მორიგი ვალდებულების ქაღალდი იპოვა. ზემოთ ბეწვეულით მოვაჭრე ფირმის სახელწოდება იყო აღნიშნული, ხოლო ქვემოთ, მარჯვნივ ეწერა: „ატესტაცია ნისიად შესყიდვის ვალდებულებისა“ და შემდეგ: „ქვემორე ხელის მომწერი“... „მისამართი...“ „პროფესია“... „სამსახურის ადგილი“... „ხელფასის რაოდენობა“... და წვრილი ასოებით გარანტიის სახით მყიდველი აძლევს უფლებას ფირმას „ყარყუმი“ მოახდინოს გამოქვითვა ყველა მის მიერ მიღებული თანხისგან „ამ შეთანხმების წარდგენისთანავე“... და სხვა. ამ ბლანკის ყველა პარაგრაფი შევსებული იყო მარტინას ხელით, ყოველთვიურად შესატანი თანხის აღნიშვნით. „ბე: 1000 ფრანკი...“ და ქვევით - მარტინას ხელისმოწერა.

დანიელს დაავიწყდა ცხვირსახოცი, რომელსაც გულმავიწყობის

გამო ცოლის უჯრაში ეძებდა - განა წესრიგის მოყვარული მარტინა დანიელის ცხვირსახოცს თავისი თეთრეულის უჯრაში მოათავსებდა? მან ჯიბეში ხელი ჩაიყო, მოძებნა ჩიბუხი, მაშინალურად მოუკიდა და გავიდა აივანზე; სიცივესაც კი არ გრძნობდა. დანიელს პანიკური შიში ჰქონდა ყველაფრის, რაც კი ეხებოდა კანონებს, ინსტრუქციებს, საღერბო ქაღალდებსა და მოხელეებს; მას ეშინოდა კონტროლიორების, მებაჟეების; ქვითარი, პასპორტები და საარჩევნო ბიულეტენებიც კი შიშს ჰგვრიდნენ. დანიელს ეშინოდა ყველაფრის, რასაც კავშირი ჰქონდა პრეფექტურის, ბანკებისა და მერიის ბიუროკრატიულ აპარატთან. ამ ქაღალდმა - მარტინას მიერ ხელმოწერილმა ვალდებულებამ - შეაძრწუნა დანიელი. ეს რა ღვთის რისხვაა, მოჯადოებულია მარტინა თუ გაბანგული?! დღედაღამეს ასწორებს, წელზე ფეხს იდგამს, და მერე რისთვის? ბეწვის ქურქისათვის! რაოდენ შრომას ხარჯავს, უძილო ღამეებს ტეხს ამ ნივთების შესაძენად... გააფთრებისგან დანიელი გაშეშდა, წელი ვეღარ მოხარა, ჩიბუხს კბილები წაუჭირა ისე, რომ კინაღამ შუაში გადატეხა. არ კმაროდა დამცირება დანიელის მამის წინაშე, ქ-ნ დონზერის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება; არ კმაროდა ის, რომ მათ კინოში წასასვლელი და მანქანაში ბენზინის ჩასასხმელი ფული არ ჰქონდათ, საჭირო იყო კიდევ ამ ახალი ვალის ზურგზე წამოკიდება! ჩანს, მარტინას აღარ შეუძლია შეჩერდეს, მისი პატრონი დამშვიდებული ვერასდროს ვერ იქნები! და რა მშვენივრად შეეძლოთ მათ ცხოვრება...

როცა მარტინა შინ დაბრუნდა, ჩვეულებისამებრ, დაღლილობისაგან არაქათგაცლილი, მან პირველად შეამჩნია, რომ დანიელის ხელების ალერსიანი ძალა, მისი გულკეთილი

სახე, მისი ხმა შეიძლება ასე ძირიან-ფესვიანად შეიცვალოს, როგორც, მაგალითად, მშვიდობიანი სამზარეულოს გაზი, რომლის აფეთქებას ძალუძს ერთ მშვენიერ დღეს მთელი სახლი ჰაერში აიტაცოს. თუმცა მარტინას დიდი ხნით ადრე უნდა შეემჩნია მომწარო გემო დანიელთან დამოკიდებულებაში, მას დიდი ხნით ადრე უნდა ეგრძნო, რომ გაზმა საიდანღაც გამოჟონა, თანდათან აავსო მათი პატარა ბინა და ერთ მშვენიერ დღეს ააფეთქებდა კიდეც... შემთხვევით ნაპოვნმა ქაღალდმა შეასრულა იმ ნაპერწკლის როლი, რომლისგანაც ყველაფერს ცეცხლი მოედო. „სირცხვილი!“ - დაიღრიალა დანიელმა, მაგრამ როცა წყნარად დაილაპარაკა, მარტინას უფრო საზარლად მოეჩვენა.

- შენ გინდა ჩვენი სულები ეშმაკს მიჰყიდო კომფორტისათვის, კეთილმოწყობისათვის! შენ გინდა, რომ ჩვენ ნივთების, ამ ხარახურის მონები გავხდეთ?!

მან ჩამოგლიჯა კედლიდან სურათი ცოდვილი ქალისა, მსაჯულების წინ რომ წამოსასხამი აფრიალებოდა... წაიღო სამზარეულოში და იქ ფილაქნებიან იატაკს დაახალა და დაამსხვრია.

- ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით! - თქვა მან წყნარად და ფეხი დააბიჯა ნამსხვრევებს, გადახდის შეღავათებით...

და ისე გავიდა, რომ მარტინას გონს მოსვლა არ აცალა.

დაე, მარტინა ელოდოს მას, როგორც ეს ოდესღაც იყო. მაგრამ ამჯერად შეიძლება აღარც კი დაბრუნდეს. მარტინა არ ტიროდა. მან თვალი მოავლო თავის ბინას: კედლებს, ესოდენ საყვარელ ნივთებს, რომლებმაც ამდენი სიხარული მოუტანეს, მიუხედავად სიძნელეების და დაღლილობისა... დანიელს ეზიზღება ეს ყველაფერი, მას მარტინაც ეზიზღება. არა, ცოლისთვის თმაში ხელი

არ წაუვლია, იატაკზე არ დაუნარცხებია, მაგრამ ვაჟის თვალებში სიძულვილი ჩანდა. და ისე გამეტებით დაამსხვრია ქუსლით სურათის მინა, რომ მარტინას შეეძლო წარმოედგინა, როგორ ძალუძს დანიელს დაამსხვრიოს და ფეხით გათელოს სხვა რამეც. შესაძლოა, მათი სიყვარულიც.

## სურვილთა ტყვე

ეს ყველაზე საშინელი დღე იყო მარტინას ცხოვრებაში აქამდე ქალს გულს უკლავდა, რატომ ის არ მაქვს, რაც მენატრებაო, იმ დღეს კი დაკარგა ის, რაც ჰქონდა: ხელიდან გამოეცალა ბედნიერება. რადგან, ყველაფრის მიუხედავად, ის მაინც ბედნიერი იყო, მართალია, მარტინა თავაუღებლად მუშაობდა „ინსტიტუტშიაც“ და კლიენტების ბინებზეც, ოღონდ კი როგორმე გადაეხადა შესატანები. ამასთანავე, სულ ეშინოდა: სამუშაოზე არ უნდა გაეგოთ, რომ ის ფირმას კლიენტებს ართმევს და კერძო კლიენტურას იქმნის!.. მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, ასე რომ არ მოქცეულიყო, ხელფასზე ყადაღას დაუდებდნენ, სასამართლოში გამოიძახებდნენ და თავმოსაჭრელი ამბავი დაემართებოდა... ყველა ამ საზრუნავს, ასე თუ ისე, უძლებდა. მიუხედავად დაღლილობის და მღელვარებისა, მარტინა მაინც ბედნიერი იყო. ის მხნედ იტანდა ყოველივეს, იმასაც კი, რომ თავისიანებს ვეღარ ხედავდა, რადგან დედა დონზერს ოქროს ძეწკვი დააგირავებინა და თავს მის წინაშე დამნაშავედ თვლიდა. ქ-ნმა დონზერმა არ იცოდა, რომ მარტინასთვის ეს საიდუმლოებას აღარ შეადგენდა, ვერ გაეგო, რატომ არ მოდის მათთან მარტინა, გული სწყდებოდა და

ხშირად ტიროდა. ბ-ნმა ჟორჟმა ყველაფერი იცოდა და მარტინაზე გაჯავრებული იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ქ-ნი დონზერი ღელავდა არა მარტო მარტინას, არამედ სესილის გამოც: მისთხოვდება თუ არა სესილი ბ-ნ ჟენესკს?

მოხდა ისე, რომ ბ-ნი ჟორჟი სწორედ იმ დღით ესტუმრა მარტინას, როდესაც დანიელი მისგან წავიდა, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც.

- შემთხვევით ამ უბანში მოვხვდი, - თქვა ბ-ნმა ქორქმა; ის არც კი ცდილობდა დამაჯერებლად ელაპარაკა, - და შემოვიარე. რაღაც ცუდად გამოიყურები, გოგონა! ავად ხომ არა ხარ?

- დავიღალე... ახლა ტუჩებს შევიღებავ და აღარ დამეტყობა. შინ ხომ მშვიდობაა?

- ყველანი კარგად არიან... მიკიბულ-მოკიბულს არ დავიწყებ და პირდაპირ გეტყვი. მაწუხებს შენი ჯავრი.

მარტინამ სერვანტის ზემოთ ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედა და ტუჩები შეიღება. თმაც წესიერად ჰქონდა დავარცხნილი.

- მე თქვენ გისმენთ, ბ-ნო ჟორჟ... ხომ არაფერს მიირთმევთ?.. ყავას არ ინებებთ?

- მარტინა, მე არაფერი არ მინდა, შენთან მოსალაპარაკებლად მოვედი.

ახლა ისინი ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ სწორზურგიან, მოუხერხებელ სკამებზე.

- გახსოვს, გითხარი, რომ შენ ორჯერ გაგიღიმა ბედმა ცხოვრებაში... ერთხელ, როცა ქ-ნმა დონზერმა თავისთან აგიყვანა, მეორედ, როცა მან პარიზში ჩამოგიყვანა... ახლა შენ შეგიძლია წააგო მესამე ტური: შენი დაქორწინება, შენი მომავალი...

- რატომ? – იკითხა მარტინამ. ამ უცნაურმა სტუმრობამ, ისიც

დანიელის წასვლით გამოწვეული საზარელი სულიერი ტკივილის შემდეგ, მთლად არაქათი გამოაცალა ქალს. ის საშინელ სისუსტეს გრძნობდა, ძლივს იკავებდა თავს, რომ თვალები არ დაეხუჭა.

- მე შენ ერთ ზღაპარს გიამბობ. იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი მებადური. ის და მისი ცოლი ზღვის პირას ცხოვრობდნენ. ძალიან ღარიბები და გაჭირვებულები იყვნენ, როგორც შენიანები არიან იქ, სოფლის ქოხში. ერთხელ მებადურის ბადეში ოქროს თევზი მოხვდა და იმანაც ადამიანური ხმით უთხრა: „მებადურო, დამიბრუნე თავისუფლება და პატივისცემას ერთი ასად გადაგიხდიო“. - „რითი გადამიხდიო?“ - „სამ სურვილს შეგისრულებო“. მებადურმა გაუშვა ოქროს თევზი ბადიდან და ისიც სწრაფად ჩაეშვა ტალღებში...

მარტინა გასწორდა სკამზე, ხელები მუხლებზე დაიდო და ისე უსმენდა ბ-ნ ჟორჟს. ბოლომდე უნდა მოისმინოს და დედააზრიც უნდა გამოიტანოს. ბ-ნი ჟორჟი - ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ უცნაური თვისებები აქვს... დღეს მარტინასთვის ეს თვისებები განსაკუთრებით აუტანელი იყო. ბ-ნი ჟორჟი უამბობდა ოქროს თევზის ზღაპარს, ხოლო მარტინა გრძნობდა, რომ გული მისდის...

- მებადური შინ დაბრუნდა და ყველაფერი ცოლს უამბო. დედაკაცი სწორედ ამ დროს სარეცხს რეცხავდა ძველ ვარცლში. „ყბედო! - დაუყვირა მან ქმარს, - სულელო! თევზს დაუჯერე და ახლა ვახშმად არაფერი გვაქვს!“ - „მოდი, ვცადოთ, უპასუხა მებადურმა, მოისურვე რამე ხმამაღლა და გარკვევით.“ მებადურის ცოლმა მხრები აიჩეჩა და ქმარი რომ მასხრად

აეგდო, დაიყვირა: „მინდა ჩემი ძველი ვარცლი ახალთახლად გადაიქცეს და შიგ რომ სარეცხი ირეცხება, ძვირფას თეთრეულად“ ამ სიტყვების წარმოთქმა ვერც კი მოასწრო, როცა საშინელი ხმაური გაისმა და ძველი ვარცლის მაგიერ გაჩნდა ახალი სარეცხი მანქანა „ლურჯი ზღვა“, საუცხოო თეთრეულით გავსებული. ერთი დღე-ღამე მებადურის ცოლი ძალიან ბედნიერი იყო. შემდეგ ისევ თავის ქმარს მიადგა და ლანძღვა დაუწყო: „რატომ არ დამიშალე, როცა ასეთი პატარა სურვილი გამოვთქვი?“ – „რა ვუყოთ მერე, - უპასუხა მებადურმა, მოისურვე კიდევ რაიმე, შენ ხელთ არ არის? მაგრამ „კეთილსინდისიერი არჩევანის“ სანაძლეოსი არ იყოს, - თუ მოიგებ - მაინცდამაინც თავს ნუ გაგივა“. - „ეგ შენი საქმე არაა, - უთხრა მებადურს ცოლმა. - ამჯერად კარგად მოვიფიქრე, რაც უნდა ვთხოვო: ამ ძველი ქოხის მაგიერ მსურს მქონდეს ლამაზი, კეთილმოწყობილი სახლი, ახალი ავეჯით, ეტლებითა და ძვირფასი სამკაულებით!“ და ისევ როგორც პირველად, საშინელი ხმაური გაისმა. ქოხის კედლები დაინგრა და გაქრა. საუცხოოდ გამოწყობილი მებადური და მისი ცოლი ოქროთი მოვარაყებულ ხალიჩებით მოფენილ სასახლეში აღმოჩნდნენ. სასახლე სრული კომფორტით იყო მოწყობილი - ნაგავსადენი და ლიფტები ყოველ კუთხეში, ხოლო ჭიშკრის წინ - ახალი მარკის დიდი ამერიკული ავტომანქანა იდგა. ყოველ ნაბიჯზე მათ განკარგულებაში იყვნენ გაწვრთნილი მსახურები და რა გინდა, სულო და გულო, რა სასმელ-საჭმელსაც მოისურვებდნენ, მოჰქონდათ. მებადურმა და მისმა ცოლმა მშვენივრად გამოიძინეს ბუმბულის ლოგინზე. მეორე ღამით ცოლმა გვიან დაიძინა, ხოლო მესამე ღამით ძილი აღარ მიკარებია, მთელი ღამე ქვეშაგებელში ტრიალებდა. ბოლოს მებადურმა ჰკითხა: „რა მოგივიდა, ქალო?“ - „შე გამოჩერჩეტებულო

ბებერო, - უპასუხა მან, ხედავ, რა ცოტა რამ მოვისურვე, შენ რატომ არ დამიშალე? “

უკვე მესამე სურვილზე მიდგა საქმე, - გაიფიქრა მარტინამ, - მალე გაათავებს... ღვთისმშობელო, მეტი აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია!

- „განა ეს ცოტაა?! - მიუგო ქმარმა. - რა გაკლია? თუ რაიმე წვრილმანი დაგავიწყდა, ითხოვე, მაგრამ გახსოვდეს, რომ ეს უკანასკნელი თხოვნა იქნება. აღარაფერი დაგირჩება მარაგად, რაც არ დაგატყდეს თავს - უბედურება თუ ავადმყოფობა... ნურც ის გავიწყდება, რომ აბეზარი და მოურიდებელი ადამიანის სახელი დაგერქმევა.“ - „ეს ყველაფერი მოვიფიქრე, - უპასუხა ცოლმა, - სწორედ ამიტომ მინდა, რომ თვით ოქროს თევზი აქ მოვიდეს და მემსახუროს...“ ძლივს მოასწრო ამ სიტყვების თქმა, რომ საშინლად დაიგრგვინა, დაიგრუხუნა, გაიელვა და ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა; შეიქნა ერთი ორომტრიალი, სასახლის კედლები ჩამოინგრა, გეგონებოდათ, საცაა ცა უნდა ჩამოიქცესო. ატომური ბომბის აფეთქებას მეტი უბედურება არ მოჰყვებოდა. როცა ატომები დაშოშმინდნენ, სიწყნარე ჩამოვარდა; მებადური და მისი ცოლიც ზეზე წამოდგნენ და თვალი მოავლეს იქაურობას. რა დაინახეს? მათი ქოხი იმავე ადგილას იდგა, იქვე იყო ძველი დამტვრეული ვარცლიც...

ბ-მა ჟორჟმა გადაივლო ფაფუკი ხელი მელოტზე და წამოდგა.

- ახლა კი გამოგემშვიდობები, ჩემო გოგონავ... ჩვენთან ერთი ფირმის წარმომადგენელი იყო. თურმე შენ ელექტროქურა გიყიდია და მორიგი თანხა არ შეგიტანია. ქ-ნ

დენიზას აზრად მოსვლია ჩვენი მისამართი მიეცა მისთვის... დანიელი, შემთხვევით, პარიზში ხომ არ არის?

- არა, დანიელი არაა პარიზში. შემთხვევით...

- აბა, ნახვამდის, - გაიმეორა ბ-ნმა ჟორჟმა, ჩამოიღო საკიდიდან ქუდი, ხელთათმანები ჩაიცვა. მარტინამ მისი წასვლის შემდეგ კარი დაკეტა.

დღეები და ღამეები... საათები, წუთები, წამები. გაზაფხული. დანიელმა მხოლოდ ერთხელ მოიწერა. ბოროტი წერილი... წინასწარ გააფრთხილა. მარტინა, შვებულებას ფერმაში გავატარებ, მამას უნდა დავეხმაროო, რაც შეეხება მარტინას შვებულებას, აქაც შეუძლია ნისიას მისდიოს, ახლა ამასაც აკეთებენ. დანიელი ურჩევდა აგრეთვე მარტინას ესინჯა წყნარი ცხოვრების კიდევ ერთი თანამედროვე ფორმა, რომელიც ყველა სურვილს შეუსრულებს: ეს დაზღვევაა. თავის დაზღვევა ყველაფრისგან შეიძლება: წვიმისგან... გველის ნაკბენისგან... სილამაზისა და ახალგაზრდობის დაკარგვისაგან, უბედური სიყვარულისაგან.

ორლეანის ჭიშკართან მობინადრენი გამალებით ემზადებოდნენ ქორწილისათვის: სადაფივით ნაზ სესილს ცოლად თხოულობდა პლასტმასოვანი პიერ ჟენესკი. ამჯერად საქმე გაიჩარხა, ისინი უთუოდ დაქორწინდებიან. სესილი სწორად და ჭკვიანად მოიქცა, როცა უარყო ჟაკი და ყველა მისი წინამორბედი. ყველანი მდარე ხარისხის, სესილისათვის გამოუსადეგარი საქმროები იყვნენ... ხოლო პიერ ჟენესკი სწორედ სესილისთვისაა ზედგამოჭრილი... ისინი უკვე აქედანვე წააგავდნენ ცოტათი ერთმანეთს, თუმცა ჩვეულებრივად ეს ხანგრძლივი საოჯახო ცხოვრების შედეგად ხდება, ისიც მაშინ, როდესაც ცოლი და ქმარი ნამდვილი მეგობრები არიან. პიერ ჟენესკი შუატანის კაცი იყო -

მაინც სესილზე მაღალი. მას კარგი პირისკანი ჰქონდა, ცისფერი, ცოტა გამობურცული თვალები, მოდაზე დავარცხნილი გრძელი წაბლისფერი თმა. მსუქანი არ იყო, მაგრამ კოსტიუმს მისი სხეული კარგად ავსებდა. პიერ ჟენესკი ოცდათვრამეტი წლისა იყო, პლასტმასის მწარმოებელ აქციონერულ საზოგადოებაში კარგი თანამდებობა ეჭირა: ახლახანს პარიზის ფილიალის დირექტორად დანიშნეს, საკუთარი აქციებიც ჰქონდა. პლასტმასის არ იყოს, პიერ ჟენესკის მომავალიც უზრუნველყოფილი იყო.

სესილი თავს ბედნიერად გრძნობდა. ის სიხარულით ატა–რებდა საქორწილო ბეჭედს. პიერი თავის საცოლეს ყვავილებსა და შოკოლადს უგზავნიდა, თითქმის ყოველ საღამოს მიჰყავდა თეატრში ან კარგ რესტორანში. მან შეინარჩუნა უცოლო კაცის სასიამოვნო ჩვევები, რომელიც ქალს ეტრფიალება, ვიდრე ლოგინში ჩაიწვენდეს. ის მართლაც უცოლო დარჩებოდა, სესილი რომ არ შეხვედროდა, მასში უკვე გამომუშავდა ბერბიჭას ზოგი თვისება. მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვლება! ძველი ბინა რიშელიეს ქუჩაზე, პიერის განსვენებული მშობლების კუთვნილება, განახლდება და მეორე ახალგაზრდობას მოიპოვებს. პიერ ჟენესკის უხაროდა, რომ ბინის რემონტი არ გაუკეთებია, ახლა მისი ახალგაზრდა ცოლი ყველაფერს თავისი გემოვნების მიხედვით მოაწყობს. ის თავაზიანობით აღსავსე იყო, როგორც ეს ჩვევიათ ქმრებს, რომლებიც თავიანთ ცოლებზე ბევრად უფროსები არიან. მართლაც, სათუთი და თითქმის გამჭვირვალე სესილი მთლად ბავშვად ჩანდა მის გვერდით, თუმცა მხოლოდ თოთხმეტი წლით იყო მასზე უმცროსი.

ხანდახან დანიშნულები მთელ საღამოს ბ-ნ ჟორჟთან და ქ-ნ დონზერთან ატარებდნენ, ისინი სამზარეულოში სადილობდნენ - რა საჭიროა ცერემონიები შინაურებში. პიერი - მას უკვე სახელს ეძახდნენ - ნეტარებდა, ამდენი ხნის მარტოობის შემდეგ, ის თავს უკვე მათი ოჯახის წევრად გრძნობდა, მარტინას ყოველთვის მოსვლას ეხვეწებოდნენ, როგორც უწინ, არაფერი არ შეცვლილა. ოქროს ძეწკვის ამბავი დავიწყებას მიეცა, დედა დონზერმა კარგა ხანია, რაც გამოისყიდა ძეწკვი ლომბარდიდან და ყელზე ჰქონდა შემოვლებული... მარტინა იშვიათად თუ ოდესმე ნახულობდა მათ, ისევ მუშაობდა კლიენტების ბინებზე და ნასადილევს ძალიან დაღლილი ბრუნდებოდა შინ. არაფერი არ შეცვლილა, მაგრამ, როცა ათასში ერთხელ, მარტინა თავისიანებს ესტუმრებოდა მათ ბინაზე ორლეანის ჭიშკართან, სადაც უწინ ცხოვრობდა, - ის თავს უკვე უცხოდ გრძნობდა. ეს იმ დროს, როდესაც თავიანთ ბედნიერებას ისინი მარტინას უნდა უმადლოდნენ; განა მას არ მოუვიდა თავში გაეცნო სესილი პლასტმასის წარმოებაში მოსამსახურე პიერ ჟენესკისათვის, პიერ ჟენესკი ქ-ნ დენიზას მეგობარი იყო, ხოლო ქ-ნი დენიზა მთელ პარიზს იცნობდა. პიერ ჟენესკი მისთვის მაინც მარტოოდენ უბრალო ნაცნობი არ იყო, ერთ დროს ქ-ნი დენიზა დაახლოებული იყო მასთან, ამას არ მალავდა და ძალიან კარგადაც ახასიათებდა პიერს. სწორედ იმიტომ, რომ დენიზამ ასე უქო პიერ ჟენესკის თავაზიანობა, სიფაქიზე და პატიოსნება, მარტინამ გულმშვიდად გააცნო იგი სესილს.

მაგრამ ამას არაფერი შეუცვლია - ორლეანის ჭიშკართან მდებარე ბინაში მარტინა თავს უცხოდ გრძნობდა... დედა დონზერი სესილის მზითევით იყო გართული. მარტინას ბინა აჩუქეს, სამაგიეროდ სესილს მზითევს ატანდნენ: სანაქებო

საცვლებს, ზეწრებს, სუფრებს, სამზარეულოს ტილოებს... მაშინვე, დაქორწინების შემდეგ სესილი აპირებდა დაენებებინა თავი სამსახურისათვის ტურისტულ სააგენტოში - ის ქმრის კანტორაში იმუშავებს მდივნად, მაგრამ ყველაფერი წესიერად უნდა მომხდარიყო: ვიდრე შემცვლელი გამოეძებნათ, სესილი ისევ სააგენტოში განაგრძობდა მუშაობას: იქ ხომ ყველა ძალიან კარგად ეპყრობოდა. ამიტომ ახლა უნდა შეეთავსებინა სამსახური და საქმრო, ერთი წუთიც კი აღარ ჰქონდა თავისუფალი! მით უფრო, რომ სესილი ისედაც გაბრუებული იყო ბედნიერებისა და სიყვარულისგან, ამ შეუწყვეტელი დღესასწაულისგან; ამდენ ახალ რამეებს უკერავდნენ, ბ-ნი ჟორჟი და დედა აღმერთებდნენ, საქმროზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: ყველანი ცდილობდნენ შეესრულებინათ მისი ოდნავი სურვილი. მარტინა ფიქრობდა, მე ასე როდი მექცევიანო, დაავიწყდა თავისი წარსული და გული სტკიოდა, მართალია, დედა დონზერს ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ თავის ღვიძლ შვილს მაინც სულ სხვანაირად ეპყრობაო... ბ-ნი ჟორჟიც ყოველთვის ალერსით ექცეოდა, მაგრამ მარტინას ვერ დაევიწყებინა მისი სტუმრობა ცხოვრების ასეთ საბედისწერო წუთებში, თუმცა ბ-ნმა ჟორჟმა ეს არ იცოდა. ის ხომ მაინც მოვიდა არა დახმარების აღმოსაჩენად, არამედ ჭკუის სასწავლებლად... ბოლოს და ბოლოს, ამ ოჯახში სესილი დაპატრონებოდა ყველას გულსა და გონებას, მთავარი ადგილი მას ეჭირა...

მარტინამ შვებულება ისევ პარიზში გაატარა, მაგრამ ახლა შეიძლებოდა ცოტა დაესვენა. მისი კერძო კლიენტურა

ქალაქიდან გავიდა სამი თვით. „სილამაზის ინსტიტუტშიაც“ სიწყნარე იყო, იქ, უმთავრესად, უცხოელები მოდიოდნენ... სესილი, ბ-ნი ჟორჟი და ქ-ნი დონზერი პარიზის მახლობლად ისვენებდნენ პარი-პლიაჟზე, იმისათვის, რომ პიერს შაბათ-კვირას შესძლებოდა მათთან ჩამოსვლა. ახლა, როცა მუშაობა შემცირდა, პარიზი დაცარიელდა და ბრიჯსაც ვერავინ ეთამაშება, მარტინას შეუძლია დაისვენოს. ხოლო დასვენება მას ნამდვილად სჭირდებოდა, ამ ბოლო დროს თავს რაღაც უცნაურად გრძნობდა.

ექიმმა უთხრა: „ეჭვს გარეშეა... თქვენ ფეხმძიმედ ბრძანდებით... მეხუთე თვეში ხართ... ჯანმრთელობა ნუ გადარდებთ, ქალბატონო, საუცხოოა!“

მერე რაღა მოხდა? რატომ? ის ხომ ასე ბედნიერი იყო... გაუგებარია. მარტინა გამოვიდა კლინიკიდან სრული ფიზიკური და მორალური განადგურების გრძნობით. ამის ანაზღაურება არაფრით აღარ შეიძლებოდა. დედამისი მარი სჯობნიდა, ბავშვების დაბადების უნარი მაინც ჰქონდა... მარტინა გრძნობდა, რომ უნაყოფოა, ბერწია და - სამუდამოდ... რა სირცხვილია, რა შეურაცხყოფა! ბავშვი მაინც ჰყოლოდა... ბავშვი და დანიელი, ისეთი, როგორიც ის უწინ იყო...

მას არაფერი უთქვამს ამის შესახებ დანიელისთვის. ის ხომ მაინც ჩამოვიდა მარტინას სანახავად, მაინც ჩამოვიდა! ერთ ცხელ აგვისტოს დღეს შემოაღო კარი - მზიდან გაშავებულმა, გამხდარმა, კიდევ უფრო ნათელი და უმანკო მზერით, ვიდრე უწინ... მხოლოდ გავლით... უთხრა მარტინას, დასვენება გჭირდება და კიდევ სთხოვა, ფერმაში წამომყევიო. მაგრამ მარტინას ეს არ შეუძლია! ღმერთო ჩემო, არ შეუძლია! მარტინამ პასუხად რაღაც მოუჩმახა. არაფრის გულისათვის სიმართლეს არ ეტყოდა, როგორ

გაუმხელდა, რეგულარულად უნდა ვიარო კლინიკაში სამკურნალოდო...

მარტინას საკუთარი თავი შესძულდა, თავის სხეული ამოიჩემა. ყველაფერი ეს ხომ ბინძური, საზიზღარი იყო...

დანიელმა რომ ეს გაიგოს, მაშინ ყველაფერი გათავდება მათ შორის, მას შესძაგდება, შეეზიზღება მარტინა, როგორც მკვდარი, დამპალი, წელებგამოყრილი ვირთხა. მარტინა გამოუთქმელად იტანჯებოდა,

ხოლო დანიელი წავიდა დარწმუნებული, მარტინას აღარ ვჭირდები, ჩემთან ყოფნა უჭირს, აღარ ვუყვარვარო.

## ტელეპარადი

სასოწარკვეთილებით გამოწვეული საქციელი... მარტინამ გაბედა, მოიგო და ეგონა, რომ ყველაფერი ისევ გამოსწორდება.

მან დეპეშით შეატყობინა დანიელს: „ეცადე უყურო სატელევიზიო გადაცემას ხუთშაბათს ოც საათსა და ოცდაათ წუთზე“. დანიელი, რომელსაც მალულად მუდამ ჰქონდა მარტინას დარდი, უცებ გაჩნდა პარიზში. რას უნდა ნიშნავდეს ეს?

მარტინა შინ არ დაუხვდა. დანიელმა ყველგან აანთო სინათლე. ცარიელ ბინაში იდეალური წესრიგი სუფევდა. აივანზე წამოზრდილი სურო მოაჯირებს მოსდებოდა. ლარნაკებში ყვავილები იდგა - ვარდები. საათის წიკწიკმა დანიელს თავი ააწევინა: ის ადგილი კედელზე, სადაც უწინ ცოდვილი ქალის სურათი ეკიდა, ახალ, მოწნულ ჩარჩოში ჩასმულ, კედლის საათს დაეკავებინა. რვა საათია. ალბათ,

მარტინა მალე მოვა? რას უნდა ნიშნავდეს ტელეხედვის ამბავი?

რამდენი ხანია, რაც დანიელი აქ არ ყოფილა... თვეები გავიდა მას შემდეგ. დანიელს ეგონა, რომ მათ შორის ყველაფერი გათავდა, მაგრამ პირველ დაძახებისთანავე მოირბინა მოუთმენლობით აღელვებულმა. ეს რა თამაშში ჩაბმულან? დანიელმა ხელები დაიბანა. რაღაც უხერხულობას გრძნობდა, ფიქრობდა, მოურიდებლად ვიქცევიო, იმდენად უცხოდ გრძნობდა აქ თავს. თუ მარტინა დროზე არ დაბრუნდება, ის ტელევიზორის ჩართვასაც კი ვერ შესძლებს, რადგან ტელევიზორს არასდროს არ მიჰკარებია... საათის ქანქარა ირხეოდა. ზოგი საათი წინ გარბის, ხოლო ზოგი ჩამორჩება, თუმცა ერთსა და იმავე წამებს აღნიშნავენ! მაგალითად, ეს საათი ჯიუტად, გარდუვალად და აჩქარებით წიკწიკებდა. „ტელეს“ ეძინა თავის ქვესადგამზე, ფართოდ გახელილი ბიტგადაკრული თვალით..

დანიელმა სინათლე ჩააქრო და ღილები გადაატრიალა. რომელი მათგანი ჩართავს ტელევიზორს? ყველას ერთბაშად ატრიალებდა და ამიტომ ყველაფერი აირ-დაირია, მაგრამ უცებ ეკრანი განათდა, რაღაც გამოიკრთო. ზღვაურის გამაყრუებელი ხმაური შემოიჭრა ოთახში და დანიელმა გამალებით დაიწყო ბგერის მარეგულირებელი მილაკის ძებნა... ბოლოს, მეტად თუ ნაკლებად. ყველაფერი მოწესრიგდა და ეკრანზე გამოჩნდა, ჰორიზონტალური ზოლების სახით, მოღიმარი, კარგად ჩაცმული კაცი, რომელმაც გაიმეორა:

- მაშასადამე, გავიხსენოთ: კანდიდატი ოცდასამი წლისაა, ის გამყიდველია დიდ მაღაზიაში და თავისი არჩევანი ისტორიულ საკითხებზე შეაჩერა...

ვიღაც წოპე ყმაწვილმა ხელი გაუწოდა, რათა აეღო ერთ-ერთი

ბარათი იმათგან, რომლებიც მარაოსებრ გადაშლილი, მომღიმარ კაცს ხელში ეკავა, მაგრამ ამ დროს გამოსახულება შამფურზე აგებული წიწილასავით, დატრიალდა...

დანიელს წყევლა აღმოხდა და ისევ გამალებით დაატრიალა ღილაკები... კარგი დრო გავიდა, ვიდრე ყველაფერი ისევ მოწესრიგდა და გამოსახულებამ ნორმალური იერი მიიღო.. და მაშინ განცვიფრებულმა დანიელმა დაინახა მარტინა! სულ პატარა მარტინა იდგა მოღიმარი კაცის გვერდით.

- მაშ ასე, მეოთხე კანდიდატო, ქალიშვილო, მაპატიეთ, ქალბატონო... თქვენ მარტინა დონელი გქვიათ, მემანიკიურე ბრძანდებით, გათხოვილი, ბავშვები არა გყავთ... ჯერ არა გყავთ, ხომ ასე ბრძანეთ...

ტელევიზორის ეკრანიდან გაიმა უხილავი დარბაზის მქუხარე სიცილი.

- თქვენ სიმღერის კონკურსში იღებთ მონაწილეობას. აბა, ვნახოთ, ვნახოთ. ისე კარგად თუ ბრძანდებით მომზადებული, როგორიც მშვენიერი ხართ. წარმატებას გისურვებთ, ქალბატონო!

პატარა მარტინამ ამოიღო ერთ-ერთი იმ ბარათთაგანი, რომელთაც ეს მოურიდებელი ყმაწვილკაცი სთავაზობდა. ის გვერდზე იდგა, ცოტა დარცხვენილი, მაგრამ ლამაზი, მოხდენილი, როგორც ცოცხალი მემანიკენე... ვიწრო მუქი ფერის კაბა ეცვა.

- მაშ ასე, ქალიშვილო... რატომღაც სულ მავიწყდება, რომ თქვენ უკვე აირჩიეთ იმ ბავშვების მამა, რომლებიც „ჯერ“ არ გყავთ. მაშ ასე, ქალბატონო, ინებეთ და პასუხი გამეცით იმ კითხვებზე, რომლებიც თქვენს მიერ ამოღებულ ბლანკზეა

დაწერილი. ჯერ ერთი: ვინ დაწერა შემდეგი სიმღერები: „პარიზელები“, „რა დარჩა ჩვენი სიყვარულისგან“ და „გელოდები“. მეორე: რომელმა შემსრულებლებმა გაუთქვეს სახელი ამ სიმღერებს. მესამე: ჩვენ აღტაცებული ვიქნებით, თუ თქვენ გვიმღერებთ სამივე ამ სიმღერას... მაესტრო, გთხოვთ...

მაესტრო გაჩნდა პატარა ესტრადაზე, მიუბრუნდა მარტინას და თავისი წკეპლის პირველსავე გაქნევით დაფდაფების ძლიერი ხმაური გამოიწვია... ახლა ეკრანზე მოჩანდნენ ყმაწვილკაცი, მარტინა და მის უკან ორკესტრი. მარტინა დუმდა. დანიელს გული დაფდაფებთან ერთად უძგერდა, მარტინა კი გაჩუმებული იდგა.

- აჩქარდით, ქალბატონო, რბილად უთხრა წამყვანმა, - დაფიქრდით და გაგახსენდებათ, ოცი წამიღა დარჩა...

- ვანდერი... ტრონე... გერი...

- სრული სიმართლეა! - წამოიძახა ყმაწვილკაცმა. - საუცხოოა! სწორედ ეგრეა! - უხილავი დარბაზი ტაშს უკრავდა.

- მაგრამ ცოტა გაგვიანდებათ პარაშუტის გახსნა, ქალიშვილო... მაპატიეთ, ისევ წამომცდა!... ქალბატონო მინდოდა მეთქვა... ჩვენ ისე ვღელავდით თქვენს მაგიერ! პირველი ტური მოგებულია... მაესტრო, გთხოვთ, მეორე კითხვა..

მაესტრო კვლავ გამოჩნდა, მიუბრუნდა მარტინა და ორკესტრმა ნელი ვალსი დაუკრა...

- ეს ვალსი სწორედ ორწუთნახევარი გრძელდება. ამ დროის განმავლობაში, ქალბატონო, თქვენ უნდა გვიპასუხოთ...

მარტინამ თქვა:

- დიახ, ბატონო... - და გაჩუმდა.

ნელი ვალსი მთავრდებოდა.

- ორმოცდაათი წამი, ოცდაათი. შეუძლებელია, რომ გული

გვატკინოთ და არ გვიპასუხოთ ამ მეორე კითხვაზე, რომელიც პირველზე ბევრად უფრო ადვილია... ხუთი წამი...

- მორის შევალიე... ტრენე... კლავო...

- ბრავო! - მხიარულად შესძახა წამყვანმა. - სწორედ ეგრეა, მართალია, საუცხოოა...

დარბაზში მქუხარე აპლოდისმენტები გაისმა, ამიტომ ეკრანზე დარბაზი უჩვენეს: საერთო ხედი, მიახლოებით სახეები პარტერის პირველ რიგში, ცალკე - ხელები...

- პირობის თანახმად, სწორი პასუხისათვის პირველ კითხვაზე, ე. ი. მის სამივე პუნქტზე, თქვენ მიიღებთ 3000 ფრანკს... ცხრა ათასი ფრანკი უკვე თქვენია, ქალბატონო! ყურადღება! მოისმინეთ მესამე დავალება: თქვენ გვიმღერებთ, ქალბატონო, ყოველი ამ სიმღერის რეფრენს, შეუცდომლად... ო'კეი?

მარტინამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ორკესტრმა დაუკრა და მან წვრილი, გამკივანი, ვულგარული ხმით დაამღერა.

ყველა პარიზელია, ვინც პარიზში ცხოვრობს,
იცინიან, სწუხან და სიყვარულს ელიან...
ბეღურა რომ ბეღურაა, თუ პარიზში ფრინავს,
რა თქმა უნდა, მაშინ ისიც პარიზელია!

- ბრავო, ბრავო.. - დაიძახა წამყვანმა, სახის ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ყოველივე ეს მართლაც ართობდა... - ახლა, შემდგომი!..

რაღა დაგვრჩა სიყვარულისგან.
რაღა დაგვრჩა სიხარულისგან!..

მღეროდა მარტინა... არც ამ რეფრენში და არც მესამეში მას

შეცდომა არ დაუშვია.

- ნება მიბოძეთ, - თქვა წამყვანმა, აღტაცებულმა იმით, რომ საქმე ასე კარგად მიდის, - გაგახსენოთ პირობები: თუ თქვენ კიდევ ერთ ბილეთს ამოიღებთ და ერთბაშად პასუხს გასცემთ ძნელ კითხვაზე, რომელიც იქ დაწერილია. ჩვენ ხუთჯერ გაგიმრავლებთ თქვენს 27000 ფრანკს. გასაგებია - თანხა ხუთჯერ გაიზრდება. მაგრამ თუ თქვენ შეცდომას დაუშვებთ, მაშინ ყველაფერს დაკარგავთ, ესე იგი, იმ 27000 ფრანკსაც, რომელიც შრომითა და ოფლით შეიძინეთ. ყოველ შემთხვევაში, შემიძლია შემოგთავაზოთ აპერიტივი „მონდიალი“, ჩვენ მოგართმევთ ერთ ბოთლს, სიმხნევისა და ჯანმრთელობის ამ მშვენიერი ელექსირისას! როგორ მოვიქცეთ, - გადავიდეთ მეოთხე კითხვაზე, თუ შევჩერდეთ?

- განვაგრძოთ, - თქვა მარტინამ.

ერთი სიტყვით, გადაცემის ბოლოსთვის მარტინამ მოიგო 500000 ფრანკი.

დარბაზში აპლოდისმენტებმა დაიქუხა. წამყვანმა თქვა:

- ბრავო, ქალბატონო, თქვენ სწრაფად აზროვნებთ და მშვენიერად ბრძანდებით მომზადებული. ნება მიბოძეთ ხელზე გემთხვიოთ. გადაეცით კეთილი სურვილები თქვენს მეუღლეს, იმედი მაქვს, ის აფასებს თავის ბედნიერებას... გისურვებთ, შეგძენოდეთ ბევრი ბავშვი!

ეკრანი მოციმციმე ზოლებით დაიფარა, შემდეგ ნაპერწკლებმა იელვეს. გადაცემა დამთავრებულია. გამოაცხადეს ფილმის სახელწოდება... დანიელმა გამორთო ტელევიზორი და სიბნელეში უძრავად იჯდა მანამდე, ვიდრე არ გაიგონა შესასვლელი კარის ჭრიალი.

მის წინ მარტინა იდგა, თავისი ბუნებრივი ზომით.

- მოგებასა ხარ! - უთხრა დანიელმა. - მზად ვარ ნისია გაგიხსნა შენი სიმხნევისათვის!

## ამ ვარდებს ნისიად ვერ იყიდი

ვინ არ დაინახა მარტინა ტელევიზორში?! კლიენტებმა, მათი სახლის მეკარე ქალმა, „სილამაზის ინსტიტუტის“ თანამშრომლებმა. რამდენი ხალხი უყურებს თურმე სატელევიზიო გადაცემებს! მან კი მხოლოდ დანიელი და თავისიანები გააფრთხილა: გადაცემა მოეწყო კონკურსის ჩატარებიდან ორი დღის შემდეგ ჩანაწერების მიხედვით, ამიტომ მარტინა სრულიად დამშვიდებული იყო, უკვე იცოდა, რომ გაიმარჯვა.

მეკარე ქალი, სხვა დროსაც თავაზიანი ასეთი სუფთა, გამრჯე და ლამაზი მარტინასადმი, რომელსაც - ოი, სირცხვილო ქმარი ასე ხშირად მარტოდ სტოვებს... პირდაპირ აღფრთოვანებული იყო: რა ლამაზად გამოიყურებოდა ქ-ნი დონელი ეკრანზე, რა მშვენივრად მღეროდა! აბა, სხვებს კი არ ჰგავდა, გაგიკვირდება ადამიანს, როგორ არა სცხვენიათ მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე გამოჩენა!

ამ გადაცემის შემდეგ „სილამაზის ინსტიტუტში“ კიდევ უფრო გაიზარდა მარტინას პრესტიჟი, რომელსაც უამისოდაც პატარა ღმერთქალს ეძახდნენ. თურმე ნუ იტყვით, ლამაზი და გამრჯე მუშაკი მარტინა ამასთანავე ჭკვიანი, მრავალმხრივ განათლებული და მუსიკალური ქალი ყოფილა!.. ბევრმა კლიენტმა ღიმილითა და ნამდვილი პატივისცემით უთხრა მარტინას: ტელევიზორში გნახეთო. სასიამოვნო იყო, რომ უცებ

გაითქვა სახელი: პარიკმახერი ვაჟები - ისინი „სილამაზის ინსტიტუტში“ - თხუთმეტნი იყვნენ - ყოველთვის თავაზიანად ექცეოდნენ მარტინას, მაგრამ ახლა კიდევ უფრო თავაზიანები გახდნენ, ეხერხებოდათ კიდეც თავაზი, რადგან კლიენტები სულ ქალები ჰყავდათ და ზრდილობაში გაწაფულები იყვნენ. ამ პარიკმახერებში ზოგი სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილი გამოერეოდა, ახალგაზრდა, პეწენიკი და მიმზიდველი. მარტინაც უფრო გულღია და ალერსიანი გახდა, ვიდრე უწინ იყო, მაგრამ მაინც ძველებურად მიუწვდომელ ღმერთქალად ეჭირა თავი. რას იზამ, ყველამ იცოდა, რომ მარტინა მიუკარებელია. და არა მარტო მარტინა, ფირმის ქალები - მემანიკიურეები, მასაჟისტები, კოსმეტიკოსები, - თითქმის ყველანი წესიერი ქალები იყვნენ: მათ ჰყავდათ ქმრები, მუდმივი თაყვანისმცემლები ანდა საქმროები.

ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავიანთი კლიენტებისა და საკუთარ გარეგნობას, იმიტომ კი არა, რომ თავქარიანები ან კეკლუცები იყვნენ, არა, ამას მათი პროფესია მოითხოვდა. ამიტომ თავაზიანობა და ზრდილობა შესისხლხორცებული ჰქონდათ. რაკი მარტინა კარგი, კეთილსინდისიერი მუშაკი იყო, მიუკარებლობა აპატიეს. ხანდახან თუ გაიხუმრებდნენ, პატარა ღმერთქალს არ სურს თავისი კვარცხლბეკიდან ჩამოსვლაო.

მარტინას საუზმის დროს მთელი პრესკონფერენციის ჩატარება მოუხდა. ჟინეტამ იმდენი კოცნა, ლამის დაახრჩო. საიდან მოიფიქრე - ეკითხებოდნენ მარტინას როგორ გადაწყვიტე მიგეღო მონაწილეობა კონკურსში? ეს ამბავი ასე მოხდა. მარტინა ჯერ რადიოსტუდიაში წავიდა. იქ ბევრი სხვა მსურველიც იყო. ისინი მიიღო ვიღაც ტელესტუდიის კაცმა, ძალიან სიმპატიური კაცი იყო და თავი უცებ შინაურულად იგრძნეს... საერთოდ, სტუდიამ

მარტინაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა: ამდენი ხალხი მიდი-მოდის, მუშამბით შეფუთუილი კარები, წარწერები „სიჩუმე“ და ისეთი უცნაური კედლები, თითქოს საგანგებოდ შექმნილი ხმის დასახშობად, ნამდვილად კი პირიქით! და უცებ ერთი ამ კართაგანი გაიღო და მარტინამ დაინახა დიდი ოთახი, ხოლო შიგ - მთელი ორკესტრი და არც ერთი მაყურებელი! იმ დღეს, როცა მარტინა იქ იყო - ბედმა გაუღიმა - კორიდორში გაიარა თვით ანდრე კლავომ[6]. „ისე ახლოს დავინახე, აი, როგორც თქვენ გხედავთ...“ ბოლოს ყველანი შეიყვანეს პატარა კაბინეტში - სწორედ იქ იჯდა ის სიმპატიური კაცი. ქალებს დაურიგეს ბილეთები დაახლოებით ისეთივე საკითხებით, რომლებსაც საჯარო კონკურსზე მისცემენ და ისინი, ვინც ასე თუ ისე სწორად უპასუხა, მოიწვიეს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსი ჩაწერეს და ფირზე გადაიტანეს. ეს იყო და ეს!“ ადვილი სათქმელია - ეს იყო და ეს! გაბედვა არ უნდა! - იძახოდნენ მარტინას ირგვლივ მდგომი ქალები. სულ ლამაზები და წარმტაცები იყვნენ, ეცვათ ცისფერი ზედატანები, კოხტა ფეხებზე წმინდა აბრეშუმის წინდები და მაღალქუსლიანი თეთრი მაშიები. ყველაფერი ახარებდა თვალს: ტანსაცმლის ნაზი, პასტელისებრი ელფერი, სახის, თმის, ლოყებისა და ტუჩების ფერი... მარტინას შავი მბზინავი თმა და ხორბლისფერი პირისკანი აქაც გამოირჩეოდა, როგორც მუქი წითელი ხავერდის ვარდი გამოირჩევა თეთრსა და ჩაისფერ ვარდებში. კაცებსაც რუსული პერანგების მაგვარი, მაღალსაყელოიანი და გვერდზე შებნეული ცისფერი პერანგები

---

[6] *ცნობილი ფრანგი ტენორი*

ეცვათ. ყველანი მშვენივრად გაპარსულები იყვნენ, თმა ბრილიანტინით უპრიალებდათ... ერთ-ერთმა მათგანმა, ბ-ნმა პოლმა, რომლის სამკერდე ჯიბეს მისი ამოქარგული ინიციალები ინიციალები ამკობდა, დაიძახა:

- მარტინა! იმღერეთ! - და ყველამ გაიმეორა დამარცვლით: „იმ–ღე–რე! იმ–ღე–რე!“

მარტინას დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია, თავისი წვრილი გამკივანი ხმით „საბრალო ჟანის სიმღერა“ იმღერა. შემდეგ კიდევ ერთი სიმღერა შეასრულებინეს, ყოველი დამსწრეთაგანი რაიმეს უკვეთავდა. მარტინამ მთელი თანამედროვე რეპერტუარი იცოდა: მელოდიაცა და ტექსტიც, თავიდან ბოლომდე. მხრებზე ოქროს სირმებიანი ოფიციანტი ისეთ აღტაცებაში მოვიდა, რომ კლიენტების მომსახურებას თავი დაა– ნება... ორ საათზე ქ-ნმა დენიზამ ტაში შემოკრა და დაიძახა:

- ადგილებზე, ბატონებო და ქალბატონებო, ადგილებზე! სალონებში გელოდებიან! მარტინა, გენაცვალე, დროა სამუშაოს შევუდგეთ!...

ამ შენიშვნამ კიდევ უფრო ხაზგასმით დაადასტურა მათი დაწესებულების მსგავსება „კეთილშობილ ქალთა პანსიონთან“. მართალია, მათი პანსიონი ნარევი გახლდათ: ვაჟებისა და ქალების. პერსონალი შეცქრიალდა სალონებში და კაბინებში, რათა მაქსიმალური სამსახური გაეწიათ მომლოდინე ორმოცდაათი მანდილოსნის სილამაზისათვის. მასაჟის გაკეთება, დაზელა...

მარჯვე ხელები შეუდგნენ დავარცხნას, შეღებვას, მანიკიურისა და პედიკიურის გაკეთებას. ყოველივე ამას თან ახლდა სურნელოვანი ვარდისფერი ღიმილი და ადამიანს სიმშვიდეს გვრიდა ალერსისა და თავაზიანობის გარემო, რომელსაც მქისე

ხმების შემოჭრიდან იცავდნენ რეზინის ხალიჩები, ხაოიანი პირსახოცები, ელექტროხელსაწყოთა კრუტუნი, არომატული ორთქლის აბაზანების თალფაკები. მარტინას ძალიან მოსწონდა აქაურობა. დახრილი ვიღაცას მანიკიურს უკეთებდა და თან თავისას ფიქრობდა, გუნებაში დანიელს ელაპარაკებოდა, ედავებოდა.

ახლა მარტინამ 500000 ფრანკი მიიღო, ის ერთბაშად დაფარავს ყველა ვალდებულებას, რაც კი ცხოვრებას უშხამავს. გასანაღდებელი მხოლოდ ბეწვის ქურქი დაურჩება, მაგრამ მისი ხელფასის პატრონისათვის ეს ბავშვური თამაშია... ოდესმე მათ ქალაქგარეთ პატარა სახლი ექნებათ... რაკი დანიელი დაუბრუნდა, ისევ შეუძლია იოცნებოს... დანიელი. დაუბრუნდა. მათ პატარა სახლი ექნებათ მონფორ-დ' ამორის მახლობლად. იქ, სადაც ქ-ნ დენიზასთან ერთად იყო მის მეგობრებთან, რომლებიც ელისეს მინდვრებზე ცხოვრობენ და თანამედროვე ფერწერა უყვართ. რა კარგად არიან მოწყობილი! ოდესმე... შესაძლოა, მარტინას მაინც ეყოლოს ბავშვი... მარტინამ მანდილოსნის ხელქვეშ დასდო ფინჯანი ზედმეტად ცხელი წყლით. სახეზე კომპრესგაკეთებულმა მანდილოსანმა მორჩილად ჩაჰყო თითები ფინჯანში. „ფრთხილად. მარტინა..." უსაყვედურა კოსმეტიკოსმა ქალმა, რომელიც ამ მანდილოსნის სახეს უვლიდა.

სესილიანთ ტელევიზორი არ ჰქონდათ და მთელი ოჯახი ეწვია ბ-ნ ჟორჟის საპარიკმახეროში მომუშავე ერთ-ერთ შეგირდს, რომელსაც ჰქონდა ტელევიზორი, რა თქმა უნდა, ნისიად შეძენილი... როდესაც მარტინა ქ-ნ დონზერთან მივიდა, ყველანი დიდხანს გაოცებასა და განცვიფრებას

გამოსთქვამდნენ, მაგრამ მარტინამ იგრძნო, ესენი ფიქრობენ, რომ ჩემს წარმატებას რაღაც სამარცხვინო ელფერი ადევს, რაღაც ისეთი ჩავიდინე, რაც მიღებული არააო. „ყველაფერი უცნაური მარტინას ემართება, - თქვა ქ-ნმა დონზერმა, ხან არდადეგების დედოფლად ირჩევენ, ხან 500000 ფრანკს იგებს ტელეკონკურსით.. “ ბოლოს და ბოლოს, აქ სააუგო არაფერია, ყველა ეს გადაცემები ნებადართულია მთავრობისაგან... ისევე, როგორც ნაციონალური ლოტორეა, დოღი და ბირჟა... თვით ბ-ნი ჟორჟი ხანდახან ყიდულობდა რაღაც აქციებს და ზოგჯერ მცირეოდენ თანხასაც იგებდა. მაინც როგორია ეს მარტინა!...

- რა ჩავიდინე საამისო? მართალია, შევცდი, ვალი ავიღე, მაგრამ რაკი ვალი მქონდა, ხომ უნდა გამესტუმრებინა, არა?

მარტინამ გადაუხადა ვალი ქ-ნ დონზერს და აქვე გამოაშკარავდა ოქროს ძეწკვის ამბავი, რომლის გამო თავის დროზე ასეთი აურზაური ატყდა... ეს ახლა უკვე აღარავის აინტერესებდა. ესეც, ბ-ნო ჟორჟ, თქვენი ძილისმომგვრელი ზღაპრები, ესეც თქვენი დამტვრეული ვარცლი და ოქროს თევზი! ესეც თამაშის მესამე ტური! და საერთოდ, ყველანი რომ არ შესჩენოდნენ და ყველაზე მეტად დანიელი, მარტინა მშვენივრად მოაწყობდა თავის ცხოვრებას.

მარტინა და დანიელი ისეთ ნეტარებას განიცდიდნენ, თითქოს შესაძლებლად მიაჩნდათ ყველა იმედისა და სურვილის განხორციელება. ერთად არიან პარიზში, ზამთრობით დანიელს ბევრი საქმე ჰქონდა ქალაქში. ოჰ, დანიელს რომ მარტინასთვის დაეჯერებინა და „პეიზაჟისტი“ გამხდარიყო! დანიელს ეცინებოდა: არავითარი მხატვრული მიდრეკილება არა აქვს, ვერც „პეიზაჟისტი“

გახდება, ესე იგი, ინჟინერდენდრატორი, ვერც მხატვარი და ვერც არქიტექტორი. დანიელი მეცნიერია და არა მხატვარი, მაგრამ ხელოვნება ძალიან უყვარს, ბევრნი სარგებლობენ ცოდნის ნაყოფით, მაგრამ თვითონ მეცნიერები არ არიან. შემოქმედება ერთეულებია და ისინი მილიონობით ადამიანისათვის იღვწიან... დანიელს ისეთი ოპტიმიზმი დაეუფლა, რომ მან მარტინა ფერმაში წაიყვანა თავისი ახალი მანქანით, ჩანს, დანიელი მნიშვნელოვანი პიროვნება გახდა დონელების მებაღეობის ფერმაში...

ფერმაში არაფერი არ შეცვლილა. ახლა ზამთარი იდგა და მინდვრები გაწაბლისფერდა, როგორც ავადმყოფი ვირთხის ბეწვი, ხოლო ეზოში გუბე გაშრა და დასკდა. ემალირებული ღუმელი ოდნავ ათბობდა სასადილოს. დომინიკამ თქვა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მარტინა...“ და პატარა შავწამწამებიანმა სოფიმ, რომლის თვალები ასე წააგავდა პაპისა და დანიელის თვალებს, მარტინას ვარდების თაიგული მიართვა, მიღებული სათბურების პატრონ დონელებისაგან. საუზმე გემრიელი იყო. „ძაღლების დედილო“, მთლად გალეული და წელში მოხრილი, აქეთ-იქით დაცუნცულებდა; ფერდებჩავარდნილი ძაღლების ხროვა მაგიდას გარშემო უსხდა... ბიძაშვილებიც აქვე იყვნენ. ცუდად შეკერილი პიჯაკები სათბურების ზემოთ ჩაეცვათ. ისინი დუმდნენ. ბერნარი, წინანდელზე უფრო საზიზღარი, მარტინას თვალებში შეჰყურებდა. იქ არ იყო მხოლოდ პოლო, სოფის ძმა, ის პარიზის ლიცეუმ-ინტერნატში სწავლობდა.

ბ-ნი დონელი, ჩვეულებისამებრ, ძალიან თავაზიანი იყო, მარტინას ღვინოს უსხამდა, საუკეთესო კერძებს სთავაზობდა.

შემდეგ, თუმცა შაბათი საღამო იყო, ყველანი მაინც სწრაფად აიშალნენ. დანიელმა მარტინა ერთ-ერთი კოშკისკენ წაიყვანა. მათ ბინძური და მონაგავებული ეზო გაიარეს.

- მინდოდა მეჩვენებინა შენთვის, - თქვა დანიელმა, - ეს კოშკი შეიძლება მოვაწყოთ ისე, რომ ბინად გამოგვადგეს.

მარტინას გული შეეკუმშა. ის შეყვა დანიელს კოშკში. ქვევით უწესოდ ეყარა ჩალა, ყუთები, ფრინველების სკინტლი, ბუმბული, ფრთები... ზევითკენ ხრახნილი კიბე ადიოდა...

- შეხედე, რა ლამაზი კიბეა, - თქვა დანიელმა, - წინ წადი, ის საკმაოდ ციცაბოა.

დიდი, ცარიელი მომრგვალებული სართულები, სათოფურებით ფანჯრების მაგიერ, ხოლო ზევით - ღია აივანი - რომლიდანაც იშლებოდა ხედი ყოველი მხრისაკენ. აქ დასახლდეს?.. მარტინა შიშმა მოიცვა. შეეშინდა უწინდელი მცხოვრებლების, მათი დადუმებული ხმების, დააფიქრა იმათმა ბედმა. მარტინა თავს მხოლოდ იქ გრძნობდა კარგად, სადაც მანამდე არავის უცხოვრია. აქ კი უცებ შიშმა შეიპყრო.

- ეს ძალიან ძვირი დაჯდება, - თქვა მან წყნარად, - მილიონებია საჭირო, რომ ეს საცხოვრებელ ბინად გადაკეთდეს... საიდან მოგივიდა თავში ეს აზრი, აკი გძულს კეთილმოწყობილი ფერმები?

- შესაძლოა, ეგრეც იყოს... ეს შენთვის მინდა გავაკეთო. მეც ხომ ვოცნებობ ხანდახან... ეს არის და ეს.

ჩუმად ჩამოვიდნენ კიბეზე, გაიარეს ეზო, სამზარეულო, დანიელის ოთახი. მათი ოთახი ისე იყო გატენილი წიგნებით, რომ ვეღარ იცნობდით. გაჩნდა ახალი თაროები, მაგრამ წიგნები ზედ არ ეტეოდა, ყველა კუთხეში ელაგა წიგნები დასტობით. მათი ოთახი... მათი საერთო წარსული... მარტინა შიშმა, კაეშანმა შეიპყრო,

თითქოს ის დაეტაკა მოჩვენებას, რომელიც ჯაჭვებს აჟღარუნებდა.

- მარტინეტა! - დაუძახა დანიელმა და ხელი მოხვია. ეს უწინდელი დანიელი იყო. ახლანდელი დანიელი. დრო შეუჩერებლად მიდის, მოგონებად იქცევა, ცხოვრება მიედინება, როგორც სილა თითებს შორის, იბადება სიკვდილის უეცარი წინათგრძნობა... მარტინას კვნესა აღმოხდა. არა, ვერასდროს, ვერასდროს ვერ შეძლებს ის აქ ცხოვრებას!

რაც უფრო დაბალია ადამიანის კულტურა, მით უფრო მცირეა მისი აზროვნების უნარი, მით უფრო ადვილად დაეკარგება თავგზა. რამდენია სოფელში გიჟი, სულელი, კუდიანი, ეშმაკი! მათ თავი შემოუფარგლავთ ცრურწმენათა ცეცხლოვანი რკალით და ეს იცავთ უმეცართა მგლური ხროვისაგან. დანიელი, ალბათ, ცდებოდა. სავსებით შესაძლებელია, რომ ის ცდებოდა და მარტინა არ იყო ასეთი უხამსი „მეშჩანი“. უბრალოდ, ის მჭიდროდ მოექცა მისთვის გამოუცნობი მგლური ხროვის გარემოცვაში. თანაც მას არ ჰქონდა უშიშროების ის საშუალებები, რომლებიც ყველა, სულ ზერელე კულტურისა და ცოდნის ადამიანებს გააჩნიათ, რომლებიც მათ ურყევად სწამთ, რადგან ეს საუკუნის ცრურწმენაა. რაც იზრდება ადამიანის ცოდნა, მით უფრო დიდია შიში, ეს შიში ცნობილია დიდი მეცნიერებისათვის. მათ იმდენი იციან, რომ თავიანთი არცოდნა აღიარონ.

მარტინა დანიელზე ბევრად უფრო ნაკლებად იყო დაცული მეტაფიზიკური შიშისგან. მარტინას ეს, რა თქმა უნდა, არ ესმოდა, მაგრამ ცხოვრება, რომელიც მან თავისთვის შექმნა,

მისი თავდაცვის საშუალება იყო; მას უნდა ეხსნა თავი აუტანელი შიშისგან, ხოლო ფარად იყენებდა „სილამაზის ინსტიტუტს“ და კომბინირებულ გარნიტურს, - სასადილო-სასტუმროს. ეშინოდა არ დაეკარგა დასაყრდენი წერტილი.

როდესაც ისინი კვირას ფერმიდან ბრუნდებოდნენ და მანქანა დიდი სისწრაფით მიჰქროდა, დანიელმა უეცრად დაამუხრუჭა. შეჩერდნენ. ისინი პარიზში იყვნენ, გზატკეცილი ბოლოს, იქ, სადაც ბეტონისა და შუშის დიდ ნაგებობებში გამგებლობს საუკუნის ჯადოსნობა, ხოლო მათ ფერხთით ფერფლად იქცევა ძველი საცხოვრებელი სახლები მოსაჭრელად განწირულ ხეებს შორის. დანიელმა დააყენა მანქანა მოყვითალო-ბინძური ბალახით დაფარული გზის პირას. საბარგო და მსუბუქი მანქანები მათ გვერდით მიჰქროდნენ, თითქმის ეხებოდნენ მათ. მარტინას ფეხი გაუფხაჭნა გამხმარი ბალახმა, როცა დანიელს გაჰყვა, პატარა თხრილს გადაახტა და ქვაფენილ ბილიკზე გადავიდა. უწესრიგოდ განლაგებულ ძველ სახლებს შორის ცხაურით შემოღობილი მიწის ნაკვეთი მოჩანდა. ბაღის დაბალი ჭიშკარი... სიგრძეზე ჩარ გებულიყო ფოთლებგაცვენილი ვარდის ბუჩქები, ისიც თვალუწვდენელ შორეთში იკარგებოდნენ.

- წარმოიდგინე, რა სანახავია აქაურობა ზაფხულში. საგანგებოდ მიმალული, თვალთათვის უხილავი და უეცრად სასწაულად მოვლენილი ვარდები... ოცი ათასი ბუჩქი, ის - რაც დარჩა აქ დონელების პლანტაციისგან. დანარჩენი პარიზმა შთანთქა. მე მინდოდა სწორედ აქ გამოგთხოვებოდი...

- დანიელ, მცივა... რა გემართება? რატომ აჩქარდი? მატარებელზე ხომ არ გაგვიანდება?

- ვარდებს არ ძალუძთ შენში ოცნების გაღვიძება, არ მაშინ, როცა

შენგან შორს არიან, არც მაშინ, როცა მათ შორის ხარ. ყველა ეს ვარდი ხომ შენთვის იყო! ვარდებმა არ იციან ნისია... ძვირფასო ჩემო.

მან აკოცა მარტინას, ოდნავ შეეხო ბაგით მის ლოყას... მარტინა წავიდა მანქანისკენ, ძლივს გადაადგა თავისი წვეტიანი ქუსლები, თითქოს მიწას გასაშვებად არ ემეტებოდა მარტინა, უნდოდა დაეტოვებინა იმ სურნელოვან განძთან, რომელიც აქ იყო ჩამარხული მორყეულ ქვებს შორის, დიდი პარიზის მისადგომებთან.

## ქურდ-კაჭკაჭა

მარტინა ხშირად ხვდებოდა ქ-ნ დენიზას. ქ-ნი დენიზა მარტინას „პატარა თვალისჩინს“ ეძახდა და სიამოვნებით დაატარებდა ყველგან, რადგან ვის არ გაუხარდებოდა ახალგაზრდა და ლამაზ ქალთან ბაასი, რომელიც ამასთანავე ბრიჯის მშვენიერი მოთამაშეა. ქ-ნ. დენიზას მეგობარს, საავტომობილო ფირმების წარმომადგენელს, რომელიც, რაკი სიტყვამ მოიტანა, უკვე მისი ქმარი გახდა - ქორწილი ჩუმად გადაიხადეს - უყვარდა ლამაზი ქალების საზოგადოება; დაინახავდა თუ არა მარტინას, მყისვე კარგ გუნებაზე დგებოდა. ყოფილი ავტომსრბოლი მძიმე ხასიათის კაცი იყო: ხშირად მოწყენილი, დაღვრემილი დადიოდა, მას აკლდა ავტორბოლასთან დაკავშირებული ვნებანი: რისკი, ბრძოლის ყიჟინა, იოლი გამარჯვების შესაძლებლობა და თვით სიკვდილის საშიშროებაც. ამჟამად აპირებდა ულტრამოდური ღამის კლუბის გახსნას. ამ საქმიდან კარგი სარფის მიღება

შეიძლებოდა, რადგან თვითონ საკმაოდ ცნობილი ავტომსრბოლი იყო და ქ-ნ დენიზსაც გარკვეულ წრეებში დიდძალი ნაცნობობა ჰყავდა. ისინი ხშირად დადიოდნენ სტუმრად, ხვდებოდნენ სხვადასხვა პირებს. ქ-ნ დენიზას უკვირდა, რომ მარტინას არ ეხალისებოდა მათთან სიარული, გართობას არ ეძიებდა. უცნაური ქალია, ქმარი მუდამ შინ არ ჰყავს... თუმცა მარტინა არ ამჟღავნებდა, მაგრამ ქ-ნი დენიზა მშვენივრად ხვდებოდა, რომ ცოლ-ქმარს შორის კარგი ურთიერთობა არ იყო. მთელი ცხოვრება ხომ არ დაელოდება დანიელს! ერთი სიტყვით, თუ მარტინას უნდა, შეუძლია ყველა საღამო ქ-ნ დენიზასთან და მის ქმართან გაატაროს, არც ერთ პრემიერას და გამოფენას არ დააკლდება. მაგრამ ძალიან ხშირად ქალი უარს ამბობდა, უფრო და უფრო გულჩათხრობილი და უკარება ხდებოდა. ხანდახან ქ-ნ დენიზას ეჭვიც კი ეპარებოდა, საყვარელი ხომ არა ჰყავსო! ზოგჯერ მარტინას საუზმეზე მოიპატიჟებდა, მაგრამ მათ შორის ნამდვილი გულახდილობა არ მყარდებოდა. ლაპარაკობდნენ ტანსაცმელზე, ბრიჯზე... ამიტომ მარტინას ერჩივნა ჟინეტასთან ესაუზმა, რომელიც მისი ტოლი მემანიკიურე იყო. ჭორიკანა ჟინეტა ბევრს აცინებდა მარტინას. ისინი ერთმანეთს „შენობით“ ელაპარაკებოდნენ, ხოლო დენიზას „თქვენობით“ მიმართავდნენ. ქ-ნი დენიზა ერთობ არისტოკრატობდა და მისი ჭაღარა მარტინას პატივისცემას იწვევდა. ქ-ნ დენისას ეს მოსწონდა. თუმცა მაინცადამაინც გულახდილები არ იყვნენ ერთმანეთთან, მაგრამ კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ.

ამიტომ იმ დღეს, როდესაც მარტინას უთხრეს, დენიზა გთხოვთო, სრულებით არ გაჰკვირვებია; დინჯად დაამთავრა დაწყებული მანიკიური და გავიდა ქ-ნ დენიზას საძებრად. ქ-ნი

დენიზა სასადილოში იმყოფებოდა, სადაც დღის ამ დროს არავინ იყო.

ქ-ნმა დენიზამ გადაჭრით, ყოველგვარ მიკიბულ-მოკიბულის გარეშე, შეუტია:

- გესმით თუ არა, მარტინა, რომ არის ისეთი რამ, რის გაკეთება არ შეიძლება, თუმცა ეს კანონით არ ისჯება? ეს უბრალო წესიერების ამბავია და ამდაგვარი რამ აქ, ჩვენთან, არასდროს არ მომხდარა.

- რას მეუბნებით, ქალბატონო?

- თავს ნუ იკატუნებთ, მარტინა! მკვდრის ფერი დაგეღოთ, ჩანს, ძალიან კარგად გაიგეთ, რის შესახებაც ვლაპარაკობ...

მარტინა გაჩუმდა, ფერი ისე წაუვიდა, რომ ტუჩებიც კი გაუთეთრდა.

- თქვენ გადაიბირეთ ჩვენი მანდილოსნები და კერძო კლიენტურა შეიქმენით... და ეს ყალთაბანდობა წელიწადზე მეტია, რაც გრძელდება. სხვას რომ ჩაედინა ეს, დიდი ხნის გამომჟღავნებული იქნებოდა, მაგრამ თქვენ ბრმად გენდობოდით... რას იტყოდით „მოდების სახლის“ მკერავზე, პატარა ატელიე რომ გაეხსნა და საკუთარი გამორჩენისთვის კლიენტები გადაებირებინა?

- ეს ერთი და იგივე არაა, - წაიჩურჩულა მარტინამ ფერწასული, ცივი, თითქმის გაშეშებული ტუჩებით, - ის მკერავი თარგებს მოიპარავდა... ხოლო მე ფული მჭირდება... თქვენი გასამრჯელო მცირეა...

- უკმაყოფილებასაც რომ გამოთქვამთ!... ასეა თუ ისე, ხომ გამოტყდით... ქურდი თავს ვერ გაიმართლებს, ფული მჭირდებაო. შეგიძლიათ სალაროში მიბრძანდეთ ანგარიშის

მისაღებად. ჩვენთან მხოლოდ წესიერი ადამიანები მუშაობენ.

კაჭკაჭი, ქურდ-კაჭკაჭა. გაბოროტებული მარტინა მიდიოდა ისე, რომ ვერ ამჩნევდა სენტ-ონორეს ქუჩის საუცხოო ვიტრინებზე გამოდებულ მშვენიერ, ბრწყინვალე ნივთებს, ჯიბეში ძმებისგან ნაქურდალი გლუვი, ბრჭყვიალა ბურთულები ედო, ხოლო დედა უყვიროდა: „ნამდვილი კაჭკაჭი ხარ! შავი ქურდ-კაჭკაჭა!“ მოაგონდა კაჭკაჭი იმ სასტუმროს ბაღში, სადაც მან პირველი საქორწილო ღამე გაატარა. როგორ გაჯავრდა ფრინველი, როცა მაგიდიდან გაგდება მოუნდომეს. ნისკარტით სუფრას ჩაებღაუჭა და მოსწია, იმიტომ რომ გაგდებას უპირებდნენ. როცა დანიელი დაბრუნდება, ეტყვის, - შენი მარტინაც გააგდესო. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ისინი ფერმაში ერთად იყვნენ, ის არც თვითონ მოსულა და არც წერილი მოუწერია. მაშინ ხომ არ წაჩხუბებულან? მაგრამ ის, რაც მოხდა, ჩხუბზე უარესი იყო. ახლა კი მარტინას ეშინია, ვაითუ დანიელი აღარ ჩამოვიდესო! რას ეტყვის ქმარს? დანიელმა ხომ არ იცოდა, რომ მარტინა რიგიანობას ღალატობდა, ბნელ საქმეებს აკეთებდა, ისე რომ არც ქ-ნმა დენიზამ, არც ჟინეტამ და არც მთელმა „სილამაზის ინსტიტუტმა“ არაფერი იცოდა ამის შესახებ. დანიელს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამაზე. მარტინამ უნდა მოისაზროს, როგორ უამბოს ქმარს თავისი ამბავი, მაგრამ ვერაფერი ვერ მოეფიქრებინა... რატომ უნდა ჰქონოდა უსიამოვნება ვისმესთან ფირმაში, სადაც ყველა კმაყოფილი იყო მისი მუშაობით? მარტინას შეუძლია თქვას, თვითონ წავედი, ყველაფერი მომბეზრდა, ყოველდღე ერთი და იგივე საქმის გაკეთება აღარ მინდაო... არა, ასე არ ივარგებს... დანიელმა ძალიან კარგად იცის, რომ მარტინას სწორედ ერთი და იგივე საქმის კეთება

მოსწონს ყოველდღე, რომ მას სძულს ყოველგვარი ცვლილება...

ქალი მაგიდას მიუჯდა რომელიღაც კაფეში ელისეს მინდვრებზე. თვის დამდეგი იყო. ალბათ, ამ რამდენიმე დღის საფასურს აღარ გადაუხდიან, კარადაში წვრილმანი ნივთები დარჩა, არ დაეძებს, დაე, დაკარგოს ის ნივთები, ოღონდ კი არ დაბრუნდეს იქ, მთავარია არ დაბრუნდეს, არავის შეხვდეს, არ მოისმინოს საყვედურები, თანაგრძნობა, ჭკუის დარიგება. რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რაც მოხდა. ქ-ნმა დენიზამ, ალბათ, სამაგალითოდ გადააქცია ეს ამბავი, მთელი პერსონალი შეყარა...

მარტინამ გონების თვალით წარმოიდგინა ადამიანთა ჯგუფი. მისთვის აუტანელი იყო ფიქრი, რომ ეს ადამიანები გაკიცხავენ... ესეც ღმერთქალი! ვინმე რომ მოეკლა, ქ-ნი დენიზა ასე არ ეცემოდა პირში, როგორც ახლა, როცა მარტინამ შეცდომა დაუშვა, უტაქტოდ მოიქცა... ღმერთქალის ქანდაკება დაიმსხვრა ათას ნამსხვრევად, რომლებიც მისსავე კვარცხლბეკთან ყრია. ოფიციანტი ელოდებოდა... ჰო, რამე უნდა დაუკვეთოს..

- ერთი გროგი, - უთხრა მან ოფიციანტს, რომელიც ღიმილით შესცქეროდა, როგორ გაერთო მარტინა თავის ფიქრებში.

მარტინამ გარშემო მიმოიხედა... კაფე-მოდერნი. დანიელს სძულს ასეთი კაფეები. ჭერის გასწვრივ ეკიდა გრძელი, ტალღისებური ჩალისფერი ზოლები, მრგვალი ნახვრეტებით, რომლებშიაც სინათლე გამოკრთოდა. კედლებზე - დეკორატიული ფერწერა, სამკუთხედები, სხვადასხვა ფერის დომხალი, განათების გამო მთელი ეს მხატვრობა ნარინჯისფერად ჩანდა. სკამების საჯდომები ნაირფერი

ქლორინვილისაგან, პრიალა, სუფთა იატაკის ღია ცისფერი ფილები... ყველაფერი აქ ახალი და მოელვარე იყო. სწორედ ასეთად უნდოდა დაენახა მარტინას ცხოვრება - ის უნდა ყოფილიყო მუდამ ახალი, სუფთა, კრიალა. რა მნიშვნელობა ჰქონდა „სილამაზის ინსტიტუტისთვის“ იმ კლიენტებს, რომლებიც მან გადაიბირა? მარტინას კი, მათი შემწეობით, შეეძლო ეოცნება, შეეძლო მდიდარი გამხდარიყო... ახლა თუ არა, ოდესმე მაინც. ახლა მარტინა ისე იტანჯებოდა, ისე იყო გადატვირთული, რომ დაღლილობის გარდა, თავი აღარაფრისა ჰქონდა... „რევოლუცია ვალებში ჩავარდნილ მშრომელთა საქმეაო“, - თქვა როგორღაც დანიელმა. უწინ ის ბევრ რამეზე ელაპარაკებოდა მარტინას... გენეტიკაზე და სხვა რამეებზე, რაც აინტერესებდა. დანიელი, ბოლოს და ბოლოს, გლეხია, სოფლელი ტეტია და მაგალითებიც სოფლური მოჰყავდა. მისი აზრით, ვალების გამო, გლეხებმა და მონებმა ხელ-ფეხი შეიბორკეს. „მაგრამ ისინი ვალებს თვითონ როდი წამოიკიდებდნენ ზურგზე, ამბობდა დანიელი, - კრედიტი კარგი საქმეა, ხოლო ადამიანები გაუმაძღრები არიან! მუშები იბრძოდნენ რვასაათიანი სამუშაო დღისათვის და ახლა, როცა ამას მიაღწიეს, ისინი ზედმეტ საათებს მუშაობენ, წელზე ფეხს იდგამენ მხოლოდ იმისთვის, რომ შეიძინონ მოტოციკლი ან სარეცხი მანქანა.“

როგორ ჩანს, რომ დანიელი ნამდვილი მამილოს ვაჟია, მას არასდროს არ უცხოვრია შეფიცრულ ქოხში, არ უძინია უზეწროდ, არ უჭამია ვირთხებთან ერთად... ის ყოველთვის სუფთად ცხოვრობდა. იცის, ვინცაა მამამისი. დანიელის მშობლები არასდროს ჩხუბობდნენ, არ სცემდნენ ერთმანეთს. მისთვის ადვილი სათქმელია: „გერმანელებს ბლომად აქვთ აბაზანები, ამერიკელებს - ავტომანქანები და მაცივრები. მერე რა? ისინი მაინც

მუდამ ჩივიან და წუწუნებენ. რაც უფრო მეტი აქვთ, მით უფრო მეტი უნდათ. მერე უცებ იწყება ომი და პლასტმასის მთელ ამ სამოთხეს ფერფლად აქცევს ცეცხლი, დარჩება მხოლოდ მიწა, პური და ვარდები... არა ნისია ვარდები, არამედ ნამდვილი, ყველასათვის მისაწვდომი ვარდები... საერთოდ, პროგრესის მომხრე, ვარ, - ამტკიცებდა დანიელი, - მაგრამ არ მიყვარს პლასტმასური პროგრესი. ზიზილ-პიპილების პროგრესი. ადამიანები დიდ ჭაპანწყვეტაში არიან ლუკმაპურისათვის... მათ სხვა გზა არა აქვთ. მაგრამ თავი შევწირო კომბინირებულ გარნიტურს, - ეს რაღა პროგრესია?... ოჰ, როგორ აბრაზებდა მარტინას დანიელი და მისი მორალი! ისინი კამათობდნენ... დანიელს არ სურდა ეღიარებინა, რომ მარტინას სიყვარულს თანამედროვე კომფორტისადმი იგივე ფასი ადევს, რაც ვარდების სიყვარულს. როგორ ბრაზდებოდა, ტუჩებს მოკუმავდა და კრიჭაშეკრული წაიჩურჩულებდა ხოლმე: „მე მეცნიერებაში პატარა წვლილი შემაქვს და თუკი შენ შეგიძლია იგი შენს სასტუმრო-სასადილოს შეადარო, სალაპარაკო აღარაფერი დაგვრჩენიაო“. და დანიელი მიდიოდა, კარს გაიჯახუნებდა... ის ყოველთვის კარს აჯახუნებდა. ტელევიზორში წარმატებამ დაუბრუნა მარტინას დანიელი, მაგრამ სულ ცოტა ხნით... მათი ფერმაში გამგზავრების შემდეგ ის აღარ გამოჩენილა. კარგია, თუ მარტო მარტინას გაჯავრება უნდა...

მარტინამ გროგი დალია და ცოტათი გათბა. დიდი ხანია, რაც ასეთ დროს არ ყოფილა გარეთ. კაფე, უფრო სწორად, სასაუზმე უცებ აივსო: ეს იყო საღამოს აპერიტივის დროს, პაემანების დრო, როცა მარტოხელა ქალები და კაცები განსაკუთრებული

სიმწვავით გრძნობდნენ თავიანთ სიმარტოვეს... როცა დანიელი მარტინათი მოხიბლული იყო, როცა ჯერ კიდევ უყვარდა იგი, მარტინა ხშირად უამბობდა თავისი ბავშვობის ამბავს. ეს ერთი ხერხი იყო დანიელის აღტაცების, პატივისცემისა და სიბრალულის გამოსაწვევად. ახლა, როდესაც დანიელს ის აღარ უყვარდა, მარტინას ბავშვობა ქალისავე წინააღმდეგ შეტრიალდა, თუმცა დანიელს ერთხელაც არ უთქვამს მისთვის, „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო," მაგრამ მარტინა გრძნობდა, ეს დღეც დადგებაო... და მაშინ ეს შეძლებული ოჯახის ნაშიერი...

მარტინას მაგიდას ქალ-ვაჟი მიუსხდა, მათ სადილის წინ აპერიტივის დასალევად შემოიარეს, ხოლო შემდეგ კინოში აპირებდნენ წასვლას... მერე შემოვიდა კარგად ჩაცმული კაცების მთელი ჯგუფი, როგორც ჩანს, ისინი ელისეს მინდვრების რომელიმე დაწესებულების თანამშრომლები იყვნენ, ხმამაღლა იცინოდნენ, დავობდნენ, რომელმა გადაიხადოს მთელი დანახარჯიო... ხშირ-ხშირად მარტინასკენ იყურებოდნენ, მისი მარტოობა უკვე დამამცირებელი ხდებოდა. მარტინამ ფული გადაიხადა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეჩქარებაო, თუმცა ღრმად ჩაფიქრებული მთელი საათი იჯდა აქ. ასევე აჩქარებით გავიდა ქუჩაზე და ტაქსიში ჩაჯდა; მარტინას ეგონა, ის კაცები კიდევ მე მითვალთვალებენო. „ბულონის ტყეში", - უთხრა მან მძღოლს. მაგრამ უკვე ვარსკვლავის მოედანზე მარტინამ ტაქსი შეაჩერა: რატომ უნდა დახარჯოს ფული ტყუილუბრალოდ? მართლაც, სად წავიდეს, სად? მძღოლი აბუზღუნდა: „თვითონ არ იციან, რა უნდათ..." მარტინა სწრაფად გაშორდა მას და მეტროში ჩავიდა.

დაღლილ და საქმიან ბრბოში მარტინამ თავი ყველას მიერ

მიტოვებულად იგრძნო. სამუშაო აღარ ჰქონდა. გააგდეს. მთელ ქვეყანას მოსწყდა - აღარც სამუშაო, აღარც ქმარი... მარტინამ გაიარა კორიდორები, ჩაჯდა მეტროს ვაგონში. ისევ იმ ფიქრმა შეიპყრო. მარტოდმარტოა - აღარც სამუშაო, აღარც ქმარი...

ორლეანის ჭიშკართან მეტროს ვაგონი დაიცალა. მარტინა მძიმე ნაბიჯით გამოვიდა - ასე ნელა ეშვება წვიმის უკანასკნელი წვეთი... მას არ ეჩქარებოდა: რას ეტყვის დედა დონზერს, ბ-ნ ჟორჟს... მარტინას გაამტყუნებენ. სესილი? სესილი, რა თქმა უნდა, არ გაამტყუნებს, მაგრამ მაშინვე გაიქცევა და ყველაფერს თავის პიერს უამბობს... პიერი კი საწარმოს პატრონია, მაშასადამე... ყველანი მარტინას წინააღმდეგ იქნებიან.

მარტინა მაინც ავიდა მათთან. მისი სახლის ლიფტთან შედარებით ეს ლიფტი მოძველებული იყო; მარტინას სახლის ლიფტი ნაცრისფერ მოკრიალებულ ლითონის კოლოფს წააგავდა, რომელიც ჰერმეტულად იხურება; როცა ლიფტი ჩერდება, კარი თავისით იღება. დანიელს არ უყვარდა ამ ლიფტით ასვლა, მას შიშს გვრიდა ყველა ეს ზედმეტად დამოუკიდებელი მანქანები, რომლებთანაც არაფერი გაგივა. „შუა გზაზე რომ გაეხიროს? - ამბობდა დანიელი, - მაშინ რა ვქნა ამ რკინის კარადაში? ვერც გამოვალ, ვერც შევაკეთებ, ვერც ვერავის დავუძახებ.“ დანიელს ერჩია ფეხით ასულიყო მეექვსე სართულზე.

მარტინას მისვლა ყველას ძალიან გაუხარდა. მაგრამ სესილი სადღაც მიდიოდა პიერთან ერთად და მაშინვე გაიქცა ტანსაცმლის გამოსაცვლელად. პიერი დაელოდება სახლთან, ზუსტად რვას რომ ათი წუთი დააკლდება. დანიელიც

ოდესღაც... მარტინას საწოლი იმავე ადგილას იყო, ცარიელი ტუალეტის მაგიდაც იქვე იდგა. პატარა სავარძლები... ოცნებები...

- მე წამოვედი „ინსტიტუტიდან“, - სასხვათაშორისოდ თქვა მარტინამ. ის შესცქეროდა სესილს, რომელიც მიმოდიოდა ოთახში ლიფისა და ქვემოსაცვლის ამარა; სესილმა ვერ მოასწრო იატაკზე დაგდებული კაბის ჩაცმა, ადგილზევე გაშეშდა.

- რა შეგემთხვა? ღმერთო ჩემო!

- ჰო, უკეთესი სამუშაო ვიშოვე. - ძლივს აღმოხდა მარტინას. ანგარიშმიუცემლად იცრუა. ისეთი სასირცხვილო საქმე დაემართა, რომ მართალი ვერ უთქვამს? არა, უბრალოდ, უნდოდა, რაც შეიძლებოდა მალე მოღებოდა ბოლო მითქმა-მოთქმას. ბევრად უფრო ადვილი იყო მოკლედ მოეჭრა: „უკეთესი სამუშაო ვიშოვე“.

მაგრამ სესილი ჯერაც კიდევ უძრავად იდგა და იატაკზე დაგდებული კაბა ალყად შემორტყმოდა.

- რა სამუშაო? იქ ხომ მშვენივრად იყავი მოწყობილი! ასეთი საუცხოო დაწესებულება: დენიზა, ყველა შენი კლიენტი?

- ჩაიცვი, თორემ დაგაგვიანდება... მე უფრო საინტერესო საქმე შემომთავაზეს. ხვალ ყველაფერს გიამბობ....

- ეს რა ამბავი დატრიალებულა! - სესილმა დეკოლტირებული და ფართო ქვედატანიანი კაბა ჩაიცვა.

- დედას უკვე უთხარი? მე ხვალ უნდა წავიდე „სილამაზის ინსტიტუტში“ ბ-ნ მარსელთან, შევუთანხმდი, პერმანენტი უნდა გამიკეთოს...

- ნუ წახვალ... - თქვა მარტინამ. - იცი, ისინი უკმაყოფილონი არიან, რატომ მიგვატოვეო, ასე რომ, ემჯობინება...

- კი, მაგრამ სად იმუშავებ ახლა?

სესილმა საღამური მანტო მოისხა.

- ეს მანტო ჯერ არ მინახავს... რა ლამაზია!...

- პიერმა წამიყვანა ერთ თავის კლიენტთან... დიდ „მოდელების სახლში“, რომელიც ახლახან გაიხსნა... იქ ყველაფერი ძალიან მდიდრულია! ღმერთო ჩემო, მარგალიტები მავიწყდებოდა! შენ ისე გამაოცე და დამაბნიე...

მარტინა ქ-ნ დონზერთან და ბ-ნ ჟორჟთან დარჩა სადილად. ლაპარაკობდნენ მხოლოდ სესილის ქორწილზე, დედა დონზერის ფიქრი სულ ეს იყო, მარტინასაც ხელი არ შეუშლია მათი მასლაათისათვის. ასე გავიდა საღამო, თავისი უსიამოვნო ამბების შესახებ მარტინას კრინტიც არ დაუძრავს.

დანიელსაც არაფერს ეტყვის. ჯერ უნდა მოეწყოს, იშოვოს ახალი ადგილი... ეგებ ჯობდეს მარტო კერძო კლიენტებით დაკმაყოფილდეს... ეს ფიქრი უტრიალებდა თავში შინდაბრუნებულ მარტინას. ამ ფიქრით დაიბანა პირი და ჩაწვა ლოგინში. ის იწვა სუფთა ტილოს ზეწრებზე, რომელთა საფასური ჯერ კიდევ შესატანი იყო... მარტინა მალე, იმდენად დამშვიდდა, რომ დაიწყო ჟურნალში სურათების დათვალიერება, წაიკითხა მორიგი „რჩევა-დარიგებანი თქვენი მეგობრის კოლეტისა“ იმ მისამართების მითითებით, სადაც შეიძლებოდა ყიდვა ქაშანურის საფერფლის, სახიანი შპალერების და შუშის თალფაკიანი შანდლებისა, რომ აგარაკზე ბაღში ვახშმობისას მუმლმა არ შეგაწუხოს... ნეტავ რას აკეთებს ახლა დანიელი? ალბათ, სძინავს მათ ოთახში, ფერმაში. იქნებ, პარიზშია, სასტუმროში გაჩერდა, ან თავის მეგობარს ჟანს შეაფარა თავი... ცოლის ნახვა აღარ უნდა... არა, დანიელი დაბრუნდება, ასეთი რამ ხომ არა ერთხელ მომხდარა მათ შორის... და ყოველთვის, როცა მარტინ შინ ბრუნდებოდა,

ფარული იმედი კიაფობდა მის შეგნებაში, -- ეგებ დანიელი ზევითაა და მარტინას ელოდება? მაგრამ ახლა სჯობია, რომ აქ არაა... ქალს არ დასჭირდება უცებ, მოუმზადებლად რაიმეს მოჩმახვა... ჰო. ეგრე სჯობია. მარტინას ჩაეძინა.

## ყველაფერს ბოლო მოეღო

არც ისე ამაო იყო მარტინას ფიქრი, შესაძლოა დანიელი ზევით მიცდისო, რადგან დანიელი მართლაც უცდიდა ცოლს... არ შეეძლო არ დაბრუნებულიყო, ის რაღაც უცნაურ წუხილს განიცდიდა მარტინას გამო. მთელი ეს ხანი, როცა მარტინა კაფეში იჯდა ელისეს მინდვრებზე, დანიელი შინ ელოდებოდა ცოლს. ბოლოს მან ჩათვლიმა პატარა დივანზე სასადილოში, რადგან დანიელს მუდამ ძილი აკლდა. შესასვლელ კართან ვიღაცამ დარეკა, დანიელი წამოვარდა და კარი გააღო: მის წინ ცისფერთვალა ჟინეტა იდგა, მათ ქორწილზე რომ იყო და მარტინასთან ერთად მუშაობდა „სილამაზის ინსტიტუტში“.

- მარტინა შინ არაა? - იკითხა მან

და სასადილოში შემოჰყვა.

- არა, ველოდები...

ჟინეტას დახურული თბილი პალტო ეცვა, მუქი ფერის ქუდი ეხურა, რომელიც კიდევ უფრო ღიად აჩენდა მის ქერა თმას, ნაზ ვარდისფერ ლოყებს და დაღლილ ცისფერ თვალებს. გაუბედავად ჩამოჯდა დივანზე.

- თქვენ ნახეთ მარტინა სამუშაოს შემდეგ? უცნაურია, ხუთი საათი იყო, როცა „ინსტიტუტიდან“ წამოვიდა.

- ჰო? - დანიელს ეს უცნაურად არ მოეჩვენა, რადგან მარტინას

შეეძლო სადმე საქმეზე წასულიყო.

- რატომ დაამთავრა მუშაობა დღეს ასე ადრე?

- რატომ?.. ქ-ნ დენიზასთან უსიამოვნება მოუვიდა. ქ-ნმა დენიზამ ისეთი რამ გამოამჟღავნა, რასაც ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იფიქრებდა, ეჭვად ვერ აიღებდა...

- მაინც რა? - დანიელმა ყურები დაცქვიტა.

- მარტინას კერძო კლიენტურა ჰყოლია.

- მერე რა?

- მერე ის, რომ მისი კლიენტები უწინ ფირმის კლიენტები იყვნენ.

- მერე რა?

- გამიგონეთ, ბ-ნო დონელ, მარიტინამ გადაიბირა ჩვენი ფირმის კლიენტები. ეს არაა წესიერი საქციელი. ქ-ნმა დენიზამ მარტინა სამსახურიდან დაითხოვა. გთხოვთ გაითვალისწინოთ; მე აქ მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ მარტინას ვუთხრა: ფეხებზე მკიდია მთელი ეს ლაპარაკი პატიოსნების შესახებ... თუ ვინმე ჩემი მეგობარია... დენიზა ღორია, ის ყოველთვის მეპატრონის მხარეზეა...

დანიელმა ჩიბუხი გატენა. კიდევ ერთი უსიამოვნება. მარტინას ყოველთვის რაღაც უნდა შეემთხვეს...

- დანარჩენები კი ფიქრობენ, დენიზა მართალია, - განაგრძობდა ჟინეტა, - მარტინას ეს არ უნდა ჩაედინაო. ვხედავ, ცუდ გუნებაზე დაგაყენეთ, ბ-ნო დონელ... ნუ იჯავრებთ, მარტინასთან სწორედ იმის სათქმელად მოვედი, რომ ერთი მეგობარი ქალი მყავს, რომელიც ძალიან კარგ საპარიკმახეროში მუშაობს, ის მოაწყობს მარტინას. ნურაფერს ინაღვლებთ, ბ-ნო დონელ...

ჟინეტამ დანიელის ხელზე თავისი უხელთათმანო ხელი დადო, ძალიან ნაზი, ვარდისფერ-სადაფისებრ ფრჩხილებიანი ხელი. თვით ჟინეტაც, ისევე როგორც მისი ხელი, იყო ნაზი და რბილი, ნატიფი და სურნელოვანი; ქურქში გამოწყობილი ქალი ჰგავდა ვარდს, რომლის არომატი განსაკუთრებული ძალით იფრქვევა... დანიელმა ჟინეტას ხელი მოკიდა, დაიხარა, რათა ეკოცნა მისთვის რბილ, ნაზ, ლამაზად შეღებილ ტუჩებში. ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

- წავიდეთ? - შესთავაზა დანიელმა.

ჟინეტა ჩუმად წამოდგა. სიტყვის უთქმელად ჩავიდნენ კიბეზე. ორთავენი გრძნობდნენ, ჯერ მარტინის სახლში ვართო. ქუჩაში დანიელმა უთხრა,

- თქვენთან მივდივართ, სად ცხოვრობთ?

დანიელმა ჟინეტა მანქანაში ჩასვა. მარტინამ თავი მოაბეზრა. ეყო, რა წვალებაც გადახდა მის გადამკიდეს. ამ ქალში დაბუდებულიყო ყველაფერი, რაც სძულდა დანიელს. მარტინა იყო ვულგარული, უხამსი ქცევის, უხამსი გონების ადამიანი, მეშჩანი, რომელიც წვრილმან ყალთაბანდობას არ უკადრისობს. თავიდან ბოლომდე წვრილმანია, იაფფასიანი გემოვნებითაა გაჟღენთილი. დანიელს უხეშად მიჰყავდა მანქანა, ისე ექცეოდა, როგორც მოექცეოდა მარტინას, ხელში რომ ჩავარდნოდა. ჟინეტა ტერნის რაიონში ცხოვრობდა ჩვეულებრივ სახლში, სადაც კიბეზე ხახვისა და წვნიანის სუნი იდგა. კარებიდან გაისმოდა ჩვილი ბავშვის ტირილი, რადიოს ხმა... ჟინეტამ ერთი კარი გააღო.

- შუქს ნუ აანთებ... - სთხოვა დანიელმა. ჟინეტამ ფრთხილად შეიყვანა ბნელ ოთახში, სინათლე არ აუნთიათ, ისე მიაგნეს საწოლს.

სამუშაოს დაკარგვით თავზარდაცემულ მარტინას საკმაო დრო ჰქონდა იმისათვის, რომ გონს მოსულიყო. დანიელი აღარ ჩანდა, არასდროს არ დაკარგულა ასე დიდი ხნით. არც ერთი სიტყვა, არავითარი ნიშანწყალი გახსენებისა. მარტინამ გაბედა და ტელეფონით დარეკა ფერმაში, რამდენიმეჯერაც კი. უპასუხეს, დანიელი აქ არ არისო და ეს შეთქმულებას ჰგავდა. ჟინეტას დახმარებით მალე იშოვა სამუშაო ერთ საპარიკმახეროში, იქ მეტს უხდიდნენ, ვიდრე „ინსტიტუტში“. ეს საკმაოდ კეთილმოწყობილი სალონი იყო მდიდარი ქალებისათვის, მაგრამ „ინსტიტუტს“ ვერ შეედრებოდა. პარიზის ბატონ-პატრონი „მაღალი წრე“ აქ არ დადიოდა. ამიტომ თავისებური სნობიზმით აღსავსე მარტინასთვის იქ მუშაობა ერთგვარი დაქვეითება იყო. ასევე არ ეჭაშნიკებოდა მარტინას ჟინეტას მეტისმეტი მეგობრობა, თანაც ჟინეტას არ შეეძლო მისთვის ქ-ნ დენიზას მაგივრობა გაეწია. ქ-ნი დენიზა მარტინასთვის „მაღალი წრის“ წარმომადგენელი იყო, ხოლო ჟინეტა - ერთი პატარა ქალია, ვინაც მუდამ წუწუნებს, თუ რა ძნელია მარტოხელა ქალისთვის შვილის აღზრდა, ანდა მოუთხრობს მარტინას თავის სასიყვარულო თავგადასავალს. ჩვეულებრივ ეს მოთხრობები მთავრდებოდა მსჯელობით მამაკაცების ცვალებადი ხასიათის შესახებ. ახლა მარტინა იმის გუნებაზე არ იყო, რომ ჟინეტასთან საუზმის დროს ეჭორიკნა, ან გართობის მიზნით ეხეტიალა მასთან ერთად მაღაზიებში, როგორც ეს მარტინას „ინსტიტუტში“ მუშაობისას იცოდნენ. ქ-ნი დენიზა ყოფაქცევაში რაღაც სტილს ექვემდებარებოდა, ყოველ ვიგინდარას როდი გაუყადრებდა თავს, თავისი ყურადღებით მხოლოდ კარგი ტონის ადამიანებს - მრეწველებს,

კინოპროდიუსერებს - აბედნიერებდა... მასაც ჰქონია წუთიერი გატაცებები, მაგრამ ეს მაინც გატაცებები იყო და არა ერთი ღამის თავგადასავალი. ამასთანავე, ქ-ნი დენიზა პირდაპირ არასოდეს ლაპარაკობდა ამ თემაზე, მხოლოდ რაღაცას განიშნებდათ, – ღიმილით თუ გამოხედვით... ხოლო ახლა, როცა ქ-ნმა დენიზამ ორმოცი წლის ასაკს გადააბიჯა, გონიერებას მიმართა და ცოლად მისთხოვდა ამ ყოფილ ავტომსრბოლს. ნისია არ სჭირდება! ჯერ მარტო „ინსტიტუტში“ იმოდენა ხელფასი აქვს, რომ...

მარტინა მწარე სინანულს მიეცა... დენიზამ ჭირიანივით გააგდო ის, თანაც ეს ქალი ხელისმომკიდე იყო მის ქორწილზე! რა უსულგულო ყოფილა ეს საქმოსანი ქალი! დაუფიქრებლად, უყოყმანოდ გააგდო მარტინა, უწინ კი როგორ აქებდა: „ჩემი პატარა თვალისჩინი“ - ასე ეძახდა - ასეთი ლამაზი, ისეთი ლამაზი... „როგორც გინდა, ისე დავარცხნე თმა, რაც გინდა, ის დაახურე თავზე, შენ ყველაფერი გიხდებაო!“ აი, როგორი ქება-დიდებით ამკობდა, მისი მუშაობაც მოსწონდა, მისი თავდაჭერაც - ყველაფერი მოსწონდა მაშინ... ქ-ნი დენიზა დიდ ყურადღებას აქცევდა თავისი თანამშრომლების მიხრა-მოხრას. არაფერს არ გაუწია ანგარიში, ისე შეუბრალებლად გააგდო. თავდახრილი მარტინა მანიკიურს აკეთებდა, შესცქეროდა მანდილოსნის შეშუპებულ თითებს, რომელთაგან ვეღარ მოიძრობა ახალგაზრდობაში თავისუფლად გაკეთებული ბეჭდები. მწარე ფიქრებს მიეცა მარტინა. საპარიკმახეროს დახურვის შემდეგ ის კლიენტებთან დადიოდა ბინებზე. ეს შეღავათი მაინც შეიძინა - ახლა შეეძლო უშიშრად და თავისუფლად მომსახურება გაეწია თავისი კლიენტებისათვის; ახლანდელი მისი საპარიკმახეროს მეპატრონეები ვერაფერს უსაყვედურებდნენ. მარტინა იშვიათად

დადიოდა თავისიანებთან, სადაც ყველანი გართული იყვნენ სესილის ქორწილის სამზადისით.

გვირგვინის კურთხევა დიდი ზარზეიმით შესრულდა წმიდა მარგარიტას ეკლესიაში, ალეზის ავენიუზე. უქნარების ბრბო ელოდებოდა პატარძლის გამოსვლას. რა უმანკოა! რა წარმტაცია! რამდენი სტუმარია! მანქანები, მანქანები... ტუალეტები... მშვენიერი ამინდი იყო, სტუმრებისათვის საუზმე მოაწყვეს ბულონის ტყეში, რესტორან „არმენონვილში“. სესილი შეუდარებელი იყო იმავე ფირმის მიერ შეკერილ კაბაში, რომელმაც შეუქმნა საგვირგვინო კაბის მოდელი. მოდების დამწყებმა კანონმდებელმა, ვისთვისაც საზეიმო ქორწილი ოსტატობის საპატიო გამოცდას წარმოადგენდა, თავი არ დაიზოგა და, მართლაც, დიდ წარმატებას მიაღწია. „არმენონვილში“ მთელი აივანი თეთრი იასამანით იყო შემკული. სესილი ფერმას დაუკავშირდა ტელეფონით და დანიელს მოეთათბირა ყვავილების ფასზე. სესილისთვის დანიელი შინ აღმოჩნდა, ტელეფონთან მივიდა. დანიელი ქორწილსაც დაესწრო... დიახ, ის იქ იყო...

დანიელი გამოცხადდა მარტინასთან, როცა ის ტანთ იცვამდა და ემზადებოდა ქორწილზე წასასვლელად. მარტინა უცნაურ გუნებაზე იყო, ხელები უკანკალებდა, ტუჩები უთრთოდა.

დანიელმა მკაცრი ხმით უთხრა:

- რა დაგემართა?

მარტინას ლოყებზე ცრემლები დაედინა და ხელახლა დასჭირდა პირის დაბანა.

- რა მოგდის, არა გრცხვენია... - უთხრა დანიელმა და ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ კვლავ ვარდისფერი მიცემოდა

მარტინას ტუჩებს. მას ისე ეშინოდა, რომ მარტო მოუხდებოდა ქორწილზე წასვლა, მარტო უნდა ყოფილიყო იმოდენა ხალხში, სადაც თითქმის არავის იცნობდა. და დენიზაც უცებ შეამჩნევდა, როგორ ყველამ მიატოვა მარტინა. რამდენი დღედაღამე განიცდიდა იგი ამას. მარტინას, ცოტა არ იყოს, გული სწყდებოდა იმის გამო, რომ ის არ ღალატობდა დანიელს, თუმცა დანიელი, მისი აზრით, ამის ღირსი იყო... თვეები, თვეები გავიდა მას შემდეგ, რაც დანიელი არ უნახავს.

სისულელეა პატიოსნება! ისეთი მიუწვდომელი გახდა, რომ კაცები გაარშიყებას ვეღარ უბედავდნენ. უკარება რომაა, შორიდან იგრძნობოდა, ამას შემთხვევითი გამვლელებიც კი ამჩნევდნენ. უკვე დიდი ხანია, რაც აღარავინ გაარშიყებია მარტინას. ის მოსაწყენი გახდა, დაკარგა თავისი მიმზიდველობა. და აი, ახლა აღარც დანიელი, არც ერთი ნაცნობი მამაკაცი! ვისთან ერთად უნდა წავიდეს ქორწილში? ამ ფიქრმა ძილი დაუფრთხო. არა მარტო უბედურად გრძნობდა თავს, დამცირება მოელოდა... და აი ახლა, როდესაც მარტინამ უკვე გადაწყვიტა, მარტო წავალო, დანიელის მოულოდნელმა გამოჩენამ გაარღვია მისი თავდაცვის ხაზი, ქალმა თავი ვეღარ შეიკავა.

დანიელი უყურებდა, როგორ იპუდრებოდა მარტინა და კიდევ ერთხელ უთხრა:

- ეგრე ნუ, მარტინა...

არაფერში აღარ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ რა კარგად იცნობდა დანიელი თავის საბრალო მარტინას, რა კარგად ესმოდა მისი ცრემლების, მისი აღელვების მიზეზი...

- ნუ ხარ ეგრე, ტყეში დაკარგულო მარტინა...

ცოლმა შეხედა მას თავისი ჩამქრალი, სევდიანი თვალებით და

გაუღიმა.

მარტინას ისეთივე კაბა ეცვა, როგორც სესილს, ოღონდ ცისფერი და არა ვარდისფერი. სესილმა სთხოვა, ერთნაირი კაბები გვეცვასო, როგორც უწინ... და მართლაც, როდესაც მათ ერთად ხედავდნენ, ერთს ცისფრად მოსილს და მეორეს ვარდისფრად, ეს კიდევ უფრო აძლიერებდა და წარმტაცად ხდიდა ორთავეს სილამაზეს.

ქ-ნმა დენიზამ ღიმილით აკოცა მარტინას, თითქოს არაფერი მომხდარაო.

- თქვენ დაღლილი გამოიყურებით, მარტინა, თქვა მან, - მაგრამ დაღლილობაც კი გიხდებათ. ალბათ, ზომაზე მეტს მუშაობთ, როგორც ყოველთვის.

მარტინამ ქ–ნ დენიზას კოცნა არ დაუშალა, მაგრამ არაფერი უპასუხა. ხელში შამპანურით სავსე ფიალა ეჭირა, ქმრის გვერდით იდგა და გულით ცდილობდა ვინმე მოსწონებოდა, არავინ არ არსებობდა მისთვის, მხოლოდ დანიელი - სხვა არავინ. დანიელი კი ეუბნებოდა:

- ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ზეკომფორტაბელურ სასტუმროში ცხოვრობენ... დასეირნობენ საუცხოო მანქანებით, გვერდით უსხედან ნამზეური ქალები, ღია კაბებითა და ქარზე აფრიალებული თმით... მანქანის მინაში ჯიშიანი ძაღლი მოჩანს... იგივე ადამიანები ფლობენ საუკეთესოდ მოწყობილ ფერმებს, სადმე მონფორ-ლ'ამორის მახლობლად... აი, თურმე ვინ არიან ისინი! აქ შეკრებილები! რამდენი არიან...

სტუმრებისთვის საუზმე მოეწყო. ახალდაქორწინებულები იმავე დღეს გაემგზავრნენ იტალიაში. შამპანურისგან და კარგი

ამინდისგან გამხიარულებულმა სტუმრებმა მანქანებს მიაშურეს. არავის უნდოდა ქალაქში დაბრუნება. გავისეირნოთ ტყეში? თუ ქალაქგარეთ გავიდეთ, ავტოსატრადა აქ სულ ახლოსაა.

დანიელმა მარტინა შინ მიიყვანა და ქუჩაშივე გამოემშვიდობა. მარტინას არაფერი უკითხავს მისთვის: ხომ არ უნდა ზევით ასვლა, მოვა თუ არა ისევ, და თუ მოვა, როდის?... უბრალოდ, ქალმა შესასვლელი კარი შეაღო და, როცა მოტრიალდა, დანიელი და მანქანა უკვე იქ აღარ იყვნენ. სწრაფმა ლიფტმა თვალის დახამხამებაზე აიყვანა მარტინა მეექვსე სართულზე. მარტინა შინ იყო, უზადოდ მორთულ-მოკაზმული, თავის ღია ცისფერ კაბაში, ლამაზი, მარტოდმარტო; არ იცოდა, რა გაეკეთებინა, დღე და საღამო თავისუფალი ჰქონდა, სრულიად თავისუფალი... როგორ შეცდა, რომ კლიენტებს დღეს მისვლაზე უარი უთხრა. არავინ იყო, ვისაც შეეძლო სადმე წაეყვანა მარტინა, ვისაც მასთან საღამოს გატარება უნდოდა. მარტინა ნელა იხსნიდა სამკაულებს. რას იზამ, ის ისარგებლებს ამ თავისუფალი დროით, დაისვენებს მაინც! დანიელი წავიდა, - არასდროს არ გამოუწვევია მის წასვლას მარტინას ასეთი მძაფრი გულისტკივილი.

რით შეივსოს მთელი დღე? მთელი თავისი ცხოვრება?

მარტინა იწვა ელასტიურ ლეიბზე, შტორებჩამოფარებულ ოთახში და ფიქრობდა თავის ცხოვრებაზე. როგორ მოხდა, რომ ყველაფერი უცებ დაინგრა?..

რატომ? გაზაფხული, გაზაფხული... მშვენიერი დღეები... ის არ გრძნობს ამ მშვენიერ დღეებს. მარტინა ფიზიკურადაც დაიშრიტა. იქნებ შვებულება აიღოს და დასასვენებლად წავიდეს. ყველა ასე იქცევა. სწორია, ის შვებულებას აიღებს. რამდენი წელიწადია, რაც პარიზიდან არსად გასულა, დაუსვენებლად მუშაობდა...

## ორმო

რამდენიც გინდა ეცადო - ვერაფერს გახდები! ყველაფერი დაკავებულია, თავისუფალი კუნჭული არსადაა... ყველამ წინდაწინვე, ბევრად უფრო ადრე იქირავა ბინა. ბოლოს მარტინამ იშოვა თავისთვის პატარა ოთახი ანტიბში. მაგრამ აქაც, პარიზის არ იყოს, გრძნობდა, ცხოვრება თავისი გზით მიედინება და მე რიყეზე მტოვებსო.

პლაჟზე მყოფთ ისე ეჭირათ თავი, თითქოს ყველანი ერთმანეთის ნაცნობები იყვნენ, ერთად ბანაობდნენ, თამაშობდნენ, კამათობდნენ, წყვილ-წყვილად ან ჯგუფ-ჯგუფად - დასეირნობდნენ... მარტინა კი სილაზე იჯდა - ლამაზი და განმარტოებული. ვიღაც ყმაწვილებმა სცადეს გახუმრებოდნენ, მაგრამ ქალი სულელივით გაჩუმდა, - მათაც შეეშინდათ თავიანთი გაბედულებისა და უკან დაიხიეს. ერთხელ, როცა მარტინა ხილის წვენს შეექცეოდა და კაფეს ტერასიდან გადაჰყურებდა ავტომანქანებით ავსილ მოედანსა და ხალხით გაჭედილ ტროტუარებს, მეზობელ მაგიდასთან მჯდომი კაცი გამოელაპარაკა... ალჟირიდან ჩამოსულიყო საქმეების გამო და ვიდრე მარსელიდან ისევ ალჟირში გაემგზავრებოდა, გადაწყვიტა ცოტათი მაინც დრო მხიარულად გაეტარებინა. ალჟირიდან ჩამოსულმა მარტინას შესთავაზა, ერთად ვისადილოთო, ისიც დასთანხმდა.

ჯერ კიდევ ადრე იყო, ერთხანს ქუჩებში იხეტიალეს, გაისეირნეს ციხე-სიმაგრის გალავნისაკენ, რომელიც ზღვას გადასცქეროდა. მარტინას ნაცნობი კარგი გარეგნობის კაცი იყო, მზემოკიდებული სახითა და მზისგან თვალების ირგვლივ

დაქსელილი ნაოჭებით. ლაპარაკი ომზე ჩამოაგდო, თითქოს სასხვათაშორისოდ აღნიშნა, შინდაბრუნებულს შესაძლოა სახლი უკვე აფეთქებული დამიხვდესო.

- საბოლოოდ ალჟირი ფრანგებს დარჩებათ, - ამბობდა ის და თან სადღაც შორს იცქირებოდა, - მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, არც ერთი ალჟირელი ფრანგი ცოცხალი არ გადარჩება. ის მხეცები ყველას ამოხოცავენ, ცოლ-შვილს გაუჟლეტენ! მთავრობა კი განზე დგას და ჩაურევლობას ამჯობინებს, მაგრამ ასე ვეღარ გაგრძელდება, აი, ნახავთ!

მარტინა უგულისყუროდ უსმენდა. ალჟირი შორსაა, სადღაც იქ, ზღვის იქით, ცის დასალიერის მიღმა. დანიელი ამბობდა, ახალგაზრდობა, რომელიც მორჩილად მიდის ალჟირში, სასაკლაოზე გაგზავნილ საქონელს მაგონებსო. ბოლოს და ბოლოს ეს საქმე სულ სხვანაირად დატრიალდება და არა ისე, როგორც ეს ზოგს ჰგონია, - ასე ამბობდა ჩვეულებრივად დანიელი, როცა ის გაზეთს კითხულობდა და თითქოს ხმამაღლა აზროვნებდა. მარტინას ნაცნობმა შეცვალა საუბრის თემა და თავისი ჭკუით, ქალებისათვის უფრო გასაგებ საგანზე გადავიდა. ზღვა აქ სულ ახლოს იყო ციხე-სიმაგრის გალავანთან, მარტინას ფერხთით ერთმანეთს ეხეთქებოდნენ ტალღები. მისი თანამოსაუბრე სულ უფრო და უფრო აბეზარი და მოურიდებელი ხდებოდა. ასეთი ლამაზი ქალი! თანაც სულ მარტო! მე რომ თქვენი ქმარი ვიყო... მარტინა ზღვას გადაჰყურებდა, ზღვამ გველის თვალივით მოაჯადოვა. როცა ახალმა ნაცნობმა ხელახლა დაპატიჟა მარტინა სადილად, ქალმა ამ კაცის ხმაში ერთგვარი მერყეობა იგრძნო. მაინც მარტინას უარი არ უთქვამს.

ალჟირელმა კაცმა მარტინა თავის მანქანაში ჩასვა და წაიყვანა

პატარა ბისტროში, რომელიც განთქმული იყო წვნიანი კერძით, ე.წ. ბუიაბესით. იქ საშინელი სივიწროვე იყო. მზისგან გაშავებული, შორტებში და შალის სვიტრებში გამოწყობილი ქალები და კაცები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, თავი ძალიან თავისუფლად ეჭირათ. ისეთი ღრიანცელი იყო, რომ საკუთარ ხმას ვერ გაიგონებდა ადამიანი.

- თქვენ არ გრძნობთ სიმარტოვეს ლოგინში, ქალბატონო? - ჩასძახა მარტინას თანამგზავრმა და თან მუხლები ქალის მუხლებს მიაბჯინა. მიუხედავად ნამზეურისა, სახე წამოუწითლდა.

- არა, - მოუჭრა მარტინამ, მაგრამ უმალვე გონს მოვიდა, თავს ძალა დაატანა და თამამად დაუმატა, - თუ დღისით სიმარტოვეს არა ვგრძნობ, ღამით ლოგინში მარტოც ვიწროდ ვარ.

- მაშასადამე, ცივი ქალი ყოფილხართ?

- რასა ბრძანებთ, - უპასუხა მარტინამ კეკლუცი მორცხვობით. - უბრალოდ, მცხელა!

- ეგებ ჯერაც ვერ გიპოვნიათ ბედნიერება. მე მინდა ვთქვა, ფიზიკური სიყვარულის ბედნიერება. ეს არც თუ ისე მარტივია; არიან ქალები, რომელთაც არ ხვდებათ წილად ამ ბედნიერების განცდა, თუკი ისინი ქმრების ერთგულნი რჩებიან.

- თქვენ ერთგულების წინააღმდეგი ბრძანდებით? - მარტინას აშკარად აინტერესებდა ეს საკითხი.

- როცა ჩემს ცოლზეა ლაპარაკი, მაშინ ერთგულების მომხრე ვარ, როცა სხვის ცოლებზე - წინააღმდეგი.

მარტინამ ნაძალადევად გაიცინა. თანამოსაუბრის მუხლები სულ უფრო და უფრო უტიფრად ავიწროებდნენ მარტინას.

- ეი, - დაიძახა ერთ-ერთმა ნახევრადჩაცმულმა ბრინჯაოსფერმა კაცმა. - კავალერიანო ლამაზო, წამოდი ჩვენთან ერთად „ლა გრანდ ბლეში“, რაც მეტი გიჟები შევიყრებით, მით უფრო ვიმხიარულებთ!

- გნებავთ? - კითხა თანამგზავრმა მარტინას; ამჩნევდა, რომ ამ ქალთან დაახლოების საქმე წინ ვერ მიდის, ხოლო დროის ტყუილად დაკარგვა არ შეუძლია, რადგან ხვალ მიემგზავრება. სადილში დახარჯული ფული წყალში გადაიყარა. აქ კი, გვერდით, არც თუ ცუდი გოგოები ისხდნენ.

- რატომაც არა?..

„ლა გრანდ ბლეში“ ყველაფერი საზიზღარი იყო. იქ შეიკრიბა, მორიდებით რომ ვთქვათ, ჭრელი საზოგადოება; ქალიშვილები, მეტწილად ადგილობრივი მკვიდრნი, მოახლე გოგოები იყვნენ, ორი თუ სამი მათგანი ქუჩიდან მოყვანილ პროფესიულ როსკიპს ჰგავდა. ურცხვები, მთვრალები, ოფლიანები, ისინი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ მამაკაცებს, რომლებიც მათ ზედ ედებოდნენ. მარტინას გული ერეოდა ბუიაბესისაგან და ცუდი შამპანურისაგან, საცა იყო პირს ასაქმებდა. მისი ნაცნობი ერთ-ერთმა ქალიშვილმა გაიტაცა და, როგორც ჩანს, მარტინას არსებობა სრულიად დაავიწყდა. მარტინამ არ იცოდა, როგორ დაბრუნდებოდა სასტუმროში... ის წამოდგა, თავბრუ ეხვეოდა... ჰაერი აღარ ყოფნიდა!..

გარეთა კიბე პირდაპირ პლაჟზე ჩადიოდა. მარტინამ კიბე - ჩაიარა და დაეჯახა ვიღაც კაცს, რომელიც არწყევდა; შემდეგ ლამის გადაემხო სილაზე მწოლიარე წყვილს... ღმერთო, რა საზიზღრობაა, ეს რა ხალხია, ჯანდაბა ამათ თავს, როგორ დააღწიოს თავი აქაურობას, შინ როგორ დაბრუნდეს?! მარტინამ ფეხსაცმელი გაიხადა და ფეხშიშველამ გაიარა შემხმარ სილაზე. თავი უკეთ

იგრძნო. მის წინ გადაშლილი ზღვა თითქმის უძრავი იყო, როგორც სუფთა წყლით ავსილი უზარმაზარი თასი. ნიცას მხრიდან ზღვის კიდე განათებული წერტილებით იყო მოვლებული. მარტინა ღრმად სუნთქავდა, ცდილობდა დაეძლია გულისრევა.

- თქვენც ჩემსავით გრძნობთ თავს, ქალბატონო.... - მარტინა შეკრთა. ეს ვიღაა? სიბნელეში მოჩანდა კაცის სილუეტი ამოსაკვრელებით ფეხებზე და მხარზე გადაკიდებული პირსახოცით.

– თქვენ ბანაობას აპირებთ? - დაღლილი ხმით იკითხა მარტინამ.

- დიახ... თუ გნებავთ....

მარტინას სადილის წინ ტანისამოსი არ გამოუცვლია, კაბის ქვეშ საცურაო კოსტიუმი ეცვა. შეიხსნა ღილები და კაბა გაიხადა.

- მარტო ნუ დამტოვებთ, - უთხრა უცნობს, - ზედმეტი ვჭამე და დავლიე. არ ვიცი, რა მომივა, როცა წყალში შევალ...

ცივი წყლისაგან თავი უკეთ იგრძნო, შვება მიეცა. მარტინა კარგად ცურავდა, ასევე უცნობიც. ისინი ცურავდნენ, ვიდრე ძალა ეყოთ, შემდეგ პლაჟზე დაბრუნდნენ; აქოშინებულები, სველები სილაზე გაიშხლართნენ და ერთმანეთს კოცნა დაუწყეს. გულები საშინლად უძგერდათ.

- ნუ, - თქვა მარტინამ.

- როგორც გინდოდეთ.

- მე მანქანა არა მყავს, ანტიბში ვერ დავბრუნებულვარ.

- მე წაგიყვანთ.

მას ძველი მანქანა ჰქონდა. უცნობმა მარტინა

სასტუმროსთან მიიყვანა... შუბლზე ხელის შეხებით დაემშვიდობა მას.

მისი მანქანა ზანზარით დაიძრა და გასცილდა იქაურობას. დამშვიდობებისას ერთმანეთისთვის სიტყვაც არ უთქვამთ.

ღამის შვეიცარმა გამომცდელი თვალით შეხედა მარტინას: სველი თმა ბღუჯებად ეკიდა, ფეხშიშველა იყო, ქვედატანი არ ეცვა, - წელზე და მხრებზე წამოესხა ზედატანი...

მარტინამ კიდევ ორი კვირა დაჰყო ანტიბში, მაგრამ, საბედნიეროდ, ის აღარ შეხვედრია არც ერთ მათგანს, ვისთანაც ის ღამე გაატარა: შეეძლო ეფიქრა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ სიზმარი იყო. მარტინა იმ დღეებში დაუახლოვდა. ერთ თავაზიან მანდილოსანს, რომელიც პლაჟზე გაიცნო: ის ქალი თავის ბავშვებს უტოვებდა. პატარები იქვე თამაშობდნენ სილაზე მარტინას მახლობლად, ხოლო თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული მანდილოსანი ხილის წვენს მიირთმევდა ხიმინჯებზე აგებულ რესტორანში.

## სარკემ სიმართლე უთხრა

როცა სესილი შემოდგომით დაბრუნდა საქორწილო მოგზაურობიდან, ფეხმძიმედ იყო. ქ-ნი დონზერი მაშინვე შეუდგა პატარა ბავშვისთვის მზითვის მოქსოვას, ასევე სესილიც. ახლა უკვე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა, სესილმა თავის ქმართან მდივნად იმუშაოსო. სესილი ყურადღების ცენტრში მოექცა, შინაურები ცდილობდნენ მისთვის ესიამოვნებინათ, ესიყვარულებოდნენ, საჩუქრებს სთავაზობდნენ: სესილი წყნარად იკეთებდა ბუდეს, ხოლო ქმარი თავს დაღუღუნებდა, ხან რა

მოჰქონდა შინ და ხან რა...

ძველი ბინის გაახლებისას ბავშვებისთვის განკუთვნილი საუკეთესო, მზიანი და პატარა აივნიანი ოთახი თანდათან ივსებოდა ავეჯით. კედლებზე ააკრეს იხვებით, დათვის ბელებითა და ყვავილებით მოხატული შპალერი, შეიძინეს ვარდისფერი ლაქით დაფარული საბავშვო ავეჯი, ორგანდის ფარდები და არშიებით მორთული მოწნილი აკვანი. სესილი თავს მშვენივრად გრძნობდა.

სწორედ იმ ზამთარში, როცა სესილი ბავშვს მოელოდა, მარტინამ ნისიად სარეცხი მანქანა იყიდა. დიდი ხანია, რაც მას ნისიად აღარაფერი უყიდია იმის შემდეგ, რაც 500000 ფრანკი მოიგო და ყველა გადაუდებელი ვალი დაფარა. სარეცხი მანქანა - რა სულელური დაჟინებაა! მარტოხელა ქალს ისე ცოტა ეხარჯება თეთრეულის რეცხვაში, რომ ვინ იცის, რამდენი ხნის ლოდინი დასჭირდება, რომ გაწეული ხარჯი აუნაზღაურდეს! მარტინას აღარ ყოფნიდა დრო, რომ თვითონ ერეცხა და ეუთოებინა, ამიტომ იძულებული შეიქნა მოახლე ექირავებინა. ეს პირველი შემთხვევა იყო - აქამდე თვითონ აკეთებდა შინაურ სამუშაოს; და თურმე ბევრად უკეთესად, ვიდრე რომელიმე მოახლე. რას ჰგავს ეს, ისინი ერთი და იმავე ნაჭრით წმენდდნენ პირსაბანსაც და საპირფარეშოს ბაკანსაც... როცა მარტინა წარმოიდგენდა, შესაძლოა ვისმეს ბინძური ხელები შეეხო პურსა და ხილეულსო, მადა ეკარგებოდა. რამდენიმე მოახლე გამოიცვალა და სამართლიანად დაიმსახურა მათ შორის ჭირვეული დიასახლისის სახელი. ბოლოს გადაწყვიტა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ესარგებლა სარეცხი მანქანით.

შემდეგ მარტინამ იყიდა მოწნილი გარნიტური

სასტუმროსათვის. გაუგონარი, გაუმართლებლად მაღალი ფასი ჰქონდა ამ გარნიტურს - ეს ხომ მაინც წითელი ხე არ არის! მაგრამ ახალი ავეჯი სჭირდებოდა: ახლა ხშირად ქ-ნ დონელთან ბრიჯის სათამაშოდ იკრიბებოდნენ კარგი, შეიძლება ითქვას, მაღალი საზოგადოების ადამიანები. ყველაფერი იქედან დაიწყო, რომ მარტინა თავისთან მოიწვია ერთმა, ბანქოს თამაშს გადაყოლილმა კლიენტმა ქალმა. რა უცნაური აზრი მოგივიდა თავში, - ბუზღუნებდა ამ მანდილოსნის ქმარი, ფინანსთა სამინისტროს მსხვილი მოხელე, - მემანიკიურე ქალის სტუმრად მოპატიჟება! მაგრამ დაინახა თუ არა მარტინა, ამ კაცმა უცებ გამოიცვალა აზრი: მარტინა მეტად ლამაზი აღმოჩნდა, ხოლო ბრიჯის თამაშის მისმა ნიჭმა ნამდვილი სენსაცია მოახდინა. ნელ-ნელა მარტინა გაეცნო თავისი კლიენტების მეგობრებს, მერე მათი მეგობრების მეგობრებს... მას პატიჟებდნენ ხან სადილად, ბრიჯის პარტიის თამაშამდე, ხან ვახშმად, თამაშის შემდეგ. და მაინც, ეს ახალი ნაცნობობა ისაზღვრებოდა ბრიჯის თამაშის ფარგლებით, მეგობრული და ინტიმური ურთიერთობა მარტინასა და მათ შორის არ დამყარდა: მარტინას დაჰკრავდა ერთგვარი გულცივობა, პედანტიზმი, ძალდატანება და ამის გამო მას ვერ უახლოვდებოდნენ ის ადამიანებიც კი, რომელთაც არ ეთაკილებოდათ მემანიკიურესთან დამეგობრება. თავისიანებს მარტინა იშვიათად ხედავდა, ბავშვის მომლოდინე სესილსაც იშვიათად ნახულობდა. მარტინას ხომ ბავშვები არა ჰყავდა... ახალ სამუშაოზე ვერავის დაუმეგობრდა და საბოლოოდ ბრიჯი იყო ყველაზე მტკიცე შემაერთებელი ხიდი მარტინასა და დანარჩენ კაცობრიობას შორის. სტუმრად დადიოდა, თავადაც პატიჟობდა სტუმრებს... ასე წარმოიქმნა ახალი ავეჯის შეძენის საჭიროება.

მარტინას ახლა ბევრი ინტერიერი ჰქონდა ნანახი; ის დადიოდა მდიდრულად მოწყობილ სახლებში, რომლებსაც ამკობდა მაღალი ხარისხის საუცხოო თანამედროვე ანდა ძველებური ავეჯეულობა. მარტინა დარწმუნდა, ჩემი კომბინირებული სასტუმრო-სასადილო უგემოვნო რამ არის და სასაცილოდაც არ ყოფნის ამ ნატიფ ხალხსო.

მარტინას დასჭირდა ავეჯი, რომელიც დაეხმარებოდა გადასულიყო ადამიანთა ერთი წრიდან მეორე, უფრო მაღალ წრეში. ნაირ-ნაირ გასამართლებელ საბუთებს იგონებდა, ნამდვილად კი ნივთების შეძენის ავადმყოფური სურვილი აეკვიატა, თავისებურ გაუძღომელ შიმშილად გადაექცა: უკვე თავს ვეღარ ერეოდა. დანიელი რომ დაბრუნებოდა, ძველი დანიელი, მარტინას სხვა არაფერი უნდოდა... მაგრამ ის მხოლოდ დროგამოშვებით თუ ესტუმრებოდა მარტინას, თითქოს ექიმიაო, რომელიც დროდადრო მოდის ავადმყოფის მაჯის გასასინჯად. მარტინა ბრიჯისტების კლუბის წევრი გახდა, ავტომანქანა იყიდა. თუმცა მემანიკიურეს ხელფასი, ბრიჯში მოგებული ფული და ყოველთვიური დახმარება, რომელსაც მას დანიელი უგზავნიდა, საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა, მანქანის საყიდლად მაინც დასჭირდა ფულის სესხება ერთი კლიენტისგან.

საპარიკმახეროს მეპატრონე ქალმა ერთხელ გაკვირვებითა და ერთგვარად შეწუხებული გამომეტყველებით უთხრა: „რამდენ რამეს ყიდულობთ, მარტინა! ჩემთან წამდაუწუმ მოდიან სხვადასხვა ფირმების აგენტები, მეკითხებიან, რამდენია თქვენი ხელფასი და როგორი მუშაკი ხართ.. თქვენ დაბეჯითებით მთხოვეთ, არ მეთქვა ამ აგენტებისთვის, რომ

სხვა ვალებიც გაქვთ, მაგრამ ძალიან დიდი დავალიანება დაგიგროვდათ! მე არავის მოტყუება არ მინდა და ამიტომ შემიძლია მხოლოდ ის ვუთხრა, რამდენადაც ვიცი, ამთავრებს სხვა ვალების გასტუმრებას-მეთქი! ვერ გამიგია, თავს როგორ ართმევთ ამდენ ვალს. რაც მართალია მართალია, სერიოზული ქალი ხართ, მაგრამ მილიონები არ გაგაჩნიათ, თორემ მემანიკიურედ არ იმუშავებდით.“

მარტინას სასტუმრო ოთახში შეკრებილი სტუმრები ბრიჯის თამაშის დაწყებამდე, ვიდრე ჯერ კიდევ ჰქონდათ უნარი გარემოსათვის ყურადღება მიექციათ, აღტაცებას გამოთქვამდნენ, რა მოხერხებულადაა მოწყობილი ეს პატარა ბინაო. უხაროდათ, რომ პარიზში შესაძლებელია სულ მცირე თანხით ასეთი საუცხოო ინტერიერის შექმნა! როცა სტუმრები საბაზანოში ხელს იბანდნენ, თავაზიანობის გამო თავი ისე ეჭირათ, თითქოს ვერ ამჩნევდნენ პიჟამას, რომელიც ეკუთვნოდა მარტინას მითიურ, მუდამ სადღაც სხვაგან მყოფ ქმარს. კოქტეილები, სანდვიჩები და პერიფურები ისევე უზადო იყო, როგორც ვახშმის ცივი საუზმეულობა. ქ-ნი დონელი პატიჟობდა თავისთან მხოლოდ პირველხარისხოვან მოთამაშეებს, საზოგადოების ნაღებს, მათ აკავშირებდა საერთო ინტერესი - თამაშის სიყვარული, ამიტომ სტუმრები მეტად ნასიამოვნები რჩებოდნენ. „რა მარჯვე ქალია“... აქებდნენ პარტნიორები მარტინას, მაგრამ არასდროს ეარშიყებოდნენ მას. მარტინა საამისო საბაბს არ იძლეოდა. ერთ მშვენიერ დღეს მარტინას რომ თავში უცნაური ფიქრი მოსვლოდა, წასულიყო რომელიმე ამ კაცთან ან ქალთან და ეთქვა: „უსიამოვნება მაქვს...“, ან, „ავად ვარ“, ან „ჩემი ქმარი მღალატობს და უბედური ვარო“... ისინი, უეჭველად, განცვიფრებული იქნებოდნენ. მარტინა

თანდათან გახდა მათთვის ისეთივე უპიროვნო არსება, როგორიცაა თვით ბრიჯის თამაში.

იყო კიდევ ჟინეტა და მარტინას ახსოვდა, ჟინეტას არ მივუტოვებივარ, როცა ქ-ნმა დენიზამ სამსახურიდან დამითხოვაო. მაგრამ ჟინეტასთან მეგობრობა ადვილი როდი იყო! ის ნამდვილ ისტერიულ ქალად გადაიქცა: ხან ქვითინებდა, ხან კოცნით ახრჩობდა მარტინას, ხან კი ილანძღებოდა... ჟინეტა სულ ეკინკლავებოდა თავის ვაჟიშვილს, რომელიც ცუდი ყოფაქცევის გამო ლიცეუმიდან გარიცხეს. „შენ ვერ წარმოიდგენ, რა საშინელებაა ახლანდელი ახალგაზრდობა!“ ვთქვათ, ეგრეა, მაგრამ განა ამის გამო შეიძლება ასე იოლად გადავიდეს ადამიანი სიცილიდან ტირილზე და ტირილიდან სიცილზე?! ალბათ ამის მიზეზი რომელიმე მამაკაცია, რომელსაც ჟინეტა ვერ შეხმატკბილებია. ხანდახან ჟინეტა მთლად საზიზღარი ხდებოდა, ერთხელ იქამდეც კი მივიდა, რომ პირდაპირ ჰკითხა მარტინას:

- რატომ არ განქორწინდები?

მარტინას თითქოს მეხი დაეცაო. არასდროს არ უფიქრია განქორწინებაზე. და თუ ეს აზრი თავში მოუვიდა უცხო ადამიანს, რატომ არ შეიძლებოდა, რომ დანიელსაც ეფიქრა ეს? მარტინა იშვიათად ხედავდა დანიელს, ის ფერმაში ცხოვრობდა, იქ მუშაობდა... ვინ იცის, დანიელი პარიზში ჩამოდის და მარტინას აღარ ნახულობს; იქნებ დანიელმა ვინმე შეიყვარა იქ, ფერმაში. დანიელი ზოგჯერ შემოივლიდა მასთან, ღამე კი თითქმის არასდროს არ რჩებოდა და სიყვარულს აუცილებელ მოვალეობასავით ეკიდებოდა.

ამ ფიქრებმა გაიელვა მარტინას გუნებაში და შეაკრთო იგი

- რატომ მომეცი ასეთი უცნაური კითხვა? - მივარდა ის ჟინეტას.

- უცნაური? მე ბუნებრივი მგონია. თქვენ ერთად არ ცხოვრობთ. ორთავემ ცხოვრება თავიდან უნდა დაიწყოთ. ხომ იცი, შენთვის სიკეთე მინდა და ეს მალაპარაკებს... ყოველი ჭკუადამზნილი ადამიანი ამასვე გეტყვის. გინდა - არ გინდა, სულ ერთია, ბოლო ესაა. მაშ, რაც უფრო ადრე მოხდება, მით უკეთესი, ოცი წლის აღარა ხარ. რაც უფრო გვიან გაეყრები, მით უფრო ძნელი იქნება შენთვის სხვა ქმრის შოვნა, სულ ცოლიანებს წააწყდები... ჩემი არ იყოს.

ისინი ერთად არ ცხოვრობენ, ეს მართალია. მაგრამ განა ამის გამო რაიმე იცვლებოდა? მარტინასთვის არაფერი! სხვა ქმარიო... ცხოვრების თავიდან დაწყება... სასაცილოა! საშინელებაა!

- შენ არაფერი გესმის ამ საქმისა, საბრალო ჟინეტა! - ქედმაღლურად თქვა მარტინამ.

- ეგრე გგონია? - ჟინეტას გაეცინა. - მე შენთვის სიკეთე მინდა და ამიტომ გითხარი...

როცა ჟინეტა წავიდა, მარტინამ სარკესთან მიირბინა. ასეული მილიონი ქალი ასე იქცევა ოდითგანვე, ისინი საკუთარ თავს აცქერდებიან წყალში, ლითონის ზედაპირზე, სარკის შუშაში. შეუბრალებელი, დაკვირვებული თვალით შესცქერიან ისინი თავიანთ გაცრეცილ გამოსახულებას.

ღმერთმა იცის, რომ მარტინა იცნობდა თავის გარეგნობას, თმას, პირს, წარბებს, ლოყების მოყვანილობას; კარგა ხანია, შესწავლილი ჰქონდა, თუ რა უფრო უხდებოდა მის ხორბლისფერ პირისკანს, მის აღნაგობას... მარტინა დაწვრილებით იცნობდა თავისი სხეულის ყოველ ხვეულს, იცოდა პომადის რომელი ფერი მოუხდებოდა მის ტუჩებს, როგორი მარმარილოსებური სიდიადით ჩამოეშვება ნაკეცები სარტყლიდან ქვევითკენ, როგორ

დაუმშვენებს გულ-მკერდს ტანზე კარგად მომდგარი ლიფი, რაც მას კიდევ უფრო მიმზიდველად გახდის, ხოლო სიარულის დროს გრძელი ფეხები კაბას მუხლებთან შემოუფრიალებენ.

„ნიკა სამოთრაკიელი!“, „ღმერთქალი! სირინოზი!“ - ეუბნებოდა დანიელი... ეს დიდი ხნის წინათ იყო, მარტინა სარკეში იყურებოდა: აი ის, თავიდან ფეხებამდე. თითქოს არაფერი შეცვლილა: უზადოდ სუფთა შუბლი, ლოყების მოყვანილობა, წარბების ხაზი... ოდნავი ნაოჭი რომ გასჩენოდა სახეზე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მარტინა უცებ შეამჩნევდა, ისეთი ყურადღებით ათვალიერებდა იგი ყოველდღე თავის გამოსახულებას... ნაოჭები არ დასჩენია. მაგრამ ეს არ შველის საქმეს. პატარა ნაოჭის გამო როდი შეკრთა მარტინა, თითქოს ტანში ელექტროდენმა გაუარაო, ისე გამსჭვალა ფიქრმა: ის უკვე ოცი წლის. აღარაა! მარტინა ჩასცქეროდა თავის გამოსახულებას... მას რაღაც გამოეპარა, რაღაცამ შეუმჩნევლად გამოჟონა, შეუმჩნევლად წაადგა თავს. ალბათ, მარტინამ წინასწარი ზომები ვერ მიიღო. ქალმა უკან დაიხია, სარკიდან პირი იბრუნა, მერე უცებ მოტრიალდა, რომ მოულოდნელად წასწრებოდა საკუთარ თავს. თავს ვეღარ ცნობდა! ვინაა ეს ქალი. სახის არაჯანსაღი ფერი, მკაცრი, დაძაბული მზერა? მარტინა თურმე ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს ცალ-ცალკე, მაგრამ მთლიანობა მას მხედველობიდან გამორჩა. ნაოჭები არ გასჩენია, მაგრამ რაღაც დაეკარგა... რბილი, ნაზი, ქალური... სცადა გაეღიმა, გამოაჩინა თავისი საღი, მაგარი, თეთრი კბილები... მაგრამ ზემო ტუჩი თითქოს შეთხელებოდა, ყბები გამოსწეოდა. მარტინას უეცრად გაახსენდა თავისი ძმები, მხიარული პაწია თავკომბალები. როცა

გაიღიმა, რაღაც ნათესაური მსგავსება ჰქონდა მათთან! სიბერე დადგომია თავს, ის ღრღნიდა, ხრავდა, როგორც მწიფე, ლამაზსა და ტკბილ ნაყოფში დაბუდებული ჭია.

მარტინა საღამოს რვა საათზე დაწვა დასაძინებლად, პირისახისთვის აღარ მოუვლია, ტანისამოსი ხალიჩაზე დაყარა... ცხადია, ის ავად გახდა, გული ერევა, როგორც გემზე, მღელვარე ზღვაში იცის ხოლმე. სააბაზანოში გაიქცა. რა საშინელებაა! ისევ დაწვა. განქორწინება! თუ ეს აზრი ჟინეტას მოუვიდა თავში, ალბათ სხვებიც ასევე ფიქრობენ, ერთმანეთს ეუბნებიან: რატომ არ განქორწინდებიან მარტინა და დანიელიო? ეგებ დანიელსაც უნდა განქორწინება? სამუდამოდ მისი მოშორება! „ღვთისმშობელო,..“ - მარტინამ ხელები გულთან მიიკრა, მაგრამ ღვიძლის საშინელმა, მწვავე ტკივილმა გაუფანტა მწარე ფიქრები: ღვიძლი სტკივა, აი თურმე რა! არც ტელეფონი, არც არავინ ჰყავს ექიმთან გასაგზავნად.

ტკივილი მიყუჩდა. მარტინა ოცი წლის ქალს აღარ ჰგავს, იმიტომ რომ ავადაა. ეს არის და ეს. „შენ უკვე ოცი წლის აღარა ხარ...“ როგორ უთხრა ჟინეტამ: აზრის გარდა, ამ ფრაზაში იყო რაღაც, რაც მარტინას გულზე მოხვდა... ინტონაცია... დანიელის ინტონაცია! ჰო, ჰო! სწორედ ეგრეა, ჟინეტა და დანიელი! მარტინა საოცარმა, მწარე გრძნობამ მოიცვა; ასე, ჭიქა ხელიდან რომ გავარდება, ნამსხვრევებად იქცევა. რისაგან ყოფილა ნაგები მარტინა, რომ მისი სხეული ნამსხვრევებად არ იქცევა... პლექსიგლასისგან... პროგრესი!

შემოსავალ-გასავლის დავთარივით დაიწყო მარტინამ დღეებისა და საათების სვეტების შემოწმება: როდის ჩამოდიოდა და მიდიოდა დანიელი, როდის ნახულობდა მას ჟინეტა...

სიტყვები, შეხვედრები, ინტონაცია... ყველა მოტყუებული ქალივით ის გვიან მიხვდა. მარტინა სულელი და გულდანდობილი იყო, კარგად ეპყრობოდა ჟინეტას - ამ კახპას, რომლის შესახებ „სილამაზის ინსტიტუტში“ გაკვირვებას გამოთქვამდნენ, აქ როგორ მოახერხა მოხვედრა, როცა მხოლოდ წესიერ, კარგად აღზრდილ ქალებს იღებენო... ქუჩის კახპა! მაგრამ მამაკაცებს უყვართ როსკიპები, ურცხვები, რომლებიც კუდში დასდევენ, თავს ესხმიან და ვინ იცის, რა სისაძაგლეებს არ სჩადიან... დედამისი მარიც ასეთია.. სულერთია, ვისთან... დანიელი თვითონ არასდროს არ დამცირდებოდა... მარტინა პოლიციას მიმართავს, ხომ უნდა არსებობდეს კანონები ოჯახის დამრღვეველი ქალების წინააღმდეგ!.. ჟინეტა! ჯარისკაცების ნასაყვარლარი, გერმანელებთან ნათრევი! რატომ თავი არ გადაპარსეს, ფრანგების შემწყნარებლობა სწორედ სამარცხვინოა... დანიელი! აბა რა ეგონა მარტინას? ის დაკმაყოფილდებოდა მათი შემთხვევითი შეხვედრებით? ეს წლები... რა იცის მარტინამ დანიელზე ან იმ ადამიანებზე, რომელთაც ხვდება... რას ფიქრობდა ამდენ ხანს? არაფერს. მარტინა არაფერს არ ფიქრობდა, ის ძალიან შორს იყო ასეთი ფიქრებისგან... განა ფიქრობს სიკვდილზე? და თუკი ეს ფიქრი დაგეუფლება, მაშინ როგორ გინდა იცხოვრო? როგორ იცხოვროს ახლა მარტინამ ამ ფიქრით? სხვანაირად როგორ... თავი მოიკლას? ადგილი დაუთმოს ჟინეტას? და სხვებს, ყველას? ...

მარტინა წამოდგა. ღვიძლი დაუწყნარდა, მაგრამ თავბრუ ეხვეოდა, თვალებში შავი წრეები ეჩვენებოდა. სად უნდა წავიდეს? ქ-ნ დიუპონთან, მინისტრის ძმისწულთან ელოდნენ ბრიჯის სათამაშოდ. მაგრამ იქ ხომ ჟინეტას ვერ დაახრჩობს,

ლანძღვა-გინებით გულს ვერ იჯერებს, დანიელს იქ ვერ შეხვდება... ოჰ, როგორ უნდა, უთხრას ყველაფერი, რაც კი გულში დაუგროვდა ბავშვობიდან, იმ დროიდან, როცა დანიელი გამარჯვებული იერით ჩაიქროლებდა ხოლმე მათ სოფელში, დარწმუნებული, ეს სოფლის გოგო - დიახ, ის მაშინ სოფლის გოგო იყო - მთლად ჩემიაო. მაშინ დანიელს ფეხებზე ეკიდა მარტინა, ის მკაცრი იყო და ბრწყინვალე, როგორც მოტოციკლი, მუზარადი და ჩექმები... მაშასადამე, დანიელი ფიქრობს, როგორ მოიშოროს თავიდან მარტინა? კეთილი, მარტინა უჩვენებს სეირს!

## მამლის ყივილი

დანიელი პარიზისკენ მიაქროლებდა მანქანას და სულ მარტინაზე ფიქრობდა... მაოტინას სიყვარულის ანაქრონიზმზე... როდესაც დანიელი პირველად აღმოჩნდა მარტინასთან ერთად ოტელის ოთახში, იგრძნო, ჩემ წინ ვნების უძირო უფსკრული გადაიშალა, ღამეული ტყის მსგავსიო. მარტინა ამ ბნელი ტყის პირას იდგა და მგზავრის შეტყუება უნდოდა. დანიელი ქალს ტყეში შეჰყვა ის ხომ ვაჟკაცი იყო! XX საუკუნეში ღამის აჩრდილების აღარ სჯერათ, დანიელი სწავლული იყო, მაგრამ სწავლული რომანტიკოსი. მაშინ მოეჩვენა, მარტინას საიდუმლო, ფანტასტიკური არსებებით აღსავსე ქვეყანაში მივყავარო. მარტინას სიყვარული როდი იყო პლასტმასური, სერიული სიყვარული, მას რაღაც უჭკნობი, განუმეორებელი, მარადიული დაჰკრავდა. დანიელი, რომელიც მთლად ჩვეულებრივი ადამიანი არ გახლდათ - ის იყო გლეხი და, ამავე დროს, რაინდიც - აღაფრთოვანა მარტინას სიმტკიცემ და ურყეობამ. მან მარტინა

ცოლად შეირთო. და მაშინვე, როგორც ეს ზღაპარში ხდება. პირჯვრის გადაწერის ან მამლის ყივილის შემდეგ, მარტინა გადაიქცა ჩვეულებრივ გულცივ და ეგოისტ „მეშჩანად“. მის საზრდოს შეადგენდა პლასტმასური სურვილები და ნეილონური ოცნებანი. ტყეში დაკარგულ მარტინას თანამედროვე კომფორტის, შედარებით კარგი ხელფასისა და შეუდარებლად დიდი ვალების პირობებში, ისეთი სულელურ ზრუნვათა და ისეთი ვიწრო თვალთახედვის არე აღმოაჩნდა, რომ სწორედ საკვირველი იყო, როგორ ახერხებდა ეარსება და არ დასჯახებოდა თავისი საოცრად ვიწრო სამყაროს კედლებს. ერთ დროს დანიელი აღტაცებაში მოჰყავდა მარტინას გონებას, ცხოვრების სხვადასხვა დარგში გარკვევის უნარს. ვაჭრობაშიც და ხელოვნებაშიც მარტინამ ძალიან სწრაფად შეითვისა, ე.წ. კარგი ტონი და ისწავლა სწორად ლაპარაკი... ახლა დანიელი ხედავდა, რომ ეს მხოლოდ მისი განსაცვიფრებელი მეხსიერების ნაყოფი იყო. ცხენს მეხსიერება უწევს გონების მაგივრობას, მაგრამ ადამიანს... ის, რომ მარტინას შეუძლია ზეპირად ისწავლოს მცირე, ან თუ გნებავთ, დიდი ენციკლოპედია, არაფრის დამამტკიცებელი არ იყო, ბოლოს და ბოლოს ის, უბრალოდ, აკვიატებული აზრებითაა შეპყრობილი და დანიელიც ისეთივე აკვიატებული აზრია მისთვის, როგორც წესრიგის, სისუფთავის სიყვარული და ბრიჯი. ოჰ, რას არ დაუმტკიცებ შენს თავს, როცა ახალგაზრდა ხარ და საოცარი სილამაზის ქალი გიყვარს? ჟინეტა მართალია, მარტინა, მათრახის მოქნევასავით, არასასიამოვნო და გულცივია, მას არავინ და არაფერი უყვარს, კომფორტის გარდა. ჟინეტა იმასაც ამბობდა, რომ მარტინა ისეთი ლამაზი აღარაა, სწორედ იმიტომ,

რომ გულცივობა დაეტყოო... გული არა აქვს, თორემ კარგა ხნის წინ უნდა ეგრძნო, რომ დანიელი ღალატობს. აი, ჟინეტა - ჩვეულებრივი თავქარიანი ქალია, ასეთები საკენკივით ყრია, სანდომიანი, ნაზი, რბილი ხასიათის და ალბათ, გული აქვს, რადგან მშვენივრად გრძნობს, როცა დანიელი ღალატობს. ჟინეტა ეჭვიანობდა, შავ დღეს აყრიდა დანიელს. ნუთუ ეგონა, რომ დანიელი მისი ერთგული იქნებოდა?.. დანიელი დიდხანს იყო მარტინას ერთგული, ჯერ იმიტომ, რომ უყვარდა მარტინა, ხოლო მერე იმიტომ, რომ პატივს სცემდა მარტინას სიყვარულს. მაგრამ ჟინეტა არ იყო არც პირველი და არც უკანასკნელი, რომელთანაც დანიელი ღალატობდა მარტინას იმის შემდეგ, რაც თავი დაანება მის ძებნას ტყეებში და სასტუმრო-სასადილოს კომბინირებულ გარნიტუში იპოვა. თუ მარტინას არ მივიღებთ მხედველობაში, დანიელისთვის ქალებთან ურთიერთობა პრობლემას არ წარმოადგენდა. თაფლი იყოს, თორემ ბუზი საიდან არ მოვა...

ასეთი იყო, დაახლოებით, დანიელის ფიქრები, როცა მას მანქანა მიჰყავდა; ერთი კვირის შემდეგ ის ნიუ-იორკში მიემგზავრებოდა და ერთ წელიწადს თუ მეტს ამერიკაში დარჩენას აპირებდა, რათა შეედარებინა ვარდების ზრდისა და მოვლის ამერიკული და ფრანგული წესები. ბ-ნი დონელი-უფროსი შესამჩნევად მოხუცდა, დანიელმა უნდა იჩქაროს, ვიდრე ფერმის დატოვების შესაძლებლობა აქვს. ყოველ დონელს „დონელების მებაღეობის“ ფირმიდან გულთბილი მიღება მოელოდა ქვეყნის ყოველი მხარის მებაღეთა შორის. მაგრამ დანიელ დონელი, გამოჩენილი დანიელ დონელის შვილიშვილი, უკვე თვითონ გახდა ცნობილი შესანიშნავი ნაშრომებით გენეტიკაში და ერთ-ერთმა მსხვილმა ფირმამ, რომელიც ვარდების მოშენებას მისდევდა კალიფორნიაში,

დანიელი ცდების ჩასატარებლად მიიწვია. ამ ფერმაში წელიწადში 17 მილიონი ვარდის ბუჩქი იზრდებოდა, იმ დროს როდესაც საფრანგეთის მთელ მებაღეობას წელიწადში მხოლოდ 15 მილიონი ვარდის ბუჩქის გაზრდა შეეძლო. იქ გამოკვლევები და ექსპერიმენტები ძალიან ფართო მასშტაბით წარმოებდა, რადგან საამისოდ განუსაზღვრელი პირობები იყო. ხოლო ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ დანიელი სათავეში ჩაუდგება „დონელის მებაღეობას“. ასეთი გეგმები გამოიმუშავა მამა დონელმა დანიელთან ერთად.

დანიელმა არ იცოდა, როგორ შეხვდებოდა მარტინა ცნობას მისი გამგზავრების შესახებ. ფრთხილად ეტყვის მარტინას, ცოტა ხნით მივემგზავრები და ძალიან მალე უკან დავბრუნდებიო. შეეძლო ისე წასულიყო, არც დამშვიდობებოდა მარტინას, მაგრამ ეს უფრო გაქცევას დაემსგავსებოდა და არა გამგზავრებას. ვერაფერს იტყვი, როგორ დაიჭერს თავს მარტინა... მას შეუძლია უბრალოდ თქვას: „ჰო, შენ მიდიხარ.“ და სხვა რამეზე გადაიტანოს საუბარი, მაგრამ ასევე შეუძლია განაცხადოს: „არ გაგიშვებ!“ ანდა „მეც შენთან წამოვალ...“ მართალია, უკანასკნელი ვარიანტი განუხორციელებელი იყო, რადგან მარტინას არც სათანადო პასპორტი ჰქონდა და არც ვიზა, მაგრამ დანიელს უნდოდა თავიდან აეცდინა ასეთი შელაპარაკება. ერთი გადაიტანა - ჟინეტას წაეკინკლავა.

დანიელმა გააჩერა მანქანა მარტინას სახლთან. ჟინეტასთან გათამაშებული სცენის შემდეგ ისე იყო დაღლილი, რომ გადაწყვიტა ესარგებლა ლიფტით, რომელიც, ჩვეულებრივად, არ უყვარდა. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა. მარტინა,

ალბათ, ჯერ არ დაბრუნებულა ბრიჯის ყოველდღიური პარტიის შემდეგ. ოღონდ კი სახლში არ დაუხვდეს მოთამაშეები! თუ შინ არავინ იქნა, დანიელი დაიცდის. ღამეს აქ გაათევს. ალბათ, მარტინას მოსვლამდე ჩაეძინება და საუბარი წასვლის შესახებ ხვალისთვის გადაიდება. ორი სცენა, ერთი მეორის შემდეგ, - მეტისმეტია, ამასთანავე დანიელი იმედოვნებდა, რომ დილით მათი საუბარი უფრო წყნარად ჩაივლის. მარტინა ყოველთვის პუნქტუალურია და სამუშაოდ წასვლას ჩქარობს.

დანიელმა კარი თავისი გასაღებით გააღო. მარჯვნივ, საწოლ ოთახში სინათლე ენთო, მარცხნივ, სამზარეულოს კარი ღია იყო და იქაც ენთო სინათლე... დანიელმა დაიძახა: - მარტინა! - და საწოლ ოთახში შევიდა. იქ უცნაური უწესრიგობა სუფევდა; ტანსაცმელი იატაკზე ეყარა, ლოგინი აშლილი იყო...

ღამის პერანგით მარტინა გამოვიდა სააბაზანოდან. თმა გასწეწოდა, ლოყები ჩაცვენილი ჰქონდა.

- რა მოხდა? - დანიელი გაკვირვებული შესცქეროდა მარტინას, არასოდეს ენახა იგი ასეთ დღეში...

- ავად ვარ, - მარტინა ლოგინზე დავარდა.

- რა მოგივიდა? რა გტკივა?

- მგონი, ღვიძლი...

- დაწექი, როგორც წესი და რიგია, საბანი დაიხურე!.. რა მოგიტანო? სათბური?

მარტინა ყველაფერს ყაბულს იყო, ოღონდ კი დანიელს მოევლო მისთვის. დანიელმა სათბური მოუტანა, და ეს მალამოდ დაედო მის ჭრილობას. დანიელმა საბანი გაუსწორა, იატაკიდან ტანისამოსი აიღო, ერთმანეთის გვერდით დაალაგა ფეხსაცმელები, ერთი მათგანი სკამქვეშ იპოვა, ხოლო მეორე - კართან... „გეტყობა,

რომ ძალიან გტკივა, - ამბობდა დანიელი, - სიცხე გაიზომე? ეგებ ექიმი მოგვეყვანა?“ შესაძლოა, დანიელს ჯერ კიდევ უყვარს მარტინა და არ უღალატნია არც ჟინეტასთან და არც სხვა ვინმესთან? ინტონაცია რა იმისთანა უტყუარი საბუთია, სასამართლო მას მხედველობაში არ მიიღებს. დანიელმა რომ იცოდეს, რა ხდება მარტინას გულში, ბევრს იცინებდა, გიჟი ხარო - ეტყოდა. სათბურმა ნეტარი სითბო მოგვარა მარტინას მთელ სხეულს და ეს სითბო გულსაც მისწვდა. დანიელს გული აუჩუყდა, როცა მარტინას თვალებზე ცრემლები დაინახა.

- კიდევ გტკივა, ჩემო ტყეში დაკარგულო გოგონავ?

- არა, იმიტომ ვტირი, რომ უკვე აღარ მტკივა...

დანიელმა თანაგრძნობით ჩაიქნია თავი.

- რა საძაგლობაა ეს ღვიძლის შეტევები. ჩაის დაგიმზადებ.

- არა, დაწექი აქ...

დანიელმა დაუჯერა, ტანთ გაიხადა, დაწვა და გულთან მიიხუტა მარტინა. მარტინა ისევ ატირდა, მაგრამ ეს კეთილი ცრემლი იყო, სათბურივით თბილი; დიდი ბედნიერება შაქარივით დნებოდა მის გულში და ცხელ სისხლს მთელ სხეულში მიმოჰქონდა. განა შეიძლება ეჭვი აიღო ადამიანზე რაღაც ინტონაციის გამო? ახლა თვითონ მარტინა ფხიზლად იქნება, თვალყურს მიადევნებს.

იმ საღამოთი დანიელს არაფერი არ უთქვამს, რადგან შეეშინდა, ჩემი გამგზავრების ამბავმა ცუდად არ იმოქმედოს მარტინაზეო. დილით მარტინა ჩვეულებისამებრ შვიდ საათზე ადგა. ჩუმად წამოდგა, ფარდები არ გაუხსნია, დანიელს არ გაეღვიძოსო, ვიდრე სააბაზანოში ტანთ ჩავიცვამ და საუზმეს მოვამზადებო... დანიელს არ ეძინა, ის ფიქრობდა, როგორ

ეცნობებინა მაოტინასთვის ამერიკაში გამგზავრების ამბავი, წყნარად ეკოცნა, დამშვიდობებოდა... საბრალო მარტინეტა!

მარტინამ გამოალაგა სამზარეულოს მაგიდაზე ფინჯნები საუზმისათვის, ყავადანი, საშაქრე, - საგანგებოდ შერჩეული სქელი ქაშანურის სერვიზი, გარედან ღია მწვანე, ხოლო შიგნიდან - შავი. ამ ფინჯნებს ისეთი მოკლე ყურები ჰქონდა, რომ დანიელმა იმავე დღეს გააგდო ხელიდან თავის ფინჯანი, რა დღესაც მარტინამ სერვიზი იყიდა და ფინჯანს ყური მოტყდა. მარტინას გული დაწყდა ფინჯნის ასევე დამახინჯეჰით. თუმცა დანიელ რწმუნებდა, სწორედ უყურო ფინჯნები მიყვარსო. მარტინა დამტვრეულ ნივთებს ვერ იტანდა და ოცნებობდა ახალ სერვიზზე. მან კიდეც შეარჩია ერთი ლამაზე სერვიზი პრიმავერთან. დანიელს ორი ხელით ეკავა თავი  უყურო ფინჯანი. როგორ უყვარდა მარტინას, როცა დანიელი დილაობით იჯდა ასე, დაჭმუჭნილ პიჟამაში, ცალფეხმოკეცით და სულს უბერავდა ცხელ ყავა იმ დროს, როცა მარტინა მისთვის პურზე კარაქს აცხებდა.

-დღეს უკეთ ხარ, ჩემო ბებრუხანავ?

მარტინა კარგად იყო, ოღონდ ფეხებში გრძნობდა ოდნავ სისუსტეს. იჯდა გამხდარი, თვალებჩაცვენილი, ჩამუქებული ქუთუთოებით... მაგრამ ისეთივე მხნე, ენერგიული, როგორც ყოველთვის.

- როგორ ჩაგილურჯდა თვალები!.. - თქვა დანიელმა - ამნაირად დავარცხნილი თმა გიხდება... არ მინდოდა გუშინ მეთქვა შენთვის... ისედაც ავად იყავი. მე საქმეებზე მივემგზავრები ამერიკაში.

- დიდი ხნით? - მარტინამ პურის ნაჭერი დანიელის თეფშზე დასდო.

- არ ვიცი.

- მარტო მიდიხარ?

- რა თქმა უნდა... - დანიელს გაუკვირდა ეს კითხვა. - მე დელეგაციას როდი მივყვები, პირადი მოწვევა მივიღე კალიფორნიის ფირმისგან.

მარტინას დელეგაციაზე არ უფიქრია, ის ჟინეტაზე ფიქრობდა. თუკი დანიელი მარტო მიემგზავრება, მაშინ ყველაფერი, რასაც მარტინა ვარაუდობდა, სისულელეა. ახლა თითქმის უხაროდა, რომ დანიელი შორს იქნება ამ ქალბატონისგან. ვთქვათ, მათ შორის კიდევაც იყო რაღაც, ამან მაინც ხელი არ შეუშალა დანიელს თავისი გზით წასულიყო, თითქოს აქ არაფერიაო.

- როდის მიემგზავრები? - მარტინა წყნარად სვამდა ყავას.

- ზეგ... მატარებელი ადრე მიდის ჰავრისკენ, პირდაპირ ფერმიდან წავალ სადგურზე. დღეს გამოგემშვიდობები. შენ გაქვს ავტომანქანის თვიური შესატანი თანხა? მე ცოტაოდენი ფული ჩამოგიტანე.

- ცოტა ფული დამჭირდება...

მარტინამ არ უთხრა დანიელს, რომ ერთი სუც კი არ გააჩნდა არა მარტო ავტომანქანის ფულის, არამედ სხვა ნივთების საფასურის გადასახდელადაც. მარტინა ისე ჩაეფლო ვალებში, რომ ვერავითარ გამოსავალს ვეღარ ხედავდა, ამოიწურა ყველა საშუალება. ყველაზე მსხვილი შესატანი მანქანისა იყო და დანიელის ფული ძალიან დაეხმარებოდა. უკვე დიდი ხანია, დანიელი არ ჩარეულა მის საქმეებში. კრედიტი - ეს რაღაც უფსკრულია, ის ძალიან ძვირი ჯდება. როცა ნისიად ყიდულობ, გგონია, რომ ყველაფერი შეგიძლია, მდიდარი ხარ, ნამდვილად

კი...

დანიელი დაწყნარებული დაემშვიდობა. მარტინამ აკოცა და უთხრა:

- წადი... მაგრამ არ დამივიწყო. თუ დამივიწყებ, მიფრთხილდი! ღმერთი იყოს შენი მფარველი...

რაღაც მეტისმეტად საზეიმოდ იყო თქმული. მაგრამ ასეთი რამ მარტინამ უწინაც იცოდა.

## ღამის ბოდვა

ვიდრე დანიელი ამერიკაში იყო, მარტინა ყოველნაირად ცდილობდა ვალიდან თავი დაეღწია. მაგრამ ვერაფერს გახდა, ვერაფერი მოხერხდა. მართალია, მარტინამ ერთბაშად დიდი თანხის მოგების იმედით სატელევიზიო კონკურსში მონაწილეობის სურვილი განაცხადა, მაგრამ საქმე სრული მარცხით დამთავრდა. მას მხედველობიდან გამოეპარა, რომ უკვე დიდი ხანია რადიოს მოსმენის დრო აღარ ჰქონდა, ახალ ფირებს აღარ ყიდულობდა და ამასობაში გაჩნდა ახალი სიმღერები, სახელი გაითქვეს ახალმა შემსრულებლებმა. თითქოს განზრახ, ყველა კითხვა, რაზედაც უნდა ეპასუხა, ახალი მოდის სიმღერებს ეხებოდა. წამყვანი, რამდენადაც შეეძლო, ცდილობდა დახმარებოდა მარტინას, მაგრამ მოაგებინა მხოლოდ ერთი კოლოფი საპონი, სხვა არაფერი. ისინი, ვინც დაინახეს მარტინა და მოუსმინეს მას, ოხუნჯობდნენ: რას ეჩხირებოდა, რად გაიმასხარავა თავი, რა მისი საქმე იყოო.

„ეს უკვე შენი ხნის ქალს აღარ შეეფერება...“ - უთხრა მას ჟინეტამ. მარტინა ხშირად ხვდებოდა მას, აკვირდებოდა,

თვალყურს ადევნებდა. ჟინეტაზე თითქოს წაუწერიათ: „უფრთხილდით! სასიკვდილოა! საკეტს ნუ შეეხებით!“ მაგრამ მარტინა, შიშით ათრთოლებული, მაინც სინჯავდა საკეტს: აგერაგერ კარი გაიღება და მაშინ...

პირველ რიგში სარეცხი მანქანა წაიღეს. კაცმა რომ თქვას, ის მარტინას არც კი ჭირდებოდა. რა თქმა უნდა, ენანებოდა გადახდილი ფული: კიდევ სამი თვე, რამდენიმე ათასი ფრანკი და სარეცხი მანქანა მისი საკუთრება გახდებოდა. როცა პატარა სამზარეულოში სარეცხი მანქანა იდგა, გასანძრევი ადგილი აღარ რჩებოდა, ახლა მეტი ხალვათობა იყო, მაგრამ ცარიელი კუთხე თითქოს სულ ახსენებდა მარტინას კონკურსზე დამარცხდიო, ახსენდებოდა, როგორ იდგა ის იქ ენაჩავარდნილი, როგორ ვერ უპასუხა ვერც ერთ კითხვაზე.

მალე ვერცხლეულის რიგიც მოვიდა, ხოლო სასტუმრო ოთახის მოწნილი ავეჯი არ წაუღიათ, რადგან ის საკმაოდ ნახმარი იყო. აქ მარტინას სხვა უსიამოვნება ელოდა. ნეტავი სულის მოთქმის საშუალება მისცენ... ასეა თუ ისე, ავეჯი ლამაზი იყო! განსაკუთრებით ლამაზად მოჩანდა იგი აივნის გადაბარდნილი სუროს ფონზე, რომელიც რიკულებს ფარავდა და აივნის კარზედაც გადმოვიდა... ქ-ნი დიუპონიც კი შურით შენიშნავდა, რა მშვენიერი სურო აქვსო მარტინას... სესილმა აჩუქა დაბადების დღეს ლითონის მსუბუქი სკამები აივნისათვის და, როცა აივნის კარი ღია იყო, ბაღის სრული შთაბეჭდილება იქმნებოდა. სესილი და პიერ ჟენესკი ახლა იშვიათად ნახულობდნენ მარტინას. სესილი დღე-დღეზე მოსალოგინებელი იყო. ისინი ორთავენი ბრიჯის კარგი მოთამაშეები იყვნენ და ქალი ქმარზე უკეთესადაც კი

თამაშობდა, რაც საკვირველი იყო ასეთი ნაზი და ვარდისფერი სადაფის მსგავსი არსებისგან. მარტინა ათას ხრიკს იგონებდა, ერთგან სესხულობდა, რათა მეორე ადგილას ჩაესესხებინა. მან ნამდვილი ბუღალტერია წამოიწყო, რომ ანგარიშები არ არეოდა, წვრილმანებში მომჭირნეობდა. ერთი წლის შემდეგ ყველა ვალი გასტუმრებული ექნება, ოღონდ კი არ ჩაიფუშოს ყველაფერი. მარტინა თითქოს გაჭიმულ მავთულზე დადიოდა, წონასწორობა უნდა დაეცვა, რომ არ გადმოვარდნილიყო. გაუფრთხილებლობამ ჩააყოფინა ცხვირი კრაზანების ბუდეში. მეტი სიმშვიდე - და მარტინა ისევ მოაწესრიგებს თავის ცხოვრებას.

დანიელმა თითქოს შეასრულა მარტინასთვის მიცემული დაპირება, სამი თვის შემდეგ ჩამოვიდა შეერთებული შტატებიდან. ნამდვილად კი დანიელი იმიტომ ჩამოვიდა, რომ იქ ერთ ქალს შეხვდა, რომელიც ძლიერ შეუყვარდა. ის სწორედ იმ მებაღეობის ფირმის მეპატრონის ქალი იყო, რომელმაც დანიელი შეერთებულ შტატებში მოიწვია. ქალმა სტაჟი გაიარა ვერსალის იმ მებაღეობის სკოლაში, სადაც უწინ დანიელი სწავლობდა და ახლა შინ დაბრუნებულიყო. დანიელი იმიტომ ჩამოვიდა სასწრაფოდ საფრანგეთში, რომ მარტინას გაყროდა.

ვერაფერი ვერ შეედრებოდა იმ აფეთქებას, რაც მოხდა მათ ბინაში, როცა დანიელმა სულ უბრალოდ მოსთხოვა მარტინას, გავქორწინდეთო. დანიელის წინაშე უეცრად წამოიჭრა დიდი შავი ფრინველი. ის აქეთ-იქით აწყდებოდა, ფრთების ტყლაშუნით აყირავებდა ნივთებს. ავეჯს, კედლებს ეხლებოდა... არა, ეს ფრინველი არ იყო - ის უფრო ღამურას ჰგავდა! დიახ, ეს დღის სინათლით დაბრმავებულ ღამურას გაცოფებული ფრენა იყო,

დრო-დრო იელვებდნენ მისი წვეტიანი ფრთები. ობობასავით საშინელი, გაშმაგებული და ჯოჯოხეთური იყო, საშიში, როგორც მისი დაქსელილი ხაფანგის მტვრიანი ძაფები, როგორც ადამიანის თმებში ჩაბღაუჭებული მხეცის ბრჭყალების სასიკვდილო წაჭერა. არა ფრინველი, არა მხეცი. არამედ ქალი დაბორგავდა ზღაპრული ურჩხულებით სავსე ბნელი სამყაროს კიდეზე. ეს ურჩხულები დახტიან, დაფრინავენ, ლორწოსა და ცეცხლს აფრქვევენ. იკბინებიან, იფხაჭნებიან ანდა მთლიანად ნთქავენ თავიანთ ნადავლს, კბილებს აღრჭენენ, შხამიანი ენა გადმოუყვიათ, ხახა დაუღიათ.. ღამურები გაშმაგებით ფრენენ და ფრთების სამართებლით ჰკვეთავენ ჰაერს წყვდიადის კიდესთან, ვერც სინათლეზე გამოჩენას ბედავენ და ვერც იქ. ქვევით უფსკრულში ჩაშვებას.

დანიელი ისევ იმ დაბურულ ტყის პირას აღმოჩნდა, სადაც ოდესღაც შეიტყუეს. მაგრამ იმხანად მარტინა იდუმალი სამყაროს კარიბჭესთან იდგა და ლამაზი, ძალიან ლამაზი ქალის სახე ჰქონდა... ხოლო ახლა მარტინა ღამურად გადაიქცა და მისი ბნელი სამეფო აღარ იზიდავდა დანიელს. მან ჰპოვა ქალი, რომელთანაც უნდა ეცხოვრა დღის სინათლეზე და ურომლისოდ ქვეყნიერებას ფასი არ ჰქონდა. მასთან ცხოვრება ისე აღსავსე იყო სიხარულით, რომ დანიელს სიკვდილის ფიქრმა გაუელვა: ისე ბედნიერი იყო, რომ სიკვდილის ეშინოდა, დანიელის ცხოვრებაში მარტინასთვის ადგილი აღარ დარჩა. ის მხოლოდ დაბრკოლება იყო: რაც შეიძლება სასწრაფოდ თავიდან მოსაცილებელი დაბრკოლება. დანიელის უბის წიგნაკში ეწერა: „დაბადების მოწმობა, სამხედრო ბილეთი, მარტინა, მებაღეობის სკოლა, პერანგები, საყელოები...“ და ქვევით, ორჯერ

ხაზგასმული სტრიქონი: „ოდა“, „ოდეკოლონი ლავანდი“. ეს იყო სურნელი მარიონისთვის.

დანიელი არ მოელოდა ასეთ აფეთქებას, ასეთი გამანადგურებელი ძალის ჭურვს. ის ფიქრობდა, რომ მარტინა ჯერ იტირებს, მერე აღშფოთდება, იყვირებს... მათ შორის ხომ დიდი ხანია, რაც ყველაფერი გათავდა, ამიტომ ქალი სწრაფად უნდა დამშვიდებულიყო. მარტინა ისეთი გულცივი, ეგოისტური გახდა. და აი... ყველაფერი, რაც მის თვალწინ დატრიალდა, ღამის ბოდვას წააგავდა.

დანიელმა წინა ოთახისკენ დაიხია... აივანზე გასვლა ვერ გაბედა, შეეშინდა, მარტინა ფრთებს დამკრავს და იქედან გადამაგდებსო. კარ-ფანჯრის დაკეტვაც კი ვერ მოასწრო, ვიდრე ქარიშხალი ბინაში აპოგეას მიაღწევდა. შემდეგ ის მიეკრა პატარა წინაოთახის კარს და გაშეშდა, მას შეეძლო ჩუმად გაპარულიყო კიბისკენ, მაგრამ ეს თავშიაც არ მოსვლია: როგორ შეიძლება ბინიდან გაქცევა, როცა ფარდებს ცეცხლი მოეკიდა? ის უნდა დარჩეს, შესაძლოა, გადააფაროს მარტინას საბანი, პალტო, დაუგდოს ფეხებში ტაბურეტი. მაგრამ იქედან, სადაც ის იყო ატუზული, ვერაფერს მიწვდებოდა... რაკი მარტინა მას თავს არ ესხმის, ყველაფერზე გონივრულია - არ გაინძრეს და უცადოს, როდის გამოეცლება ძალ-ღონე. ყოველივე ეს საზარელ სიჩუმეში ხდებოდა, არც ერთი ამოკვნესა. მხოლოდ ეს გიჟური ფორიაქი, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მარტინას მსგავსებას ღამურასთან.

უცებ ქალი დაეცა, გაიტვრინა იატაკზე გაშოლტილი და კვლავ ადამიანური სახე მიიღო. დანიელი შეინძრა, ნაბიჯი გადადგა, მიუახლოვდა და დაიხარა. „მარტინა!“ – დაუძახა მან. მარტინას სახე ტკივილისგან დაემანჭა, წამოდგომას შეეცადა, ვერ შესძლო და

საწოლისკენ გახოხდა. დანიელი დაეხმარა, ლოგინში ჩააწვინა და წყალი მიუტანა. მაგრამ მარტინამ ისეთი ძალით ჰკრა ხელი ჭიქას, რომ წყალი დაიღვარა. როგორც იქნა, ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა.

- არამზადა. სალახანა, გათახსირებულო. გარყვნილო, ოხერო... სიცოცხლე გამიმწარე, უსქესო არსებად გადამაქციე.. მე ახლა მხოლოდ ნივთი ვარ. უსულო საგანი. ნაძირალავ, ოღრაშო, მამიკოს განებივრებული შვილიკო, ექსპლოატატორო, სისხლისმსმელო... მე, მე როგორღა ვიცხოვრო, რა მომივა? მეც ქალი ვარ. ვცხოვრობდი კაცთან, რომელსაც არ ვჭირდები. რომელსაც მხოლოდ ჩემს ლოგინში ეძინა და არ ვუყვარდი... ოცი წლის კი არა, ოცდაშვიდი წლისა ვარ, ეს ქალის გაფურჩქვნის დროა, და შენი წყალობით შინაბერას დავემსგავსე... წყეულო იმპოტენტო. ბილწო ადამიანო... პოლიციაში წავალ. სამინისტროებში ნაცნობები მყავს. დაგიმტკიცებ... რომ ქმრის მოვალეობას... შენ გადამაქციე უნაყოფოდ. შენს გამო აღარავის ვჭირდები. მე მზეთუნახავი ღმერთქალი... ნიკა სამოთრაკიელი... დამსხვრეული, წაქცეული... ნისიამ დამღუპა... მისი შეღავათების სიძნელეებმა... შენი ვარდებიც თურმე ნისია იყო. ეს ვარდებიც წამართვი, არამზადავ! ისე, როგორც წამართვეს სარეცხი მანქანა... მიჩქმიტე, თორემ მე თვითონ ვუჩქმეტ ჩემს თავს, რომ დავრწმუნდე ცოცხალი ვარ თუ არა, ცხადია ეს თუ საშინელი სიზმარი... ჟინეტას ვკითხავ. როგორ ეალერსებოდი... წაუღე შენს საცოლეს რეკომენდაცია უკანასკნელი ადგილიდან. ჟინეტასგან... საცოლე! ჩემს ქმარს საცოლე ჰყავს!

და ისევ მოჰყვა უწმაწურ გინებას. განუწყვეტლად ისმოდა

საზიზღარი, უდიერი სალანძღავი სიტყვები. დანიელმა გახსნა ჭიქაში დასაძინებელი წამლის სამმაგი დოზა. მარტინამ თქვა: „გმადლობთ...“ და ჭიქა ბოლომდე დაცალა.

- ახლა დაიძინე... მე აქა ვარ.

მარტინას მალე ჩაეძინა. დანიელი აქეთ-იქით დადიოდა ბინაში. რა ცუდია, რომ ტელეფონი არაა... ექიმის დაძახება ემჯობინებოდა. ამ აღგზნებაში სიმულაციის წილიც რომ ერიოს, მაინც საჭიროა ზომების მიღება, რათა ასეთი შეტევა არ განმეორდეს. ზომების მიღება? რა ზომების მიღებაა შესაძლებელი ბოდვის წინააღმდეგ?... დანიელი მწვავე სიბრალულსაც გრძნობდა და ზიზღსაც. მარტინამ მას ბევრი უსიამოვნება მიაყენა, ბევრი წყენა შეახვედრა, მაგრამ ეგებ თვით დანიელიცაა დამნაშავე?.. ალბათ, ასეცაა. ახლა უკვე გვიანაა ამაზე ფიქრი, ახლა დანიელი მთლად მარიონის სიყვარულით იყო გამსჭვალული, მოეხიბლა მარიონის ენერგიას, მხიარულებას, მის ინტელექტს და გამჭრიახობას, მის სპორტსმენულ, მკვრივ სხეულს... მარიონის ლურჯი თვალები! როგორც დაინახავ, მაშინვე შეამჩნევ ამ საოცარ თვალებს... და ახალგაზრდული, ჯანსაღი, მხიარული სიცილი... მარიონი როდია მზეთუნახავი, ანდა ჰოლივუდის ვარსკვლავი, მაგრამ ის მშვენიერია როგორც ქალი და მოგესურვება მასთან გაატარო მთელი ცხოვრება, ყველა დღე და ყველა ღამე... ეს ასეც მოხდება... ახლა უკვე გვიანღაა ფიქრი, ვინაა მართალი და ვინაა მტყუანი - ის თუ მარტინა. ახლა დანიელი მიილტვის მარიონისკენ, ხოლო მარიონი - მისკენ, ისე როგორც პატიმრები მიისწრაფვიან თავისუფლებისკენ. ვერავის ძალუძს დაარწმუნოს ისინი, საპყრობილეში უნდა დარჩეთ, რაკი იქ ჩაუმწყვდევიხართო. არავითარ ძალას არ შეუძლია წინ აღუდგეს ორი არსების

გაერთიანების სურვილს, ისინი ცხედრებზე გადაივლიან და თავიანთ ბედნიერებას მაინც მიაღწევენ. დანიელი გზიდან ჩამოიცილებს მარტინას, თუკი ის წინ აღუდგება მის კავშირს მარიონთან. მაგრამ ამ წუთში მარტინა მხოლოდ უბედური, საცოდავი არსებაა, რომელსაც მოვლა სჭირდება, ის ხომ ავადაა... რას იზამ...

დანიელი ჩაეშვა მოწნილ სავარძელში. კომბინირებული გარნიტურის დივანი უფრო მოსახერხებელი იყო, მაგრამ ის უკვე აქ აღარ არის. დასაძინებელი წამლის შემდეგ მარტინას ისე ღრმად ჩაეძინა, რომ დანიელმა გადაწყვიტა, ძირს ჩავალ და ექიმს გამოვუძახებო. შესაძლოა, ექიმი აღარც კი იყოს საჭირო, ახლა მარტინა მშვიდადაა. მაგრამ დანიელი მაინც ჩავიდა კაფეში და იქედან ექიმს დაურეკა. ექიმი დაპირდა, დილით შემოვივლიო. დანიელს წარმოდგენა არ ჰქონდა, რადენად საიმედო იყო ეს ექიმი, როგორღაც ჟანთან გაიცნო და მის გარდა სხვა ექიმს არ იცნობდა.

დანიელი ისევ ზევით ავიდა, ბინაში სიწყნარე იყო, მარტინას ეძინა. დანიელი ტანისამოსის გაუხდელად მის გვერდით დაწვა.

უკვე გათენებულა... რომელი საათია? რამდენი ხანია, რაც საწოლთან დაჩოქილი მარტინა თვალს არ აშორებს მძინარე დანიელს?

- რატომ დაიძინე ტანჩაცმულმა? - იკითხა მარტინამ, როგორც კი დანიელმა თვალი გაახილა.

დანიელი ფრთხილად გაინძრა, თითქოს მის წინ გალიიდან გამოქცეული საშიში ნადირი ყოფილიყოს.

- შენ ავად გახდი...

- ავად გავხდი? მატყუარა! მე ავად არა ვარ. უბედურება ავადმყოფობა არაა. არა, ნუ ადგები.... ასე უფრო შევძლებ პირში მიგაფურთეო.

მარტინამ მიაფურთხა. დანიელი წამოხტა ლოგინიდან, სილა გაარტყა ქალს. წააქცია... მერე სახე მოიწმინდა სკამის ზურგზე ჩამოკიდებული შარფით, რომელიც მარტინამ იქ დადო, სანამ ეს დრამა დაიწყებოდა. მარტინამ რაღაც წაისისინა, კატასავით ქეჩო აიყარა, მოიკუნტა და გააფთრებული თავდასხმისთვის მოემზადა. დანიელი მისდამი უკვე აღარავითარ სიბრალულს აღარ გრძნობდა, მის წინ საშიში მხეცი იყო, რომელიც უნდა გაუვნებელეყო.

ძნელი საქმეა. მარტინა ღონიერია... დანიელმა იგი სკამს მიაბა ამავე შარფითა და სარტყელით.

როცა ექიმი მოვიდა, ბინა აწიოკებული დაუხვდა... ყველაფერი თავდაყირა გადატრიალებული, დამსხვრეული, დამტვრეული... ამ ქაოსის შუაგულში იჯდა ქალი, მისი სხეული ოდნავ დაეფარა დახეული ღამის პერანგის ნაფლეთებს, ის ხელფეხშეკრული იყო, როგორც ეს ხდება ძველ ამერიკულ ფილმებში. ბ-ნი დონელი აგრეთვე შესაბრალისი სახით წარუდგა ექიმს: ფეხშიშველა, სახედაკაწრული, გახეული პერანგითა და დაჭმუჭნილი შარვლით... ექიმმა როგორღაც ისადილა ქ-ნ დონელთან ერთად სესილის ოჯახში, სადილის შემდეგ ბრიჯი ითამაშეს. მას დაამახსოვრდა, რა მშვენივრად თამაშობდა ქ-ნი დონელი, რა მშვიდი, თავშეკავებული ქალი იყო. მას ახსოვდა აგრეთვე დანიელ დონელი „დონელების მებაღეობიდან“. ჟანმა გააცნო, რომელიც აქებდა და ადიდებდა დანიელს. ექიმი აღელდა, ნახულმა სურათმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა ის ბევრის მნახველი კაცი იყო.

- სრულიად დაკარგა გონება, - თქვა ჩუმად დანიელმა, - მე დავიცდი მეორე ოთახში.

ექიმმა თავისი ინსტრუმენტი ამოიღო.

- ნებას მომცემთ, ნემსი გაგიკეთოთ, ქალბატონო? უმალვე შეღავათს იგრძნობთ.

- გამიკეთეთ, - მიუგო სკამზე მიბმულმა მარტინამ ჩვეულებრივი, ოდნავ ნაღვლიანი ხმით:

- ასე, - მიმართა ექიმმა ქალს და ეთერიანი ბამბა მარტინას ხელზე დააჭირა, - აი ნახავთ, სულ მალე უკეთ იქნებით.

- მე ისედაც კარგად ვარ, ექიმო. ნემსის გაკეთება უბედურებას ვერ უშველის. გამხსენით, ხომ ხედავთ, როგორ მომექცა ეს ხეპრე...

- რა თქმა უნდა! თქვენ დაწვებით, დაისვენებთ, არა?..

ექიმმა შეუხსნა მარტინას ხელ-ფეხი და ლოგინში ჩააწვინა. მარტინამ თითქმის მაშინვე ჩასთვლიმა, ხოლო ექიმი გავიდა დანიელთან, რომელიც სასტუმრო ოთახში ელოდებოდა.

- როგორაა? - ჰკითხა შეშფოთებულმა დანიელმა, - რა ემართება, როგორ გგონიათ?

- აქ ტელეფონი არ არის? სასწრაფო დახმარებაა გამოსაძახებელი... მე ძირს ჩავალ და დავრეკავ, ვიდრე არ სძინავს.

ექიმი კიბეზე ჩავიდა. როგორც ჩანს, მდგომარეობა სერიოზულად მიაჩნდა. მაშასადამე, ეს სიმულაცია არ ყოფილა? რატომ არაფერი არ უთხრა ექიმმა დანიელს? დანიელი შეეცადა ცოტათი მაინც წესრიგი დაემყარებინა ამ ქაოსში, სკამები ასწია, მოწმინდა ლარნაკებიდან იატაკზე დაღვრილი წყალი, გაიტანა ნამსხვრევები, აკრიფა გათელილი, ფურცლებდაცვენილი ვარდები...

მარტინას ეძინა საწოლ ოთახში. ის მძიმედ სუნთქავდა. დანიელმა აკრიფა მისი ნივთები, წინდები, დანიელს ხელში მარტინას კაბა ეჭირა და ისე შესცქეროდა მას: მარტინა პირაღმა იწვა, დანიელი ხედავდა მის პროფილს, ცრემლებით დასველებულ ლოყას, გაწეწილ შავ თმას... ის შეუდარებლად ლამაზი იყო, ასეთ ქალებს მხოლოდ კვარცხლბეკზე აღმართულებს თუ დაინახავთ მწვანე პარკებში. ეს კი ცოცხალი ქალია, ტყეში დაკარგული მარტინა, ის, რომელიც დანიელს სოფლის ქუჩებში უდარაჯებდა. გულაზიზი მარტინა სხვა ბავშვებთან ერთად იწვა დამპალ ჩალაზე და დაუბანელ ტანზე ვირთხები გადარბოდნენ... მარტინა კარებთან უცდიდა, სანამ დედა მოათავებდა საქმეს ხან ერთ, ხან მეორე კაცთან. გაცისკროვნებული სიზმრის მარტინა, რომელიც მას წაჰყვა, არაფერს არ ითხოვდა, თავაუღებლად მუშაობდა, ოღონდ კი ეყიდა ელასტიურ ზამბარებიანი საწოლი, ეს მოწნილი სავარძელი. ყველა ეს მბზინავი ნივთები. მარტინა, რომელსაც მის გარდა, არც ერთი კაცისთვის არ შეუხედავს... დანიელმა ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ამოეკვნესა, ხელედან გააგდო მარტინას კაბა, სამზარეულოში გავარდა და ონკანის ქვეშ შეჰყო თავი.

სადღაც კომოდში სუფთა პერანგი უნდა იყოს... დანიელი ქურდივით შეიპარა საწოლ ოთახში. გამოაღო უჯრა... ო, არა, შეეშალა! ეს მარტინას უჯრაა, შიგ ჩალაგებულია სურნელოვანი არშიანი ფაქიზი ნივთები. აბრეშუმის სატინის პარკი წინდებისთვის. მეორე ასეთივე ცხვირსახოცებისთვის... და ყველა ამ ნატიფ ნივთს შორის ფოსფორისცირებული ღვთისმშობელი. დანიელმა სწრაფად შეწია უჯრა, გამოაღო მეორე. იპოვა თავისი პერანგი და სამზარეულოში დაბრუნდა.

მართალია, გულს შემოსწოლია სიბრალული, გაბოროტება. აღელვება, მაგრამ ხომ არ იტირებს? სად დაიკარგა ეს ექიმი? აი, ლიფტის კარი გაჯახუნდა. დანიელმა სწრაფად კარი გაუღო, ვიდრე ექიმი დარეკავდა.

- ჰო, - თქვა ექიმმა, სასწრაფო დახმარების მანქანა ნახევარ საათში მოვა... ახლა ამიხსენით, რა მოხდა აქ?

დანიელმა შეიყვანა ექიმი მოწნილ სავარძლებიან სასტუმრო ოთახში, საწოლის კარი ღია დატოვა, რომ ლოგინში მძინარე მარტინა დაენახა. თუმცა ექიმი დანიელზე სულ ცოტა ხნით იყო უფროსი, ოცდაათი წლის თუ იქნებოდა, მაგრამ მრგვალთავა დანიელი, მოკლედ შეკრეჭილი თმით, დირექტორთან გამოძახებულ დამნაშავე მოწაფეს ჰგავდა...

- რა მოხდა? ჩვენ უკვე ათი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ, ხოლო ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობთ... და აი, როცა ვუთხარი, უნდა გაგეყარო და სხვა ქალი შევირთო-მეთქი, თითქოს ჭკუიდან შეიშალა. ეს ამბავი წუხანდლიდან გრძელდება. ღამით დასაძინებელი წამალი მივეცი და დაეძინა. დილით კი ყველაფერი თავიდან წამოიწყო.

მარტინას ეძინა. ექიმმა კალმისტარი ამოიღო და ჩვეულებრივი კითხვები მისცა დანიელს: ასაკი, გადატანილი ავადმყოფობანი, შვილიანობა... ვიდრე ინტიმურ საკითხებს შეეხებოდა, - მოურიდებლობა მაპატიეთო, - ბოდიში მოიხადა. უფრო ვრცელი საუბარი სხვა დროისათვის გადასდეს. მარტინას წაიყვანენ და ელექტროშოკს გაუკეთებენ... შემდეგ, ვნახოთ, როგორ მოვიქცეთ. შესაძლოა, ფსიქოანალიზს მივმართოთ...

- მართლა ფიქრობთ, რომ სიყვარულისგან განკურნება შესაძლებელია?

ექიმმა არაფერი უპასუხა. ეგებ მან დანიელი მეტისმეტად თავდაუჭერელ ადამიანად მიიჩნია? მარტინასთვის ტანთ უნდა ჩაეცვათ, რომ საავადმყოფოში წაეყვანათ. ორივემ ტანთ ჩააცვეს მარტინას.

- მაპატიეთ... - თქვა ექიმმა, დიდი თავშალი გადაუჯვარედინა მარტინას მკერდზე. - მაგრამ წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით... მე არასდროს არ შემხვედრია ამაზე უფრო სრულქმნილი ქალი... კიდევ ერთხელ მაპატიეთ მოურიდებლობა... მაგრამ... უცნაურია, რომ მან თქვენი შენარჩუნება ვერ შესძლო.

- მე ვიპოვე ნაკლებად სრულქმნილი ქალი, - უპასუხა დანიელმა, - ალბათ, სწორედ ასეთი მჭირდება, რადაც უნდა დამიჯდეს.

გაისმა ზარი - სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდა.

## დამსხვრეული ოცნება

ვიდრე მარტინა „დასასვენებელ სახლში“ იყო, დანიელი კალიფორნიისკენ გაემგზავრა. ბევრი სადავიდარაბო საქმე გაუჩნდა: ეს ვექილიო, ეს სასამართლოო... მაგრამ წასვლა მაინც აუცილებელი იყო. როცა მარტინა სამკურნალო დაწესებულებიდან გამოვა, ვექილი დაუკავშირდება და საქმე დანიელის გარეშეც მოწესრიგდება. ბევრი ფული სჭირდებოდა: განქორწინებასთან დაკავშირებული ხარჯები, მარტინას მკურნალობის საფასური... დანიელმა არ მოისურვა მამისათვის ფული ეთხოვა, ხოლო სოციალური დაზღვევა მკურნალობის ხარჯის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ანაზღაურებდა. მარტინას ჩვეულებრივ საავადმყოფოში ხომ არ მოათავსებდა! ამიტომ დანიელი, ემიგრანტეივით სატვირთო გემით გაემგზავრა, ესეც ჟანის დახმარებით მოახერხა. თუმცა ჟანი თვითონაც არ

იყო ფულიანი კაცი. ეგ რომ არა, დანიელი ფეხით გადასერავდა ოკეანეს, ისე აუტანელი იყო მისთვის მარეონისგან შორს ყოფნა.

ყველამ დაგმო დანიელი. უფროსი დონელი და დომინიკა, მათთვის ჩვეული თავშეკავებით შეხვდნენ ცნობას დანიელის განქორწინების შესახებ. კოპები შეყარეს, როცა გაიგეს, დანიელის მომავალი ცოლი უცხოელიაო. მარტინა დიდი ხანია, რაც მათთვის აღარ არსებობდა, ის ვერ შევიდა მათ ოჯახში, ვერ გაინაწილა ვარდების სიყვარული, მაგრამ მაინც ძალიან ეწყინათ მარტინას ავადმყოფობის ამბავი. „შენი გადაწყვეტილება. როგორც ჩანს, ურყევია, - უთხრა დანიელს მამამ. - მაგრამ მარტინას გრძნობის ასეთი არაჩვეულებრივი ძალა ერთგვარ ვალდებულებას გაკისრებს...“ დომინიკას არაფერი უთქვამს. მაგრამ თვალები ცრემლით აევსო.

რაც შეეხება ქ-ნ დონზერს, სესილსა და ბ-ნ ჟორჟს, - ისინი დანიელს მტარვალად და კაცის მკვლელად სთვლიდნენ. ჟინეტა რაა, ისიც ჩაერია საქმეში და გაკიცხა დანიელი! პიერ ჟენესკი მიუგზავნეს, როგორც კაცი კაცს, სალაპარაკოდ. უნდა ითქვას, რომ ეს უხეირო არჩევანი იყო, რადგან თუ ბ-ნ ჟორჟს მართლა გული სტკიოდა მარტინაზე და ამიტომაც აღშფოთებულ კიცხავდა დანიელს, პიერ ჟენესკმა, დანიელთან საუბრის დროს, ლმობიერება გამოიჩინა და თითქმის მის მხარეზე დადგა.

- მარტინა ღვიძლ დასავით მიაჩნია სესილს და უკვე ამიტომ ჩემთვის ძირფასია,- ამბობდა დანიელის გვერდით მჯდომი ჟენესკი კაფეში. სადაც ისინი შეთანხმებისამებრ შეხვდნენ ერთმანეთს. - ვაფასებ ყველა მის ღირსებას, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მარტინასთან ყოველთვის ერთგვარ უხერხულობას

ვგრძნობდი, ის წესიერი, დინჯი ქალია. მაგრამ მე ყოველთვის ვამჩნევ ხოლმე ქალს, მალე მობეზრდება თუ არა მამაკაცს იგი. ვერ წარმოიდგენთ, რა ჯურის ახირებული ქალები არ არსებობენ ქვეყანაზე! ზოგი ზედმეტად ემოციურია... სხვას გადამეტებით უყვარს ფული... ანდა გატაცებული არიან სხვადასხვა იდეით... პოლიტიკით... მორალით... პრინციპებით და შეხედულებებით, ეშმაკმა იცის, რას არ გამოიგონებენ! მე ვიცნობდი ერთ მასწავლებელ ქალს... ლოგინშიაც კი თავის შეხედულებებზე მელაპარაკებოდა! დიახ, სესილი ჩემთვის დიდი ბედნიერებაა... ჩვენს შორის დარჩეს, მეგობარო, მე ძალიან კარგად მესმის თქვენი მდგომარეობა, მარტინას ყოველთვის ჰქონდა რაღაც შიშის მომგვრელი... ნუ გამიწყრებით, და რაღაცით კუდიანს ჰგავს, მიუხედავად თავისი სილამაზისა და, შესაძლოა, სწორედ ამ სილამაზის გამო... მე ყოველთვის ფრთხილად ვექცეოდი... თუმცა მას საამისო საბაბი არ მოუცია. უბრალოდ, მამაკაცური თავდაცვის ინსტინქტი მიკარნახებდა ასე მოვქცეულიყავი.

დანიელმა არაფერი არ უპასუხა. გადმოკარკლულ-ცისფერთვალა პიერ ჟენესკის შემყურე დანიელი მარტინას მხარეზე იყო, მაგრამ ეს მდგომარეობას არ შველოდა, პირიქით, აორკეცებდა მის გულისტკივილს. არც ერთი სიტყვა არ უთქვამს მისთვის, გადაყლაპა ვისკი და ოფიციანტს დაუძახა:

- მაპატიეთ, ბ-ნო ჟენესკ, გამგზავრების წინ ბევრი საქმე მაქვს მოსაგვარებელი...

- ვერაფერს გავხდი, - უთხრა პიერ ჟენესკმა მოუთმენლად მომლოდინე ცოლს, - ქვის ნატეხია! მარტინას ნურაფრის იმედი ნუ ექნება და გარწმუნებ, ჩემო ჩიტუნა, რომ მართლაც სჯობია განქორწინდნენ... სულ ერთია, მაინც არ შერჩებიან ერთმანეთს.

სესილმა ტირილი მორთო, ის სულითა და გულით თანაუგრძნობდა მარტინას. საშინელებაა, მისი ნახვის ნებას არავის არ აძლევენ, ვინ იცის, რას უკეთებენ იმ „სახლში“. ერთი წუთით მაინც შეუშვან, ინახულებს, როგორც ნახულობენ ჩვეულებრივ ავადმყოფებს, გადაკოცნის... ტკბილეულის შეგზავნაც კი აკრძალულია! ეგებ დანიელმა ძალით მოათავსა იქ, ჩემს სასიყვარულო ოინებს ხელი არ შეუშალოსო.

- რატომ ლაპარაკობ ეგრე, ჩემო გვრიტო, ხომ მშვენივრად იცი, რაც გვითხრა ექიმმა მორტემ - დასაბმელი გიჟიაო!

- ეგ რა სთქვი, პიერ! ექიმს ასეთი რამ არასდროს არ უთქვამს! თქვა, ნერვული შერყევა აქვს და ყველაფერი მალე გაუვლისო...

- ჩვენ რა გვაკამათებს! ნერვული შერყევის გამო ჭკუიდან შეიშალა, მაგრამ მალე ყველაფერი გაუვლისო... სავსებით გეთანხმები...

ერთად გავიდნენ მეორე ოთახში და ბავშვს დახედეს. პაწია გოგონა. დედამისივით ვარდისფერი, წარმოუდგენლად ნაზი და საყვარელი იყო...

- ჩემო საბრალო მარტინა! როგორ გიმტყუნა ბედმა...

სესილი იდგა აკვანთან, თავი ქმრის მხარზე დაედო და ისე ტიროდა.

მარტინა სამუშაოზე დაბრუნდა, ისევ წყნარი, მშვიდი და საქმიანი გახდა, ისე რომ, სულ მალე ბოლო მოეღო მითქმა-მოთქმას მისი ავადმყოფობის უცნაური ხასიათის შესახებ. სულელური ჭორებია! მარტინას ქმარი? რა მოხდა, საქმეების გამო ამერიკაში გაემგზავრა! საიდუმლო ავადმყოფობაო? უბრალოდ, მუცელი მოეშალა! მუდამ მანდილოსნების ხელზე თავდახრილი მარტინა გულმოდგინედ მუშაობდა და, როცა კლიენტს

თვალს გაუსწორებდა, საუბრის გაბმის მაგიერ, მარტინა უმალვე იღიმებოდა.

როცა, რამდენიმე თვის შესატანის გადაუხდელობის გამო, ავტომანქანა ჩამოართვეს, მარტინას სინანული არ უგრძნია და არც საყვედური უთქვამს. მისი განწყობილება შეიძლება ასე გამოიხატოს: „რაც უარესი დამემართება - მით უკეთესი!“ განქორწინების წინააღმდეგაც აღარ წასულა, მხოლოდ ერთი ითხოვა, დრომდე ეს ამბავი არ გამოქვეყნებულიყო. როცა დანიელი დაბრუნდება საფრანგეთში თავის ახალ ცოლთან ერთად, - მაშინ ვნახოთ! მარტინამ ყოველივე ეს წყნარად აუხსნა თავის ვექილს და გადაჭრით უარი განაცხადა დანიელისაგან ფულის მიღებაზე. ასეთ პირობებში განქორწინება ძალზე დაჩქარდა.

მარტინამ ისევ დაიწყო ბრიჯის თამაში, მაგრამ შედარებით იშვიათად თამაშობდა და შინ სტუმრებს არასდროს არ პატიჟებდა. გარეგნულად არ გამოცვლილა - ისევ-ისე მოვლილი, სურნელოვანი, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რა სიბინძურის ბუდედ გადაიქცა მისი ბინა, სადაც ის აღარავის აღარ უშვებდა. ნაგავს აღარ ყრიდა, ჭურჭელს აღარ რეცხავდა, ზეწრებს არ ცვლიდა. ასეთი იყო მისი შურისძიება. მაგრამ ვინ იყო შურისძიების საგანი? ხომ არავინ იცოდა, თუ რა ხდებოდა მის სახლში? მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს მარტინას სიამოვნებას ჰგვრიდა, უხაროდა, რომ ქაოსი მის ოჯახში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, - ამით შემიძლია ვიღაცას ვაწყენინო, ნიშანი მოვუგოო. მარტინა თავს იტყუებდა, ფიქრობდა, ეს ვისმეს აინტერესებსო და ამით ერთობოდა. მთელი საღამოები უსაქმოდ იჯდა და თავს საიდუმლო შეთქმულების მეთაურად გრძნობდა...

მარტინამ სოფლიდან წერილი მიიღო სწორედ იმ დღეს, როცა

მას აცნობეს, განქორწინების პროცესი დამთავრებულიაო: წელიწადსაც არ გაუვლია და დანიელმა თავისას მიაღწია, მარტინას გაეყარა და უფლება ჰქონდა ცოლად შეერთო სხვა ქალი... სოფლიდან წერილი მეკარე ქალმა გადასცა. მარტინამ წერილი ლიფტშივე გახსნა. ნოტარიუსი, ბ-ნი ვალატი ატყობინებდა, დედა გარდაგეცვალათო და სთხოვდა, ჩემს კანტორაში მობრძანდით სამემკვიდრეო საქმეების მოსაგვარებლადო. მემკვიდრეობა... ძველი ქოხი... დასაწვავია, სხვად არაფრად გამოდგება. ჯერ ქოხი გაახსენდა, შემდეგ დედის სიკვდილი. ათი წელიწადია, რაც თავის ოჯახზე აღარაფერი გაუგია. რა მოუვიდათ მის პატარა ძმებს? უფროს დას? წავიდეს, ინახულოს თავისიანები... რატომაც არა...

იმ საღამოს მარტინა სადილად იყო დაპატიჟებული დედა დონზერთან. საწოლზე ჩამოჯდა და შოკოლადის ჭამა დაიწყო, ვინემ წასვლის დრო დადგებოდა. მარტინას შეეძლო ახლა ეჭამა, რამდენიც უნდა და რა დროსაც უნდა. საწოლ ოთახში კომოდი სავსე იყო ტკბილეულით, ნამცხვრით; ღამით დგებოდა, რომ ეჭამა პურის ნაჭერი, ყველი ან სარდინი... სასტუმრო ოთახში კედლის საათმა შვიდი ჩამორეკა - ეს ის მოწნულ-ჩარჩოიანი საათი იყო, რომელიც ეკიდა შიშველი ცოდვილი ქალის სურათის ადგილზე, ხოლო ეს სურათი დანიელმა მიამსხვრია სამზარეულოს ქვის ფილაქნებს. ქ-ნ დონზერთან წასვლის დრო დადგა.

ქ-ნ დონზერთან მარტინას ელოდებოდნენ. მაგიდა ყვავილებით იყო შემკული, მარტინას საყვარელი კერძები მოემზადებინათ... მარტინა ახლა ისე იშვიათად ნახულობდა მათ, რომ მისი სტუმრობა ნამდვილ დღესასწაულად მიაჩნდათ.

- რა ცუდია, რომ სესილსა და პიერს დღეს არა სცალიათ! - ამბობდა ბ-ნი ჟორჟი.

პიერმა ახლახან მოაწერა ხელი მისთვის მეტად მნიშვნელოვან ხელშეკრულებას ერთ საზღვარგარეთულ ფირმასთან და ამ ფირმის წარმომადგენლები სადილად დაპატიჟა... დედა დონზერი წამდაუწუმ კოცნიდა მარტინას და ცდილობდა გამხიარულებულიყო.

მარტინა მადიანად შეექცეოდა ცხელ კარტოფილიან სოსისებს. მან ამოიღო ხელჩანთიდან წერილი და გაუწოდა ბ-ნ ჟორჟს.

- დედა დონზერ, თუ ვისმეს ტირილი მოგნატრებიათ, საამისო საბაბი შორს არაა საძებარი. – თქვა მან.

ბ-ნმა ჟორჟმა ჩანგალი გვერდზე გადასდო და წერილი ხმამაღლა წაიკითხა. ქ-ნი დონზერი საქმობდა, ვაშლიან ფუნთუშებს აცხობდა და, სათვალის მოუხსნელად, იწმენდდა ცრემლებს.

- ღმერთმა აცხონოს, - თქვა ბ-ნმა ჟორჟმა, ამოიღო ქათქათა ცხვირსახოცი და მელოტი მოიწმინდა. - არ ვიცნობდი, მაგრამ, როგორც მითხრეს, ბევრი შესცოდა თავისი ცხოვრების მანძილზე, აპატიოს უფალმა...

- იცით, ბ-ნო ჟორჟ, - სიტყვა შეაწყვეტინა მარტინამ, - დღეს ჩემი მოწნილი ავეჯი წაიღეს!

ბ-ნ ჟორჟს ეს სრულიადაც არ გაკვირვებია, მაგრამ მაინც იკითხა:

- როგორ თუ წაიღეს?

რამდენიმე თვეა, სავალდებულო შესატანები არ გადამიხდია...

- ჩვენთვის უნდა გეთქვა! - დაიძახა ქ-ნმა დონზერმა და ფუნთუშების ცნობას თავი დაანება. - მოგცემდით, რამდენიც საჭირო იყო! ამდენი გადაიხადე, და ეხლა როგორ შეელიე, ეს ხომ სიგიჟეა! რა ერთიმეორეს მიაყოლეს შენი ნივთები... რაო, მაგ ვაჭრუკანების გამდიდრება ხომ არ გინდა? ჯერ მანქანა გაუშვი ხელიდან, ახლა

ავეჯი! ბოლოს მომიღებ, ღმერთმანი, ბოლოს მომიღებ...

- არ მინდოდა ბ-ნ ჟორჟის ავტორიტეტი შემერყია. ოდესღაც მიწინასწარმეტყველა, ერთ მშვენიერ დღეს დამტვრეულ ვარცლთან აღმოჩნდებიო...

- მე არ მეჩქარებოდა ჩემი ავტორიტეტის განმტკიცება, ეგ სასწრაფო არ იყო... ბ-ნი ჟორჟი ცდილობდა ხუმრობაში გადაეტანა მარტინას ნათქვამი.

- რა ვარცლზე ლაპარაკობთ? - ისევ შეშფოთდა ქ-ნი დონზერი. - რას ამბობთ, გამაგებინეთ! მარტინა, შენ განგებ იქცევი ისე, რომ ცხოვრება გაიმწარო! განა სესილი, და ან ჩვენ რამეზე უარს გეტყვით? ნამდვილი სულელი ხარ! მოიტა თეფში, ვერა ხედავ, ფუნთუშები მზადაა?

მარტინამ იცრუა. მოწნილი ავეჯისათვის ხელი არავის უხლია. ფასი კიდეც რომ ვერ გადაეხადა მარტინას, ავეჯი მაინც მას დარჩებოდა, ისე დაზიანდა მარტინას გაშმაგების დროს... ბამბუკი ძალიან მყიფეა, უცებ კარგავს სიახლესა და პეწს... დანიელმა დიდი ხანია, რაც გადაიხადა ამ გარნიტურის საფასური და ახლა ის მარტინას საკუთრებას შეადგენდა. მთელი ეს ამბავი მარტინამ გაბოროტებულ გულზე გამოიგონა, უნდოდა რამეთი ეწყენინებინა დედა დონზერისა და ბ-ნ ჟორჟისათვის...

– სანაქებო ფუნთუშებია... სწორედ ზომიერადაა დაბრაწული. მე ვერ გამომიდის ასეთი კარგები, დედა დონზერ. ყავა სასტუმროში დავლიოთ?

მარტინა წამოდგა. ქ-ნმა დონზერმა თავი დაანება ქვაბებსა და თეფშებს, შეწუხებული სახით შესცქეროდა მარტინას.

- ძალიან სუქდები... - უთხრა მან... - დიეტაზე უნდა გადახვიდე. ღვეზელი გამოვაცხვე, მაგრამ ემჯობინება არ...

- არ გამაცინოთ! ასეთ სიამოვნებას როგორ მოვიკლებ!

ქ-ნი დონზერი გაჩუმდა; არ მოსწონდა მარტინას ახლებური თავდაჭერა, არ მოსწონდა მისი სიცილი. ეს სიცილი ძალაუნებურად აგონებდა „დასასვენებელ სახლს“. საბრალო მარტინა...

ყველანი სასტუმროში გადავიდნენ.

- მართალია, გავსუქდი, - თქვა მარტინამ, მაგრამ კაცებს ეს მოსწონთ! ქუჩაზე ჯგროდ დამყვებიან. არასდროს არ დამდევდნენ კაცები ასე...

ბ-ნმა ჟორჟმა და ქ-ნმა დონზერმა ლაპარაკი არ გააწყვეტინეს. ეგებ მარტინა მართალს ამბობს. მაგრამ უწინ ამდაგვარი ლაპარაკი არ იცოდა, თანაც მის სიტყვებში რაღაც სიყალბე იგრძნობა.

- თქვენ ვერ შეამჩნიეთ ჩემი ახალმოდაზე შეკრეჭილი თმა, - განაგრძობდა მარტინა, - ხომ ლამაზია?!

მარტინას მოკლედ შეკრეჭილი თმა უსწორმასწორო ფოჩივით ეკიდა სახის ირგვლივ.

- არ მომწონს ეს ახალი მოდა, - თქვა ბ-ნმა ჟორჟმა, - თმა ლამაზ შუბლს გიფარავს.

- ოჰ, თქვენ ყველაფერში ძველი მოდისა ბრძანდებით... დანიელივით. ისიც სულ ცდილობდა ძველებური ვარდების სურნელება აღედგინა.

ისევ სიჩუმე. ბოლოს ქ-ნმა დონზერმა გაბედა დუმილის დარღვევა.

- სად აპირებ წასვლას დასასვენებლად? გინდა, წამოდი ჩვენთან სამხრეთში? სესილიც მოდის. პიერმა უკვე ვილა იქირავა...

- ნოტარიუსის წერილის გამო ჯერ სოფელში უნდა წავიდე... ვინ იცის, ეგებ იქაურობა ისე მომეწონოს, რომ შვებულებაც სოფელში გავატარო... განა იქ არ დავიბადე?! ტბაზე კარგია ბანაობა... ქოხი...

თქვენ დაგავიწყდათ ჩემი პატარა ქოხი! წუნდაუდებელი კუ-
რორტია. არა, ძალიან მემკვიდრეობა არ მივიღე?! სიცილით
მოკვდება ადამიანი.

მარტინა შაქრის ნატეხს წუწნიდა. მან შეჭამა ქ-ნ დონზერის
თითქმის მთელი ღვეზელი და ნარჩენებიდან გამომცხვარ ფხვი-
ერი გალეტები.

## „გამვლელო-გამომვლელო, ვარდებით შეამკე ჩემი საფლავი“

*(წარწერა რომის იმპერიის დროის ღარიბი კაცის საფლავ ზე)*

მარტინა მას შემდეგ აღარ ყოფილა სოფელში, რაც ქ-ნ დონ-
ზერთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. ეს მოხდა
თორმეტი წლის წინათ... გზატკეცილი გაუფართოებიათ და და-
სავლეთის ავტოსტრადისთვის დაუმსგავსებიათ. მარტინა
სრულიად ვეღარ ცნობდა ამ გზას, თუმცა აქ ბევრჯერ გაუვლია:
როცა პარიზისკენ მიემგზავრებოდა, უფრო გვიან, როცა რესტო-
რან „ტყის ტევრში“ საქორწილო ნადიმი ჰქონდა, აგრეთვე დო-
ნელების ფერმაში წასვლა-წამოსვლისას. პეიზაჟი აქ თითქმის
ისეთივე იყო, როგორიც იმ გარეუბანში, სადაც მარტინა ცხოვ-
რობდა, პარიზის მიდამოები წააგვანან ერთმანეთს... ნახევრად
აშენებული ან უკვე მთლიანად აშენებული ახალი თეთრი, ძა-
ლიან მაღალი, ბანიანი სახლები, სიღრმით არა უმეტეს ერთი-
ორი ოთახისა - არც შიდა ეზოები, არც ყრუ კედლები; ფასადები
გარშემოვლებულია მხიარულ ფერებად შეღებილი აივნებით,
ფანჯრის მინების მოელვარე ერთიანი კედლით... ეს მინები,
დომინოს კამათლებივით, მოთამაშეთა სურვილის მიხედვით,

ზოგან გვერდზეა შეყენებული, ან უწესრიგოდაა მიმოფანტული, ზოგან კი სიმეტრიულ წყებებადაა დალაგებული. ჯერ არ ჩანს, სად გაიჭრება ქუჩები და მოედნები, სად გაშენდება ბაღები... რაც უფრო გაშორდა ავტობუსი პარიზს, შენობები და სამშენებლო მოედნები სულ უფრო და უფრო იშვიათად მოჩანდა, უკვე მინდვრები სჭარბობდა.

ლანდშაფტი სულ უფრო და უფრო წარმტაცი ხდებოდა. ავტობუსის ფანჯარაში გამოჩნდა ტყიანი გორაკების კალთებზე გაშლილი პატარა ქალაქი და სოფელი; ხეებს შორის ლამაზად გამოკრთოდა სახურავების ნარინჯისფერი კრამიტები. ავტობუსი მიხვეულ-მოხვეული გზით მიდიოდა, მაღლობზე ავიდა, მერე ჩამოივაკა, გზა ისევ დაბლობ ადგილს მიჰყვებოდა. ავტობუსმა სიჩქარეს უმატა.

აი, რესტორანი „ტყის ტევრი“, სადაც მარტინამ ქორწილი გადაიხადა. მარტინამ ხელჩანთიდან კამფეტი ამოიღო. რესტორანი ისევ ისე კოხტად გამოიყურებოდა, გზატკეცილის პირას ჩამწკრივებულა წითელფერსოიანი თეთრი კასრები მცენარეებით... ირგვლივ არავინ ჩანდა, ავტობუსმა რესტორანს ჩაუარა. ეს პატარა სახლი, მის გვერდით რომაა, მაშინ არ იყო, არც დანარჩენი სახლები იყო... მწვანე დარაბები, ნარინჯისფერი სახურავები... ავტობუსი ერთი ქშინვით მიიწეოდა წინ - ზორზოხა, უშნო ცხოველივით. მგზავრები წყნარად ისხდნენ თავიანთ ადგილებზე, ზეპირად იცოდნენ გზის ყოველი მტკაველი: იცოდნენ, თუ სად უნდა გადმოსულიყვნენ, გასავლელი სოფლების სახელები, მგზავრობის დრო, მანძილი. მარტინამ სრულიად არაფერი არ იცოდა, ამასთანავე, ის უკვე გადაეჩვია ავტობუსით მგზავრობას, რადგან ყოველთვის მანქანით მოგზაურობდა, დანიელთან ერთად, მარტო ან თავისი მეგობრების

თანხლებით... ჩვენს დროში ყველას აქვს საკუთარი მანქანა, მხოლოდ მარტინა წარმოადგენს გამონაკლისს, დანიელის წყალობით. მხოლოდ მას არ გააჩნია საკუთარი მანქანა. მარტინამ ხელჩანთიდან კიდევ ერთი კამფეტი ამოიღო.

გზა უკვე ავტოსტრადას აღარ ჰგავდა - ეს ჩვეულებრივი კარგი გზატკეცილი იყო, სოფლიდან სოფლისკენ მიიკლაკნებოდა, სულ უფრო და უფრო მაღალსა და ხშირ ტყეებზე გავლით. მარტინამ თავი შინ იგრძნო მხოლოდ მაშინ, როცა ავტობუსი დაბურული ტყის პირას მდებარე ქალაქ რ-ს მიუახლოვდა. ავტობუსი დიდხანს იდგა სადგურის წინ და შემდეგ, თითქმის დაცარიელებული, ნელა დაიძრა ქალაქის ცენტრისკენ. აი მოედანი, ისტორიული ციხე-დარბაზი... „ნეტავი ტყეში დაგვკარგა მე და შენ, მარტინა...“ აქედან ტბამდე ექვსი კილომეტრია.

არც ერთი ქვა, ხე ან სახლი, უმცირესი ცვლილებაც კი, ძველის მოსპობა ან რაიმე ახლის გაჩენა არ გამოპარვია მარტინას უნაკლო მეხსიერებას. მარტინა ცნობდა და ამჩნევდა ყოველ წვრილმანს, იმასაც კი, სად იდგა ძველი და სად ახალი გზისპირა ბოძკინტები; რა ფერისაა მისი სოფლისკენ მიმავალ გზაზე მოყრილი ქვიშა; როგორ გაზრდილა ცაცხვი, ამ მიდამოების ყველაზე მაღალი ხე; რა ოსტატურად შეუკეთებიათ შამპუაზელებს სახურავი ქარხნის კრამიტით; რა ლამაზად გადაუხალისებიათ ეს პატარა ფერმა, ალბათ, პარიზელებმა შეიძინეს. ავტობუსი შევიდა ხშირი ტყის ნესტიან ჩრდილში. ყველაფერი ხელუხლებელი დარჩენილა. აქ მარტინა თავის სამფლობელოში იყო. არა, ვერ დაიკარგებოდა ამ ტყეში, აქ თვითეულ ხეს იცნობდა: იფნებს, წიფელებს, გვიმრაშერეულ ტყის ბუჩქნარს...

აი სოფლის პირველი სახლი - სახელმწიფო ჟანდარმერია.

მარტინამ გაკვნიტა კამფეტი, გადაყლაპა და პირში მეორე ჩაიდო.

რა ნაცნობია მისთვის ეს ლაყლაყი ცუდად მოკირწყლულ სოფლის ქუჩაზე! ყველა სახლი ახლადაა გარემონტებული. საბაყლო დუქანს ახალი აბრა ამშვენებს, შემდეგ - „კოოპერატივი“. ფეხსაცმლების მაღაზიის მაგიერ ახლა კავეულობის სავაჭრო გაუხსნიათ. საფოსტო განყოფილების ფანჯრებში ყვავილები მოჩანს. იქ, ალბათ, ახალი ქალიშვილი მსახურობს, ძველი პენსიაზე გავიდოდა. მთელ სოფელს ახალგაზრდული იერი ჰქონდა, ძველი სახლები ახლად შეულესიათ, გაჩენილა ახლად აშენებული სახლები. ბენზინის ჩასასხმელი წერტი. ოდნავ შეკეთებული სოფლის სამრეკლოს ნაცრისფერი შპილი ჭრელი სახურავების ზემოთ ამართულა. ავტობუსმა ძლივს მოუხვია სწორ კუთხეს და სოფლის მოედანზე გაჩერდა. მარტინა ჩამოვიდა.

ფეხები დაბუჟებოდა, სიარული უჭირდა. ნერვიულობა დაეტყო. გაჩხრიკა ხელჩანთა და კამფეტი მოძებნა. ლითონის მოგრძო მოოქროვილი ღერბები - სანოტარო კანტორის ნიშანი - ისევ ეკიდა ძველებურ ჭიშკარზე. მარტინამ მოედანი გადაჭრა, შევიდა ჭიშკარში და შეაღო კარი, რომელზეც ეწერა: „სანოტარო კანტორა.“

- ბ-ნი ვალატი? ვისგან?.. რასაკვირველია! ახლავე მოვახსენებ ბ-ნ ვალატს... დაბრძანდით, ქალბატონო...

კლერკმა შეაღო მუშამბით შეფუთნილი კარი და შევიდა. საბეჭდ მანქანებთან მჯდომი ოთხი ქალიშვილი ჩუმად ათვალიერებდნენ მარტინას. მარტინას ფართო და ძალიან მოკლე პალტო ეცვა; როცა დაჯდა და ფეხი ფეხზე დასდო, მუხლები გამოუჩნდა. უკანასკნელი მოდის მიხედვით შეკრეჭილ თმას ნიკაპქვეშ შეკრული ხილაბანდი ფარავდა. მარტინა ნერვულად ჭმუჭნიდა გახდილ

ხელთათმანს, ყველამ ყურადღება მიაქცია მის გრძელ თითებს უზადო, ვარდისფერ-ნუშისებრი ფრჩხილებით. ოდნავ შეშუპებული, მაგრამ ოსტატურად შელამაზებული სახე მშვენიერი ჰქონდა.

- გთხოვთ... მობრძანდით...

ბატონი ვალატი მთლად გაჭაღარავებულა, უწინ კი ძალიან შავგვრემანი კაცი იყო. მაგრამ სახე ჯერ კიდევ ახალგაზრდული აქვს, ფაქიზად აცვია.. მუქი პიჯაკი, როგორც ნოტარიუსს შეეფერება, მაგრამ მტრედისფერი ლამაზი ჟილეტი.

- თქვენ მაცნობეთ რაღაც „მემკვიდრეობის“ თაობაზე, ბ-ნო ვალატ... რა მემკვიდრეობაა?

ბატონმა ვალატმა მარტინას სკამი მიაწოდა, თვითონ საწერ მაგიდას მიუჯდა, ამოიღო საქმე და გადაფურცლა.

- ქალბატონო, საქმე ეხება მიწის ნაკვეთს, ესე იგი, ორი ათას კვადრატულ მეტრს. ეს ნაკვეთი მთლიანად თქვენს საკუთრებაში გადადის, რადგან გარდაცვლილი მარი ვენენის ცოცხლად დარჩენილ შვილთა შორის თქვენ ბრძანდებით ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე.

- როგორ? - გაუკვირდა მარტინას.

- წარმოიდგინეთ, სწორედ ეგრეა... თქვენი უფროსი და გარდაიცვალა. ეს თქვენ, რა თქმა უნდა, იცით.

- არა, ბატონო, არაფერი არ ვიცი... მე გავწყვიტე ყოველგვარი კავშირი ჩემს ოჯახთან.

- თქვენი მამინაცვალი პიერ პენიე ხიდან ჩამოვარდა, დაიმტვრა და იქვე გარდაიცვალა... ეს აქ მოხდა, სოფელში... როცა ხეები იყო გასასხეპი, ხშირად მიმართავდნენ... სამწუხაროდ, ის სვამდა...

- ბავშვები?

- ბავშვები დიდი ხანია, რაც დაიზარდნენ, ქალბატონო, - ბატონმა ვალატმა გაიღიმა, ხავერდოვან თვალებში ალერსიანი გამომეტყველება გაუჩნდა. - ისინი, ვინც ცოცხალი დარჩა, ორი მათგანი მოკვდა ტუბერკულოზისგან, ისევე როგორც მათი უფროსი და... ერთი მეორეს მიჰყვნენ... ისინი ისეთ პირობებში ცხოვრობდნენ, რომ... თქვენ ეს უჩემოდაც იცით... ერთი უცხოელთა ლეგიონში შევიდა, დანარჩენი ორიც მათ გაჰყვა ალჟირში. ვერ გეტყვით, იქ რას აკეთებენ... ალბათ, იბრძვიან. ამ ბოლო ხანს თქვენი დედა სრულიად მარტო ცხოვრობდა.

- იმავე ქოხში?

სამწუხაროდ - იქვე...

მარტინამ მოურიდებლად გადაიხარხარა და ბ-ნ ვალატს თვალებში ალერსიანი გამომეტყველება ჩაუქრა.

- ახლა რა უნდა გავაკეთოთ? – იკითხა მარტინამ.

- უნდა შესრულდეს ზოგი ფორმალობა...

- ხარჯი მომელის? ამ „მემკვიდრეობისთვის“ ფულის დახარჯვას არ ვაპირებ.

- მაშასადამე, ეგ ნაკვეთი უნდა გაყიდოთ, ქ-ნო დონელ. - ბ-ნი ვალატი ოფიციალურ კილოზე გადავიდა.

- რა თქმა უნდა, - მარტინა ადგა, - თქვენ გავალებთ ყოველივე ამას. გასაღები ხომ არა გაქვთ?

- არა, ქალბატონო, გასაღები არა მაქვს... არავის თავში არ მოუვა... და, საერთოდ, - არსებობს თუ არა გასაღები? - ბ-ნმა ვალატმა კარი გაუღო, - თქვენ მანქანით მობრძანდით, ქალბატონო?

- არა, ავტობუსით.

- თუ ნაკვეთის დათვალიერება გსურთ, მიბრძანეთ: შემიძლია

ჩემი მანქანით მიგაცილოთ.

- დიდად გმადლობთ. მაგრამ ეს ხომ სულ ახლოსაა, მე ფეხით წავალ.

უკვე გვიან იყო. კანტორა დაცარიელდა და მხოლოდ ერთი ქალიშვილი, რომელიც საბეჭდ მანქანას შალითას აფარებდა, მოუთმენლად მოელოდა საუბრის დამთავრებას, რათა პატრონისთვის ხელმოსაწერი ქაღალდები გადაეცა. ბატონი ვალატი კიდევ ერთხელ გამოეთხოვა მარტინას.

- მე ვიკისრებ თქვენი საქმეების მოგვარებას, ქალბატონო. მზადა ვარ გემსახუროთ...

მარტინა ქუჩაში გამოვიდა. თუთუნის დუქნის წინ, სადაც მან ასანთის ყიდვა იცოდა ხოლმე, ნაცრისფერი ცემენტის ყუთები იდგა ყვავილებით. ნუთუ იქ ისევ ის საზიზღარი მარი-როზია მოლარედ? საღებავებით მოვაჭრის ვიტრინა უწინდებურად მტვრიანია... კიდევ ერთი ბენზინის ჩასასხმელი წერტი. მეაირის სახლი, მაშასადამე, უკვე აღარ არსებობს! წერტის წინ ყვავილნარის გაზონია და ვიღაც ლურჯკომბინეიზონიანი კაცი ასხამს ბენზინს შავსა და თეთრსახურავიან მანქანაში... პაპა მალუარის სახლთან მოწნილ გაცვეთილ სავარძელში ვიღაც მოხუცი ზის... ეგებ ეს თვითონ პაპა მალუარია? სახლის უკან დაუმუშავებელი ბოსტანი მოჩანს, გადაბარდული შავი ასკილის ბუჩქი დასწოლია მორყეულ მესერს. ნიკაპით ჯოხზე დაყრდნობილმა მოხუცმა დიდხანს უცქირა მარტინას. პაპა მალუარის სახლი სოფლის ბოლოს იდგა, შემდეგ ველ-მინდვრები იწყებოდა, ხოლო სოფლის ქვაფენილი გუდრონირებულ გზატკეცილს უერთდებოდა. მარტინამ გვერდი აუარა ქოხისკენ მიმავალ ორღობეს;

მას არ უნდოდა უცებ იქ აღმოჩენილიყო, სჯობია ჯერ ტყეში გაისეირნოს, იქ მისვლას ყოველთვის მოასწრებს. მარტინას უკვე აღარავინ და არსად არ ელოდება, დრო მისთვის აღარ არსებობს.

მარტინა ხშირ ტყეში შევიდა... დიდი შვება იგრძნო, თითქოს ვიწრო კორსეტი გაიხადაო, სუნთქავდა მთელი სხეულით, მკერდითა და მუცლით, წყალში გადასროლილი თევზივით იყო. პირველად იმ ღამის შემდეგ, როცა დანიელმა განქორწინება მოსთხოვა, მარტინამ იგრძნო რაღაც სიამე, აუტანელი ტკივილის მაგიერ. მან მკლავები გაშალა, მხრები გამართა, ყელი მოიღერა. სხეულის ყოველი ნაკვთი დაიმორჩილა. ტყის სურნელება ატკბობდა, ფეხქვეშ ხავსი ეფინებოდა. „სილამაზის ინსტიტუტის“ კაუჩუკის ხალიჩებივით. მარტინა ანგარიშმიუცემლად აცეცებდა აქეთ-იქით თვალს; იხსენებდა, რა ყვავის წელიწადის ამ დროს... ია–ია, სოსანი... აი, ტყის მდელო, სადაც ბალახი მუდამ ნოტიოა, გვალვის დროსაც კი. იქ, მდელოს კიდეზე, ფითრით შემოვლებული მაღალი ჭადრის ძირას დიდი ქვა იდო, ტყის ეს კუთხე ოპერის სცენას წააგავდა. მარტინა ქვაზე ჩამოჯდა და თვალი მიაშტერა არაჩვეულებრივად ხასხასა, ლორთქო ბალახით მოფენილ მდელოს, რომელიც მაცდურ ჭაობს ფარავდა... ჩაიფლოს ამ ჭაობში... უმძიმესი, ნელი სიკვდილი... ნელა, ნელა, სულ უფრო და უფრო ღრმად იძირები, ირგვლივ კი არაფერია მყარი, მაგარი, რასაც შეიძლება ხელი ჩასჭიდო, ჩაებღაუჭო... თითქოს ვიღაც ფეხებით ძირს გეზიდება... აი, უკვე ჩაიძირა პირი, ჩაიძირა ცხვირი და თვალები... ზეზეული ადამიანი უკვე მკვდარია და ის კიდევ მაინც იძირება, იძირება... მარტინამ ზევით ასწია თავი და ზეცას შეხედა; ცის ლაჟვარდში, თითქოს საბალახოდ, ნახირ-ნახირად მისცურავდნენ ბატკნებივით ხუჭუჭა ღრუბლები... მარტი-

ნამ მაშინვე გვერდზე გადაუხვია, რომ ფეხქვეშ მყარი ნიადაგი ეგრძნო. უზარმაზარი ფიჭვების ქვეშ მიწა მოფენილი იყო მბზინავი, პრიალა წიწვებით და მოპრიალებულ პარკეტს წააგავდა. ეს რაღაა? ახო? მარტინას თავბრუ დაესხა, ის სწრაფად გაეშურა გზატკეცილისკენ, რომელიც უკვე მოჩანდა გაჩეხილ ხეებს შორის. მარტინამ გაუარა სრულიად ახალ ძირკვებს, მათ თხელი ფისი ჩამოსდიოდათ. თხრილია გადასასვლელი, და აი, უკვე მთავარი გზატკეცილი. ღმერთო, ორჯერ უფრო ფართო გამხდარა!

მარტინა გზისპირს გაჰყვა. ეს ადგილი ისევე შეუფერებელი იყო სეირნობისთვის, როგორც მეტროს ლიანდაგი. უწინ ეს ჩვეულებრივი გზა იყო, რომელზედაც სოფლის ბიჭები ველოსიპედებს დააქროლებდნენ. მარტინამ გადაწყვიტა ჯერ რესტორნისკენ წასულიყო და შემდეგ ქოხისთვის მიეკითხა. მაგრამ არსებობს თუ არა კიდევ რესტორანი?

დიახ, რესტორანი ძველ ადგილზე იმყოფებოდა. ჯერ ადრე იყო „ტარხუნიანი წიწილას“ დაკვეთა, თორემ მარტინა ამ სიამოვნებას არ დაიკლებდა. ის მიუახლოვდა რესტორანს ტყის მხრიდან, მივიდა იმ ხვეული ვარდების ცოცხალ მესერთან, რომლის ჭუჭრუტანებიდან შესცქეროდა ოდესღაც რესტორნის ბაღის გამაძღარ სტუმრებს... მესერზე შემოხვეული ვარდის ბუჩქები ჯერ არ აყვავებულა, მაგრამ უკვე დაფარულია ნაზი მწვანე ფოთლებით და კოკორების მტევნებით. მარტინა უყურებდა, როგორ შლიდნენ სუფრას პატარა მაგიდებზე თეთრ ქურთუკებში გამოწყობილი ოფიციანტები. მომსვლელები თანდათან მატულობდნენ, ბაღში მიმობნეული ხრეში ჭრაჭუნობდა მათ ფეხქვეშ. „თბილი საღამო იქნება, - ამბობდა ოფიციანტი, -

მაგრამ, თუ გნებავთ, აივანზე ანდა დარბაზში ისადილეთ...“ მთელი მისი სიცოცხლე მარტინა ჭუჭრუტანაში უთვალთვალებს, თუ როგორ ცხოვრობენ სხვები... ქურდივით... შავი ქურდ-კაჭკაჭა... მარტინამ რესტორანს გარშემო მოუარა და გზის მხარეზე, მთავარ შესასვლელთან გაჩნდა. აქ უკვე რამდენიმე მანქანა იდგა, რესტორანში მოსულები აივანზე შეგროვილიყვნენ. მარტინამ დარბაზი გაიარა და ბარში მაღალ ტაბურეტზე დაჯდა. აქ ჯერ არავინაა, თუმცა ყველაფერი მზადაა მომსვლელების მისაღებად. რა ლამაზია ეს დარბაზი... აქაც მოწნილი ავეჯია, მაგრამ მარტინას ავეჯს სჯობია... კედლის ლამპები... შავი ხელები ჩირაღდნებით... უზარმაზარ ბუხარში ცეცხლი ბრიალებდა და წიწილები იწვებოდა შამფურზე. აყვავებული ტყემლის ნაზი ვარდისფერი რტოები დიდ ვაზებში... ყველა მაგიდაზე ნარგიზები, სუმბულები...

კარებთან მდგარმა შიკრიკმა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა მარტინა, როცა ქალმა უთხრა, მანქანით არ ჩამოვსულვარო; შიკრიკს თვალი არ მოუშორებია მარტინასთვის მანამდე, ვიდრე ახალმოსულთა მანქანების გარაჟში დასაყენებლად არ წავიდა.

მარტინა ისევ გზას გაუდგა. ის გზის პირას მიდიოდა, სრულიად არ ერიდებოდა მანქანებს, ყოველ წუთში ბორძიკობდა, რადგანაც ეს გზა ქვეითად მოარულთათვის არ იყო განკუთვნილი. საღამოვდებოდა. მარტინა ბილიკს გაჰყვა, რომ გზა შეემოკლებინა და მალე გასულიყო იქით, სადაც ქოხი იდგა. ხშირი ბინდი ჩამოწვა, მალე სულ დაღამდება. მარტინამ შორიდანვე შეამჩნია ქოხთან ჩამომდგარი სატვირთო მანქანა, ქოხს მიუახლოვდა და მანქანას შემოუარა: ბუჩქნარის ხერგულს იქეთ მონგრეული ღობე თითქმის არ ჩანდა. ეზო ნაგვით სავსე ყუთს დამსგავსებოდა... სრული სიჩუმე. მარტინა თვალებით ეძებდა მანქანის მძღოლს: არავინ არ ჩანდა.

მარტინა გრძნობდა, როგორ გარშემოერტყა მას ღამე და ნისლმა, ორთქლმავლის სქელი კვამლივით, თვალები დაუბნელა. როგორც ჩანს, აღარავინ ეკარებოდა საფლავივით მიტოვებულ ქოხს... მარტინამ დანაგვიანებულ ეზოზე გადაიარა, ჯაჭვს წააწყდა, ჯაჭვი აჟღარუნდა. ძაღლი არ იყო, ყეფა არ გაისმა, მაგრამ ქოხის კარებში ვიღაც კაცი გამოჩნდა; ის უძრავად იდგა, კარიატიდასავით მხრებმოღუნული, თითქოს მხრებით ეჭირა ეს დამპალი ძაღლის ბუნაგი; ეს კაცი ადგილზევე გაირინდა, როცა მისკენ მიმავალი მარტინა დაინახა. მარტინა მასთან მივიდა და გაჩერდა. უზარმაზარი სიმაღლის კაცი იყო, მის ბრგე სხეულს ზოლებიანი პერანგი ფარავდა, ლურჯი შარვალი და მაღალი რეზინის ჩექმები ეცვა. ჯერ კიდევ მოჩანდა მისი ღია ცისფერი მრისხანე თვალები... გაუპარსავი სახე... კარიატიდასთან მსგავსება გაქრა: კაცმა ნაბიჯი წინ გადადგა, გასწორდა, მხრები გამართა... ხმა გაისმა:

- აქ რა გინდათ?

- მე ჩემს სახლში ვარ... - თქვა მარტინამ.

- მარის ქალიშვილი ხართ?

- დიახ...

- ჰო! მაშინ... რა თქმა უნდა... სრული უფლება გაქვთ. ერთს კი გეტყვით: შესაძლოა, თქვენ მისი ქალიშვილი ხართ, მაგრამ არასდროს ჩემსავით მარის არ დაიტირებთ.

- მაშინ... ერთად ვიტიროთ.

მარტინა პირველი შევიდა ქოხში. იქ სრული სიბნელე სუფევდა და ისეთი ფუსფუსი ისმოდა, რომ გაგიკვირდებოდათ, როგორ უძლებდნენ ვირთხებს ეს დახრულ-დამპალი კედლები.

- ვირთხებია... - თქვა მარტინას უკან მდგარმა კაცმა და სანთებელა აანთო. - კარგია, რომ ლამპაში ნავთი დარჩა. უთვალავი ვირთხაა. გრძნობენ, მარის პროდუქტები დარჩაო. კარტოფილი, ფქვილი... ამ ბოლო დროს მარი ვეღარ დადიოდა საყიდლებისთვის სოფელში, ძლიერ ავადმყოფობდა... რა დაემართებოდა უჩემოდ. მარიზე არავინ ზრუნავდა. მაგრამ მეც ხომ ყოველთვის აქ არ ვიყავი... როცა სატვირთო მანქანით შორ გზებზე დადიხარ, იგივე ფლოტში სამსახურია, მუდამ სხვაგან ვიყავი. ყოველთვის აქ შემოვლა არ შემეძლო. ჩემი საბრალო მარი! აი, მოვედი და აღარავინ არ დამიხვდა... სოფელში მითხრეს... რომ უკვე დამარხეს... დავობლდი!

მსხვილ-მსხვილი ცრემლები დაეცა ჩამოკიდებულ ლამპით განათებულ მაგიდაზე, რომელსაც ორივენი უსხდნენ. მათი იქ ყოფნა სრულიად არ აშინებდა ვირთხებს, ერთ მათგანს კაცმა სული გააფრთხობინა თავისი დიდი ჩექმით. წამოდგა, დაავლო კუდში ხელი, კარს უკან გააგდო და ისევ მარტინას პირდაპირ დაჯდა.

- დედაჩემი ორმოცდარვა წლის იყო, - თქვა მარტინამ.

- მერე რა? ეს ჯერ კიდევ სიბერე არ არის. ორმოცდარვა წლის ადამიანს ესმის სიყვარულის ძალა. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, თუმცა მე ოცდაათი წლისა ვარ. მე სიკვდილამდე მეყვარებოდა მარი...

ვირთხამ გადაირბინა მაგიდაზე. კაცმა მოკლა იგი მუშტის დარტყმით და იატაკზე დააგდო.

- ამდენი ვირთხა, - თქვა მან, - საშიშია. ზოგჯერ ადამიანს თავს ესხმიან. წავალ, მოვძებნი მანქანაში ბოთლს. ერთად წავიდეთ, ქალებს არ უყვართ ვირთხების საზოგადოება. რაკი თქვენ მარის ქალიშვილი ხართ, ჩვენ ნათესავებივით ვართ ახლა. მიხარია, რომ

შეგხვდით, ჩემს დარდს მაინც გაგიზიარებთ... დამიჯერეთ, ჩემ-სავით მარი არავის ჰყვარებია...

კაცი დაეხმარა მარტინას უკანა მხრიდან ასულიყო სატვირ-თო მანქანაში. ბრეზენტგადაფარებულ ძარაში ბენზინის სუნი იდგა და ძალიან ბნელოდა.

- აი, აქ შეგიძლიათ ჩამოჯდეთ...

კაცმა მარტინას ხელი ჰკრა და ისიც დაეცა რაღაც რბილზე, ალბათ, ზამბარიან საჯდომზე.

- ერთი წლის წინ ვისმეს რომ ეთქვა ჩემთვის, ქალი შეგიყ-ვარდება, როგორც მარი მიყვარდა, სასაცილოდ არ მეყოფოდა... მეზიზღებოდა ქალები. მაპატიეთ, მაგრამ ქალი მხოლოდ იმად ვარგა, რომ ერთი ღამე მასთან გაატარო და მერე კარში გააგდო. სულ როსკიპები არიან და სხვა არაფერი... მარი სულ სხვა იყო, მას ესმოდა, რომ კაცი უნდა გეცოდებოდეს...

ბერბერი ლაპარაკობდა და თან სიბნელეში რაღაცას ეძებდა. მარტინა ხედავდა მის სილუეტს, გამოსახულს მანქანის ბრე-ზენტიანი სახურავის ახდილ ნათელ უკანა მხარეზე. აი, მან გახ-სნა ბოთლი, ჭიქაში ასხამს.

- ინებეთ,- მარტინას ჭიქა მიაწოდა.

- ეს რა ყოფილა! - თქვა მარტინამ, ის სულს ძლივს ითქვამდა. - ეს ხომ სპირტია!

- აბა, რა გეგონათ? - ახარხარდა ბერბერი. - წარმოიდგინეთ, უკვე ვიცინი! როგორ ვიფიქრებდი, რომ დღეს გამეცინებოდა. ახ-ლავე საჭმელსაც მოვძებნი.

- არაფერი არა ჩანს...

- დაიცადეთ, ახლავე განათებაც იქნება. - ბერბერმა აანთო სანთელი ფარანში და ძარის ჭერზე ჩამოკიდა. - მარის მოსწონდა

სასიყვარულო ალერსი აქ, ფარნის სინათლეზე.

- თქვენ გავიწყდებათ, რომ ის - ჩემი დედა იყო...

- მერე რა? სიყვარული წმინდაა... და აწი არასდროს, უკვე არასდროს...

ბერბერს ხელიდან გაუვარდა პური, ის იატაკზე დაემხო და აქვითინდა. მისი უზარმაზარი სხეული თრთოდა, ცახცახებდა.

- კარგი, ბერბერ, გეყოფათ... - მარტინა შეეხო ხელით ბერბერის გაშიშვლებულ მხარს. - მე ხომ არ ვტირი!

ბერბერი წამოდგა, მარტინას ფერხთით დაჯდა და თავი კალთაში ჩაუდო. ის ჯერ კიდევ ზლუქუნებდა.

- ამდენი არ მიტირია მას შემდეგ, რაც მარტინემ კრივში მომიგო... მე მარტო მოყვარული ვარ, მაგრამ თავმოყვარეობა მეცა მაქვს... შენ მარტინა გქვია, ხომ მართალს ვამბობ? მარის უყვარდა შენზე ლაპარაკი, სულ ამბობდა: „ჩემი ქალიშვილი ქალბატონივით ცხოვრობს, მაგრამ ვიცი, რომ დედა არ დავიწყებია. ახსოვს, ალბათ, როგორ ვიწვენდი ლოგინში... ხანდახან ვტუქსავდი კიდეც.“ თუ მარი იქედან, ზეციდან გვხედავს, გახარებული იქნება... ჩემი სულიკო, რა თმები ჰქონდა, ნაძვის ხის მოსართავი ოქროს ძაფებივით... შენ - შავგვრემანი ხარ, მერცხალივით შავი...

- კაჭკაჭივით...

- არა, კაჭკაჭი ყბედია, შენ კი სულ არაფერს ამბობ...

მან მოხვია მარტინას მუხლებს თავისი ღონიერი, ძალიან ღონიერი ხელები...

- ჩემი მარის გოგონა, - ამბობდა ბერბერი, - მარტინა, მისი საყვარელი შვილი, ტყეში დაკარგული გოგონა...

- ესეც გიამბო?

- როგორ არა! როგორ გეძებდა მთელი სოფელი, როგორ გიპოვეს

ხის ქვეშ ანგელოზივით მძინარე, როგორ გაუწოდე ტყის მცველს ხელები და გაუცინე, სულ არ შეგშინებია. პირიქით, ძალიან კმაყოფილი იყავი. მარის საყვარელი გოგონა... არ გაცივდე, აგრილდა... - მან საბანი ამოიღო და მარტინას მხრებზე მიახურა. - მოდი აქ, აქ უფრო რბილად იქნები. კუთხეში... როცა ორნი ვმოგზაურობთ, აქ რიგრიგობით გვძინავს: ერთს მანქანა მიჰყავს, მეორეს სძინავს. დაწექი...

მარტინა მატრაზე დაწვა. ბერბერი გვერდით მიუწვა, მოეხვია. ის ისევ ისე ტიროდა, რაღაც გაუგებარს ბუტბუტებდა, კოცნიდა, ეალერსებოდა...

აი, თურმე როგორი ყოფილა მარტინას შავბედი... ეს მარტინაა, რომელიც მთელი მისი სიცოცხლე მხოლოდ ერთ კაცს ეკუთვნოდა! რაღაც დააწვა - ეს ღამეა, თუ სიკვდილი... კუბოს სახურავი თავს წამოადგა...

ოდნავ გათენებული იყო. მარტინას გაეღვიძა. ბერბერი თავს ადგა და დასცქეროდა. მან უთხრა:

- მარტინა, მე უნდა წავიდე... სამუშაოს დავკარგავ, თუ დროზე ტვირთის წასაღებად არ მივალ... რვა დღეში დავბრუნდები... სამშაბათს, გესმის, მარტინა? ხვალეს სწორ სამშაბათს... პირობა მომეცი, რომ აქ დამიხვდები. დაიფიცე!

- პირობას გაძლევ... - თქვა მარტინამ. ბერბერმა აიყვანა მარტინა თავისი რკინის ხელებით, მანქანიდან ჩამოსვა და ქოხის წინ, ხის ქვეშ დასვა.

- ქოხში ნუ შეხვალ, - არიგებდა ბერბერი მარტინას, იქ შეგეშინდება... მეორედ რომ ჩამოვალ, წაგიყვან აქედან. აი, ნახავ, ფულს ბლომად ვშოულობ, ჩემთან ბედნიერი იქნები... ნუ შეხ-

ვალ ქოხში... როცა გამოიძინებ, დაბრუნდი პარიზში. მე აქ დაგელოდები, ხვალის სწორს... რასაც გინდა, იმას გავაკეთებ, ოღონდ - დაბრუნდი, თუ არა და - მიფრთხილდი!

ის ჩაჯდა მანქანაში. მარტინას თვალები არ გაუხელია, ყურში ჩაესმა მიმავალი მანქანის ზანზარი.

მარტინა გამოძვრა საბნიდან, რომელშიაც ბერბერმა შეფუთნა. მის ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავდა სისხამი დილის სისუფთავით, სიწყნარითა და სიახლით. მზის ამოსვლასთან ერთად ცხოვრება თავიდან იწყებოდა: უნდა მივიდეს ავტობუსის გაჩერებასთან... მერე უნდა უკეთოს მანიკიური კლიენტებს, იხადოს ვალები... მარტინა, მთლად დამტვრეული, წამოდგა და ძლივს მიათრია სხეული ქოხის კარებამდე. ის ისევ აქ დაბრუნდა. მარტინა შესცქეროდა საწოლს, ბუფეტს, მაგიდას. დღის სინათლე ძლივს აღწევდა ჭუჭყიან ფანჯრებში, მაგრამ ვირთხები არსად ჩანდნენ. აქ ბევრად უფრო ცივა, ვიდრე გარეთ, ნესტია: ბავშვობიდანვე ჩვეული მოძრაობით გამოათრია მარტინამ ღუმელის ქვემოდან ფიჩხის კონა, ასანთიც თავის ადგილზე იყო. როცა ფიჩხს მოეკიდა, მარტინამ ცოტაოდენი შეშა შეუკეთა, შემდეგ გავიდა და ჭიდან წყალი ამოიღო. წყალი ძალიან ცივი და გამჭვირვალე იყო.. ბუფეტში, ალბათ, შემონახულია გამხმარი პიტნა ან ცაცხვის. ყვავილი... ყოველთვის აქ იდო ხოლმე...

აი, აგერ ყოფილა. წყალი დუღდა. მარტინამ ხელით გადაწმინდა მაგიდა, ფინჯანი დადო და კამფეტით დაატკბო პიტნის ნახარში.

ის შინაა... ბოლოს და ბოლოს, რად არ დაუცადოს აქ ბერბერს. სწორედ აქ, სადაც დედამისი ბედნიერი იყო ამდენ კაცთან, მის უბედურებას ერთი კაციც ეყოფა. სიყვარული, თუ ეს დანიელის სიყ-

ვარული არაა, ყოველგვარ შხამზე უფრო მწარეა. კაუჭი, რომელზედაც ლამპა ეკიდა, აქვე იყო. მაგრამ რად უნდა ჩამოიხრჩოს თავი? ბერბერი მაინც მოუღებს ბოლოს.

მარტინამ მოლოდინი ამჯობინა.

ერთი კვირის შემდეგ სოფელში გიჟური სიჩქარით ჩაიგრიალა სატვირთო მანქანამ, რომელსაც ლანძღვა-გინებითა და ყვირილით გაუმასპინძლდნენ: სასწაული იყო, რომ არავინ მოკლა ან რომელიმე სხვა მანქანას არ დაეჯახა?! სატვირთო მანქანა გაჩერდა ჟანდარმერიის შენობის წინ, მძღოლი ჩამოხტა კაბინიდან და ერთი ნახტომით გაჩნდა ოთახში, სადაც ორი ჟანდარმი ბანქოს თამაშობდა.

- მარი ვენენის ქოხში... - აღმოთქვა მან, - ჩქარა...

მისი ცისფერი თვალები სისხლით აივსო, თმები ოფლიან შუბლს მიწებებოდა, კუნთები კრაზანებით შეწუხებული ცხენივით უთრთოდა კანქვეშ.

- რა მოხდა იქ? - კითხულობდნენ ჟანდარმები და თან.. სარტყლის ბალთებს იკრავდნენ. - უბედური შემთხვევა? მკვლელობა?

- ვირთხები! – დაიყვირა კაცმა, - ვირთხებმა შეჭამეს მარის ქალიშვილი... ალბათ, ჯგროდ დაესხნენ - თავს... როგორც მძორს! მისი სახისგან აღარაფერი დარჩა...

ორი ნახტომი, და მძღოლი უკვე ოთახიდან გამოვარდა, შეხტა მანქანაში და გააქანა.

1958 წელს ყვავილების საერთაშორისო ბაზარზე გაჩნდა ახალი სურნელოვანი ვარდი „მარტინა დონელი“: მას ძველებური

ვარდის შეუდარებელი სურნელება და ჩვენი დროის ვარდის ფორმა და ფერი ჰქონდა. კონკურსზე ჟიურიმ ერთხმად დააჯილდოვა ეს ვარდი პირველი პრემიით.

## მარტინა დონელის ტრაგედია

ორიოდე სიტყვა ავტორის ვინაობაზე, რომელმაც მარტინა დონელის ტრაგედია მოგვითხრო.

ელზა ტრიოლეს თანამედროვე პროგრესულ ფრანგულ ლიტერატურაში თავისი შესაფერისი, ფრიად შესამჩნევი ადგილი უჭირავს, ის მრავალი რომანის და მოთხრობის ავტორია. მის კალამს ბევრი ესსე-ნარკვევი, რუსული ენიდან თარგმანი, ლიტერატურულ-კრიტიკული, თეატრალურ დადგმათა და კინოსურათების მიმოხილვა და რეცენზია ეკუთვნის.

თავის მეუღლესთან, გამოჩენილ ფრანგ მწერალ, პოეტ და საზოგადო მოღვაწესთან ლუი არაგონთან ერთად ის მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის ოკუპაციის მეტად რთულ და ძნელ პირობებში, წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო. ელზა ტრიოლე იმ ვითარებაშიც განაგრძობდა ლიტერატურულ შემოქმედებას. მისი რომანები თუ მოთხრობები, „ავინიონელი შეყვარებულნი“, „ატმის ხის ძირში ჩამარხული რვეულები“, „ივეტა“ გერმანელთა მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში დაიწერა. იმ დროს ელზა ტრიოლე ლორენ დანიელის ფსევდონიმითაც გამოსცემდა თავის წიგნებს. ომის შემდეგ გამოვიდა მისი ორი რომანი, „უცნობი“, „დაუპატიჟებელი სტუმრები“ და ბევრი სხვა ნაწარმოები, მათ შორის რომანების ციკლის „ნაილონის საუკუნის“ რამდენიმე ნაწილი.

ელზა ტრიოლე ვლადიმერ მაიაკოვსკის მრავალი წლის ახლო მეგობრის ლილი ბრიკის დაა. ელზა ტრიოლე ახლო იდგა მაიაკოვსკის შემოქმედებით ცხოვრებასთან და მნიშვნელოვნად უწ-

*ყობდა ხელს ვ. მაიაკოვსკის და მოწინავე ფრანგი პოეტების დაახლოებას, საფრანგეთში რუსული კულტურის, ლიტერატურის პოპულარიზაციას და პროპაგანდას.*

*ქართულ ენაზე ელზა ტრიოლეს ნაწარმოები პირველად გამოდის. ამ რომანმა ქართველ მკითხველთა შორის გარკვეული ინტერესი უნდა გამოიწვიოს. რომანი ჩვენ გვაცნობს ახალი საფრანგეთის მკვიდრთა არც თუ ისე მცირერიცხოვანი სოციალური ფენის ცხოვრებასა და თავგადასავალს. „ვარდები ნისიად“ რომანების მთელი ციკლის მხოლოდ ერთი, პირველი ნაწილია.*

*რომანის ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობაში ელზა ტრიოლე წერს, „ეს პატარა რომანი, ზღაპარი თუ მოთხრობა, რაც გნებავთ ის უწოდეთ, - პირველია ციკლიდან, რომელსაც „ნაილონის საუკუნე“ ვუწოდე. XX საუკუნე, ისე როგორც ყველა დანარჩენი, მას შემდეგ რაც სამყარო სამყაროდ იქცა, მუდამჟამს მერყეობს წარსულსა და მომავალს შორის. ამ მოთხრობაში თითქოს ძველი ამბავია აღწერილი... ჯერ კიდევ გამოქვაბულში ხმარობდა ადამიანი სხვადასხვა საგანს. თავისი დროის შესაფერი პლასტიკური მასალა მაშინაც არსებობდა, მაგრამ თანამედროვე კომფორტი თრგუნავს, თავის ტყვედ აქცევს იმ ადამიანებს, ვისაც უნდა ემსახურებოდეს... თანამედროვე რაინდები ერთმანეთს ბრძოლის ველზე როდი ერკინებიან, არა, ისინი მეცნიერების სარბიელზე ხვდებიან ერთმანეთს, რომ ხელი შეუწყონ მის განვითარებას.*

*ახალი, ჩვენი დროის ოცნებანი, სულ ერთია ჰიგიენის თუ მეცნიერულ აღმოჩენათა სფეროს განეკუთვნება, თანამედროვე საღებავებით არიან შეფერადებულნი. არსებობენ ვნებანი, ისევე ძველნი და უცვლელნი, როგორც მუდამ დაუცხრომელ ბრუნვაში მყოფი ჩვენი პლანეტა... რომანის გმირებს პლანეტის ეს მუდმივი ტრიალი*

*ხან უკან ახევინებს, ხან წინ გაიგდებს. ისინი მერყეობენ ქვის ხანასა და ნაილონის საუკუნეს შორის... ისე როგორც ყველა ჩვენგანი, რომანის მოქმედი პირნიც, საცოდავნი არიან, რადგან ამ გაორების პირმშონი არიან.*

*ავტორი შეეცადა გზადაგზა ცხოვრებიდან ამოეკრიფა თავისი მომავალი რომანის გმირები, ისე როგორც კარუსელის ხის ცხენებზე გადამჯდარი ბავშვები ცდილობენ-ხოლმე ტრიალის დროს ხელი მოავლონ მაღლა დაკიდებულ რგოლებს. წუთისოფელი განაგრძობს თავის ულმობელ სვლას. მომავალ თხრობაში, რომელიც ამ რომანის გაგრძელება იქნება, ჩვენ შევეცდებით ახალი გმირები ვიპოვოთ".*

*მკითხველი, თუ მან რომანი ყურადღებით გადაიკითხა, შეამჩნევდა, რომ ავტორის ეს ჭკუამახვილი განაცხადი ამ ნაწარმოებით მთლიანად არ არის ამოწურული. უნდა ვიფიქროთ, ის განაღდებული იქნება „ნაილონის საუკუნის" ციკლის ახალ რომანებში.*

*ამ რომანის მთავარმა გმირმა მარტინამ, რომელიც ბუნებამ მრავალი სიკეთით შეამკო და დააჯილდოვა, ადამიანთაგან ვერაფერი მიიღო. ის კოხტაა და ლამაზი, მას დიდი, ღრმა სიყვარულის, განცდის უნარი და შესაძლებლობა აქვს.*

*მარტინა სოფლის გოგოა, რომელიც მარტოოდენ სიღარიბეში კი არა, ამ სიღარიბით გამოწვეულ პათოლოგიურ პირობებში იზრდებოდა. მარტინას ბედი, მისი ხვედრი ტრაგიკულია და ეს ტრაგიზმი, უკვე რომანის პირველ სტრიქონებიდან, პირველივე გვერდებიდან ჟღერს, მარტინას დედაც ჰყავს, მართალია მეტად ახირებული და თითქოს ზნეობრივად დაცემული ქალი, დაც,*

*ძმაც, მაგრამ სულიერად ის ბავშვობიდანვე განიცდის სიმარტოვის სასოწარკვეთილებას. ბავშვი მარტინა რომანტიკული ფლორით არ-ის გარემოცული. ეს გოგონა იმ სამყაროს ბედუკუღმართ პირობებ-ში რომ არ მოქცეულიყო, ვინ იცის, როგორი კარგი, მაღალი თვისე-ბების მატარებელი ქალი დადგებოდა.*

*როდესაც ის წამოიჩიტა, ქალობის ზღურბლზე პირველი ნაბიჯი შედგა, როგორი წმინდა, მთრთოლვარე სიყვარული აღეძრა დანი-ელ დონელის მიმართ. ის შვლის ნუკრივით ტყეში გაურბის თავის სიყვარულს. დანიელ დონელმა ბოლომდე ვერასოდეს გაუგო, ვერ ჩაწვდა მარტინას ღრმა გრძნობას. არც მაშინ, როდესაც სოფლად სულ ახალგაზრდას ხვდებოდა, ვერც შემდეგ, და არც მარტინას მოკლე ცხოვრების ტრაგიკული დასასრულის წინა ჟამს.*

*„ვარდები ნისიად“ ცალფრთა სიყვარულს გადმოგვცემს. მოგ-ვითხრობს მარტინასა და დანიელ დონელის ამბავს. ქალმა ნაილ-ონის საუკუნის ცდუნებას თავი ვერ ააცილა, ხოლო ვაჟი, ტრადი-ციულ, კონსერვატიულ, მეყვავილეთა ოჯახის შვილი, რომელმაც ვერაფერი გაიგო მარტინას გრძნობისა და ვნებისა, ჯიუტად გაჰყვა თავის ვნებას, ახალი ჯიშის ვარდის გამოყვანის ცდებს. დანიელმა ბოლოს მიაღწია თავის მიზანს, შექმნა ახალი წარმტაცი სურნელე-ბის ნაზი, უჩვეულო ფერებით შემკული ვარდი, რომელსაც მარტი-ნა დონელის სახელი შეარქვა, მაგრამ ეს ახალი ჰიბრიდი მეტად ძვირი დაჯდა, მან მარტინა იმსხვერპლა.*

*გაუზიარებელი სიყვარული, სხვადასხვა დროის და მრავალი ქვეყნის რომანისათვის ნიშანდობლივი, ტრადიციული კოლიზიაა. ასეთ სიყვარულს ხშირად აღწერდნენ დიდი, გამოჩენილი რომანის-ტებიც და უფრო დაბალი რანგის ლიტერატორებიც.*

*ელზა ტრიოლეს რომანში ახლებურად ჟღერს ის სოციალური და*

*მატერიალურ-საგნობრივი ფონი, გარემოცვა, სადაც იშლება მარტინას მძიმე ცხოვრება.*

*საგნები ყოველთვის იყიდებოდა ნისიად, XX საუკუნეშიც და უფრო ადრეც. მაგრამ კომერციულ კრედიტის ამ სახეს არასოდეს მიუღია მასობრივ ეკონომიური შანტაჟის ისეთი შემაძრწუნებელი ფორმა, როგორითაც ის მოევლინა ჩვენი დროის უკანასკნელ ათწლეულებს. მარტინა დაღუპა ამ შანტაჟმა. პროვინციელმა გოგონამ ვერ გაუძლო მის ცდუნებას, მისი ცხოვრება დალეწა დიდი ქალაქის თანამედროვე ცივილიზაციის წისქვილის ქვამ.*

*პარიზში მარტინა ცინიკოს ადამიანთა წრეში მოექცა, მათ ვერ გაუგეს მარტინის სულის სწრაფვას. ლიტერატურის მრავალ დარგში აღუწერიათ სხვადასხვა ჯურის, სინდისისაგან დაცლილი ცინიკოსები. ახალმა დროებამ ეს ცინიზმი თავის ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვანა, გააშიშვლა, უხეში გახადა ის. ელზა ტრიოლე შეეცადა წარმოედგინა მკითხველთათვის ეს პროცესიც. გულუბრყვილო მარტინა, უცხო სხეულად მოჩანს ამ ადამიანთა წრეში.*

*მარტინა ცდილობს ავიდეს ცხოვრების იმ საფეხურზე, სადაც ნეილონის ეპოქის საგნები მეფობენ, მაგრამ, ეს საგნები, სულ უბრალოდ რომ ვთქვათ, მეტისმეტად ძვირია. ახალი ყაიდის ავეჯი, ტელევიზორები, რადიომიმღებები, უნიტაზები საბაზანო ოთახის მოწყობილობა, ელექტრომაცივრები, ყოფის მრავალი სხვა საგანი მარტინასათვის მიუწვდომელია. ახალი ცივილიზაციის მიერ შექმნილი კომფორტი მანიკიურშებისა და მედინეტკებისათვის ჯერჯერობით ოცნების სამყაროში ძევს.*

*მარტინამ მოინდომა ამ სამყაროში შესვლა, ვერ მოახერხა,*

*არც შეეძლო ამის მოხერხება და დაიღუპა, დაღუპა თავისი დიდი სიყვარული. ახალი საგნების დაუფლების ვნებამ ცხოვრებაში ორიენტაცია დაუკარგა ახალგაზრდა ქალს. ახალი ავეჯი, ტელევიზორი, ელექტრომაცივარი არ არის ერთადერთი აზრი ჩვენი არსობისა. იმ სამყაროში, ადამიანის გენიით დაპყრობილი მატერია, შურს იძიებს მის დამპყრობელზე, ის ისეთ დიდ ადგილს იჭერს ადამიანის ცხოვრებაში, რომ ბოლოს თავის მონად ხდის, თრგუნავს თავის აღმომჩენელს და გამომგონებელს. ადამიანს არ ძალუძს. მოერიოს ბოროტ სულებს, რომელნიც თვითონ აუშვა, თვითონ გამოიყვანა საპყრობილედან.*

*მარტინა დაუბრუნდა სოფელს, თავის დანგრეულ ძველ ქოხს, სადაც მოკვდა დედამისი. სასოწარკვეთილი მარტინა, რომელიც ერთ ღამეს დედამისის საყვარელმა, სატვირთო ავტომანქანის ვიღაც მძღოლმა, მანქანაში იგდო ხელთ, ვირთაგვების მსხვერპლი გახდა.*

*მარტინა დონელი, პარიზელი მანიკიურშა ნაილონის საუკუნის, თავის პატარა მეტად მიწიერ ოცნებას გამოეკიდა, ვერ დაეწია, ვერ დაიჭირა და უფსკრულში გადაიჩეხა.*

*ასეთია მარტინა დონელების ბედი დასავლეთის სამყაროში, სადაც ახლაც, მთელი თავისი სიძლიერით მოქმედებს ძველთაძველი კანონი, ნაღდი ფულის ანგარიში. იქ კრედიტი, ნისია არ გადის. ნისიად იქ ვერც ვარდს შეიძენთ, ვერც ტელევიზორს.*

*ვინც იმ სამყაროს ამ წმიდათა წმიდა კანონის დარღვევას მოიწადინებს, მოისურვებს, აუცილებლად დაიღუპება.*

*დონელების ბედსა და ხვედრს, მათ ვნებებს და გრძნობებს საგანთა სამყარო კი არ განსაზღვრავს, მათ საგნები კი არ ღუპავენ,*

*არამედ ის სოციალური წყობა, რომელმაც თავი ვერ გაართვა მისსავე წიაღში წარმოქმნილ ახალ ვითარებას, ახალ პირობებს, ვერ მოახერხა ადამიანთა ახალ სურვილების, დღითიდღე მზარდი ახალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.*

*ელზა ტრიოლე ცდილობს აღგვიწეროს ეს ვითარება, მოგვითხროს იმ უბრალო ადმიანთა ცხოვრება, რომელნიც დიდ სურვილებსა და მათ შეუსრულებლობის წინააღმდეგობაში მოქცეულნი, მძიმე ჭაპანს ეწევიან, იტანჯებიან და ხშირად იღუპებიან.*

*ვლ. მაჭავარიანი*